

ა მ ს ა ბ ი

თვი ი ური კურნალი

წელიწიდი ბერვე

№ XII

დ ე კ ი ბ ი 6 0, 1901



ტყილისი

კურნალის ფორმა კურნალის ფორმა კურნალის ფორმა კურნალის ფორმა

1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Декабря 1901 г.

ଶ୍ରୀ କମଳାର୍ଥ

I.—ତୁମାଣୀ.—ମନପାଶାନିଲାନ୍, ଅନନ୍ଦପାତ୍ରିକା ମାତ୍ରାମାତ୍ରିକା	33. 1
II.—* * —ଲ୍ୟେଜ୍‌ସି ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କାରୀ	13
III.—ହାତପାତାଳୀ.—(ଶାଶ୍ଵତବାଚ), ଶିଶୁକାନ୍ତିରୀନ୍ ମର୍ମାନିଶ୍ଵାଙ୍ଗାରୀ	14
IV.—* * N—ସ.—ଲ୍ୟେଜ୍‌ସି, ଫ୍ରାନ୍କ ଏକପାତ୍ରିକା	23
V.—ଶାତ୍ରବିହାରୀଙ୍କାରୀ ପାତାଳୀ.—ନାର ମନ୍ଦିରରେ ପାତାଳାରୀ ମାତ୍ରାମାତ୍ରିକା	25
VI.—ପିଲାଟିନ୍‌ପାତାଳୀ ଓ ମିଶି ପାତାଳୀ ପାତାଳାରୀ.—ସ. ପାତାଳା ମାତ୍ରା. (ଫାକ୍ସାଶର୍ମାଲୀ)	1
VII.—ପିଲାଟିନ୍‌ପାତାଳୀ ପାତାଳାରୀ ପାତାଳାରୀ ପାତାଳାରୀ.—ସ. କ୍ଷୀ କ୍ଷୀନାଶ୍ଵାଙ୍ଗାରୀ	20
XIII.—ଶତରୂପାତାଳୀ ମିଶିପାତାଳାରୀ.—1. ଶାତରୂପାନ୍ଦ୍ରେତାଳୀ ପାତାଳାରୀ 2. ପିଲାଟିନ୍‌ପାତାଳୀ ପାତାଳାରୀ ପାତାଳାରୀ.—3. ମାତ୍ରାମାତ୍ରିକା ପାତାଳା ମାତ୍ରାମାତ୍ରିକା	27
IX.—ହାତପାତାଳୀ ପାତାଳୀ.—ପିଲାଟିନ୍‌ପାତାଳୀ.—ପାତାଳୀ ପାତାଳାରୀ ମାତ୍ରା (ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରପାତାଳୀ), ପାତାଳାରୀ ପାତାଳାରୀ ପାତାଳାରୀ	33.—80



ტ. უ ა ნ ი

(მოპასანიდან)

ტუანს, სქელ ტუანს,—ტუანს *თა fine*, მედუქნე ტურნვან-ში ან ტუან მაშებლე ბრილოს,—ყველა იცნობდა. სახელი გაუ-თქვა ტუანმა თავის სოფელს, რომელიც გაშენებულია ზღვის პირას და შესდგება რამდენიმე ნორმანდიელი ქოხ-მახისგან.

ათიოდი ღარიბი სახლი ზღვისკენ მოსახვევის უკან, რის-გამო სოფელს სახელად ტურნვანს ეძახიან, შეჩირული ჯაგი-ან ხევში,—თითქოს იმისთვის, რომ, როგორც ავდარში ფრინ-ველები ძვრებიან ფუღუროებში, თავი დაეფარა ზღვის სასტიკ-ქარისგან, რომელიც ცეცხლსავით სწვავს და ყინვასავით აშ-რობს და ახმრაბს.

შთელი სოფელი გეგონებოდათ ან ტუან მაშებლე ბრილოს საკუთრებაო. იმას სოფელში მომეტებულ ნაწილად ტუანს და ტუან *თა fine* ეძახიდნენ, რაღანაც ლაპარაკში ხშირად ხმარობდა: *თა fine*.

— ჩემი *fine*—უპირველესია საფრანგეთში!

ჩემი *fine*,—რასაკეირველია, კონიაკი იყო. ოცი წელიწა-დი მეტი იყო, რაც იქაურებს და ახლო-მახლო სოფლელებს თავის *fine* ქაფიანს ასმევდა, რაღანაც, როცა კი ჰკითხავდნენ:

— რა დაელიო, ბიძია ტუან?

ყოველთვის ერთსა და იმავეს უპასუხებდა:

— ქაფიანი, სიძევ, ქაფიანი; ჩემი *fine* ნაწლავებს ათბობს და თავს აგრილებს: ამაზე უკეთესი სხეულისთვის არა არის რაო.

ჩვეულებად ისიცა ჰქონდა, რომ ყველას „სიძევ“ — ეძახდა, თუმცა არც გათხოვილი და არც გაუთხოვარი ქალი თავის დღეში არა ჰყოლია.

პო, რასაკვირველია, ახეც რომ არ ყოფილიყო, ყველა იცნობდა ტუან ბრილოს, ყველაზე სქელ კაცს ახლო-მახლოს სოფლებში კი არა, მთელ მაზრაშიაც.

იმის სახლი ისე პატარი და დაბალი იყო, რომ თითქოს ვერც კი დაიტევსო ამ სისქე კაცს და, როდესაც ის თავის დუქნის კარის წინ იდგა, სადაც მთელ დღეებს ატარებდა, თავის თავს გაკვირვებით ჰქითხავდნენ მნახველნი: როგორ შე-ტრევა ამ პატარა კარებში ტუანიო. მაგრამ ის ყოველთვის შეძრებოდა ხოლმე, როდესაც კი მსყვიდელი მოეიდოდა, რადგანაც ჩვეულებად ჰქონდათ, ტუანსაც უნდა დაელია ყვე-ლა ის სასმელი, რაც იმის დუქანში ისმებოდა.

იმის დუქანს ზედ ასეთი წარწერა ჰქონდა: „მეგობრების შეხვედრა!“ და მართლაც ბიძია ტუანი მთელი ამ მხრის შე-გობარი იყო. მოდიოდნენ ფექანიდან, მონტვილიდან იმის სანა-ხავად, მასთან სამასლაათოდ და საკინლად, რადგანაც ამ ჩა-ტრუხებულს საფლავის ქვების გაცინებაც კი შეეძლო. ხასიათად ჰქონდა ტუანს აღამიანს მასხარად აგდება — თვალის ჩახუჭეით, ტლანქი ხელებით ტლანქსავე ბარძაყებზე ტყაპუნით, და ყველა ამას ისე ახერხებდა, რომ კი არ გაგარისხებდა, ძალა უნე-ბრად შენც აგიყოლიებდა და სიცილით მოგკლავდა. იმისი სმა არა ნაკლებ-ოხუჯობას წარმოადგენდა.

რასაც კი მიაწვდიდით, ყველაფერს სიხარულით, თვალე-ბის ეშმაკურად ციმულით ჰსვამდა; ორგვარად სიამოვნებდა ტუანი სმის დროს: ჯერ ერთი მუქთად ჰსვამდა და მერე კი-დევ, რომ კარგა ფულებს ახდევინებდა.

— ბიძია ტუან, რატომ ზღვას არ ჩაჰყლაპავ? — ჰქითხავდ-ნენ ხოლმე იქაური ბიქები მასხარაობით.

— თური შიხეზის გამო, ჩემთვის მასხარებო, — უპასუხებდა ხოლმე ტუანი — ჯერ ერთი მლაშეა და მეორე კიდევ, მლაშეც

რომ არ იყვეს, ბოთლებში გადალებული არ არის, რადგანაც ჩემი სხეულის პატრონი ვერ დავეწაფები.

ყური უნდა დაგევლოთ, ცოლს როგორ ეჩხუბებოდა! ფასაც კი გადიხდიდით, რომ გეცქირნათ.

ოცდა ათი წლის ჯვარ-დაწერილები იყვნენ; ყოველ დღე ჩხუბობდნენ; ტუანი ამ დროს იცინოდა, ცოლი კი ჯაერობდა. ტუანის ცოლი მაღალი, გამხმარი ტანისა იყო; თავი გაჯავრებულ ბუს მიუგვანდა. დუქნის უკან პატარა ეზოში დაულალავად დღე მუდამ დაფუსფუსებდა და ქათმებს უვლიდა. ყვერულების დასუქებით ხომ სახელი გაითქვა. როდესაც კი ფეკანის დიდებულნი სადილს ჰმართავდნენ და რომ სადილი კარგი ყოფილიყო, უეჭველად დედა ტუანის გამოკვებილი ყვერულიც უნდა მიეტანათ. დედა ტუანი დაბადების დროს ცუდ გუნებაზედ ყოფილა და ამ გუნებას აღარ ჰლალატობდა. მთელ ქვეყნიერობაზე ჯაერობდა, ყველას უბლვერდა, უფრო კი თავის ქმარს უჯავრდებოდა.

ქმრისა არა მოსწონდა რა: იმის სიმხიარულე, იმისი სახელი, სიმსუქნე, სიმრთელე, ყველა ეს აჯავრებდა, გულსა ჰგვრიდა. ტუანი ცოლის თვალში არაფრის მაქნისი იყო, რადგანაც არას აკეთებდა და ფულებს კი იგებდა; გაუმაძლარს ეძახდა, რადგანაც ათის ოდენის სჭამდა, და დღე ისე არ ვაიცლიდა, რომ არ წაებუზღუნა:

— საღორე შენთვის უაღვილო აღვილი არ იქმნებოდა! იქ უფრო შენ ადგილას იქმნებოდი, ვიღრე აქ. შენ ქონს რომ ვხედავ; გული მერევა!

მერე კყივილს დაუწყებდა:

— მოიცა, მოიცა ცოტა ხანს კიდევ და, ვნახავთ, რომ ხორბლით გატენილ ტომარასავით გასკდები!

ტუანი კი მუცელზედ ხელების ბარტყუნით და ხარხარით პასუხს აძლევდა:

— ჩემო დედალო, ჩემო ხონჩავ, აბა, შენი ყვერულები. ისე დაასუქე! ნახე, ნახე!.. — და ამ სიტყვებით სახელოებს გა-

დიწევდა და გატიქულ მკლავებს უჩვენებდა: — აი, რა ფრთაა,
დედალო, რა ფრთა?

იქ მყოფნი ამ დროს სიცილით კვდებოდნენ, დაზეაზედ
ხელებს აბარტყუნებდნენ, ტოკავდნენ და სიამოვნებით მიწის
იატაკზედ აფურთხებდნენ.

— მოიცა ცოტა... — წიწმატობდა ცოლი, — მოიცა ცო-
ტა... ენახავთ, როგორ ხორბლით გატენილ ტომარასივით
გასკდები! — და იქ მყოფთა ხარხარისგან უფრო გაჯავრებული
გარედ გადიოდა.

ტუანს, მართლაც, საკვირველო შეხედულობა ჰქონდა,
რადგანაც იგი მკვრივი, ჩასუქებული და გაჭარბლებული იყო.
ის ერთ იმ არსებათ ეკუთვნოდა, რომლებსაც ბუნება მასხა-
რად იგდებს და საშინელის ცელქობით ძირს უთხრის,

უბრალო მომაკვდავთ ახმობს, აჭალარავებს, ჰლმეჭავს და
არაქათს აცლის. იმათი ნახვა გულს გიკუშშავს და ძალა უნე-
ბურად წარმოგათქმევინებს:

— ღმერთო, რანაირად გამოცვლილი ყოველივე ამის-
ნაცვლად ბუნება სიამოვნებდა ტუანის გასუქებით, დარგვალე-
ბით, მის აფერალებით წითლად და ლურჯად. სიბერის დალს
ისე ასვამდა, რომ შებრალების მაგივრად სიცილს, დაცინვას
იწვევდა ადამიანში..

— მოიცა, ცოტა კიდევ მთიცა, — იმეორებდა იმისი ცო-
ლი — და ენახავთ, რაც მოგივა.

II

ტუანს წვეთი მოუვიდა და დადაშბლავებული ლოგინად
ჩავარდა. ის დუქანშივე გაფიცრულ პაწაწინტა ოთახში მო-
თავსეს, რომ დუქანში ლაპარაკის მოსმენა შესძლებოდა და
თითონაც გამოპლაპარაკებოდა მეკობრებს, რადგანაც თავი
საღად შეპრჩა, როცა იმისი უშველებელი სხეული მოუძლურ-
და და განძრევაც აღარ შეეძლო. პირველ ხანს იმედი ჰქონდათ,
რომ მის უშველებელ დიდ ფეხებს ძალა დაუბრუნდებოდათ,

მაგრამ ეს იმედი ჩქარა გაჰქრა, და ტუან თა fine დღე-ლამეს ლოგინში ატარებდა. კვირაში ერთხელ ოთხი მეზობელი ტუანს ხელებით და ფეხებით ძლივას სწევდნენ და ამ დროს ლეიბს უბრუნებდნენ და უსუფთავებდნენ.

სიმხიარულე მაინც არ მოიშალა; მაგრამ ეხლა წინანდებური სიმხიარულე აღარ ეტყობოდა, უფრო შეზღუდული, მოწიწებით და მოკრძალებით მხიარულობდა; ეტყობოდა შიში, როგორც ბავშვს, და მორიდება ცოლისა.

— აი, გალოთებული, გარყვნილი და გაზარმაცებული ტახუნა! მშვენიერი ხარ, შენმა მხემ, მშვენიერი.

ეხლა ტუანი პასუხს ველარ აძლევდა ცოლს. მარტო თვალებს-და უჭუტავდა ზურგს უკან და ლოგინში გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდებოდა; ეს მოძრაობადა შეეძლო ტუანს.

ასეთ მოძრაობას ის ეძახდა „სამხრეთისკენ მიბრუნებას“ და „ჩრდილოეთისკენ მობრუნებას“.

თავის პატარა: ოთახში ტუანს ყველაფერი ესმოდა, რასც კი დუქანში იტყოდნენ, და ეს გარემოება ძალიან ართობდა. ხშირაც თითონაც გამოელაპარაკებოდა ხოლმე თავის ოთახიდან, როდესაც მეგობრების ხმას ცნობილობდა.

— ეგ შენა ხარ, სიძე, ბატონო სელესტენ? — ყვიროდა ტუანი.

— მე ვარ, ძია ტუან; ჯერ კიდევ არ დარბიხარ, ჩემი სქელო თრითინავ?

— სირბილით ჯერ არ დავრბივარ, მაგრამ სალად კი ვარ. გულ-ღვიძლი მაგრი მაქვს.

ჩქარა თავის ოთახიაც დაუწყო მიწვევა უფრო მახლობელ მეგობრებს და მათთან ერთად დროს ატარებდა, თუმცა კი გულზედ სკდებოდა, როცა ისინი სასმელს სვამდნენ.

— ყველაზე მეტად უფრო ისა მკლავს, სიძევ, რომ ჩემი fine-ის დალევა არ შემიძლიან. ყველაზე უფრო ეს მაწუხებს, თორემ დანარჩენს ჯანდაბამდის გზა ჰქონდეს.

დედა ტუანის ბუსებური თავი ამ დროს გამოინასკვებოდა და ხარკმელში და ყვიროდა:

— დასტკბით, დასტკბით მაგ გატრუხებულის ცქერით, რომელსაც ლორსავით მოვლა ეჭირვება!

როცა ბუსთავა მიეფარებოდა, სარკმელში ხანდა ხან შემოფრინდებოდა მამალი, ცნობის მოყვარეობით, რგვალის ოვალებით იმზირებოდა ოთახში და შემდეგ მაღლა შემოიკივლებდა.

ბევრჯერ ერთი ორი დედალიც შემოფრინდებოდა და ტახტის ახლოს ნამუეცებს ჰკენკავდა.

ტუანის მეგობრები ჩქარა დუქნიდან იმის ოთახში გადასახლდნენ და სადილ შემდეგ ღროს ავად-მყოფთან ყბედობაში ატარებდნენ. მასხარა ტუანი მწოლიარეც მასხარობდა. იმისი მასხრობა ეშმაკსაც კი გააცინებდა.

სამთ მისი მეგობარი ყოველ-დღე მოღიოდა. სელესტენ მანუაზი, გამხმარი და მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი; პროსპერ ორლიავილი, პატარა გამხმარი კაცი, რომელსაც ცხვირი მტაცებლისა ჰქონდა, მოშურნე და ეშმაკი, როგორც მელა, და ცეზარ პომელი, რომელიც ხმას არ იღებდა, მაგრამ ყოველთვის კი მხიარული იყო.

შემოჰკონდათ ეზოდან ფიცარი, რომელსაც ტახტის გვერდით ამაგრებდნენ, და ორი საათიდან ექვესამდის დომინოს თამაზობდნენ.

ტუანის ცოლი კი მომაბეზრებელი გახდა. ვერ ინელებდა, რომ მისი ჩასუქებული ზარმაცი ქმარი ლოგინშიაც დომინოს თამაშით ერთობოდა, და, როდესაც კი თვალს მოჰკრავდა დომინოს დაწყობას, გაცოფებული შეგარდებოდა ოთახში, ფიცარს სტყორუნიდა საღმე, კოჭებს კიღევ დუქანში მიარბევინებდა და ყვიროდა: — „არა კმარაა, ასმევ, აკმევ ამ გასუქებულ ზარმაც ტახუნას, რომ ახლა იმასაც არ ვუცეირო, თუ როგორ ერთობა და მშრომელ ხალხს, რომელიც დღე-ლიმეს ასწორებს, როგორ დასცინის.

სელესტენ მანუაზი და ცეზარ პომელი გაჩუმებულები ემორჩილებოდნენ ხველრს, პროსპერ ორლიავილი კი მასხარად იგდებდა ტუანის ცოლს და მისი გაჯავრებით ერთობოდა.

ერთხელ, ჩვეულებრივზე უფრო გაჯავრებული რო დაინახა, ორლიავილი მივიდა და უთხრა:

— იცი, დაო, თქვენ ადგილას რომ მე უიყო, როგორ მოვიქმევოდი?

ტუანის ცოლმა თავისი ბუს თვალები გაშტერებით მიაპყრო და ხმის ამოულებლივ განმარტებას ელოდა.

— თქვენი ქმარი ცხელია, როგორც გახურებული თორნე, — განაგრძო ორლიავილმა, — და ამასთანავე ლოგინიდან არ იძერის, ვისარგებლებდი ამ გარემოებით და კვერცხებს დაუწყობდი!

ამის გამგონე ტუანის ცოლი სახტად დარჩა; ეგონა, მასხარად იგდებდა, დასკინოდა და ამისთვის თვალს აღარ აშორებდა გამხმარ, ეშმაკურ ორლიავილის სახეს.

ის კი არა სცხრებოდა:

— ხუთ კვერცხს ერთი ხელის ქვეშ შევუწყობდი, ხუთს კიდევ მეორეს ქვეშ სწორედ იმ დღეს, რა დღესაც კრუხს დავსვამდი. წიწილები ერთად გამოიჩინებოდნენ. მაშინ შენი ქმრის წიწილებს წავიყვანდი საქათმეში და კრუხს შევუსხამდი ალსაზრდელად. აი, წიწილები ისინი იქმნებოდნენ, დეიდა!..

— განა, ეგ შესაძლებელია? — გაკვირვებით ჰკითხა დედა ბერმა.

— შესაძლებელიაომ? რატომაც არა. თუკი ცხელი ყუთებით შეიძლება წიწილების გამოჩეკა, რატომ ცხელ ლოგინში კი არ შეიძლება?

ქალი გაოცდა ამ გვარ რჩევით და ჩაფიქრებული შინისკენ წაეიდა.

ამ რჩევის შემდეგ ერთმა კვირამ განვლო. ტუანის ოთახში შევიდა ის და თან კალთოთ კვერცხები შეიტანა.

— ეს-ეს არის ყვითელი დედალი დავსვი — წაილაპარაკა დედაბერმა, — და აი, ათიც შენ მოგიტანე. ეტადე კია, არ დაამ-ტვრიო.

ტუანი შიშმა აიტანდ და აკანკალებულის ხმით ჰკითხა:

— მერე რა გინდა?

— რა მინდა და უნდა გამოჰიკო, უმზვავსო!

ჯერ გაიცინა, მერე, რაკი ცოლი არ ეშვებოდა, გაჯაერ-და და გადაჭროთ უარი უთხრა, რომ იმის სრულებით არ ესია-მოვნება თავის ჩასუქებულ ხელებ-ქვეშ კვერცხები დაიწყოს და თავისივე სითბოთი სული ჩაუდგას და გამოჰიკოს წიწილები. მაგრამ ამაყურის თქმით გაცოფიანებულმა ბებერმაც გადაჭრით გამოუცხადა:

— ერთ ლუკმა პურსაც არ მიიღებ, ვიდრემდის კვერცხებს არ შეიწყობ! ვნახოთ, ვინ დამარცხდება!

ტუანმა ხმა ოლარ გასცა. შუადლემაც მოატანა.

— დედაკაცო, წვენი მზად არის? — გასძახა. ოთახიდან ტუანმა თავის ცოლს,

— შენთვის არაფერია! — სამზარეულოდან გამოეხმაურა ცოლი.

ეგონა, მემასხრებაო და ლოდინი დაიწყო, რაკი არ მოუტანა, ეხვეწა, ემუდარა, ლანძლა, ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ უიშელოდ მიბრუნ-მობრუნება დაიწყო, ფიცრის კედელს მუშ-ტებით ცემა დაუწყო, ასტეხა ერთი ალიაქოთი; მაგრამ ვერაფერმა უშველა. ბოლოს მაინც დაპორჩილდა, და ცოლმა მარჯვნივ და მარცხნივ ხუთ-ხუთი კვერცხი შეულაგა. მხოლოდ ამის შემდეგ საჭმელს ეღირსა.

როცა მეგობრები მოვიდნენ, ისეთი საცოდავი სახე ჟეონდა, რომ უნებურად გაიფიქრეს: „უთუოდ ცუდათ შეიქმნა ტუანიო“.

ჩვეულებრივად დომინოს თამაში დაიწყეს, მაგრამ ტუანი ისე უგულოდ თამაშობდა და სიფრთხილით აცოცებდა. ხელს, რომ ორლიავილმა ჰკითხა:

— მკლავიც ხომ არ წაგერთვა?

— რა ვიცი, მხარი რალაცნაირად დამიმძიმდი — უბასუხა ტუანმა.

ამ დროს ფუქანში ვიღაც შემოვიდა. მოთამაშენი გაჩუმნდნენ. მერი თავის თანაშემწით იყო. ორი ჰკიქალვინო მოითხოვეს და ადგილობრივ საზოგადო საქმეებზედ ბაასი დაიწყეს.

რადგანაც ისინი დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ, ტუან
ბრიულოს უნდა კედლისთვის ყური მიედო, კვერცხები სრუ-
ლიად დაავიწყდა, გაუფრთხილებლივ ჩრდილოეთისკენ მიბრუნ-
და და ერბო-კვერცხზედ კი მოექმდა. ტუანის უნგბურ გალანძღვა-
ზე შემოვარდა მისი ცოლი და აკანკალებულის ხელებით სა-
ბანი გადაპესლიჯა. იგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო, ერთ წამს ისე
ხმის ამოუღებლივ იდგა და კვერცხით შელესილ თავის ქმრის
გვერდს უმზერდა. ისე გაჯავრებული იყო ამ შემთხვევით, რომ
ხმის ამოღებას ეელარც კი ახერხებდა.

მერე უეცრივ ეძგერა ქმარს და სწორედ ისე დაუწყო მის
მუცელს ზეპა, როგორც წყლის პირას სარეცხს ზეპავდა.

დალაბანდივით ბრაგა-ბრუები გაჰქონდა ტუანის მუცელს.
ამ სურათის მნახველი მეგობრები ხარხარით კინაღამ დაიხ-
ოცნენ: ახველებდნენ სიცილის დროს; ცხვირს აცემინ ებდონენ და
თვალებს იწმენდონენ; ტუანი კი ცდილობდა ცოლის ხელები
მოეშორებინა და მეორე ხუთი კვერცხიც არ ჩაელეწა..

ტუანი დამარცხდა. კრუხად უნდა შჯდარიყო კვერცხებზე,
და ამისთვის დომინოს თამაშობაზე ხელი უნდა აელო, უნდა
შეეწყვიტა ყოველგვარი მოძრაობა, ფორემ ცოლი ყოველთვის
მშიერს სტოებდა, როდესაც კი კვერცხს გასტეხავდა.

ქათმის ფრთხებიერი ხელებ მაღლა აწეული გულ-აღმა
იწვა ტუანი და გაუნძრევლად ჭერს შეპყურებდა.

ლაპარაკითაც ჩიურჩულით-ლა ლაპარაკობდა, თითქოს
ხმაურობაც კი ხელს შეუშლიდა წიწილების გამოჩეკას, და ხშირ
რად კითხულობდა ყეითელას ამბავს, რომელიც იმავე თანამ-
დებობას ასრულებდა საქათმეში, რასაც ეს აქ.

— წუხელის ყვითელამ ჭამა რამ? — ჰკითხავდა ხოლმე
ცოლს ტუანი.

ცოლიც საქათმიდან ქმართან მოდიოდა, ქმრიდან საქათ-
მეში და გაფაციცებით ჟევალ-ყურს აღევნებდა კვერცხებს.

სოფლელებმა ოცნენენ, თუ რაც ამბავი იყო ტუანის თავს, და დღე მუდამ მოდიოდნენ, ფეხ-აკრებით შედიოდნენ იმასთან, როგორც ავადმყოფთან, და ცნობის მოყვარეობით ჰქითხავდენ:

— ჴა. საქმე წინ მიდის, თუ არა?

— წინ კი მიდის, მაგრამ მე ეს ძალიან მავიწროევებს. ხანდახან ერუანტელი გამირბენს ხოლმე ტანში..

და აი, ერთ დილას აღელვებულის ხმით ტუანის ცოლმა ოთახში შემოსვლის უმალ გამოუკხადა ქმარს:

— ყვითელას შეიდი წიწილა ჰყავს — სამი კვერცხი კი გაულიყებია.

ტუანს გული აუფანტქალდა.

— მე რამდენიმდე მეყოლება? — იმ ქალის შიშით იკითხა, რომელიც დღე-დღეზე დედა უნდა — გახდეს: ჩქარა იქმნება?

— უნდა დავიცადოთ! — ცოტა ეჭვით უპასუხა ცოლმა. და დაცდა დაიწყეს. მეგობრებიც მოვიდნენ, იმათაც შეიტყეს, რომ ღრმო მოახლოვდა.

ეხლა ყველანი ამაზე ლაპარაკობდნენ ყველგან და ყველასთან. ცნობები მეზობლებში იკრიბებოდა.

ნაშუადლევის სამ საათზე ტუანს ცოტათი წასთვლიმა. ეხლა თითქმის ნახევარი დღე სულ ეძინა ხოლმე; უცრივ მცრავენა ხელის გულზე არა ჩვეულებრივმა ღირინმა გამოაღვიძა, მაშინვე მარცხენა ხელი შეაცოცა მარჯვენა ხელის ქვეშ და დაიკირა ბუნჩულა, ყვითელი ბუმბულით შემოსილი, პატარა არსება, რომელიც იმის ხელში ფეხებს ხლარავდა.

ისე აღელვებული იყო ტუანი, რომ ხმა-მალლა ღრიალი მორთო და წიწილა ხელიდგან გაეშვო, რომელიც იმის გულზე გასრიალდა და წვერს შეეფარა. ღუქანი ხალხით სავსე იყო. საჩქაროდ იმის ოთახი მაყურებლებით გაიგხო; თითქოს თვალთვაქციაო, გარს. შემოეხვივნენ, და იმისმა ცოლმა კი სიფრთხილით წიწილა წვერის ქვეშიდან გამოაძრინა.

ყველა გაჩუმებული შესკეროდა ტუანს, რომელიც სიხარულისაგან და მეტის მეტი მღელვარებისაგან ქანქახი გადას-

ფიოდა. იპრილის თბილი დღე იდგა და სარკმლიდან შემოისმოდა ყვითელას რუკ-რუკი, რომელიც თავის ახლად გამოჩეკილ წიწილებს ეძახდა.

— მარცხენა ხელის ქვეშაც მიჩურნებს! — ცოლმა შეაცურა ლოგინში გრძელი გამხმარი ხელი და ბებისებურის ფრთხილის მოძრაობით მეორე წიწილა გამოიყვანა. ყველას უნდოდა წიწილა ხელში აეყვანა. ერთისგან მეორეს ხელში გადაღიდდა, და ყველა ისე შინჯავდა, თითქოს ჩვეულებრივი წიწილა არა ყოფილიყოს.

ოცა წუთის განმავლობაში ძღარა გამოიჩინა რა; მერე კი ერთბაშაუ ოთხი გამოძვრა კვერცხებიდგან.

მაყურებლები საშინლად აღელდნენ.

ტუანი კი კმაყოფილებით ილიმებოდა, რომ ასე გაიმარჯვა. და, ცოტა არ იყოს, კიდევაც თავი მოჰქონდა უცნაური მამობით. ქვეყანაზედ ბევრი არ მოიპოვება ამისთანა მამა! მართლაც და საკვირველი კიცია ტუანი!.

— დასწუკევლოს ლმერთმა, უკვე ექესი. უჰ, რამდენი ნათლობა მექმნება!

ხალხმა ხარხარი დაიწყო. დუქანი ახლად მოსულებით იიესო. ბევრი გარედ კარებთან იდგა და იქიდან სხვებს ჰკითხავდა:

— რამდენია, რამდენი?

— ექვსი, ექვსი!

ტუანის ცოლს გაჰყვანდა ახალი ოჯახობა კრუხთან, რომელიც აღელებით რუკ-რუკებდა და ფრთებს აფარფატებდა, რომ გადიდებული ოჯახი დაეფარა.

— აი, კიდევ ერთი! — შეჰყვირა ტუანმა. მაგრამ ტუანი შეჰსცდა: ერთი კი არა, სამი იყო.

ეს ხომ პირდაპირ გამარჯვება იყო! უკანასკნელი საღამოს შეიდ საათზე გამოიჩინა. არც ერთი კვერცხი არ გხელაყებინა.

ტუანი მთლად გადირია. უხაროდა, რომ ასე გაიმარჯვა, განთავისუფლდა. გაფიტებით ჰკუპნიდა უკანასკნელს; კინა-

ლამ კიდევაც დააღრჩო ტუჩებით. უნდოდა, ლამე თავისთან
დაეტოვებინა ეს პატარა, რომელსაც თითონ ჩაუდგა სული,
და დედასავით ეალერსნა, მაგრამ ცოლმა არ შეიწყნარა მისი
მულარა და უკანასკნელიც კრუხს გაჰვარა.

ალტაცებაში მოსულნი მნახველები თავთავიანთ სახლებ-
ში ბაასით წავიდნენ; ორლივილმა კი, რომელიც ყველას ჩა-
მოჰქმდა, ჰკითხა:

— არა, ბიძია ტუან, დამპატიუებ, როდესაც პირველ
მათგანს მოჰქმდავა?

მოხრაკულის ხსენებაზედ ტუანს თვალები გაუბრწყინდა,
და ტახუნამ უპასუხა:

— უჩემელად, სიძევ, უჩემელად!

თურქული.

* * *

... და შენ კი, მთვარეებ, ისე დინჯად მისცურავ ცაზე,
თითქმ ტრიუმფის მწერები აღი არ გოწვნებია
და მაგ ცისკონიან მოღიმების ტურფა დაწვებზე
საუკარლის შემაგი კონის დაფი არ გამჩნებია.

სცდები, ლამაზი! არ, აგრე ცხადად ბემწენება
მარჯვენა ლაწვზე სიეგარულის ნამდგილი კვალი
და ამიტომაც აგრე გარბი თავ-მოძულებით,
რომ უცაბედად არ შეგესწროს მქინდავის თვალი...

მაგრამ მე გხედაშ, მშენიერო... და არ გამტევნებ;
ან ყინ შეგბედავს გამტევნებას, ზეცისა ძალია...
მიწისა შეიძლია ციურ მნათობის რომ შებგადრო რამ,
მარჯვენა ლაწვი კაცია შორის ვით-და დაგმალი?

განდეგილი

დ ა ვ ი თ ი

(საშობაო)

«სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს.»
სახარება.

1

შობის წინა ლამეა თოვლით დაფენილ არე-მარეში სასტიკი ყინეა შძვინვარებს. სიცივისაგან შეკუმშული ჰაერის მოძრაობა შეჩერებულია. მკვდრულ და საიდუმლოებით სავსე, სევდის მომგვრელ სიჩუმეს არაფერი არ არღვევს. მოწმენდილ ცის სილრმეში გადმოკიდული ვარსკვლავ-მთვარე ცივათ, უთანაგრძნობოთ გადმოსცერის უიმედო ფიქრებში გახევულ დედამიწას, თითქოს ეუბნებოდეს: „დახე რა მეგობრობას გიწევ: როდესაც შენ მოწყენილი ხარ, არც მე ვარ კარგ გუნებაზეო!“ აბა ეხლა სად არის ის მაისის მომჯადოებელი ლამეების. ნაზიდა გულ-უხვი მთვარე, რომლის სხივებს ქვეშ ვინ იცის რას არ წამოიძახებს მეოცნებე პოეტი!.. ახლა ის თითქოს მიმქრალა, თითქოს დაკარგვია ბრწყინვალე სხივები და ფერმკრთალი, დიდი ხნის ნაციები ავათმყოფივით თითქოს უნებურათ იწვდის თავის. გაყინულ სხივებს დედამიწას. ყოველ კედრით უიმედობა, სიტიტვლე, მოსაწყენი სურითები, ყოველ მხრით ერთი და იგივე სურათი და ამასთანავე მთვარე და ვარსკვლავები ნამუს ახდილ ქალივით ულაზათო და შვენება დაკარგული!.. ან და ვინ იცის, შეიძლება ის მთვარე და ის უთვალიში ვარსკვლავები სრულიადაც არ ფიქრობენ ჩვენი „პაწაწყინტელა პლანეტის.“

ხათრიზა თავის შვენებას რამე ჩამოაკლონ, მაგრამ ასეთია აღა-
მიანის ბუნება: როდესაც მას არაფერი აქვს სამხიარულო, როდე-
საც მას თავ-პირი ჩამოსტირის, — მაშინ ყველაფერი თავის
სულიერი მდგომარეობის და გვარათ უჩანს, ეხატება... განა
კი შეპულება ხალხის სიბრძნე? აკი იმანა სთქვა: „ხუცესს მაძ-
ლარს, დიაკონიც მაძლარი ვგონაო.“ იქნება ის ზეცის მნა-
თობნი ახლაც ისეთივე იყვნენ, როგორც მაისის ლამეში და...
მაგრამ დაუტოვოთ ზეცა ზეცას და მივხედოთ ქვეყანას!

ქალაქ №-ს განაპირას გაშენებული ერთ-ერთი სპეცია-
ლური სასწავლებლის ბალიც ამ საერთო წრეში არის მოქცე-
ული, ისიც დამორჩილებია ყოვლის შემძლე ყინვის გავლე-
ნას და უბრძოლველათ უთმობს თავის სათუთ მცენარეებს,
რომლებიც კი კარში დარჩენიათ. მხოლოდ უზარმაზარი ნაძვის.
ხეები არ იჩევენ არც სიცივეს, არც ყინვის სტანაკტიტებს, მათ
ტოტებზე თავისებური სილამაზით ჩამწკრივებულო, და მედგრათ
შეპულებიან ზეცას. ასე ჩერდებიან ხოლმე ცხოვრების გმირებიც,
როდესაც მათ გარშემო ყველაფერს მუსრს ავლებს ცხოვრე-
ბისავე სუსტი, ასე მხნეთ და ასე თავ აწეულნი დგანან ხოლმე
ისინი და დინჯალ მოელიან გაზაფხულს: მხოლოდ ის ვერ
უძლებს ზამთარს, ვისაც გაზაფხულის სითბო არ ახსოვს!...
ორ - ეტაჟიანი, დიდი შენობა სასწავლებლისა მაღლიდამ გადა-
ყურებს ვეებერთელა ბალს. ყველას სძინავს.

არ სძინავს მხოლოთ ამ ბალის დარაჯს, სამოცი წლის
დავითს. საზარელ ამას არსებას, რომელსაც არსებობისოვის
ბრძოლას ეძახიან, — აურია დავთი და აი, ამ ბალში გაღმოუგდია.
მას შემოუვევია რაღაც ძველის ძველი ჩული, ოდესმე ნაბ-
დათ ყოფილი, დაუკავებია ხელში ბზის მსხვილი ჯოხი, გამო-
სულა ბალში და დარაჯობს. აგერ ორი წელიწადია, რაც ის
ამ თანამდებობას ასრულებს, დარაჯობს როგორც ასეთ ყინ-
ვიან ღამეებში, ისე ზაფხულის თბილ დარში, დარაჯობს მუდამ,
პირ ნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას. მაშ განა ტყუ-
ლად ლებულობს თვეში შეიღ მანეთ ნახევარს! მართალია,
თვეში შვიდი მანეთი და კიდევ ნახევარი დიღს არაფერს წარ-

მთადგენს, მაგრამ რა უყოთ. იმისთვისაც მადლობას სწირავს
ლმერთს, რომ მთლად უადგილოდ არ დასტოვა და სამათხოვა-
როდ არ გააწვდევინა შრომისთვის გაჩენილი ხელები. რაღაც
მისდა ბედათ. აქ გამოჩენდა ის დალოცევილი „ვინკაცია“, თეა-
რა სხვაგან, საღაც კი მივიღა, ყველვან ასე უთხრეს: „ვინკაცია“
არ არის, არ გვჭირიხიხარო“ მოდი და ნუ გაუფრთხილდები ამას
შემდეგ ადგილს, თუ გინდ ის შვიდ მანეთ ნახევრიანიც იყოს!
ახლანდელ დროში „ძარღვიანი ყაზახებიც“, როგორც დაეითი
ამბობს, „უერ შოულობენ ადგილს, თვარა მას ვინ რას მიაშავებს“.
და, აი ეს ძვირფასი ადგილი, ეს ერთად ერთი წყარო დაეითის
ცოტათი მაინც ადამიანური არსებობისა კინალამ დაკარგა მან,
კინალამ მოისპო ცხოვრების უკანასკნელი იარალი. მაშინ მას
რვა მანეთი ქონდა ჯამაგირი, პატარა თავ შესაფარი ოთახი
და ამის გარდა კიდევ გიჩენების მეოთხედი შაქარი კვირაში,
მაგრამ ეშმაკი რომ არ დააყენებს კაცს, ის არის, შეჰშურდა იმ
წყეულს დაეითის ბელნიერება და მოუნდომა ვაუბედურება.
დავითმა გააჯავრა ბ-ნი „დელებტორი“. საფუტკრეში ერთი
კვირის განმავლობაში თითქმის უოველ ღამე ეპარებოდა ქურ-
დი და პასექს უნგრევდა. ეს რომ მეფუტკრე მასწავლებელმა
შეიტყო, ვაუჯავრდა დავითს და დირეკტორს დაასმინა. დირე-
კტორმა უყვირა და უყვირა დავითს.—იმ დალაცვილს უვი-
რილში მაინც ტოლი არ ყავდა, რაც დავითის აზრით, იმას
ნიშნავდა, რომ „იგი ძალიან კაი დელებტორი იყო“. ცოცა-
ზალმკედარი დავითი ვერ მიშვდარიყო, თუ ვის რა ოხრათ
უნდოდა საფუტკრის დანგრევა, მით უფრო, რომ თაფლი არა-
ვის მიქენდა, მხოლოდ მიწაზედ ჰყრიდა სათაფლე ჩარჩოებს.
მას წართვეს ოთახი იმ მოსაზრებით, რომ თუ მაგას ოთახი
მიუეცით, ძილის მეტს არაფერს გააკეთებსო. შემდეგ ათი შაუ-
რი მოაკლო დირეკტორმა და შაქრის მიცემა აუკრძალა. ამას-
თანავე გამოუკრადა, რომ თუ კიდევ გამეორდა ეს—მაშინ
გამოეთხოვე სამსახურსო. რა ეჭნა დავითს? ბაღი დიდი იყო.
ამ დიდ ბაშში წამ და უწუმ უნდა ევლო მას. საფუტკრე კი
ერთ კუთხეში იყო, ასე რომ, როდესაც ის ბაღის მეორე კუ-

თხეში მივიღოდა, ქურდის განკარგულებაში სრული ერთი საათი რჩებოდა... მომინებიდან გამოსულმა დავითმა გადასწყვიტა: სული რომ ააოხრონ დანარჩენი ბალი, საფუტკრეს მაინც არ მოეშორდები და დავიჭირავ იმ ოჯახ დაქცეულს. ითქვა — ასრულდა. მაგრამ იმისთანა შენს მტერს, რაც დავითმა ნახა. თურმე ქურდი თეითონ „დელეხტორი“ იყო. მან ხმის ამოლება ვერ მოახერხა, ისე გაშეშდა ამ სურათის წინ. დარეკტორი კი თუმცა ერთი შეკრთა, მაგრამ მალე მოასწრო თავის შეკავება. მიუახლოვდა დავითს და ჩააშრებოდა თვალში. დავითმა დამნაშავეს ავით ჩაღუნა თავი.

— !!!..ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა დირექტორმა:

— მინავათ! წამოილულულა დავითმა, თუმცა არ იცოდა კი, რაში იყო ის „მინავათ“ ან რატომ მაინც და მაინც ეს სიტყვა უთხრა პ-ნ დირექტორს და არა სხვა რამე.

— ჩუმათ იყავი! გესმის, ჩუმათ!.. და ამ-სიტყვებზე დირექტორმა ტუჩებზე მიიღვა ხელი და ისე, მუნჯურათ აჩვენა დავითს, რომ არავისთვის ეთქვა ეს ამბავი... თურმე საქმე აი რაში იყო. დიდი ხანი იბძოდა ბ-ნი დირექტორი და მეფუტკრე მასწავლებელი. პირველი დანაშაული ამ უკანასკნელისა დირექტორის წინაშე ის იყო, რომ ის მოწაფეებს უყვარდა და მეორე ის, რომ ამ მასწავლებელმა ერთი გრძელი თხოვნა გააგზავნა მთავრობასან, სადაც დირექტორს ბევრ დანაშაულს უჩიოდა და კანონის წინააღმდეგობაში იჭერდა. ეს სამი ზემოხსენებული მიზეზი არ გამოდგა საკმარისათ, რომ დირექტორს მასწავლებელი გაეგდო და აი, რომ მის წინააღმდეგ კიდევ ერთი საბუთი მოენახა, სახელდობრ საქმეში დაუდევრობა — ნამუშავარს უფუჭებდა, რა არის ჩევიზის დროს ცუდათ ნახონ მისი ნამუშავარიო... ეს უველავერი ასე იყო, მაგრამ დავითს მაინც არ მოუმატეს ჯამაგირი და ის შერჩა თავის გაფხეკილ შვიდ მანეთ ნახევარს თვეში.

მეორე შეცდომა, რომლისთვისაც დაჭითს დატბორვას ექალოდენ, შემდეგში მდგომარეობდა: ერთხელ ვიღაც მოწაფის გამონაცვალი ქუდი, რომელიც დავითმა გადაგდებული ნახა,

თაზე დაიხურა და ქალაქში გავიდა. ეს რომ მოწაფეებმა გაიგეს, მისცვივდნენ დავითს. — როგორ თუ ჩვენი „ფორმით“ ქალაქში დადიხარ და გვარცხვენო: მართალია, ამისთანა ქუდები წე-ში და საზოგადოთ ყველა ქალაქებში შვეიცარისა და სტორო-უების ფორმაა, მაგრამ იმათთან მოწაფეებს აბა რა შეუძლიან! დავითს კი სასტიკად აუკრძალეს იმის დახურვა, თორემ „ჩვენ კი შეგვაძლია შენი გაპანლურებაო!“ დავითიც აბა როგორ გაბედავდა წინააღმდეგობას! დანარჩენ ში დავითი სალია, მეტ ქურდს ერთხელოც არ გაუჭაჭანებია ბალში და არც დავითის მყუდროება შეფოთებულა ადამიანის მიერ ბნელ ლამებში, სუდაც ის, თავის ფიქრებში გართული, დალის წინ და უკან და დარაჯობს.

აი, ამაღამაც, ამ საშინელ ჟინვაში დარაჯობს ის. სიმარ-თლე უნდა ვთქვათ, მას არ უნდოდა ამ ლამეს გამოსვლა. ხვალ ქრისტეს შობის დღეა, დიდი დღესასწაული, ქრისტიან კაცს დაბანა-დარეცხვა სჭირია, რომ წმინდა დღეს წმინდად შეეგებოს, ზაგრამ უბძანეს გამოსვლა და რა ექნა? ყველა ამას ისიც დაერთო, რომ ამ ბოლო დროს რაღაც დაზანტია, რა-ღაც დაზარმაცია ის. აღარ შეუძლია უწინდებურად არც აღ-გომა, არც დაჯდომა, ხელ-ფეხი ძალიან ხშირად უცივდება, რაც უწინ არ იცოდა, რაღაც „შიგ გულის კაკალში“ სტკივა, ეკალიერით ესობა, სუნთქვას უშლის...

II

შუალამეზე გალაცილებული იყო, როდესაც ახლო ჩამომ-დინარე წყლიდან ნელი, მაგრამ ცვეი, ქარი ამოიჭრა. დასავ-ლეთის ცას შევი ღრუბლებთ ამოეყუდა და ქარმაც იმატა. დავითმა შეხედა ცას და წაილაპარაკა:

— ნამდვილად ქარ-შეთი ამოიჭრება დღეს! ამ სიტყვებზე მან გაიჩქარა ბაღის მარჯვენა კუთხეში სამხრეთისკენ, სადაც წევიმის დროს თავ შესაფარი ოთხი კავრით გადახურული ბო-მი იყო გაკეთებული, რომლის ქვეშ წვიმა და თოვლი ისეთივე

ბატონი იყო, როგორც ტიალ მინდორში. მან გადა-
ფხიკა მიყინული თოვლი ძელიდან და ამოეფარა. ეს ადგილი
მისი ხავაგარელი ადგილია. სხვაგან ჩუმი, უსიტყვო დავითი, აქ,
აქ ადგილის ფიქრობს, აქ იგონებს თავის წარსულს,—ვინ
იცის, იქნება ისეთივე უფერულსა და პნელს, როგორიც მისი
აწმყოა და მომავალი. ანდობს მას თავის დარდებს, სრული
დარწმუნებული, რომ ის, თუ არ შეიბრალებს, არ დასცინებს
მაინც. ამ ადგილმა შეიძლება იცოდეს დავითის ჩუმი წყევა
„დელეხტორისადმი“, ამანვე შეიძლება იცოდეს მისი გმობა
სახოგადოებისა, რომელმაც ასე ულმერთოდ მოიძულა, ის,
მავრამ ჯერ არ ამხელს საიდუმლოს, ირაფერს ამბობს, არც
დასაცველათ და არც გასამტყუფებლად... და განა ისე დაეხა-
შო ადამიანს გული, რომ მისი სათქმელი, უსულო საგანმა
თქვას?!.

ქარი თან და თან გაძლიერდა. ცა შაემა, შიშის მომგვრე-
ლმა ღრუბლებმა მოიცო, რომელსაც თან მოჰყვა თოვლის
არეული ბუქი.

დავითი თან და თან დასუსტდა. მან ეელარ შეიძლო
ჯდომა და გადაწყვიტა მზარეულის გალვიძება და გადაყუდ-
რება.

„სულ ერთია,—გაითიქრა მან—ამაღამ შობა ღამეა, ყველა
შინ არის—ქურდიც და კაი კაციც! მაინც ვის რა ჯანდაბად
უნდა საშობოდ ხეი! ძალლი არ გამეიგდება. კარში,
რაღა მანდა მაინც ამაღამ მუა ქურდა... ეჭ, რა უჭირდენ
ამელამ ჩემდა გევეშვი. ჩივიენ—ამას ვინცხა „დეცეპლინა“ იგი
თხოულობსო. დიდი ფთხილი კაცი კაი იგი დეცეპლინა თუ
რაცხა, ყველოს მისი ეშინია! უჩენიკებს, სალდათებს; დელეხ-
ტორსაც იმის სახელი აქ სულ პირში!.. ვაი, სულო, რა დიდი
კაცია ვინცხაა, ნეტე მის დედ-მამას!“

ამ ფიქრებში იყო დავითი, როდესაც მწყრომიარე ხმა
მოესმა: ეი, შენ ბებერო ძალლია, სად დაკარგულხარ!

ეს გახლავს დირეკტორი ობრაზცოვი, რომელიც აი ახლა
ბრუნდება ქალაქიდა. ხმაზე ეტყობა, რომ ბახუსთან კარგა

ხანი უმუსაიფნია. დავითი შეჩერდა და რაღაცას თქმა დააპირა, რომ ამ დროს დირეკტორმა დაიყვირა:

რას გაჩერებულხარ?.. წაეთრიე ბალისკენ!..

დავითმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და დაუპირდაპირდა დირეკტორს.

მხეცი!... ტყულა უნდა ჭამოს ფულები, თითქოს დიდი ვინმე იყოს!.. — კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც დირეკტორს, მაგრამ გაახსენდა, რომ მის მოსწრებულ სიტყვებზე ვერავინ გაიცინებდა და ისევ წასვლა არჩია. დავითმა კი პატარა კიდევ გაიარა, ვეღარ გაუძლო ქარის ცემას და ისევ უკან დაბრუნდა. საიდან დაც ზარის ხმა მოისმა. მან გადაიწერა პირჯვარი და წაილაპარაკა: „დღერთო შენ ხარ მოწყალე, ღმერთო მიხსენი!“ და ამ სიტყვებზე მას, თითქო დიდი ლოდი ჩამოძერა კისროდანო — გულზე მოეშვა. მას დაუდგა თვალ წინ მშვიდი და უსაზღვრო სიკეთით სავსე სახე მაცხოვრისა, რომელიც მას ეკლესიაში უნახავს, დაინახა მისი ლმობიერი თვალები და ამ სურათთან ერთად მან იგრძნო, რომ სულ მთლად უნუგეშოდ არ არის დატოვებული, ჭომ მასაც აქვს იშედი და ეს იმედი არის მაცხოვარი, რომელიც ხეალინდელ დღეს დაიბადა და რომელმაც თქვა: „მოვედით ჩემდა ყოველნი ტვირთ მძიმენი და დამაშვრალნი და მე განგისვენოთ თქვენ!“ და მოულბა დავითს გული, მას უცბად შეუყვარდა თავის თავი და თან მან იგრძნო, რომ ვითომც იმატა მის ძარღვებში სისხლის დენამ, ვითომც მოემატა მას ლონე... მაგრამ არ გასულა ბევრი დრო, რომ თვალები ლაუბნელდა, სისხლი თავში მოაწვა, ხელში და ფეხში რაღაც ერთნაირმა ერუანტელმა დაიწყო რბენა და ჯოხი გაუვარდა, სიმწრის ოფლმა დაიწყო წურწური სახეზედ... მის წინ ატრიალდნენ რაღაც ათასი სოის ბურთები, ათასი ფერის, ერთი მათგანი გაიზარდა, გაიზარდა, აი ის აწვება დავითს თავზე... „უჰ, რა მძიმეა!“ — უნდა თქვას დავითმა, მაგრამ ენა არ ემორჩილება. ის ძარბაცობს და მასთან ერთად ცაც, მიწაცა, ბალიც, სასწავლებელიც... დირეკტორიც. იესო ქრისტეც... დავითი ვეღარ უძლებს სიმძიმეს და ეცემა ძირს..”

ქარი კი გრიალებს და ვრიალებს. გაკაპასებული გაჰკივის არე მარეში და აკივლებს ბუნებას, ებრძვის ყველაფერს, ებრძვის სასწავლებლის შენობას, ებრძვის გზის პირზე მდგარ ბებერ მუხას, სასწავლებლის ზევით დაუენილ ტყეს, აკვნესებს ტყლე-გრაფის მავთულებს და გარისხებული მიიწვეს წინ, რათა იქაც იგივე ომი აუტეხოს ყველას, ვინც კი წინ გაღაუდგება.

„ტრახ!.. და ამაყი ნაძვის ხე ულონოდ აკოტრიალდა. მისი ტოტები აკან კალდნენ, ვითომ ებძვიან ულმობელ სიკედილს, მაგრამ ქარი, თითქოს დასკინისო მის მწუხარებას — იმ ადგილას, სადაც ხე იდგა, სისწრაფით მიაქანებს თოვლიან ლრუბ-ლებს...“

„შობა მაცხოვრისა შეადგენს ერთ უდიდებულეს მომენტს კაცობრიობის ისტორიაში“ — ეუბნებოდა დირეკტორი მოწაფეებს, რომლებიც შეკრებულიყვნენ სასწავლებელიც საკრებულოში და მოწიწებით უგდებდნენ ყურს.

„მართლაც და, მსოფლიო ისტორიიდამ რომ გამოვრიცხოთ ახალი და ძველი აღთქმა — რას დაემზგავსება მაშინ ისტორია? ერთი საერთო უმედობა, საერთო იქვიანობა, საერთო სიცრუე და საძაგლობა — აი მისი შინაარსი, მისი ავლედიდება! ქრისტეს და მხოლოდ ქრისტეს შეეძლო მოცემა უკვდავი იდეალისა, მხოლოდ მას შეეძლო ეჩვენებინა ნამდვილი გზა. და იგივე დარჩება ერთად ერთ მანათობელ ვარსკვლავად, რომელიც კი გზას გვინათებს, წყვდიადს გვიშუქებს. კაცი, მიმავალი ამ გზით, არასოდეს არ დაიბნევა, შეს ვერ ჩანთქავს ცხოვრების ჭაობი. გარეშე ქრისტიანობისა არ არის და არც შეიძლება იყოს კეშმარიტება და ბედნიერება, ის ერთი გააბედნიერებს ყველას — როგორც მთელ ერს, ისე კერძო ადამიანს. ამის და მიხედვით მომავალი ეკუთვნის იმ ერს, რომელიც ამ გზით მიდის“...“

— ბატონო, ბალის მცველი გაყინული ვნახეთ, მკვდარია საწყალი! — სიტყვა შეაწყვეტინა დირექტორს ორმა შემოსულმა შუშამ. დირექტორი შექრდა; სახეზე რაღაც ერთ ნაირი გამომეტყველობა. გამოვხატა და მაწაფეებისკენ გაიხედა. საში

მასწავლებელი, ოომელიც მას გვერდში ედგა, გამოურკვეველი: სიწყნარით შესჩერებოდა დირეკტორის. მიმავალი მოსწავლეებიც შეჩერდნენ და აგერ აგერ კიდეც გაისმა რაღაც ჩურჩული.

— ჴო და, წაილეთ, დადევით სადმე! შემდეგ დამარხეა უნდა!

— სად წაეილოთ, არ ვიცით, ბატონო!

— ჯანდაბას!.. დაიღრიალა დირეკტორმა — აბა ახლა დარაჯის გულისთვის ხომ არ ჩამოვისჩინბი!

ამ სიტყვებით ის გავარდა კანცელიარიაში.

— შეშლილია, ვინცხაა, აი, ოჯახ დაქცეული! ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ.

— რაო, რა თქვი შენ? წყრომით მიუბრუნდა მუშას ერთ ერთი მასწავლებელი — სულელო, ის დირეკტორია!

— დელექტორი თუა, თქვენი დელექტორია, თვარა ჩემიკი არა, იმის მე არ მეშინია!

— მართალია მუშა, ღმერთს ვფიცავარ, მართალია! — დაუდგა წინ მასწავლებელს ერთი მოწაფე, რომელსაც ცრემლები მორეული ქონდა თვალებში. ტს! არ გაბედო მეორეჯერ ჩემთან ეგენი! — წაულაპარაკა მასწავლებელმა მოწაფეს — ყველა, რაც სიმართლეა, არ ითქმება! პოლიტიკა საჭირო!..

— რა დროის პოლოტიკაა, ბატონო ახლა — აღარ დათავებია მუშამ სიტყვა მასწავლებელს — კაცი მოკვდა — დამარხეა უნდა და არა პოლოტიკა!

— კაი, ძმავ, შენ ბევრს ნუდარ ყვირი... შეეალ და ბძანებას გამოვიტან!

მოწაფეები გამოცვინდნენ ბაღში. საამურად თოვდა. ქალაქში გაცხარებული ზარების რეკა იყო ატესილი. ახლო სოფლებიდამ თოვების ხმა, ისმოდა. ყველაფერი მხიარულობდა, მხოლოდ დავითი იდვა მარტო მარტო თოვლში და პირი ზევით, ცისკენ ჰქონდა მიქცეული, თითქოს პასუხს ელის დაბახილზეორა..

სშირიადონ მცირიშეგადა.

* * *

(N—6)

წევულებრივ შაგ-ფიქრთ გრძელოთ
გულ-შემსტევალულს, გარემოცულს,
მწარ სევდრისგან ბეჭრ გზით ღასფილს,
უარეთფილს, ღაფოწევულს,

შიმაგნდა ღრთ ნეტარი
(წემთვის უკვე ღარებული),
რას როვეს ერთგვარ გრძნობით
ბჟდა გვერნდა გამსტევალული;

რას ცხაკების მიზნად გვერნდა
ჩემნ რარ რამ ღასახული:
სიყვდილამდის შრთგულება,
საუგნი სიუგარული...

შაგთამ ღრთინი გვერფებული,
შათ სრბოლაში შენც იციალე
და ძეგლ აღთქმათ უკუ-მურელი
სულ სხვა გრძნობით განიმსტევალე.

შე უარ მგაგ... ტრუთბის ტასტად
სხვას მიუძღვენ შენი ბჟდა,
სხვას უპიო საგმეველად
გრძნობა, გონი, ტრუთბა, სული.

და, ჭა, კელაც, რა წარსული
აწმეთს წევულს შეუღარე,

ბჟლი ბოლმით გამეტენა,
თვალთგან ცრემდი გაღმოვდესარე.

შენგნით გრძნობა მოტევებულს
მსჯის გაგაქრო, გითა მტყვერი,
მდუღარებათ დაგაფრქვით,
დაგომიწი წამწამ ტევრი.

მაგრამ რა ვჭინა, რომ ამ გულში
შენ მფლობელი ერთად ერთი
და შენს გარდა არად მიჩნის
თვით სამოთხე, კოჭოხეთი.

ვით მიუვარდი, კულავც მიყვარხარ,
შენ ხარ წემი ღმერთი, რწმენა.
და შენ ტრაფიბას გვედარ დამხსნის
გერც სატანა და გერც ზენა!

ლადო ახლიაძე

1901 წ.

ფოთი.



გაცემული იმედი

თუ მოქმედებიანი კომედია

მომზადები პირი:

სტეფანე ივანიჩ ზარალოვი—60 წლისა
ნინო—ამისი ცოლი—48 წლისა

განო—ღოქტორი—26 წლისა
სონა—გიმნაზია დასრულებული ქალი } ამათი შვილები

გებელა—50 წლისა, ქვრივი—ზარალოვიანთ ნაცნობი
გაბო—ამისი დედის ერთა 24 წლ. ვაჟი—ადვოკატი
გიგო—49 წლისა—ზარალოვიანთ შორეული ნათესავი
ლიზა—19 წლ., გიმნაზია დასრულებული ქალი—სონას ნაცნობი
გლეხგაცი
ბიჭი

მომზადები პირები

(ფარგა აიხდება ზარალოვიანთ სასტუმრო ოთახში: შოლა
დაფენილია ხალიჩით, შეკარგულთან სდგას გრძელი გუშერ-
კა ფარჩის ბალიშებით და მუთაჭებით. კუშეტების წინ—რგე-
ლი სტოლი ხავერდის სუფრით დაფენილი. ზედ: ლამიზა,
ალბომი, საფერფლე... სტოლის გარეშემო—რამდენიმე რბი-
ლი კრესლოები მხრებინავ, კუთხეში—შიანინთ თავის პატარა

ტაბურეტყით, მარცხნივ - ეტაუერგა საესე წიგნებით და ნოტებით. ეტაუერგის და შიანინოს აავზე: პატარ-პატარა კაჭათებით ქაღალდის უკავილები და სხვა წვრილმანი სამეცაულნი... , შიანინოს უკანა და კუთხეებში — შეღებილი ბოჭქებით ხეხილები, ფანჯრებში — ქილებით უკავილები, მარჩხენა კედელზე ჰეჭიდია სარგე, ორმლის ძირში დგას ლომბერნი სტოლი, ორიოდე ჩალის სქაბები — აქა იქა, რაძღენიმე სურათები — კედლებზე და ფარდები ფანჯრებზე ასრულებეს სცენის მართულობასას, სცენა აქვს თრი გარები: მარჯგნა გარები გადის დანარჩენ თახებში, მარცხენა — დეკუფანში. სცენაზე არიან სტეფანე და მისი მეუღლე ნინო.)

გამოსცლა პირველი

სტეფანე და ნინო

სტეფანე (სთვლის თათებზე). სამი წელიწადი უჩიტლების ფული — გემნაზიისთვის რო ვამზადებინ ებდი, რვა წელიწადი გემნაზია, ახლა ექვსი წელიწადიც უნივერსეტი; თვისა და თვის თავზე რომ სამ-სამ თუმანს ვზდებდი. „კანკერტში“ და მოსკოვში ვგზავნილი! ახლა...

ნინო (დარღვეული). კაცო, რათ იცი გაზვიადება! საიდან ექვსი წელიწადი, რო სულ ხუთათ-ხუთი „კურსია“? შე გამოჩერჩეტებულო, შენა! ის კი დაგავიწყდა, რო ერთი წელიწადიც „ბუნტის“ თაობაზე დაპკარგა?!

ნინო. აბა მაშინ კი არ დამღუპა და დამანელა!

სიბავშვით მოუვიდა, სტეფან, სიბავშვით!

სტეფანე. კაი „სიბავშვე“ იყო, რო კინაღამ კეუიდან შევიშალე! რას ვამბობდი?.. როდილა მახსოვს!.. ხო... ახლა „კნილიკა“ და „სტრუმენტები“, ახლა წიგნები, ახლა ჩატმა დახურვა, ახლა აქედან და იქიდან გზის ფული ზაფხულობითა... ერთი სიტყვით, რაღა, თვის სარგებლით რო ვიანგარიშო, ორი ათასი,

ნაღლი—კაკალი, თუმანი ისე მიზის ვანოს სწავლა,
როგორც ერთი გროში!

ნინო.

ალალი იყვეს, ენაცვალოს იმას დედა! ის ეხლა
მოვა და ორი ათასებსაც შემოგვიტანს, ოცი ათა-
სებსაცა! ნათქვამია: „დავწვრილშვილდა—დავიწიეო,
დამეზარდნენ—ავიწიეო!“ ჯერ დაბინავდეს, პრაქტიკა
გააჩინოს, ხალხი გაიცნოს ე... ეს, სტეფან! ნეტაი
კი შენ ეს სახლები გადაგეკეთებინა და არა მინდო-
დარა!

სტეფანე. ერთი მითხარ თუ, ამ სახლებს გადასაკეთებელი რა
სჭირს? (მიიხედ-მოიხედავს) ხო ხედამ გალიცინისევფა-
ვდგევარ!

ნინო.

კოჭიც კი მიუგავს გალიცინის „დეარეცხა“! ძვე-
ლებური აკოშკები, დაბალი ჭერი, ან ამნაირ კარე-
ბებს სადღა ნახამ ეხლა? დოხტური შვილი ემისთანა
ქოხ-მახებში ონდა დააყენო? ერთი სამი ოთახი ჯერ
მარტო იმას მოუნდება. ეხლა ხო ჩვენ უბრალო
ხალხი ალარა ვართ, სტეფან!

სტეფანე. „მაშ არა და, დუნდუკ-კარსაკოვის ჩამომავალი ხარ!
ნინო.

განათლებული შვილი გვყავს, განათლებულათ უნ-
და ვიცხოვროთ! შენ ერთი პოვერიც დაიკირე, ჩემო
სტეფანჯან!

სტეფანე. მაშა, მაშა! სუ შაგას არა ვფიქრობ! სხვა კი ალარა
გნებავსრა? პოვერის „პომოშნიკი“ რაღათ დაგა-
ვიწყდა? აი! „რაც არ ექნას მამაშენსა, შენც ნუ
დახევ მარმაშებსაო!“ რა, პაპაშენს აღგა პოვერი და
ლაქია თუ პაპაჩემსა?

ნინო.

არც ერთს არ ადგა, მაგრამ ჩვენ შვილს კი უნდა
ასგეს, ათასიც რო თქვა! მაშ რო მოვა, ხეპრე ბიჭის
გაკეთებული საჭმელები უნდა აჭამო?

სტეფანე. რა ვქნა... კვდარს დაასვენებენ და მე ხომ ცოც-
ხალი ადამიანი ვარ! ვალითა და ვახშითა, წვითა და
დაგვით, შვილი გამომიზდია, ახლა მობძანდეს და

კეთილ ცხოვრებას იმან დამაჩეოს, „ბლომან უების“
გემო გამალებინო!

- ნინო,** მაგასაც მოესწრები, ჩემო სტეფანჯან, მოესწრები,
ნუ ხარ სულ სწრაფი! „აღდგომა და ხვალაო!“ მოვა
დრო, რომ ჩენს ბედს ჩვენვე დავნატროდეთ!
სტეფანე. ღმერთმა ინებოს; ღმერთმა ჩემი ამაგი ფუჭეთ ნუ
ჩატაროს!

- ნინო.** ფუჭედ, დიალ! ენაცვალოს იმას დედა, ის სხვა შვი-
ლია! ი როა, დედის იმედია! პიკვირს და გამკვირე-
ბია, თუ ამ ორ წელიწადის ან კი როგორ გასძლო
ჩემშა გულმა იმის უნახაობით! შარშან და წრეულს
ზოგხულს ხომ არ მოსულა.

- სტეფანე.** აი დღეს მოგივა და ჰერში ქუდი ჰკარი! ვინძლო
ლოტო-ლოტოზე გამართო! (საზოგადოების) ეხლა
გამაკოტრებს ეს ოჯახ დაქცეული! ჯიბის ბარაქას
გამომილევს!

- ნინო.** ოღონც კი მშეიცობით მოვესწრო ჩემი ვანოს ნა-
ხვასა და ლოტოსაც გავმართავ, „ვერტუშკასაც!“ რა
დამიშლის? მე შენ გითხრა, ბედნიერი დედა არა ვარ,
დოხტური შვილის პატრონი. ერთი ეს ქალიც რო
გაეთხოვთ, სტეფანგ-ჯან, ჩენ ბედს ძალი არ
დაჰყევთ!

- სტეფანე.** სონას გათხოვება ვანოს კისერზე იყვეს; შეირთოს
ერთი სამი ათას თუმნიანი ქალი და ხუთასი თუმანი
ე თავი დას გაატანოს.

- ნინო.** გაგიხარიან, გაიგებენ თუ არა ქალების პატრონები
დოხტური შვილი მოსვლია სტეფან ზარალოვსაო,
მაჭანკალი - მაჭანკალზე მოგზავნონ! მგონი სულის
მობრუნების დროც აღარა გვქონდეს! (სარეკა იხე-
დგბა, კავებს იგრეხავს და ღიმილით) ჰმ! რა ახალგაზდა
დედამთილი და სიღელრი ვიქნები! იფ, იფ, იფ! ხან.
ვაუს ვეწვევი ხოლმე, ხან-ქალსა!

გამოსხლა მიორე

იგინიგე და სონა

- ნინო.** აქამდინ სადა ხარ, შვილო?
- სონა.** ეანოს ოთახს ვალაგებდი: აკაშკები გაულე, წიგნები დაუწმინდე; რო მოვა, სუფთათ დახვდება.
- სტეფანე.** აი ყოჩალ, ყოჩალ! ეგრე ეფერე ძმასა, შვილო, ეგრე რო ერთი ხუთასი თუმანი დაგაყაროს კისერზე და კაი კაცს მიგათხოვოს!
- სონა.** თუ ხუთასი თუმანი აქვს, მომცეს მე ხელში და „კურსებზე“ გამგზავნოს, გათხოებას ეგ მიღწევნია!
- სტეფანე.** აი ტუტუც! აი კეუის კოლოფ! გადასაყრელი ფულიც რო გვქონდეს, განა შენ, მარტოხელა ქალს, სახელის გასატეხათ გაგზავნით რუსეთში?
- სონა** (წერით). „სახელის გასატეხათაო?“ ჰმ! აბა თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ!
- სტეფანე.** „კურსი-მურსი“ რა ქალის წესია! თუ მე მკითხამ, გემნაზიაც მეტრი თქვენთვინა! ქალმა უნდა შვილი გამგზარდოს, გემრიელი საჭმელი მოხარშოს, თუ გაუჭირდება, სარეცხიც დარეცხოს, დააუთოოს...
- სონა.** (დაცინით) ქვაბებიც დახეხოს, ფეხსაცელებიც და-გაქსოს...
- ნინო.** რაც ისწავლე, შვილო, ეგეცა კმარა. ღმერთი მოწყალეა, მაგითიც კაი ქმარს იშოვნი! გემნაზია დაგისრულებია და ფორტოფიანი იცი, სხვა რალა გინდა? არავინ დაგიწუნებს! სულ ბედია!
- სონა.** მე განა გათხოებისთვის ვფიქრობ უმაღლეს. სწავლასა? მაშ გაიგეთ, რომ მე დიდი ხანია საქრმო კიდეცა მყავს.
- ნინო.** არა, შვილო, შენ გაბოს იმედით ნუ ხარ: და ტყუილათ სხვა საქრმოებსაც ნუ სწუნობ,—ბედს ნუ ჰკარგამ! საცალა, ასუდენტობის: დროს, პირობა

მოუცია იმას შენოვინა, შენც ასე/ გვონია, რო
ეხლაც იმ აზრისა იქნება და მოვა თუ არა, ჯვარს
დაიწერს შენზე! დიახ! ახლა ზოგი იმი დედასაც
უჩურჩულე! დედაკაცი ეხლავე გაქანებული სამი
ათასთუმნიან ქალებს დაეძებს თავი შეილისთვინა-
და, აღარას ჩაგიკლებს, რო ცარიელ-ტარიელი შე-
გიყვნოს რძლათა! აბა ჭეკელას არ იცნობ!

სტეფანე. მე და ჩემმა ღმერთმა, არც გასამტყუნარია! ყველამ
თავის თავზე უნდა გაზომოს: ჩემმა ვანომაც რო
უფულო ქალი შეირთოს, სახლში არ შემოუშვებ,
სახლში ქრისტეს გეფიცები, თვალით არ დავინახაშ!

სონა. პაპა, მაგ შენ ისე ამბობ, რო ღარიბი ქალები მო-
ნასტერში უნდა შევიღნენო?

სტეფანე. რათა, შეილო: ღარიბმა ქალმა უნდა მდიდარი კაცი
შეირთოს, ღარიბმა კაცმა—მდიდარი ქალი. თუ არა
და, ცარიელი აღხანა, ცარიელი ჩაღხანა! რა ვა-
მოვა, რიღათი იცხოვრონ?

სონა. სიყვარულითა, მეგობრობითა და პატიოსნობით!
(მღერის) „ცე მილამ რაშ ი ვხ შალაშე!“

სტეფანე. აბა შიმშილით კუჭი გეწოდეს, სიცივით კბილი
კბილს ვაცემინებდეს, მოვალეები ყელში გიქერდნენ
და მაშინ ენახოთ, როგორც ან სიყვარული მოგა-
გონდება, ან სიმღერა! ეჲ, შვილო! შენ რა იცი,
შენ ჯერ ბავშვი ხარ! ამ წუთი-სოფელში ჭკუა და
პატიოსნება როდი ფასობს! ბევრი მდიდარი კაცია,
პატის ტვინიც არ უდევს თავში, მაგრამ ყველა კი
ფეხ-ქვეშ ეშლება, რა არი,—გამოვდნეთ რამესაო!
ო... ოს! ფულს ისეთი ძალა აქვს, რო ჭკუიან თაყ-
ვანს აცემინებს სულელისთვინ და დიდკაცს—დაბალ-
თაგნისთვინ! აბა მიიხედ-მოიხედე, ამ ქალაქში კი
მაგალითი ცოტაა?

ნინო. რის ამბობ, რა ამ ქალაქში, რა სხვაგან,—ფული
ყველგან პატარა ღმერთია! ოლონც კი მდიდარი

ქმარი შეკხვდეს, შვილო, თურე ციცვარული რაში
გენა-ჭება, კეთილ ცხოვრებას რა შეეღრება! — რაც
გინდა ჭამე, სვი, ჩაცვი... საცა გინდა წალი, მოდი...
ვინც გინდა მიუკან-მოიკანე...

სოხა (ტირილით). უხъ надօშა! ფულს ნულარ მიხსენებთ!.
(დაჭდება ზაანინოსთან, ჯურავს და მდერის):

Я съ поэзіей въ сочетаньѣ,
Съ прозой знаться не хочу!
Я эфирное созданье,
Но въ болотъ жизнь влачу!

სტეფანე. კარგი, კარგი, ყურები ნუ გამიხვრიტე!

სოხა. თქვენც ფულის ხსენებთ ნუ გაძიჭედეთ უური! (უკავე
და მდერის):

Небесные звуки
Вѣдь ихъ не проймуть;
Хлѣбъ дайте имъ въ руки,
Вотъ это поймутъ;

სტეფანე. Даволно я вамъ гавару!

სოხა (წამოდებება). პაპა, მაშ სალოცავად ხომ არა დგა ეს პია-
ნინო, უნდა დაუკრა თუ არა?

სტეფანე. აი როცა მე შინ არა ეარ, იმთენი აჭყვიტინე, სანამ
მოგწყინდებოდეს! სტუმრებთან დაუკარ აა... ხა!

სოხა. მე „ზაკაზიო“ ვერ დაუკრავ (გადის).

ნინო. კაცო, არც კი გახარიან, რომ „მუზიკიანი“ ოჯახი
გაქვს?

სტეფანე. უჟ! ლილი სასიხარულოა, მე და ჩემმა ღმერთმა! რა
არის, რის მანქანაა, რა უნდა ვამოდნეს (ზაანინოს გენ-
ხელს იშვერს) აიმისაგანა? (თავის ქნევათ) დასწყვევლა
ღმერთმა, ე რაღა მოსეგონებელი იყო? (წამოდებება)
და ზაანინოს თავზე ჭავრა დაჭრავს ხელს) ეს ხომ
„მერტვი“ კაბიტილია, „მერტვი!“ აფსუს ორმოცო

თუმანო რაზე წავიდა! ეს ხომ სულ შეჩერდული! შენა... ამ კლდეზე გადასხეხავ ადამიანსა!

ნინო. „ვინ რა იცის, ხურმა რა ხილიაო!“ აბა, სტეფან, შენ რა განათლება მივიღია, რომ ეგ გაიგო!

სტეფანე. „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩაფიქმით იწველიდეს!“ ერთი მითხარ თუ, შენ საღლა დაასრუ. ლე კურსი!

ნინო. მართალია, ყორსები არ დამისრულებია, მაგრამ შენზე მეტი კი მცხმის ამ დროუბისა! დიალ, შენი ცოლი რომ ვარ! (სარგები იხედება, ფავებს იგრეხავს და თავის ქნევით) აფსუს ნინო! იყო დრო, რო მეც მასკულავებს ვეთამა შებოდი! ბარე განათლებულ — ფერჩატკ-ცილინდრიან ქმრის ლირისი ვიყავ, მაგრამ ეჭ! (ამოთხევებს) „რა ჰქნას ქარგმა მრანარდემა, თუ დუშეში არ მოუვაო!“ იღბალ დაექცეს სამართლი!

სტეფანე. (თავის ქნევით). აი გიღი! შენი ტასაცინიც რო გავხდი! მეც, ერთ დროს, პსეთი ბიჭი ვიყავ, რო ხმელეთზე კაცი არა მჯობდა! — პოლკის ფოდრათები მეჭირა და ათას თუმნებს ბურთივით ვათამა შებდი! რა მზითვიანი ქალებიც მეძლეოდნენ, რო ჩემ საუბედუროთ შენ არ შეგუროდი!

გამოსხლა მისამა.

„გინძვე და გიგო.“

გიგო. ღილამშვიდობისა!

ნინო. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, დაბძანდი.

სტეფანე. სადა ხარ გიგო, რო ფეხი აღარ შემოაწაწანე?

გიგო. დრო არა მაქეს, კაცო, და რა ვქნა! (ხელის ქნევით) ათასი დავი-დარაბა, საჩივრები, „ხლაფოთები“, სუერთბაშათ თავს დამატყდა და ველარ ამოვისუნთქე!

მეც რო. შენსეებ დოხტური შვილის იმედით ვიყო, ჩემო ძმაო, გავიხარიან არას ვიდარდებ!

- ნინო.** ლმერთმა შენი ვაუის დოხტურობასაც დაგისწროს, ჩემო გიგო!
- გიგა.** შენ პირ-შაქარი, მაგრამ, ეხ! განა მოვესწრები მაგ დღესა?
- სტეფანე.** რატომა, კაცო? იქნება შენი შვილი უფრო პრაფესიონალი გამოდის, ვინ რა იცის, დროსა და უამს რა მოაქვს!
- ნინო** (წერნით). რა, მითომ პრაფესიონი მეტია დოხტურზე?
- სტეფანე.** არა, მეტი კი რათ იქნება, მაგრამ, მაინც... აა, ვი- ჯე... რაც უნდა იყვეს...
- გიგა.** მაშ ეგრე...ე, დღეს მოელით ვანოსა...ა?
- სტეფანე.** დღესა,—დღესა! ტელეგრამაში ეგრე იწერებოდა. სამი აბაზის დეპტშა გაეჭრელებინა იმ „რაზბონიკსა!“ (დიძილით გიგოს). ჰაი, თუ გიხარიანთ ნათესავებსა, რომ მუქთი დოხტური გეყოლებათ!
- გიგა** (ხელის ჭეკვით). რას მერჩი ადამიანო! ლმერთმა სა- დოხტურო საქმე ნუ გამიხადოს! ჩემი მტერიც ნუ ჩავარდნილა იმათ ხელში!
- ნინო** (შერცხევნილი). უი დამიდგეს თვალები! შე ხომ იმი- ტომ არა ვთქვი, ქა!
- გიგა** (სტეფანეს მხარზე ხელს დაჭკრამს). ეხლა რაღა გი- კირს, ჩემი სტეფან! მოგივა დოხტური შვილი, და- ბინაედება აქა და მკონი ყელამდინ ოქროში ჩა- სეას!
- ნინო** (დიძილით). ენაცვალოს იმას დედა! ახლა ნახეთ მტრის თვალების დაბრმაება!
- სტეფანე.** არ მინდა ოქრო, არ მინდა უთვალავი სიმღიდრე, თლონც კი ეგ ჩემი დანახარჯი დამიბრუნოს! წელან ვიანგარიშე, გიგო, და, ქრისტეს გეფიცები, დაბადე- ბიდან ამ დღემდინ ორი ათასი თუმანი მეტი მიზის ეგ შვილი!
- გიგა** (ხელის ჭეკვით). ეხ, რა უყოთ, კაცო! ხარჯს რომ

მორიდებოდი, ხომ ამ ბელნიერ დღესაც ვერ დაეს-წრობოდი! რატო მილიონათაც არ უნდა გიღირდეს ეს სახელი! თუ აქამდინ ერთი და ორი გიცნობდა, ეხლა ხმელეთზე გავარდება ხმა, რომ შენც ნასწავ-ლი შვილის პატრონი ხარ და თავზე ჭული გხურამს! ეხლა საქმე სწავლაა, სწავლა! მე როგორც ეხლან-დელ დროს უცქერი, უსწავლელი კაცი ჭიან ვაშ-ლათაც არა ღირს! სიცა. სწავლა და განათლებაა, ჩემო ძმაო, ფულიც იქ არის! აბა წადი და ნახე, რეებს სჩადან დოხტურები: ლამის მთელი ქვეყანა ნარდათ აიღონ! ზოგი და ზოგი—დღეში ხუთ-ექვს თუმანს არა სჯერდება! ეი! შენ სწავლას როგორ ეხუმრები!

ნინო

(სედებს ააჟერთას). უი, ერთი დროით მოვესწრო იმ დღესა, რო ჩემი ვანოც კარეტით დალიოდეს ავან-ტყოფებთან, მუქობით ფული შემოჰქონდეს ჩემთან და მეუბნებოდეს: „ახა, დედა, როგორც გინდა და-ხარჯეო!“ რას ამბობ! ერთი ორათაც ვიქცევი და მეორეთაც გავყმაწვილდები, მა რა ჯანაბა მომივა!

სტეფანე

(სედის შლით). ეი! ტუტუც, ტუტუც, ბარბარე! გვერდაზე ბაგა ჩაყარე! შენ რომელი კაზნაჩეი ბძან-დები, რომ ფულები ჩაიბარო? ჯერ ე ვალები გადა-მიხაროს, რომელიც იმი გულისათვის დავიდე, ჯერ ე სახლები გადამიკეთოს, ჯერ ქალი გამითხოვოს, ჯერ მე გამისწორდეს და მერე შენ იკი და იმანა. ვა! „თხის პატრონს არც თხის კულიო?“

გიგა.

კაი დროს კი მოდის ვანო, აი: ეხლაა დოხტურების რთველი! ასეთი ციებ-ცხელებები დადის აქა, რომ...

სტეფანე.

ეხ! ციებ-ცხელება რა არი! ნიჩავო! ფუსტია! აი ჭირი და ხორველიანობის დროს კი, ლეთის წყა-ლობა გაქვს, რომ დოხტურების აღდგომა იყო! კაცო, თითო ექიმს თვეში ორას-სამას თუმანს აძლევდ-ნენ!

- ნინო.** (შემთ სელებს გაატატანებს). არა, გეთაყვა, არც ჭირი
ძინდა და არც იმი მოტანილი ფული! უწინ კი დღე
დამელიოს, მაგრამ ხო ჩემ ვანოსაც გადაედება ავან-
ტყოფიდან?! უი, უწინ ის საათი გაქრეს და გაწყალ-
დეს! უწინ ნინომ გაითხაროს საფლავი!
- სტეფანი.** (გიგოს). აი დედაკაცის კუუა! (ნინოს) იმდენიც არ
იცი, რომ დოხტურს ვერც ჭირი მიუდგება გვერდ-
ზე და ვერც ხორველა?
- გიგა.** ერთი შენ ეს მითხარ, სტეფან, რის „სპეციალისტო-
ბა“ აირჩია ვანომა?
- სტეფანი.** რა ვიცი, „ნუტრენტისაო“ და...
- გიგა.** (თავის ქნევეთ). ხო, არა უჭირსრა... მაგრამ, ბავშვე-
ბის ეჭიმი კი რომ გამოსულიყო, იმას არა ეჯობინ ე-
ბოდარა პატარეებისთანა ხშირათ ხო არავინა ხდება
ავათ; რას არ გინდა ისანი სჭამენ: ხაბა-ხუბაო, მუკე-
ტკბილიო...
- სტეფანი.** ეხ, ბავშვები რაც გინდა, კაცი, თვალების ეჭიმობას
რა შეედრება: ამოლენა ქალაქში სულ ხუთი დოხ-
ტური არ მოიპოვება, რომელიც მაღლიანიდ არჩენს
თვალებსა! ბარემ ბევრი ვეხვეწე იმ სულელსა თვა-
ლების „სპეციალისტი“ გამოდა, თუ გინდა, რომ
ხეირი ნახოსმეთქი, მაგრამ არ გამიგონა ჩემს სიტყვას
ჩალად არ ავდებს!
- ნინო.** თავის საქმე თითონ უფრო კარგად იცის, ენაცეა-
ლოს დედა; იმას ვერავინ ასწავლის კუუას!
- გიგა.** ეს კი რა მაგ სიტყვის პასუხია, მაგრამ შენ ეხლა
ერთი კაი საღილი მოვინდება, სტეფან! აბა დაამზა-
დე მსუქან-მსუქანი დედლები, რნდოური, გოჭი... კა-
ხურ ღვინოს მე გაყიდვინებ იეფათა...
- ნინო.** ჯერ მოვიდეს! ასეთი საღილი გავმართო, რომ თი-
თები დაიკვინიტოთ! სულ არჩეულ ხალხს, სულ დიდ
კაცობას დაცატიუებ, რომ ჩემი ვანო ამათაც გავაც-
ნო. მე შენ გითხრა, არ მოეწონებათ, მე შენ გი-

თხრა, დასაწუნი სასიძოა: სახით — კალმით ნახატი, ხასიათები — ცხერისა, ნასწავლი კურს დასრულებული დოხტური... (ენის ჩლუნგვით) ოი, ვენაცალე ბიჭა, ბიჭა ბიჭიკოსა!

გაგო. ერთი თქვენ იმას ხუთი ათას თუმნიანი ქალიც გაურიგეთ! თქვენ ის ინატრეთ, რომ როგორმე ბაქოში გამწესდეს: აბა სიმდიდრე იქ არი! წადი და წადის უხ, მთელი ბაქო ნავთში ცურაობს, რაღა! კაცო, მანთაშოვის მაღნებს ხომ კიდევ ამოუსვრიათ ნავთი! ამბობენ: ნახევარ მილიონისააო! ქუდ-ბელი აქვს მაგ კაცს დაყოლილი, რაღა!

სტეფანე (ნაღვლიანი). ნეტავი იმასა! აი სწორედ მაგაზე იტყვეიან „მიყცეს და მიემატოს!“ არა, ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, დუმას რაღა ქონის მიცხება უნდა? ე ჩვენისთანა საწყალ ხალხს მოხედოს ი დალოცვილმა!

გაგო (თავის ქნევით). ახ, ამ ათი-ოცი წლის წინადმცოდნოდა თუ ბაქოში მართლა ნავთის მაღანები გამოჩნდებოდა, ეხლა ჩემზე მდიდარი თვით „როჩილდიც“ არ იქნებოდა! ამოდენა ფული ამ წყეულ ქალაქში ჩავაპნიე და იმდენი კი ვერ მოვიაზრე, რომ ერთი-ორი დღის მიწა-ალაგი ბაქოშიაც მეყიდა, როცა ოხრათ იყო! (ჯმოსხვრით) ეხ, მახლას! „კეუს წაგებს რეგვენი, — ფათარაკს დააბრალებსო!“ (დერეფნიდან ისმის ქავუნი და ხმა: „ნიჩო, შინა სარ?“)

ნინო. კეკელო, შენა.. ა?“ (გადის დერეფანში).

სტეფანე (საათს სინჯავს). სწორეთ თორმეტია და ღროც არი წასულისა. წამო, გიგო, ვანოს დაუხვდეთ ვაგზალზე.

გაგო. კეთილი!

გამოსახლა მიოთხვა

ნინო და კეკელა

- ნინო:** ლაბძანდი, კეკელო, აი აქეთ მობძანდი, მანდეთ არ შეგციდეს. ე სალოფუი აიხსენ. მოდი დღეს სადილათ აქ დარჩი. (იქით) ექ მართლა კი არ დარჩეს! სადა მცალიან ამისთვინ — შვილი უნდა მომივიდეს!
- კეკელა:** (წელების გაატაცანებს). არა, გეთაყვა, სადილათ რა მინდა, შინ აუჯრებელი საქმე მაქვს! ან ეხლა რა მამიუკანდა აქა, გაჭირებული რო არა ეყოფილიყავი! რას ამბობ, ადამიანო, სამი კვირაა გაბოსაგან წიგნი არა მაქვს და ლაძის თავი მივიკლა! დანა ყელს არ მიცემს! გავიგწი, რო დღეს მოსკოვიდან შვილს მოელი და ჩემი გაბოს ამბავის შესატყუბათ მოვირბინე. მართლა, ქა, შენმა გაბომაც ხო წრეულ დასრულა!
- კეკელა:** ადვაკანტათ გამოდის, არა? ადვაკანტათ, მაგრამ ის სხვა ადვაკანტებს არ ეგვანება! იმან სულ სხვანაირათ ისწავლა! თურმე დღე და ღამ წიგნში თავს იკლამს, მოუკვდეს იმას დედა როცა ზაფხულობით მოდის ხოლმე აქა, რამდენჯერ მითქვამს: შვილო, არც შენი ადვაკანტობა მინდა და არც ლენარლობა, ოლონც კი მაგ წვალებასა და უბედურობას ნუ მაცქერინებ მეთქი! რას ამბობ, ადამიანო, ღამეც კი არ ისევნებს, გათენებამდინ ლამ-მფა. უნთია ხოლმე და სუ ი წყეულ წიგნებს ჩასჩიჩინებს, არა, გეთაყვა, მე მაგნაირი ანირებული სწავლა ჯერ არეისი მინახამს!
- ნინო.** ჩემი ვანოც ეგრეა, ენაცვალოს იმას დედა! დღე და ღამ ხელიდან წიგნს არ უშვებს და ბევრჯერ ზედაც დაეძინება ხოლმე! ახლა კითხულობს, კითხულობს ისე სასიამოენოთა, რომ ასე გგონია გულზე კარაქს გისვამსო!

გეგელა. შენ ჩემი გაბოს კითხვა უნდა გააგონო, რო გაოცდე! ისე სხაპი-სხუპით კითხულობს, ადამიანო, რომ გაჰენებული „პოეზი“ გეგონება! ეს, მა რა ჰქმნან მაგ საცოდავებმა, ჩემთ ნინო? ეხლანდელ დროში ჯერ ნასწავლებიც ვერასა ხდებიან; და უსწავლელი ხო სუ წყალ-წალებულია!

ნინო. რათა, ქა, ნასწავლი სუყოველთვინ მაძღარია?

გეგელა. ყევლას ბედი უნდა, ჩემთ ნინო, ბედი! არ გაგიგონია: „ბედი მამე და საცა გინდა გადამავდეო!“ ამის წინაზე, ერთმა მაიმუნიერი დალრეჯილმა აღვოკანტ-მა,— (მუხლში ჩაიქრამს) ნეტა ადამიანს მაინცა ჰევა-ნებოდეს, ქა! — ასეთი მზითეიანი, ასეთი ფულიანი, ასეთი ოჯახის ქალი შეირთო, რომ ყველანი სახტათ დავრჩით! წადი, ბედი არ არი?

ნინო. დოხტურები არიან ეხლა დიდ „ხიდში“ და ინჯი-ლერები; მიკვირს, რომ შენი შვილი დოხტური არ გამოვიდა?

გეგელა (დაცინგით). რათა, ქა, რაც გამოვიდა, დოხტურობაზე-ნაკლებია?

ნინო. არა, კეცელო, რაც უნდა იყვეს, დოხტური სხვაა, იდვაკანტი სხვა! დიდი მთები დევს მაგათ შეა!

გეგელა (წევნით). ვინ მოგეხსენა? ვინ მოგართვა ეგ „ლა-პორტი“?! დოხტურები ეხლა ისე ჩეჩქიერი არიან, რომ მალე თითო იმათი „ვიზიტი“ სამ კაბეიკათ გა-ხდება! მაგრამ აღვოკანტი კი.

ნინო (დარღვეული). ხო, არც ერთი აღვოკანტია, რომ ლო-ქაფივით პირი დაულია და ქუჩა-ქუჩა ცუდად დაეხე-ტიალება! დიალ! რაც დოხტური ერთ დღეს აიღებს, მგონი აღვაკატმა ერთ თვეშიაც ვერ იშოროს!

გეგელა. უკაცრავად კი არ გახლდეთ, მაგრამ დოხტურმა სა-მი მანათისთვის ერთ ვერსხე უნდა ირბინოს და...

ნინო. ფეხით ხომ არა, ქა, ფაიტონითა!

- ქაველა.** ფაიტონია თუ კალასკაა, რაც არი! აღვაკანტს კი თითონ ეხლებიან, სანამ გაილვიძებს, „პერელნაში“ ქლიან და თითო საქმეში სამოც თუმნებს აძლევენ! შენ აღვაკანტს რა ჩეარში ჰყრავ, ქა!
- ნინო** (აქით). აბა ამ აშალლარას რა შევასმინო! (კეკელას) „თხას თხა ურჩევნიან ათას სულს ცხეარსაო!“ შენ შენს შვილს მაღლა აყენებ, მე—ჩემ შვილსა!
- ქაველა.** ეგ ხომ ეგრეა, მა რა! ჯობნის მჯობნი არ დაილევა! იპ, ნეტაი შენა! ოცოცხლონ, გაგვახარონ, ე ამაგი დაგვიფასონ და რაც უნდა იყენენ! ჩვენ ღმერთს უნდა ვევედროთ, ჩვენ ხატებს სანთელი არ უნდა დავულიოთ, რომ „რუსის მათუშები“ არ მოგვგვარონ თანა და წინ არ დაგვისვან!
- ნინო** (მეშინებული ბირჟარს ძექს). უწინ დღე დამელიოს! უწინ მზე დამიბნელდეს! უწინ დედა-მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს! აბა რას ამბობ, კუკელო?!
- ქაველა.** რა, ცოტას უქნია ეგ სისულელე? ცოტა შვილებს გამოუჭრიათ მშობლებისთვის ცელი? ცოტას აუღია თავის რჯულზე ხელი და რუსის ქალზე დაუწერია ჯდარი?
- ნინო.** არა, გეთაყვა; ჩემი შვილი ევრე ტუტუცი არ არის, რომ ეგ ჩაიდინოს!
- ქაველა.** მაგას ნუ იტყეი, ჩემო ნინო! შენი შვილისთანები ყოფილიან, რომ კეუჯა წაუგიათ? ერთი და ორი ხომ არა, მაგალითი ბევრია! (მუხლში ჩაიგრავს) დასწყევ-ლოს და დაშამათოს ღმერთმა! რა საწამლავი იციან მაგ გასაწყვეტებმა, რომ ე შვილებს გვიუბედურებენ! სწორედ თილისმიანები არიან ეგ არ დასარჩენები! ასე-თი მიხარიან, ასეთი ალტაცებული ვარ, რომ ჩემმა გაბომ გამითავა „კურსი“ და აյ შომდის! რას ამბობ, ადამიანო, სანამ იქ იყო, სანამ ჩემი გული თავი ალა-გას არ დაჯდა; არა და არა!

- ნინო. მე კი, რაკი ჩემი შვილის ჭკუა ვიცი, ენაცვალოს
იმას დედა, არნეინათ ვიყავი და ვარ! ჩემი შვილი
სხვა ტუტუც ვაუებს არა გავს, ევრე ადვილათ თავს
არ დაჰკარგამს!
- გეგელა. „თუ კვერიანი არ შესცდეს, რეგვენი კლდეზე გადა-
ვარდესო“, ხო გავიგონია, ჩემო ნინო? იცის ღმერთ-
მა, რომ არც ჩემი შვილია სულელი, მაგრამ ეხლან-
დელი ვაუებისა რომ არა გაიგებარა! ეს! რაც მოსა-
ვალია, ჩემო ნინო, მოვა! რაც შუბლზე აუერია
კაცია, მაინც არ ასცდება, მაინცა, რაც უნდა იყვეს!
ქა, მე იქ ლაპარაკში გავები და იქ კი სახლი პატარა
ბიჭის სამარა მიგდია! წავიდე, მიეხედო, თორე მთელ
მურაბებს ამომიჭამს! მეტი წუწყია ის არ დასარჩენი!
ეხლანდელი მოსამსახურეები ხო სახლში შესაშვები
არ არიან!
- ნინო. მოიცა ერთი, კეკელო, და! საცერი ხო არ ითხოვე
ქა, რა მიგარბეინებს! ახალი ამბავი თქვი რამე, არა
იცი რა?
- გეგელა. მართლა, სუ დამავიწყდა, ვერ გითხარი! — სალომებ
და ანუშკამ ხო ერთმანეთი დაფლითებ!
- ნინო. უი, რას ამბობ! მართლა... ა? ქა, ეს კაი ამბავია!
თითქო ერთმანეთის ჭირსა სკამდნენ? როგორ, რა-
ზეა სადა ქა, სადა?!.. (იქით) ამალამვე კატინკას უამ-
ბებ!
- გეგელა. ლოტოში, ჩემო ნინო, ლოტოში! — სალომებ წააგო
და ანუშკას გადასძახა: „ჩემი ერთი აბაზი რომ გმარ-
თებს, გადამიღეო“ ანუშკამ ცხელი „ატკაზი“ დაჰკ-
რა — „რისა, რა მმართებსო?“ ამაზე (ტაშს დაჭვრამს)
მიჰყვნენ და კარგათ გამოკმუპრეს ერთმანეთი! ეინ
იცის, რა არ წისძახა სალომემა:
- ნინო. ანუშკაც არ დაუთმობდა?
- გეგელა. გაგიხარიან, ენაზე ჭალი არ მოედო!
- ნინო. შენ რაღა ჰქენ: წააგე თუ, მოიგე?

- შეგება.** კაი თეთრი მანეთიანი მივტყულაჲე, ჩემო ნინო, და გამოვწიე შინისკენ! რა მომავებინებდა, გენაცვა, თავით ბოლომდინ სუ ქურდი-ბაცაცები ისხდნენ!
- ნინო.** „კაზჩიჩე“ ვინ იყო?
- შეგება.** ქურდების უსტაბაში—ნატალი! აი „კაზნაჩეობაში“ გამომიწყდეს ისა! იპარა და იპარა! ხელი არ დააყენა!
- ნინო.** იმან მაინც ეგრე იცის! როგორი, რა დახვედრა ჰქონდა „ხაზეიკასა“?
- შეგება.** „დახვედრა“, იმისმა თავის სიცოხულემა, ჩემ დახვედრას უგავდა! გორჩხალა სხალი და გაშლი, ჩაშაქრებული, აღაშიერის მურაბები, კამფეთი და პეროენი რომ კედელს გეთხლიშა, დრეკა არა ჰქონდა, კბილს ცერ გააელებდი! მევე ლეინო დაგვალევინეს, ნინო, მევე, რომ კაჭკაჭს დაიჩხავლებდა!
- ნინო.** რა ღმერთი გასწყრომია! ეგრეთი დახვედრა რომ ვიცოდე, ხომ ყოველ დღეც გავმართავ ლოტოსა!
- შეგება.** იქ, ნეტაი შენა! ყველას სვინდისი ხომ ერთი არ არი, ჩემო ნინო!.. მშვიდობითა და როცა შენი შვილი მოვადგეს, გენაცვა, ჩემი გაბოს ამბავი ჰკითხე—როდის მოდის-თქო—და შემატყობინე.
- ნინო.** მოვა თუ არა, იმისმა მზემ, იმწავე ბიჭს ვაფრენ შენთან.
- შეგება.** ღმერთმა ჩვენი შვილების ბელნიერება გვაჩვენოს, ნინო! (ხელებს ააპყრობა) ხუთიათასთუმნიანი ქალები შეხვდეთ ორთავესა, მამა-ზეციერსა ვთხოვ! იმათხე კაი ადვაკანტი და ლოხტური არ გაჩენილიყვეს, დედა ლვითის მშობელს ვევედრები!
- ნინო.** ამინ! ამინ!

გამოსილა გეზუთე

სონა მარტო

სონა (ხელში გვერდის წიგნია, რომელსაც დაჭკვამს და გადათაში ჩაიდები). ახ, ნეტა ერთი გაბო მოვიდეს ჩქა-

რა და წამიუვანოს ძეგლანა! განა ეს ცხოვრუბაა, განა ეს სიცოცხლეა? წამ და უწუმ ფულისა და კორაობის მეტი არა გესმის-რა! ფული, ფული და ფული! უხъ, какая проза, какая пошлисть! Положимъ фулы и рити мѣроприятіи къ ярмаркамъ! ეხლა, მე რომ ფული მქონდეს, განა ერთს წუთს კი დავდგები აქა? какъ разъ идѣ წამსვე მოსკოვში გავ-კრავ გაბოსთან და მეც „კურსებზე“ ვივლი. Ахъ, какая прелестъ! Совсѣмъ другая жизнь! დი-ლით—ორთავენი საქმეში ვიქმნებით გართულნი, სალამოზე—ჩვენთან შეიყრებიან მეგობრები, ან ჩვენ იმათთან, და გაიმართება ბასი. სულ სხვა ხალხი, სულ სხვა აზრები, სულ სხვა ლაპარაკი! Вотъ жизньъ понимаю! Не то, что это прозябаніе!

გამოსვლა გეგვსე

სოხუ და ლიზა

ლიზა. Здравствуй душка; ეს რა წიგნია? რომანъ? (ზინჯავე წიგნსა) Исторія человѣческой культуры... (დაგდებს წიგნსა) უხ, შენმა „სერიოზნი“ წიგნებმა გამიჭირეს საქმე! არ გამეგება, თუ ან კი როგორ კითხულობ ამეებსა! სწორედ ამაზე გავიწყალებ თავსა! რომანებს რა შეედრება! სიყვარული, ეჭიიანობა, „დუელი“, ხმლებისა და რევოლვერების ტრიალი. გუშინ გავა-თვე „графъ Монте-Кристо.“ ახ, რა მშვენივრებაა, რა მშვენივრებაა, ვერ წარმოიდგენ!

სო. ნხ. ერთ დროს მეც ეგრე მომწონდა, მაგრამ ეხლა კი სულელ წიგნად მიმაჩნია!

ლიზა. შენ რატომ თეატრში არ იყავი გუშინ? თხ, რომ იცოდე, რა საუცხოვო იყო პატოვიჩი „ოტელოს“ рოლი-ზი!

- სთხა.** მე კალიმოვიჩი უფრო მომწონს.
დაზა. უ... უ, შენც ვინ წამოაყენ! კალიმოვიჩი ნამდვილი
მაიმუნია. პატოვიჩი კი — „კრასავეცი!“ ას, რა თვალე-
ბი აქვს, რა ღიმილი, რა მიხვრა-მოხვრა!.. (აღტაცებათ)
Онъ божествененъ, божествененъ!
- სთხა.** შენ სილამაზეს რას უცქერი; საჭმე ხმაა და თამა-
შობა.
- დაზა.** ხო, მართალია, მაგრამ სილამაზეც ბევრს ნიშნამს!
მართლა, იცი ვინა ვნახე გუშინა? — კოლა ზავალოვი!
(თავის ქნევათ) ას, რა „ინტერესნი“ იყო, რა „ინტე-
რესნი“, რო простი простი... არ ვიცი! თითონაცა
გრძნობს, რომ ლამაზია და ცოტათი იპრანება,
მაგრამ ეგეც უხდება! თავით ფეხამდინ იმუში *il faut-il*
მთელი ქალები იმისთვის გიედებიან.
- სთხა.** არ გამეგება, თუ რას ხედამთ ზავალოვში? Онъ про-
сто нахаль, фатъ и больше ничего!
- დაზა.** აი, სწორეთ ევა, ევ მოსწონთ უკელასა! ვნაეშь, эта
дон-жуановская смѣлость и отчаянность такъ его
красить, что просто шикъ! თანაც რა მდიდარია! —
ნავთის მაღნები, ნალდი ფული — ჟკიათასი თუმანი,
საკუთარი ლანდო, Ахъ, какіе у него рысаки!
(უგრებზე ხელს მიიფარებს). ოხ, კარგი, კარგი! რაში
მეკითხება იმისი ფულები! (თავის ქნევათ) Ахъ, какая
ты материалистка!
- დაზა.** დუპიკა моя, უფულოთ რომ არა იქნებარა? არ(?)
ტეატრები, არც „ბალები“, არც კიბები... წარმოიდ-
გინე, ჩემთა „პარტნიხამ“ — გაუწყდეს იმას სახელი! —
კაბა არ გამითავა და ეხლა არ ვიცი, ამაღამ, „Сад-
ენი“-ზე რა ჩავიცვა! (ტირილის ხმათ.) ოხ, ღმერთო!
რა უნდა ვქნა, რა უნდა ვქნა! კკუიდან შევიშლები,
თუ ამაღამ ტეატრს დავაკლდი! (იჯებს დაატუაბუნებს)
Противная портниха! Что-бы ей пусто было въ го-
ловѣ!

- სთხა.** განა სხვა კაბები არა გაქვს?
- დიზა.** აბა რა? — თეთრი კაბა, თუმცა თხუთმეტი თუმანი დამიჯდა, „მოდაში“ აღარ არი, ცისფერი — არ მიხდება, — ვინწე გოლიბი კე ბრიუნეტკე იძეთ... როზოვი — გუშინ წან მეცვა, სირენევიც — გუშინა დადანარჩენი — ვს ხლამ და ხლუმ, საშანდელი კაბებია!
- სთხა.** შენ „ოპერის“ მოსასმენათ მიღიხარ ტეატრში, თუ კაბის საჩვენებლათ? მეორეც ესა: რატო არ ჩაგეც-მევა გუშინდელი ან გუშინ-წინდელი კაბა?
- დიზა.** ღია! ვნებამს კია, რო მეც კატისევებ მასხარა გავხდე! ახ, რამდონ დასცინოდნენ იმ საცოდავსა! Представь ცენტ, გუშინაც იმ კაბაში იყო, რომელიც ბარე ხუთჯერა სცმია! (ზიზღით) ჰანი! მაგისთანა ტანისამისს მე „არხივში“ ვაძლევ ხოლმე! ახლა ქვეშეთა „იუპკა“ იცი რისი აქვს? — „ბამბაზიასი!“ ხა, ხა, ხა! სარჩულიათაც კი ეხლა ყველანი ფარჩეს ხმარობენ, რომ შრიალი ჰქონდესო და მავას კი ერთი რიგიანი იუპკაც ვერ შეუკერია! (მხედის აწევით) II ვე თაკომ ვდებ იავისა ვე თეატრ! 0, ფიდონ! ახლა სად იჯდა იცი? — მესამე „იარუსში!“ ხა, ხა, ხა! სულ არ წავალ ტეატრში და მაგისთანა უკანასკნელ ალაგას კი არ დავჯდები!
- სთხა** (იქით). ახ, ღმერთო ჩემო! რა სულელია!
- დიზა.** სამშაბათს მიღიხარ საქველ-მოქმედო „სპექტაკლზე“?
- სთხა.** მივდივარ, შენა?
- დიზა.** რა პასუხია! კონечно! თუ კი ყველანი მიღიან; მეც უნდა წავიდე! მაგ წარმოდგენას დაესწრება მთელი თბილისის beau monde — ის მეორეც ესა: კნეზნა ზარდარიანისა ჰეზავნის ბილეთებსა და აბა იმას უარს ვინ აკადრებს? რაღა თქმა უნდა, რომ კატიაც თავის შშვენიერი კაბით, იქ იქნება! გარგე, რომ კატია „კურსებზე აპირებს?“
- სთხა.** მეც ვაპირებ და არ ვიცი, წავალ თუ არა.

- ՀՕՔՏ.** (თან სარկեթი იხედება და იგრიხება). Եցტაი თქვენა! როცა დასრულებთ, უნივერსიტეტის „ზნაհოკებით“ ივლით, თმა გაკრეჭილი, თვალებზე — „პენსიე“, პა. პიროზი — ხელში დათვისუფლათ რაზდეაც გინდათ, ილაპარაკებთ! ღმერთმანი, კარგია! սчастливые, я вамъ завидую!
- ԱԿԵԲ.** Напрасно ты думаешь, что зонд ц курсые бѣгъ დაღის, ყველა თმა გაკრეჭილია და პაპიროზია სწევს! быть можно дѣльнымъ человѣкомъ и думать о красѣ ногтей!...
- ՀՕՔՏ.** Ցოცა თქვენი სარკე სწორეთ აჩვენებს სახესა? მე აქ საშინელი „ნეინტერენცია“ ფარ!
- ԱԿԵԲ.** არ ვიცი „ინტერენციას“ რას ეძახი?
- ՀՕՔՏ.** слушай, ვერ ატყობ რა ცოტა „უენიხებია“ თბილისში? დრაგუნები სულ მდიდარმა ქალებმა დაიტკეს... ვოთ პოვედი იმъ!
- ԱԿԵԲ.** ღირს მაგაზე ლაპარაკი?
- ՀՕՔՏ.** არა, ისე გყითხავ, შენ კი არ ეგონოს, რომ მე ვეძებ „უენიხებსა?!“ რა რა სმეშა! მე სრულობითაც არ მინდა გათხოვება! ოხ, ისე მეჯავრებინ, ისე მეზიზლებიან ეგ საძაგელი კაცები! სუպელანი ერთი-ერთმანეთზე უარესები არიან! (დეჭევნიდან ისმის ჩოჩქოლი, ხმურობა და հინოს სიხრულით კრილი) შეილო, ვანო!! შენ კი გენაცვალე, შენა! დოხტრო, კურს დასრულებულო!! ჩვენო იმედო! ჩვენო ნუგეშო! ჩვენო..
- ԱԿԵԲ.** (წაմოსტება და სიხარულით). ვანო მოვიდა, ვანო!! ლոზა, ჩემი ძმა მოვიდა მოსკოვიდან, և այսին պожалуйста! (გარბის დერეფაնში).

ՑԱՇՈՎԵԼԱ ՊԵՇՈՂԾՈ

ՀՕՔՏ մակրւա

- ՀՕՔՏ.** (ԱՄԻԿԱԿԱԴԵՄԻԱ ՍԱՐԿԵՍՏԱՆ մօօԹԵՋԻՆ, ՀՅՈՒՆԱԿ ԵՂՋԻԱ ՀՅՈՒՆԱԿ ԱՄԿՈՂՋԵԲԱ და ՈՏՎԱՑԻ: Ա: Եջի, Այլ Այլ Եջի,

ხელებზე... ერთი სიტყვით, ძიებ იგრიხება სარგის
 წინ). დოკტორიც ურიგო „პარტია“ არ არი (ფქნები
 დაატყებულებს) რას შე, ი დღისა ჩემი არ არის მოს
 დახუჭუჭება!. ახ, რატომ ისევ „გრევუართან“ არ
 მიველ!. (მიტრიალ-მოტრიალება და დაშვიდებით) არა,
 არა უკირს რა... ეს „საკი“ და „ბოა“ მიხდება...
 მართლა, უცბათ რომ მოვევონო და „პრედლეგენია“
 გამიჰყეთოს!.. ლირს რომ მივთხოვდე?.. რატომ...
 თუმცა ძიებ მდიდარი ქმარი მინდა შევირთო, მაგ-
 რამ ეხ!— «на ნეზ რიბეჭ ი რაკე რიბა!» დოკტორ-
 საც არა უკირსრა!. „ეპილემია“ გამოჩნდება რამე
 და ისე მოჰქვეტს ფულებსა, რომ მო მითენიე!. ნე-
 ტა ვიცოდე, როგორი, რა სახისა?. ეხ, მითომ სულ
 ერთი ერ არი!, ლიშь-ბы ვъ старыхъ дѣвахъ не
 оставаться, а то пустъ будетъ хоть мицунб!¹ სხვა
 ვერ შევიუვარებ! რა არის მერე? უველა „სვეტაკი
 დამა“, უველა „არისტოკრატეა“ ეგრე არა სხადის?
 Въ этомъ и шикъ (მიდის კარგბისევენ, მერე ისევ და-
 რენდება და იგრიხება სარგის წინ, ბოლოს გულზე.
 ხელს დაიდებს დაბლა-დაბლა) ღმერთო!. გული რო-
 გორ მიკანკალებს!.. (მიდის კარგბისევენ და უცბათ
 შედგება) არა, არ შემიძლიან... ვერ გავალ... (ხელის
 ქნევით) ეხ, რაც იქნება, იქნება, очень нужно! სულ
 ერთია, „ბედი ვერ წაუხვალ!“ (გადის დერევანში).

ფარდა

მოძმებულია მიოხე

(მეორე მოქმედება) სწარმოებს სამი თვის შემდეგ. ფარდა
აიხდება ისევ იმ ოთახში, რომელიც მოსსენებულია პირკულ
მოქმედებით. სცენაზე არის სტეფანე და ნინო.

გამოსვლა პირველი

სტეფანე და ნინო

სტეფანე (ნაღვლიანით). ეკეც შენი დოხტური, ეგეც შენი ნას-
წავლი შვილი (ამთოხერით) ე... ეხ!

ნინო (მოუთმენლად). რა იყო, კაცო, სუ რასა ოხრამ, რა
დაგემართა, ქაჩ! გული კი გამიშვრილე და!

სტეფანე. ამაზე მეტი რალა უნდა იყვნს, ამაზე უარესი რალა
უნდა დამემართოს: რა ფასი დავისი მაგი სწავლა
და რა გამოვიდა? (ხელების ფშვნეტით) სუ ფუჭეო,
სუ ამაოთ! აფსუს ჩემო ფულებო, აფსუს ჩემო ამა-
გო!

ნინო. რათა, კაცო, რაზე ატყობ?

სტეფანე. „რაზე“ და სწორეთ მაგი ქცევაზე და ლაპარაკზე
აგერ მეოთხე თვე გარბის, რაც ეგ აქ არი, და ჯერ
ოთხი თუმანიც არ შემოუტანა სახლში? ნათესა-
ვებს და მეგობრებს ეგ ფულს არ ართმევს, ლარი-
ბებს, პირიქით, თითონ აძლევს; ოროდ თუმანი
რო იშოვნოს, იმწავე ვილაც საციმბირე „სუდენ-
ტებს“ უგზავნის, სამადლო „ტრიატრებსა“ მართამს...
ყველას მოწყალე კალთა გადააფარა რალა! ისე
გამოდის, რო სხვისთვის გავზარდე შვალი, სხვის-
თეის დავხარჯე ერთი კალთა ფულები! ვინც ცდა-
ლობს, რო კაცი გახდეს, წინ წაეჩაროს, ერთი-ორი
გროში იშოვნოს, ეგ ვაუ ბატონი კი სუ უკან და

უკან იწევს, კერპი ხარივითა, სუ ამისა და ამის გაი-
ძახის: „მე უსვინდისობას ვერ ვიზამო, მე ფულის
საშორათ არ დამისრულებია კურსიო, მე უნდა
სოფელში გავმწესდე და გლეხებს უწამლოთ“...

ნინო. (სედის შეით) რა ვიცი, ღობე-ყორებს კი ედება და!
ჯერ ისევ ბავშვია, სტეფანჯან, ჯერ გამოუცდელია!

დააცადე, მიიხედ-მოიხედოს და ეგეც სხვას მიჰპა-
ძამს! სულს კი არ აბრუნებინებ საცოდავ ბიჭსა და!

სტეფანე. „ცოცხალს არ მეცვა კაბაი, კვდარსა ჩამაცვეს ფარ-
ჩაი!“ ე მე კი ვეღარას მოვესწრები და მერე, თუ
გინდა, მინისტრათაც დასვან!

ნინო. (მხარზე სედს დაწერობს და გაანჯღრებს). გამხნევდი,
კაცო, გამხნევდი! წელში გაიშალე, ყურები ნუ ჩა-
მოგიყრია!

სტეფანე. (სედის ქნევით). ეხ, დამაყენე ერთი, დედა-შვილო-
ბასა და! ნახევარ კკუაზე აღარა ვარ ადამიანი, ლა-
შის ეარმით გამისკდეს გული! ყველა უბედურობას-
თან, მე მაგას როგორც ვატყობ, რუსის ქალიც
აუკვიატებია!

ნინო. რას ამბობ, კაცო? შენ ხო სიძრმათ არა ხარი!

სტეფანე. „სიძრმარია?“ — არ გესმის, რეებსა როტამს?!

ნინო. ხუმრობს, სტეფან, ხუმრობს, ხო იცი, რომ ჩვენი
შვილი ქალების ამდევარი არ არი!

გამოსვლა მოორე

იგინივე და განო.

სტეფანე. სად იყავი?

განო. ავათმყოფთან.

სტეფანე. რა ჰქენ, რა მოგცეს?

განო. (იქით) ახლა ამათ „ატჩოტები“ მიეცი! ჩადის!

ნინო. რამდენი მოგცეს, გენაცვალოს დედა?

განთ. არაფერი.

სტეფანე. როგორ თუ „არაფერა?!“ ორი კვირაა. დადიხარ; არჩენ, წამალს უწერ და მამ უშმაკის მუშა ყოფილს ხარ, რაღა!

განთ. (მოწეულიდა). მამაჩემო, აბა რა შენი ხაქეა?. აუ, ხუთი მანეთი მომცეს, ახლა? (იქით) ის სამართლებრივი მანეთი მოიხდის!

სტეფანე. } „ხუთი მანეთიო?!” ორ კვირაში—ხუთი მანეთი?

განთ. ისეთი ლარიბები არიან ისინი, რომ ხუთი მანეთიც არ გამომირთმევია! (იქით) ახъ ჩორტ ვозьми, წამომცდა!

სტეფანე. იო ჭკუს კოლოფი! ია ვამ გავარუ, რათი უ ვას ხა გალავა უმ ჩატუ, ჩატუ!

ნინთ. რატომ, შვილო? მა რისთვის ისწავლე, მა რისთვის იტანჯე ამდენი ხანი?

სტეფანე. მა რისთვის დავხარჯე ორი-ათასი თუმანი! მა რის თვის გაგზავნე უნივერსეტში?

განთ. ეხ, ერთი თქვენებურათ ნუ დაიწყებთ და; წამლის ფული არა ჰქონდათ იმ ხაცოდავებსა და მე უნდა იმათი ხუთი მანეთი ჯიბეში ჩამდეთ!

სტეფანე. შინ რო ყმაწვილი ტიროდეს, გარეთ ტაბლის ჩახელი აქვსო? მე აქ გაქირებული კაცი ვზივარ, ბევრ რჯერ ერთი აბაზიც მენატრება და შენ კი იქ „ბარა-ქალაზე“ დადიხარ? იი, შენ სწავლის კი რა უთხრა, შენ სწავლასა!

განთ. მამაჩემო, აბა ლირს ლაპარაკათ? ის ხუთი მანეთი შენ არ გაგამდიდრებს, მაგრამ იმათ კი დიდ შვებას მისცემს! (იქით) ზოგ, ვიროცხმა, ის ჩატუ და არ ვარ!

სტეფანე (ცოდსა). რა ვქნა, ვის დაემვზავსა ესე დარღიმანდი? (ძვიდსა) ბიქო! ხუთი მანეთიდან დგება ფული! მილიონს. რო კაპიკი ბკლდეს, სტული, მილიონი არ არი, არა!

ნიხო (ლეჩაქს გადმოიფრიალებს). აბა შვილო, ჩემ ლეჩაქს უცქირე: უქონლობის გამო კახურ არშიასა ვხმარობ. ი ხუთი ბანეთი რომ გამოვერთმია და ჩემთვინ მოგეცა, გენაცვალოს დედა, გავექანებოდი ამირალო: ვის მაღაზიაში და დეზაგ „ნასტაიაში“ არშიას მოვიცლებდი!

სტეფანე. მაშ რამდენიც ღარიბმა ივანშტურფმა დაგიბაროს, შენ ეგრე მოიქეც და ოჯიხი იგიშენდება! ქვეყანაზე მშერი მაძღარზე მეტია, მაშ წალი და ყველას შენ გაუძლე კუჭი! (თავის ქნევათ) არა, შვილო, შენ სოფელს ვერ გააშენებ, შენ კაცი ვერ გახდები! ვერა, ქრისტეს მაღლმა!

განა. (რომელიც მოწუქნილი ზის და ნაღვლიანათ შესჩერის დად-მამას, ამოხხვრით) ე... ე... ე... ხე... ხე...!

ნიხო. კარგი, სტეფან; რაც იყო, იყო! „ერთი ალილლუია ლვლელსაც შესცდებაო“, კვლავ აღარ იზამს. შენ ერთი ამას ფრაკი და „ზნაჩოკი“ უყიდე, რო „ვიზიტებზე“ დაიაროს.

განა. რა ჭრაკი და „ზნაჩოკი“ მინდა, რა 『ვიზიტები?!』 ნათესავებთან აკი კიდეც ვიყავი?

სტეფანე. საქმე მირტო ნათესავებია? ვინც დიდი პირებია, ვინც პირეელი მოქალაქეებია, მაშ არ უნდა ნახო? ნაცნობებს კი არ უნდა ნახვა?

განა. მამაჩემო, აბა რა მინდა იმათთან, რა მესაქშება?!

სტეფანე. (წოლსა) აკი გეუბნები, იდამიანო, რო თავში „ჩეა“ მეთქი (ამოხხვრით) ე... ეხ, ჰკუა! რა კაი საქონელი ხარ!

ნიხო. როგორ თუ „რა გინდა“, გენაცვალოს დედა! აბა იმ დიდ პირებში და მოქალაქეებშია დიდი ფული და ძალა!

განა. მერე, იმაზი ფული და ძალა მე რას შემდება, არ ვიცი!

სტეფანე (სეჭის შლით). „აბდა უბდა-გადასკუპდა!“ გადასკუპდა და გაღმოსცემს! არც თავი ესმის ამ-საცოდავსა, არც ბოლო! ბიჭო! მა როგორ გინდა იცხოვრო, მა როგორ გინდა მოეწიო ამ წუთის-სოფელს, მა როგორ გინდა გაიჩინო კაი პრაქტიკა, თუ დიდ პირებს არ გაუკეთებ „ვიზიტსა“ და თვალში არ ჩაუვარდები? თუ აქ ამას არ ასიამოვნებ და იქ-იმასა, მაშ რის დოხტრური იქნები, რისა! ავანტურითან ვინ მიგიწვევს, ვინა? შენ ტოლ-ამხანაგებს მაინც მიხედე და როგორც ისინი იქცევიან, შენც ისე მოიქცეც ქვეყანა—სარკეა! შენთან არ გაათავა კურსი კოტეზანგიერმა, რომ ის ეხლა ფულით კოჭაობს და შენ კი უანგიანი გროშიც არ გიძევს ჯიბეში! ინ-კა, ისამარტინი, რომ ქვიდან ფულს გამოილებს!

განო. ის ასეთი „პადლეცი“ და „კარიერისტია“, რომ მე იმას ხელს არც კი ჩამოვართმევ! (საზოგადოების) თუ, ისეთი ერთი საკითხი არა! ის ასეთი ხერხიანი ბიჭია, რომ ქვიდან ფულს გამოილებს!

სტეფანე. ხო, რაკი შენსეებ „ბუნტებში“ და იყალ-მაყალში არ ერთა, რაკი შენი ტოლთ არ არი! რაც იმას ფჩხილში კუკუ აქვს, ნეტა თავში გედოს შენა! (სეჭის შლით) რა ზანგიერი, რა სხვები! აბა წადი და ნახე და სხვა დოხტრუები რეებს სჩაფიან, როგორ იჩენენ პრაკტიკასა! — განგებ ფაიტონ დაიკერენ, გამოიკიმებიან შიგი, კოზლაზე ბიჭს დაისვემენ და ერთ კუთხიდან მეორეში ჩამოხტებიან, ვითომ რა არი, — დაგვინახეთ, ხალხო, რა პრაქტიკა გეაქსო! თუ სტუმრათ არიან საღმე, ან თითონა ჰყავთ ვინ-მე სახლში, ბიჭი წინ და წინ დარიგებულია: აჩა და ამ დროს მოდე და გამომიძახეო — „ავანტურითან გახლავს და მობძანდოთ!“ იმ ხერხი, იმ კუკუა, იმა-

თი მანა ეაცხონე! დოხტური უნდა „ლოვკი“ იყვეს,
არამ თუ შენისანა დოყლაპია!

განო (სიცილით). ხა, ხა, ხა! მამაჩემო, ვერც მაგნაირ
ხერხს ვიხმარებ და ვერც მაგნაირ კუსა! — მე „აფე-
რისტობა“ არ შემიძლიან.

სტეფანე. ამიტომ, რომ ტვინის მაგივრათ თივა გიდევს მაგ
თავში! ამიტომ, რომ ვი დურაქ ამიტომ, რომ ვი
სუმაშედშა! (კანო იცინის).

ნინო (წერნით) კარგი ქრთი, სტეფან და! ნასწავლ, უნი-
ვერსეთ დასრულებულ შვილს განა ეგეც უნდა ჰკა-
დრო?

სტეფანე (ჩელის შლით), ი გამიწყრეს მაგი უნივერსეთიცა
და მაგი სწავლაცა! აბა ი უნივერსეთს უფრო
გამოუსულელებია ეგა!

განო (მხარზე ხელს დაჭრამს და ღიმილით). ნუ ჯავრობ,
მამაჩემო, ნუ ჯავრობ!

სტეფანე (ხელს გრავს). იქით გამეცალე შე „საციალისტო“ —
რაზმონიკო! როცა შენ ღმერთი არა გწამს, აბა
მამას რას იწამებ! (საჭიროადოებას) თავის ღლეში
ხატს არ ენთხევევა! საღდარში რო ქული შეუგლოთ,
გამოსატანათ არ შევა! ექვსი წელიწადია არა ზია-
რებულა, ექვსი! ლეკია, თათარია, რა არი? — აქამდინ
ვერ გამიგია!

ნინო. ი, მოჰყვა. და ოლარ გაათაებს!

გამოსვლა გესახე

იგინიგე და გლეხ-გაცი.

გლეხ გაცი (რომელსაც ხელში უჭირავს პირ-მოკრული. ძრაზდილი
ქილა). დილა მშვიდობისა! (კანო მდაბლედ თავს უკ-
რავს) დოხტური ადლეგრძელა ღმერთმა! (ქილასა
სადგამს).

გაცრუებული იმედი

- ესნა** (ხელს ართმევს). ოხ, გამარჯობა! (სკამს შიგდგამს) დაჯექი. (მხარზე ხელს დაჭკრამს) როგორა ხარ? (საზოგადოებას). მეტი-მეტი თავდაბალია, ენაცვალოს ამას დედა!
- სტეფანე** (საზოგადოებას). აი ამი ჭკუა აქ გაშინჯეთ: დიდ-კაცებს ისე ერიდება, როგორც ურია—ლორის ხორცა, გლეხებისთვინ კი სული სცვივა! მოდი ამასა, და ლმერთი სთხოვე!
- გლეხ-გაცი** (განოს). გმადლობთ, შენი ჭირობე! ეხლა აღარა მიჰირს-რა ლმერთშა თქვენი თავი დიცხან მიცოც-ხლოს! თქვენ მოცემულ წამალს გიხელ თუ არა, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე ი წყეული გულ-ჭიდება მამე შვილი მასაქეთ ისე გახლავინ, ასე მგონია, ეხლა დავიბალე მეთქი!
- ნინო** (სიამოგნებით). ენაცვალოს ამას დედა! ეგრეთი და-ლოცვილი ხელი აქვს, ყველა რჩება ამი წამალზე, ჯერ არავინ მომკვდარა!
- სტეფანე**. ეხ, რა უყოთ, ძმაო! ბარე კაი დობტურია და კაი ფულებიც დამიჯდა ამი სწავლა, მაგრამ რა გამოვი-და: დამფასებელი ვინ არი? გამორჩენა სად არა? მეტადრე თქვენგან, გლეხებისგან, რას გამოდნება კაცი—მუქთა საფლავში ჩაწვებით!
- გმირ** (დაიღრიავება). მამა ჩემო, რა არი?! რა ცი გამო-ცი!
- გლეხ-გაცი**. თავშემოვევლე ამასი! მართალია, არა მაქვავია-რა, მაგრამ სულის გავყიდი და ამი ამაგს კი არ შევინარ-ჩუნებს! რასა ბძანებთ, შენი ჭირობე! ამან რომ ჩემი ბიჭი სიკვდილს პირიდან გამოსტაცა, განა ლმერთი არ გამიწყრება, რომ ამი სიკეთე დავივიწყო როდის-მე და ახში ერთხელ მაინც არ გადაუხადო სამაგიე-როს ცისა და დედა-მიწის შუა, მე და ჩემი საწყა-ლი დედა-კაცი მაგ ერთათ-ერთ ბიჭს შევსქე-როდით და ეგეც ხელიდან გვეცლებოდა! როგორც

პოგებსენებათ სოფლის ამბავი, ბევრისაგან-ბევრი
დედა კაცური წამლები ვცალეთ, სამ სამ მკითხავსაც
ვაკითხვინეთ, ჩემო ბატონო, ვინ იცის, სად არ ვა-
ლოცეთ, მაგრამ არ იქნა, არა გვეშველა რა! ბო-
ლოს, რომ მეტი-მეტათ გამიჭირდა საქმე, გამწარე-
ბული ჩამოვიჭერ აქა და რომელ დოხტურსაც კა
შიგმართე, ყველმ ეს შიპასუხა: „ამ სიცივეში ძალ-
ი არ გაიგდება გარეთაო და ჩვენ უნდა სოფელში
ამოვიდეთო?“ ამან კი, ენაცვალოს ჩემი თავი ამასა,
კრინტიკ არ დასძრა, ფიცხლივ თან გამომყვა და
ისე მოუარა ჩემ შვილსა, როგორც თავი ალალ ძმასა!
ბარე ფასიც ვაძლიერ, მაგრამ, რომ არ ინება ამ და-
ლოცვილმა! წამალიც კი მუქთათ გვიბობა! (თავის
ქნებით) ოხ, ოხ, ოხ! მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ადა-
მიანი კი არა, ლვთის სული ყოფილა, ლვთის სული!

განა
ნიჩ.

(მორცებით). ხო, კარგი, კარგი! სხვა თქენი რამე...
საშინელი მოწყალეა, ენაცვალოს ამას დედა! ყვე-
ლიას შილაფლავივით ურიგებს წამლებსა! ალია და
მუსია ამას ეტანება!

სტეფანე

ამას ესეთი ზე სჭირს, ჩემო ძმაო! ღმერთთან ალ-
თქმა აქვს ზიცემული, რო ფულს ხელი არ მოკი-
დოს, თორე თითები დაუსივდება! თავი ჯიბეს თუ
ორიოდ მანათი მიაკარა? — შენი მტერი! — იმწავე
ხელის სიღამბლე მოუვა! შენ, თუ გემეტება რამე
ჩემთან მოიტანე ხოლმე... ეგ რა არის ქილითა?

გლეხ-ჭარი.

კამბეჩის ერბო გახლავს, შენი ჭირიმე; ნურის უკაც-
რავათ ამ მცირე ძლვენზე. ბარე მეტის ლირისია, ვე-
ნაცვალე ამასა, მაგრამ ეხლია ემის მეტი არა შემეს-
წრო რა და, თუ ღმერთმა არ მიღალარა, საალდეო-
მოთაც ერთ კაი ბატკანსა და გოჭს მოვარომევ.

განა

(უქმაუოფილოთ). არა, ძმობილო! არაფერი არ ჩამ-
იტანო, თუ ჩემი ხათრი გაქვს! ეგირბოც წაილე და
გაჰყიდე, ოთხ მინათს მიღებ, შენთვინ კარგია.

ხახო. რათა, შვილოზ! მოურთმევია, აიღე! სოფლის ერბო
სულ სხვაა აქაური პირში არ ჩაიშვება, ნახევარი
ქონია! „მარგარენსა“ ჰყილიან, გაუწყდეთ სახლი!

სტეფანი (კახოს). ბიჭი! რა შენი საქმეა? რაკი ვაში დალა?!
შენ წალი, წაგნი იკითხე! (გლეხ-კაცი) გეხუმრება ამას
რა ყურს უგდებ! შენ ერთი კი მსუქან-მსუქანი დე-
დლები და ინდუსტრი ჩამომგვარე აქა, თუ გინდა,
რომ უფრო კი წამალი დავაწერინო!

ხახო. ახალ-ახალი კვერცხები და ვარიები მოართვი დოხ-
ტურსა! იმ ძანძალში რომ სოფელში ამოვიდა და
მომაკვდავი შვილი მოგირჩინა, მუქითი კი არ იყო!
იცი, რა აზიზ-მაზიზათა მყავს გამოზღილი? ერთიც
ენახოთ გაციებულიყო, მერე?

(გაბრაზდება). ფუ, что за народъ! съ ними, действительно, съума можно сойти! (გლეხ-კაცი) თუ ძა ხარ,
კვლავ ალარაფერი ჩამოიტანო აქა, თორე აისე გა-
დავისვრი და არც ხმას გაგცემ!

სტეფანი (საზოგადოებას). რა ვქნა...ა! ქრისტიანები არა ხოთ,
შემიბრალეთ! (კახოს) ბიჭი! რა გინდა ჩემგან? სი-
სხლს რათ მიშრობდა! (ზირჯვანი; იქენს) ვიტ ეს
ნიღე!

გლეხ-კაცი (კახოს). ოლონდაც კი ნუ გამიშურები, შენი კირიმე,
და რასაც მიბძანებ, შენი მონა ვარ. მხოლოთ ე
ერბოს კი ნუ დამამწყრალებ... მიირთვი, გნაცვა-
ლოს ჩემი თავი, მიირთვი.

კარგი. (ჯადიდან ფულს დღებს და აძლევს) შენც ამას
ნუ დამამწყრალებ, თორემ არ ავრებ ერბოსა.

გლეხ-კაცი (ხედის ქნევით). არა, შენი კირიმე, არა აბა რასა
ბძანებთ! (კახო ძალაზე უდებს ფულს უბეში).

ხახო. რათ უნდა შვილო? ეგ ხო ისევ ყიდვა გამოება!
(საზოგადოებას) მეტი-მეტი ხელ-გაშლილია და არც
ესე ვარგა!

სტაფანე (კანოს). ათ უუმნიანი ჩაუდე, ათ თუშნიანი! აი, იმას კი რა უთხრა, ვინც შენ დოხტურის „დეპლომი“ მოგცა! კაი შენ პრაფესორებს მოუვათ, კარგათ შენ იმათ გაუზღდიხართ! ერთი ქილო ერბო გინდა ზილა იონათ დამისვა?! (თავის ქნევით) მწ...ა...ახ! რა სულელია! (გლეხ-კაცე) წამო, წამო, თორემ მე ვიცი, რაც მომივა!

გლეხკაცი (კანოს მდაბლათ თავს უკრამს). მშვიდობითა ბძანდებოდე, შენი კირიმე.

განო (ხელს ართმევს). მშვიდობით... (ხმა დაბლა) ალარა ფერი ჩამოიტანო, თორე ძიენ მაწყეინებ.

სტაფანე (საზოგადოებას). ნეტა ვიცოდე, თუ რას ეჩურჩულება!

გამოსვლა მეოთხე

განო და ხ. ხო

განო. რა არი, დედა, უთხარი რაშე, რეებსა სხადის მამაჩე- მი!

ხინო (ეხევა შვიდლა). ერთი, მაგი ჯიბრზე, სამიათასთუმ- ნიანი ქალი შეირთე, მოშორდი მაგასა და მეც თან- წამიყვანდ, გენაცვალოს დედა! მაჭანკალი-მაჭანკალ- ზე მოღის და არ ვიცი თუ რა უპასუხო.

განო (გამოუსხლდება ხელიდან). დედა, დაძაყენეთ, მომა- სვენეთ! ამდენი აღარ შემიძლიან! რა გინდათ ჩემ- გან? აქაო და სწავლა მომეცით, გინდა დამავირაოთ, ვამყიდოთ?

ხანო (გარებათ). აბა მაგას რას ამბობ, შეილო?! ციცინა- თელისეებ გიცქერით, მჩე და მთვარე შენზე ამოგ- ვდის, ჩირეთის და ბედნიერების მეტი რა გვინდა შენთვის, გენაცვალოს და წამლათ დაგენაცოს დე- და!

- ვანთ. დედაჩემო, ვიცი, მაგრამ ოთ ვერ გაიგეთ აქამდინა, რომ ეგ სიკეთე ჩემთვინ სიბოროტეა, ევ ბედნიერება—უბედურობა! რა არი, თავი დამანებეთ და ჩემ საქმეში ნუ ერევით!
- ნინთ (ეხება). მა ვის საქმეში უნდა გავერიოთ, შვილო? შენგან მოვეჯლით ნეტარებასა, სამოთხესა! შენგან მოველით კეთილ ცხავრებასა! შენა ხარ ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, ჩვენი სიცოცხლე.....
- განთ (დაარგვეს). დედა, გაიცრუეთ ევ იმედები! მე იმდონ ფულს თავის დღეში ვერ ვიშოვნი, რომ თქვენი იმედები გავამართლო!
- ნანთ. თუ კი სხვები შოულობენ, თუ კი სხვები აშართლებენ მშობლების იმედებსა, შენ რაღა ხარ, გენა-ცვალოს დედა? შენ რაღა იმათხე ნაკლები სწავლა და ვარათლება მიგილია? შენც იმ უნივერსეტში არ დაასრულე კურსი, საცა იმათა?
- განთ (მოუთმენდათ). მწ... ობ!. ობ!. (საზოგადოებას) თე-შერს იდი ი ინსახი ეშ, რა თაქ მართები! (ნა-ნოს) ალბათ მე სულელი ვარ! გაიგეთ, რომ მე სხვის ვერ დაუებაძები, ვერა!
- ნინთ (ნაღვიახათ). მაშ რისთვის გასწავლეთ, შვილო? მაშ რისთვის გამოგზარდე, ვენაცვალოს დედა?!!. იცი თუ რამოდენა ამაგი მაქვს დათესილი შენზე? ნათქვამია: „შვილმა რომ დედის გრულისათვინ ერბო-კვერცხი მოაწვან ხელის გულზე, იში ამაგს მაინც ვერ გა-დაინდისო“. მაშ არ უნდა გებრალებოდე, მაშ არ უნდა უშველო შენ მშობლებსა?
- განთ. დედა, მებრალებით კდეცა, მიყვაჩხართ კიდეცა! აი ალაგს ვიშოვნი თუ არა, ნახვარ ჯამაგირს თქვენ ხამოგიგზავნით ხოლმე.
- ნინთ (გააცებით). როგორ თუ „გამოგიგზავნითო?“ განა აქედან სადმე აპირებ წასვლასა? განა თავი უნდა დაგვანებო ჩვენა? უწინ დღე დამელიოს, რომ შენ

გვერდიდან არ მოგიშოთ! შენი წასვლა იქნება აქედანა და ჩემი სულის დალევა! ძლივს ხელში ჩაკიღდეთ და...

განო. (მოუთმებლათ). მწ...ა...ახ! ღმერთო ჩემო!.. چто ზაჟითკა, چто ზა ჟითკა!

ნინო. კარგი, კარგი! ნუ ჯავრობ, შვილო! ნუ ხარ გულოფიცხი, გენაცვალოს დედა, თორემ მალე დაბერდები წავიდე ერთი, მიეტელო ი ბიჭა— ფლავი არ დასწვას. ფლავი ხო გიყვარს, შენი კირიმე?.. ხორცით გავაკეთო, თუ ერბო-კვერცხითა, როვორ უფრო გიამება?

განო. როგორც თქვენ გინდათ, ჩემთვინ სულ ერთია.

ნინო. • ნახევარ ისე გავაკეთებ, ნახევარ—ისე, რომელიც მოგეწონოს, ისა სჭამე, მურაბითაც კარგია! მაგრამ ვარიები რომ იშოებოდეს აქა, იმას რა შეედრება!

განო. (მოუთმებლათ). დედა, რა არი, გაათავე ვამაზე ლაპარაკი! ჩაძიშვილი! (საზოგადოებას) თორენ ი საჟუ, چთი: „ვარიები, მოხრიკული, შემწვარი“.. იწოდით!

ნინო. (წერილი). აი მიელივარ, მიედივარ, შვილო!.. (ნაღვ-დანათ) რა ვქნა, რათ გეჯავრები ესე ძიენა?! თითქო ურიკო დედა არა ვარ, თითქო ზედ დაგკანკალებ, ფარვანასეებ დაგტრიალებ: გძინამს— ფეხის ფჩხილებზე დავდივარ, გლვიძამს— ივალ-წარბში შემოგცეკრი...

განო. (ნაღვდანად საზოგადოებას). მწ... ა... ახ, რა ვქნა თანაც მეცოდებიან, ინი მენი ვე იინიმაით! (ნინოს) დედა, გეფიცები, რო არ მეჯაერებით! ძიებ მიყვარხართ შენცა და მამაჩემიც, მაგრამ მეტის მეტათ მაბეზრებთ თაესა და მეც ადიმიანი ვარ თუ არა, მოთმინებილან გამოვდივარ! კარგი, შევრიგდეთ... (ხელზე და შირზე ჭკოცნას).

- ნინო (აღტაცებული ეხვევა). თუ, შენ კი გენაცვალე, შენა, რომ უძვირფასესი ხასიათებისა ხარ! (მოწიწებით) შვილო... შენ რომ მდიდარი ცოლი...
განო (დაარღვევი). მწ.. ა.. ახ! კიდევ! დედა, ეხლა რას გეუბნებოდი?
ნინო. კარგი, კარგი! მაგაზე მერე ვილაპარაკოთ.

გამოცემა გენერა

განო მარტო

- (დადის სცენაზე). უმ! ნეტი ერთი ჩქარი ვიშვეთ ადგილი, რომ წავიდე აქედანა! სამი თვე აქა ვარ და ლამის ჭკუიდან შევიშალო! აქეთ-მამაჩემი, იქით: დედაჩემი და ზედაც-ნახესავები! ზორტ ვის არა მაქვე! ვЪ კаждую мелочь лѣзутъ, каждыи шагъ провѣряютъ!
რა უნდათ, რას ელიან ჩემგანა?! მე რომ მაგათ ნებაზე ვიარო, პატიოსნებაზე ხელი უნდა ავილო! ხმ! საცინელიც არი და სატირელიცა!.. (დაფიქრდება და მერე ხელის ჭნევით) ეხ, ჯერ ევ რა არი, არაფერი! ახლა გაიგონ ისა!... დედაჩემი იქ მავანკულებს ევაპ-რება და ის კი არ იცის, რო მე დიდი ხანია საცოლო კიდეცა მყავს რუსეთში!. (ხელების მტკრევით) როგორ უთხრა?..! როგორ შევატყობინო?!

გამოცემა გენერა

განო და სონა

- სონა (ეხვევა ძმასა). ვანოჯან, რათა ხარ დალონებული? კიდევ გაგაჯავრეს, კიდევ გითხრეს რამე? . (გავარტე-ბული. ხმით) უმ, ლმერთო! რეები არიან!

- ვახო. არც არა უთქვამთ რა და რომ კიდეც ეთქვათ, მე
მაგათი სიტყვა არა მწყინს. Напротивъ, მებრალებიან.
რა მიუღიათ, რა მოეთხოებათ? Мы должны быть счи-
сходительны въ ихъ слабостямъ, а не негодовать
საქმე მაგაში არ არი. მე ის მაწუხებს თუ, როგორ
უხრათ?
- სოხა. რა, შენ საცოლეზე?
- ვახო. ხო, ერთხელ მაინც უნდა უთხრა თუ არა?
- სოხა. არა, ჯერ ნურაფერს ეტყვი. აი, როცა ანტონინა
პეტროვნასგან ტელევიზრამდა მოგივა— „მოვლივარო“,
მაშინ შევიძლიან უთხრა, თუ არა და, ტყუილათ
გულს გაიშთოთებ და...
- ვახო. არა, უცბათ თქმა უფრო ცუდია! უნდა თან-და-თან
როგორმე შევატყობინოთ...
- სოხა (დავიქრდება და მერქ). იცი რა?— მაგას გაბო მოგი-
ხერხებს, ის ყოჩალია! (სიცილით) აბა იმი დედას კი
არ ექნება ამბავი, როცა გაიგებს, რომ იმი შვილი
მე მირთამს! ახ, ვანო! რა მიხარიან, რომ აქედან
მივდივარ! თუმცა დედ-მამა მიყვარს და ძალიანაც
მებრალება, მაგრამ რა ვქნა, რომ სული-სულზე ვე-
ლი ამათთან გაშორებასა!
- ვახო. ხმ! გასაოცარიც არ არი! ან აქამდინ როგორა სძლებ-
დი?
- სოხა. აქამდინ, კიდევ, გიმნაზიაში დავდიოდი, მერე ბავ-
შებს ვასწავლიდი...
- ვახო. აი ეხლა შენა და გაბო ჯვარს დაწეროთ და სულ
სხვა წრეში იქნები.
- სოხა (სიხარულით ტაშს შემოჭრავს). прелесть прелесты!
გაბო დამპირდა: „კურსებზე“ გაგზავნიო!
- ვახო. გაბოც რომ არა ყოფილიყო, მე თითონ გაგზავ-
ნიდი. მაინცა და მაინც, რახაც კი შევიძლებ, მეც
გიშველი ხოლმე.

- სონა (ეხვევა და ჰქოცნის). ოხ, განო! რა კარგი ხარ, რა კეთილი ხარ!
- განო (სიცილით იშროებს). კარგი, კარგი! ნუ დამახრჩე!
- სონა. ერთიც გაკოცო! (ჰქოცნის) მერე, როცა კურსს და-ეასრულებ, საზოგადოსოვის ვიმუშავებ, ჩემი შჩომით ვიცხოვრებ... ოხ, განა ამაზე კარგი შეიძლება რამე!
- განო (შუბლზე ჰქოცნის). ყოჩაღ! მხოლოთ ცარიელი სი-ტყვები არ იყვეს ეკა, ეცადე! (დერეფნიდან ისმის კაუნი და ხმა. მსკულაპ—ო! შინა ხარ?
- განო. შინა ვარ, შინა!
- სონა (სიძხიარებულით). აგრე გაბოც მოვადა!

81 მოსილი გევგილე

„განიგე და გაბოც“

- გაბოც (ხელს უშვერს სონას). Съ добрымъ утромъ, моя бу-
дущая супруга! вашу ручку-съ!
- სონა (გაბოც ხელზე ხელს დაჭრამს). უхъ ты! სადა ხარ
აქამდინა?
- გაბოც (ხელთბით). Тише mademoiselle, а то еш-еий, не
женюсь. (კანი) Здравствуй, мыслящий пролетарий!
дай свою лапу! (ხელზე უშაბჯას) Правда, что лаша!
Доктору не мѣшало-бы имѣть понѣжнѣе руки! Впро-
чемъ, ты вѣдь не дамскій врачъ! Для мужичка и
этого достаточно!
- გაბოც (მხარზე ხელს დაჭრამს). защитникъ угнетенныхъ!
სადა ხარ, სად დაიარები?
- გაბოც. სულში. უკრს უგდებ აქაურ სვასოვიჩს და თვალს
ვადევნებ „აბლაკატებს!“..., ხო, მართლა აბა ამო-
უკეთ თქვენი ჯიბეები!
- სონა.
გაბოც. } „რათა, რა იურ?

გაბო. ის იყო, რომ ოთხ-ოთხი სტუდენტი დაუთხოენიათ
უნივერსიტეტიდან, რა კი ხწაელის ფული ვეღარ
შეუტანიათ საწყლებს! ერთი ებრაელია, მეორე რუ.
სი, მესამე-სომხი, მცოთხე—ქართველი. ჩინებული
ბიჭები არიან!

განთ. სთხა. } უნდა უშველოთ.

გაბო. მეც მაგას მოგახსენები! გუშინდელს-აქეთია ფულის
ვაგროებ.

განთ. რამდენი იშოვნე?

გაბო. სანამ არა უჭირსრა, კარგა მიღის საქმე — „კათენა“
შევაგროვე.

სთხა. (გაოცებით). „კათენა“ რა არი?

გაბო. (ხუმრობით). ნუ გეშინიანთ, ნუ გეშინიანთ, ქალი
არ არი, ათ თუმნიანია! (Екатерина Великая) ერთი
წარმოდგენაც რომ გაემართოთ იმათვინ — დწმი ვს
შეაქმნა! მონაწილეობას ხომ მიიღებთ, ხომ ითამაშებთ
სცენაზე?

განთ. სთხა. } დიდი სიამოენებით!

გაბო. Молодцы, спасибо!

განთ. (პარტმენის იღებს და სამ მასწავლებელის აძლევებს). ეხლა ემ
სამი მანათის შეტი არა შაქეს და როცა ვიშოვი, კი
დევ მოგცემ.

სთხა. (ნადგულიანათ). ახ, რა ვენა! მე რომ ათი შაურის მეტი
არა მაქეს? (პარტმენის ბორცმენიდან ათ შაურის ამო-
დებს და გაბოს აძლევებს).

გაბო. (ფულს ართმევს). არა უშავსრა, არა უშავსრა! ესეც
ლუქმაა!, ცე მირ ის ჩიტოცები — ბეჭინი რუბაშეცკა!“
(პაპირობის უკიდებს) აუ-ცე, რა ამბავში ხართ?

განთ. (ნადგულიანათ და ხელის ქნევით). ეხ! ნული იტუვი!

გაბო. რათა, რა იყო?. მამაშენი კიდევ თავისებურათ გამ-
კობს? (აჯანყებს სტეფანეს) „ახъ ვი დურაკъ! ახъ,

ви сацвіалистъ—разбоникъ!“ (განთ და სონა იცხის).

სონა (სიცილით). ეგ რა არის, ახლა ის გაიგოს!

გაბო. რა, ამის საკოლო? (განთს, ხელის ქნევით) ოხ, ეგ რომ გაიგოს ხო, მშვიდობით და მშვიდობით! შენ ანტონინა პეტროვნას გამოესალმე! მგონი კიბიდან გადაგჩხოთ ორთავენი!

განთ. შენა, შენ როგორლა მოჟიხარ დედა მენთან, არ გაწუხებს?

განთ. მაწუხებს, მაკამ ერთ ყურიდან შედის, მეორიდან გაიღის! შენ რა ვიჭირს! იცი დედახემი რეებსა სხადის? — არამდენიც ჩემ სახელზე საიდანშე წერილი მოდის, თუ მე შინ არა ვარ, გააჭეს ზა სხვებს აკითხებს! (აჯაგრებს გეგელას) — „ერთი ჯამიგვთ, გენაცვალე, რუსის მათუშკასაგან ხო არ მოსვლიაო!“ ახლა, იმდღეს მოვატუუფ: დედა, ათი ათას თუმნიანი ქალი მეძლევა, მხოლოთ ძიებ გონჯია და ცალი ფეხითაც კოჭლია, არ ვიცი, შევირთო მეთქი, თუ არა? — თუ შენი რჯულის ქალია, შეიძოთე, გენაცვალოს დედაო! სიგონჯესაც ეშველება და სიკოჭლესაცაო. ორი ხელით პირს დაიბანს, პატარა ფერ-უმარილს გადიკრამს — თან და თან გალამაზდებაო, ფეხსაც დოხტური გაუსწორებსო!

სონა (სიცილით). ხა, ხა, ხა! სუ იგონებს, იგონებს!

განთ. что жъ. se non è vero, è ben trovato! — თუ მართალი არ არი, კარგთ ხოა ნათქვამი!

გაბო. მა რის ადვოკატი ვარ, რომ ტუშილი არა ვთქვი! На то я и юристъ, что-бъ изящно вратъ!

განთ. Слушай, съ твоей адвокатской этикой столкновенія не было еще у твоей матери?

გაბო (თავის ქნევით და სიცილით). ოხ! გუშინ ისეთი ამბავი ჰქონდა, რო!.. ერთი „კლიენტი“ დავითხოვე — „კლიაუზნი“ საქმე მიძლია და არ ავიღეო. დედა

ჩემმა ოომ გაიგო; თავში წაიშინა: მარამ უნდა გაცხოვოს, შვილო?! ადვაკატმა ყველა საქმე უნდა გიარჩიოს, შვილო!.. დედა, მე სეინდისს ვერ გავაქირავდ მეთქი. ოხ! ამაზე ხო უფრო და უფრო შეხტა რეზინის ბურთივითა!—სეინდისიანი საქმე რა არი, უსეინდისო საქმე რა არიო?! ვინც მეტი მოვცეს, იმის საქმეს უნდა მოჰკიდო ხელიო!... ოხლა რა გაცინოთ! იმ დღეს, დედაჩემი ერთ მაჭანკალს ესე ევაჭრებოდა: (აჯაჭრებს კაბელას) „ქა.. ა, ესეთი ნასწავლი, ესეთი მოლაპარაკე ადვაკანტია ჩემი შვილიო, რო ქვას გახეთქამს იმის ლაპარაკიო! მტკუთხან გაამართლებს და მართალს გაამტკუთხებსო!“ — Прелестная реклама! — „არა, გეთაყვა, ორი-ათასთუმნიანზე ნაკლებ ქალს არ შეერთამო!“ მე ჩემ ოთახიდან შემომებს ეგ „აუკუციანნი ტორგი“ და შევძახე: დედა, რა პატარა „ტაქსა“ დაგიდეია, ეკრეი იაფათ ნუ მყიდი, ერთი ათიშოური მაინც მოუმატე მეთქი! ოხ, ლმერთო! O, temporā! O, mores.

სთხ. მე რომ ორი თუმანიც არა მაქს, დედა-შენი რას გეტყვის!?

გაბ. ხო, მართლა დღეს უთხარი: ტუტილად ნუ სცდები, ზარალოვის ქალს ვირთამ მეთქი.

**განთ.
სთხ.** } მერე რა თქვა?

გაბ. რაღას იტყოდა, კინალამ აიოპლეკსიშ უდარი მოუვიდა! პირ-ლია დარჩა და მე აკეთებ გამოვწიო! ახლა, ვიცი, აქ მობრძანდება და გაიმართება ომიანობა! (სიცილით) ხა, ხა, ხა! Вотъ будетъ катастрофа!

სთხ. გაბო, თუ გინდა შენ სიტყვას უკან დაგიბრუნებდე? ხო იცი, დედა-შენი თავს მოიკლამს!

გაბ. (სიცილით). რასა ბრძანებო, ქალბატონო! აღარ მოგწონვარ და მაგას იმიზეზებო? განა გავგონჯდო?

(სარკეში იხედება) არა, ისევ ისე ლამაზი ვარ! (ცხვო-
რზე თითს დაირჩყამს) მხოლოდ ეს ცხვირი აფუ-
კებს საქმესა! ნამდვილი „ბარომეტრია!“ — ცივა ლუ-
რჯდება, ცეცლა — წითლდება! მაინცა და მაინც მა-
რილიანი ყმაწვილი ვარ!

სონა (სიცილით). კარგი, გაბო, ნუ მასხარობ, მე არ გეხუ-
მრები!

გაბო. არ მეხუმრებით! [ნაწ, სერვეზნო?] მაშ აღარ გიყვა-
რვარ? (სეჭდის მდიდ) Вить тебе на! это мнѣ нра-
вится!

სონა (სიცილით). ძიებ მიყვარხარ, მაგრამ...

გაბო (დაარღვევს). Безъ всякихъ „махровъ!“ რახან გიყვა-
რვარ (მდერით) «Все пустякъ, все трянь - трава!»

გაბო. (დიმილით). Оригинальное объяснение въ любви!

გაბო. Все-же, лучшее, чѣмъ банальное.

გაბო. წავიდეთ ჩემ თთახში და იქ მოვილაპარაკოთ.

გაბო. რა, შენ ხაცოლოზე? Bene, bene! подпишемъ смер-
тный приговоръ Степану Иваничу! 0... о! мы съ
нимъ на ножахъ! (გადახ. ცოტა ხეს უკან დერევ-
ნიდან იძმის კაჭუნი და ხმა: დოხტრი შინა ბრძანდე-
ბა? მეორე კარგიდან შემოდის ხიხო და გასძახის: ვინ
ხარ? აქ მოდი).

გამოსმელა გერგე

ნინო და ბაჭი, მერე სტეფანე.

ნინო (ჩქარ-ჩქარა). ვინ გინდა? ჩემი შვილი, დოხტური?
დიახ, ავანტური გახლიას.

ნინო (დაფაურდება). ეხლავე, ეხლავე! ფაიტონი ხო მო-
უვანე.

ბაჭი. რა ფაიტონი უნდა, ქალბატონო, ექვე გახლია, სულ
ორი ნაბიჯი არ არი.

ნინო. უი, დამიდგეს თვალები, ქა! რომელი დოხტური და-
დის „ვიზიტებზე“ უფარტონთ, რომ ჩემმა შვილმა

იაროს?! ხომ პატივი აეყარა! ვინც დაინახამს, რას იტყვის იქნება შენ ჩემი შვილი უბრალო „ფერ-შალი“ გვინია? უი, მომიკვდეს თავი, ქა! დოხტურია, მოსკოვში დაასრულა კურსი! გასწი, წადი ჩქა. რა და ფაიტონი მოიყვანე! (იქით) ექ სულაც არ გაიქცეს და სხვა დოხტური არ მოძებნოს! (ბიჭე) მოიცა, მოიცა! ჩენ ბიჭს მოვაყვანინებ და ფულის მიცემა კი შენ იცი! (გასძახის დერჯანში) ბიჭო! შაქრო! დაყრუვდი, შე არ დასარჩენო?! (გარედან ის-მას სმი: „ბატონო! ბატონო!“).

ნინო. დამი მოხადე ფლავსა და გაიქე ერთი რეზინებიანი ფაიტონი მოიყვანე. ხა, ჩქარა! არ დაიგვიანო, თორე არც მე და არც შენა! (ბიჭე) ჩემი შვილი ცოტა თავ-დაბალია და თუ გეხვეწოს გვერდე მომიჯექ ფაიტონ შიო, შენ კი არ გაბრიყვდე და მართლაომი გვერდე არ გამოიჭიმო?! შენი ალაგი — კოზლაზეა!

ბიჭე (წერნათ). ვიცით, ქალბატონო, ვიცით განა მაგდენიც არ გაგვეგება? შე დალოცვილო, რა დაგვერმართა, ტყიდან ხომ არ გამოვარღილეართ, ხალხში არა ვყოფილეართ, თუ რა არი! სამი წელიწადი ღენერალ-კაცთან ვიდექი, თექვსმეტი თვე — არხიტოხტურთან... (შემოდის სტეფანე).

ნინო (მასარებს). სტეფან ჯან, დოხტურსა კითხულობენ! **სტეფანე** (დაფაცურდება). მაშ რაღასა დგეხარ? არიქა, ჩქარა, ეანოს შეატყობინე! ეე „პიჯაკი“ გაიხადე და ახალი სერთუკი ჩაიცვი თქო! მფა-საყელოც გამოიცვალოს, უთხარი.

ნინო. პრაჩქას გაუწყდეს სახელი! კარგათ რომ არ გაუხამა პერანგი (გადის).

სტეფანე (იქით). ეს არის ხათაბალა, „ზნაჩოკი“ ვერ ვაყიდვინე აქამდინა! (ბიჭე) ვისთანა დგეხარ? სამსახურზე შია შენი „ხაზენინი“ თუ ისე, შინა კაცია?

ბიჭე. რა ვიცი ე „კაკრადა“ კი არ აკრამს ქუდზე და...

სტეფანე. ძიენ არი ავათ? რა სტკივა? ციებ-ცხელება, საოფლეა, ინფლუენცია, რა არი?

- ბიჭი.** აბა მაგისი რა მოგახსენოთ: მაგდენიც რომ მცოდნოდა, ხომ აქ აღარ გიახლებოდი და მე თითონ უწამლებდი!
- სტეფანქ.** მაინც სანამ ავათ იყოს, სულ ჩემი შეილი წაიყვანე ხოლმე, ამან ექიმობა კარგად შეისწავლა. ამისთანა დოხტური ერთიც არ დაიარება ამ კალაქში! ვერცხლის მასკვლავით დასრულა კურსი, მაგრამ გულზე კი არ იკიდებს — ჩემი შეილი სხვასეებ მკერძარა და მეტიარა არ არი! (იქით) ნეტა ჟერეთი იყვეს და ჩემზე ბედნიერი მამა ვიღა იქნება!
- ბიჭი** (საზოგადოებას). ე რა „სორთის“ ხალხს შევეყარე!
- სტეფანქ** (სეამს უდგამს). დაჯერი, შეილო, რასა დკეხარ, დაიღლები. (იქით) უნდა ვეფერო, შეტი რა ჯანია! (ბიჭს) მოდი ერთი სტაქანი «ოტკა» გადაჭერა!
- ბიჭი** (ჭიგათ). გმადლობთ, მე „ოტკის“ „ახორინიკი“ არ გახლოდარ!
- სტეფანქ.** ლეინო?
- ბიჭი.** ლმერთმა ააშენოს ჩემი ხაზეინის ოჯახი, არც ლეინო მაკლია იმი სახლში და არც ოტკა!
- სტეფანქ** (იქით). რა დიდ გულზეა ეს მამაცხონებული! (ბიჭს) მამა-შეილობასა, შენც, რამდონიც შეიძლო, ხმა მიყარ-მოყარე და ვინც ავათ გახდეს, სუ ჩემ შეილთან მოგზავნე ხოლმე! ეს ასეთი დოხტურია, რომ კვდარ გააცოცხლებს!
- ბიჭი** (საზოგადოებას). ვამე თუ კოტხალსა პკლიატ!
- სტეფანქ.** დოხტურ-მედიცინზე მეტი ესმის! ერთი წელიწადი „კნილიკაშიაც“ დადიოდა!.. (საზოგადოებას) მაგრამ, აბა ამ „ტერიას“ რა შევასმინო?!. (შემოდიან ნინო დაჭანო).
- ნინო** (რომელსაც ტანისამოსის ჩოთვი უჭირავს და კანოს ასეფეთავებს), კარგათ ჩაიფუთნე, გენაცვალე, არ გაუვდე. (ბიჭს). აბა წამოდი.
- განთ** მოიცა, შეილო, ფაიტონი მოვიდეს. ჩენ ბიჭს გაუწყდეს სახელი! სად არი აქმდინა? განგებ შრას წავიდოდა — ბევრი „ვიკატალო“.
- ნინო.**

- ბიჭი** (კანოს.). ბატონი, ექვე გახლავს, თვალის დახამხამება—
ზე მიეალთ.
- განო** (გაბრაზებული, დედ-მამას). მაშ რაღას შაცდეინებთი! რახან ახლო ყოფილა, რა ფაიტონი მინდა, ფეხი-
თაც კარგა წაეალ! (ბიჭის) წამოდი.
- სტეფანე** (უკან დასწევს). ბიჭი! ნუ ჩარ სულელი! შენი თავის
პატივი იცოდე! (პირველის იწერს) ახა, ღმერთო! ე რა
ღაბალი ღობეა! (დერეფნიდან ასმის ხშა: „რეზინებისა
ფაიტონი მოვიუჯანე!“ ბიჭი, კანო და ნინო გადიან).

გამოსხლა გეცხედი

სტეფანე მარტივ.

სტეფანე (ჩამოჭდება კუსლოში და ამოოხვრით). ახ! რა ძნელია,
როცა კაცს უხეირო შვილი გამოუვა! დასწევევლოს
ღმერთმა, რა ასულელებთ ეხლანდელ ყმაწევილებს,
ჯერ ვერ ვამივია! სწავლა მქონდეს და არ მოვიხმა-
რო, მთელი ქვეყანა არ გადავაბრუნო მაგ იარალითა?
— მაშ თავი ტანზე რაღათ მაბია, მაშ ადამიანი რა-
ლათა მქინან! (ამოოხვრით) ეხ! ფლავი ვის უდგია და
იშტა ვისა აქვსო! ახ! მიმელო მე სწავლა! კაცო,
სწავლამ უფრო უნდა მომიმატოს ჭკუა, თუ დამაკ-
ლოს? (თავის ქნევით) არ ვიცი, არ ვიცი, ე რა გა-
მოცანაა! შავი და თეთრის გარჩევა. რო არ იცის,
თავის სასარგებლო რაც არი და არა, როცა არგა-
ეგება მაგ უბედურსა, აბა მე რა ვქნა? ჩემ ჭკუას ხომ
ვერ ამოვიდებ თავიდან და მაგას ვერ ჩაუდებ! ეხ!
უბედურ მასკვლავზეა დაბადებული და უბედურიც
იქნება ამინის უკუნისამდე! წყალში გადავყარე, რა-
ლა, წყალში, იმოდენა ფულები!

გამოსხლა გეათე

სტეფანე და გბია

გაბრ. რას დაფიქრებულხართ, სტეფან ივანიჩ? ისევ გეომე-
ტრიულ „სხიოთებს“ აკეთებთ? — ისევ „ორი ათასი
ნალდი — კაკალი თუმანი“ გამოდის ვანოს სწავლა?

სტეფანე. Май синъ Вано дуракъ!

გაბო. რა დროს „მაისია“, სტეპან ივანიჩ, ჯერ აპრილიც
არ დამდგარა!

სტეფანე. კბილების ღრევის მეტი რა იცით ეხლანდელმა ყმა-
წვილებმა!

გაბო. რასა ბრძანებო, სტეპან ივანიჩ, როგორ არ ვიცით—
ბერძნულითა და ლათინურით თავი გამოლაული
გვაქვს!

სტეფანე. ეხ, შვილო! ბერძნულმა და ლათინურმაც ვერა გი-
შველათ-რა! ის კელელს ცერცეი შეაყარე, —შედგება?

გაბო (ჩამოჭდება). მაშ არ მოვწონვართ ეხლანდელი ყმა-
წვილები?

სტეფანე. სუ ერთ თოკზე ხართ ჩამოსახრჩობი თქვე „საცვია-
ლისტებო!“ თქვე „ტალსტოვიჩის!“ გადარეულებო,
თქვენა!

გაბო (სიციადით). ხა, ხა, ხა! ვისი?

სტეფანე. „ვისი“ და სწორეთ ი „ტალსტოვიჩისა!“ ი რო პა-
ტიოსანი კაცი ყოფილიყო, საღლრიდან არ დაით-
ხოვდნენ! „უმნი კაცია, უმნი კაციო!“ და, ბოლოს
გამოვიდა, რომ ქვეყნის ამომგდები ყოფილა! ამბო-
ბენ, დუხაბორებიც მაგან გაავიდო! მეტი—მეტი მო-
უსვენირი ყოფილა რალა! ნეტი ახალგაზდა მაინც
იყვეს და ჯანაბას! კაცი, მგონი, ოთხმოც-წელიწადშია,
ცალი ფეხი სამარეში უდგია და ღმერთს ახსენებს!
Гаваріяйтъ онъ написалъ адынъ книга, што... што...
болъ няту! ძართალია? ви читаль эта книга?

გაბო. ჩეხъ.

სტეფანე. კარგა გიქნია!.. Слишь, პუშკინიჩი სჯობდა მაგას,
არა?.. Скажи мэнэ, пажалуста, ვინ უფრო „უმნი“
და „რაზიტოია?“, ლერმანტოვიჩი თუ შუკსარიჩი?

გაბო. არ ვიცი. ეხ, სტეპან ივანიჩ, ლიტერატურას თავი
დავანებოთ და ახლა თქვენ შვილზე ვილაპარაკოთ!
(იქთ) როგორ დავიწყო?.. (სტეფანე) სტეპან ივა-
ნიჩ! უძოს ერთი რუსის ქალი მოსწონს...

სტეფანე (მიაწ-მოიწევს). რაო?!, „რუსის ქალიო?!

გაბო. დიახ, ძალიან კარგი ქალია, ნასწავლია...

სტეფანე. ბიჭი! ხუშრობ თუ მართლა აშბობ?! (შემოდის კანო).

გაბო. აი თუ არა გჯერათ, თითონ ვანო გეტყვით.

გამოსხლა გეთართები

იგინიგე და განო.

სტეფანე (კანო). აქ მობრძანდი! რას აშბობს ესა: ვინ რუსის ქალი აგიკვიატებია?! რა გინდა, შვილო ჩემგან! ხომ ვერ მომჟლამ, უდანოთ ხომ ყელს ვერ გამომჭრია!

განო (გაბოს). Что, ты уже сказала?

გაბო. Да, такъ, слегка, прозондировала почву.

განო (სტეფანეს). მერე რა არი, რუსის ქალი ადამიანი არ არი?

სტეფანე (საზოგადოებას). მოდი და ელაპარაკე ამას! (კანო) აქიოდა ადამიანია, იმიტომ რჯულზე ხელი უნდა აიღო? შვილებს მამა-პაპეული რჯული და საჩრდებულება უნდა გამოუცვალო?!. რუსის ქალი რომ? შეკირთო, ხომ შვილებიც რუსები გაყოლებიან!

განო (გაბოს). ეხლი რა უპასუხო? Спорить съ нимъ' что-это не важно—глупо! Иѣтъ—такъ надо же кончить, на-конецъ!.. (სტეფანეს) მამა-ჩემო, მე რჯულს არ ვინ-ჩევ: ჩემთვის რუსი, ქართველი, სომები, თათარი, ებრაელი და სხედა, სულ ერთია. კარგი-კარგია, ცუ-ლი-ცულია. თუ თვითონ ადამიანი პატიოსანია, რა რჯულისაც უნდა იყოს!

სტეფანე (ჯერ გარცებით უცქერის და მერე). რათ? რას აშბობს, რა ვქნა? გაგიედა... ა? არა, შვილო, პავლოვცეკის-თან უნდა წაგიყვანო და გიგაზინჯო—ზეით „ეტა-ეში“ ხომ არა გაკლია-რა! თუ შენ თავში დაკრული არ იყვე, მაშ ქრისტე გამიწყრეს! (კანო და გა-ბო იქინიან) Што ви смѣшиша?! што ви балтаишь?! какая ви глупости гаваришь?! што ви училь на университѣ?. зачѣмъ ви училь?! пасльдни кусокъ отнимай и вамъ присилагь, ви дуракъ вишолъ!.. (ზორჯვას იწერს) რა ვქნა, ერა, „ნესხასტია“ ჩემ თავს მოსული!!

გაბა (სიცილით). სტეპან ივანიჩ! ან გовори по русски, ან თქოვი ფრანგული, თორებ მაგ რუსულ ქართულში ენა დაგეწერკებათ!

სტეფანე (ჰირჯვარს იწერს). ახა, ღმერთო! რომელ ერთ გიუს გაუძლო! ორთავენი ერთ „დიშლაში“ არიან შესაბმელნი!

გაბა. საოცარია, სტეპან ივანიჩ: რუსული ლაპარაკი ძან გიყვართ და რუსის ქალი კი. არ გინდათ რძლათა! პრაქტიკა შაინც გექნებათ!

სტეფანე (გაბართებული). დამაყენც, ბიჭო სულთა-მხუთავი: ვით რას მომჩერებიხარ! რა დროს ხუმრობაა!

გაბა. არა, მართლა, სტეპან ივანიჩ: ვანომ რომ რუსის ქალი შეირთოს; რას იზამთ?

სტეფანე. რასა? იმ წამყე თოკს ჩამოვაბაშ და თავს ჩამოვიხჩინბ! ბარე მოვიდეს; ტყვია მესროლოს და ეხლავე გამათაოს! რომ ერთი-ორი მიღლიონი ჰქონდეს მზითვათა, კიდევ გამეგემის ჯანაბას! ფული ყველა ნაკლებულობას გაასწორებს!

გაბა. ჰაი, ჰაი! ორი მიღლიონისთვის ხომ ცოლს გაეყრებით და თქვენც შეირთამთ რუსის ქალსა!

განა (სიცილით). მამა-ჩემო, ძან მეცინება შენზე! ერთი მითხარ, თუ რათ გინდა, რომ მდიდარი ცოლი შევირთო? ჯერ ეს ერთი: ფული შეიჭმება, ქალი დარჩება: მეორეც ესა, მე ხომ იმ უსვინდისობას არ ვიკადრებ, რომ ცოლის ფულით ვიცხოვრო და აბა შენ უფროც რა გერგება?

სტეფანე (ჭერ გაოცებით უცტერის და მერე თავის ქნევით). არ ვიცი, შვილო! არც ამ მთისა ხარ არც— იმ მთისი მე ვამბობ, ხატისაგან თუ ხარ შეჩერებული!

გაბა. წმინდა დავითისაგან იქნება, სტეპან ივანიჩ, წმინდა დავითხასეგან! ხვალვე წაიყვანეთ და ალოცეთ! მგონი „ფინიკულიორიც“ ადის! (შემოდის ნინო, რომელსაც ტერეგრამმა უჭირავს სელში).

გამოხვალვა მთორებელი

იგინიგე და ნინო.

ნინო (ტელეგრამმას აძლევს კანოს). შვილო, ეს დეპეშა შენ სახელზეა. ერთი ჩეარა წიკითხე, გენაცვალოს.

დედა! ჩქარა, ჩქარა! გული მიქანდება! (საზოგადო-
ებას) საოცარია: რამდენიც ტელეგრამმა მოდის, მე
ჩემი მემართება! ამ წყეულში ან სიხარული სწერია
ხოლმე, ან უბედურობაი! (კანთ და გაბო ერთმანეთს
გადახედავენ და „მიმიკათ“ დაშარაჭობენ).

სტეფანე (კანთი). ვისგან არი, საიდანა, რა სწერია? წაიკით-
ხე რაღა? რა ვქნა, კითხვაც არ იცი? ეგ მაინც ვერ
გამოიტანე რუსეთიდანა?

გაბო (იქთ). ვაი ეხლა ვანოს ბრალიცა! მივეშველო, თო-
რებ მთელ მედიცინას დავიწყებენ! (სელს წაჭდავს
განხას) მძლავი-ჯე, ბრატ' მძლავი! დაუმъ სმერთა
не бывать, а одной не миновать! (სტეფანეს და ნინოს)
ეგ ტელეგრამმა გაბლივს ვანოს საცოლოსაგან... (იქ-
თ) ჩაია და დურნი!

სტეფანე. } რაო? «საცოლოსაგანაო?» (მეოდეს უცქერიან გათ-
ხანა. } ცებით)

განხა (ჩმის კანგალით). ხო... ჩემ... საცოლოსაგან არი...
რუსეთში ძიებ მომეწონა... ერთი კარგი ქალი...
შევიყვარე და დავინიშნე...

სტეფანე. } ე რა მესმის!.. (თავზარ-დაცემულები არიან).

გაბო. ეხლა ის ქალი სწერს: „მანთ მოვდივარ ჯვრის და-
საწერათაო“.

სტეფანე. } „ჯვრის დასაწერათა... ეიზე? რუსის ქალზე?!

განხა. ხო... რუსის ქალია...

გაბო. უნდა მოგახსენოთ, ძიებ კარგი ქალია! უმაღლესი
სწავლაც მიიღო; თუმცა მზითევი არა აქვს, მაგრამ
თავის შრომით ცხოვრობს. (შემოდის სონა).

სონა. გაბო, დედა-შენი მოვიდა (შემოდის გეკელა).

გაბო. („მოდრუნგას“ გაუგეთებს სონას) ჩვენც ამ კვირია ჯვარს
დავიწერთ და *flnita la commedia!* თქვენ თქვენ-
თვინ, ჩვენ-ჩვენთვინ!

ფარდა.

აზახი

ფილოსოფია და მისი

პროგრესი

XX

ისტორიული ფაქტები

1 გთხოვთ გიური ზანა.*) მეექვსე საუკუნის დამდეგი, ქრ. შ. წინ, ძველი საბერძნეთის ცხოვრებაში ფრიად შესანიშნავი ხანა იყო. ერთი მხრით, ნივთიერი კულტურის წინ წაწევამ, უცხო ქვეყნებთან აღებ-მიცემობით გამოწვეულმა, და, მეორე მხრით, შინაურობაში დემოკრატიულმა წყობილებამ—საბერძნეთის ახალ შენის, მილეთის **), ერს-დიდი პროგრესიული ძალა შესძინა: სიმდიდრემ მას მიანიჭა თავისუფალი ღრო და მოკალეობა—ეს უსაკიროესი პირობა ყოველი თავისუფალი სწავლა-ცოდნის და, მაშასადამე,—ფილოსოფიისაც; ხოლო დემოკრატიულ წყობილებაში პარტიათა თავისუფალმა შეხლა-შეკამათებამ ადამიანის პიროვნება განავითარა, თავისუფალ მოქმედებას და აზრთა დამთუკიდებლობას ძალა და პატივისცემა შემატა, ინდივიდუალურ ინიციატივას და აზროვ-

*) იხ. „მრამბე“ № IX.

*) ამ თავის შეტენის დროს ჩვენ სახეზი გვქონდა ირი უმთავრესოთხულება: 1) В. Винделебандъ, Исторія Філософії, перев. Рудина, Спб. 1898 г.—და 2) М. М. Филипповъ, Філософія Дѣйствительности. Спб. 1897 г.—ფილოსოფიის ისტორიას პერიოდებათ ჩვენ ვინდელბანდის თანახმ თ ვყოფთ.

**) მილეთი მდებარეობდა მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის პირად.

ნებას ფართე გზა გადაუშალა. თუ ამ ორ გარემოებას იმასაც მივუმატებთ, რომ იონიელ-მილეთელი ბერძენი, — ბუნებით მეტათ მოძრავი და ფხიზელი, ხოლო ხელობით ზღვაოსანი და შორს გამსვლელი ვაჭარი, — მუდამ მოგზაურობაში იყო, საქმე მუდამ ბუნებასთან და მის გეოგრაფიულ პირობებთან ჰქონდა, მისი გონება მუდამ ზღვისა და ხმელეთის მდებარეობას, ჰავის ცვალებაზღობას, მზისა და მთვარის მოძრაობას შეჰყურებდა, — მაშინ ადვილათ შევიგნებთ, თუ: რა იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ მეექვე საუკუნის დამდეგს, ერთი მხრით, ძველმა ტრადიციულმა რუტინამ, გარდოცემით შეთვისებულმა რელიგიურ-მითოლოგიურმა სოფლ-მხედველობამ მოწინავე მილეთელი ბერძნის გონება ვრღარ დაკამაყოფილა და, მეორე მხრით, ეს უკანასკნელი მთლათ-ერთიანათ გარეშე ბუნების ახსნა-გარკვევის სურვილმა შთანთქა, მისი ცნობის-მოყვარეობა. მთლათ კოსმოლოგიურმა პრობლემებმა მოიცვა.

ამ რიგათ, თავისუფალი დრო და აზრთა დამოუკიდებლობა, კერძო აზრისა და კვლევა-ძიების მეტი პატივისცემა, — აი როგორ პირობებში დაიბადა ძველი მილეთური ფილოსოფია; გარეშე ბუნება და მისი მოვლენები, — აი რამ მიიპყრობ ფილოსოფიის უმთავრესი ყურადღება. რა არის ეს გარეშე ქვეყანა, როგორ და რისაგან, რა მასალისაგან, წარმოდგნენ ყველა თვალხილული სავნები, რა საერთო კავშირია ბუნების მოვლენათა შარის და რა საზოგადო დასაბამი უდეგს ძათ საჭიროა? — აი რა კითხუები გაუხდა კვლევა-ძიების მიზნათ ახლად-ფეხ-ადგმულს მილეთურ ფილოსოფიას. და, მერე, რა პასუხი მისცა თავის დროებას და თავის წრეს ამ ახალმა აზროვნებამ?

„უგელაფრის დასაბამი წეალი არის, უგელაფერი წეალი-საგან წარმოდგრა“, — სთქვა თაღესმა,*) და არც გასაკვირია. უკეთუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თალესი იონიაში ცხოვრობდა და მოქმედებდა, უკვე ეს ერთი გარემოებიც საკმაო.

*) ცხოვრობდა 624—560 წწ. ქ. ზ. წინ.

იქნება დავასკვნათ, რომ ამ ფილოსოფოსის შეხედულება
წყალზე, როგორც ყველა საგნების დასაბამზე, იმ დაკვირვე-
ბათაგან უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც მას წერის
და ზღვის შესახებ ჰქონდა გამოცდილი. თალესი ეკუთვნოდა
ზღვაოსან ხალხს, ბავშობიდან. ზღვის შესახები თქმულებანი-
ესმოდა, პატარაობიდანვე ზღვის ბუტ-ბუტს უგდებდა ყურს,
ზღვით მოტანილ საქონელს ჰქონდავდა, მის. ფიზიკურ ძლიერე-
ბას იცნობდა.**) ამას დავუმატოთ ზღვის ნაპირების მისილვა
და ქვიშა-კუნძულების გამოჩენა, ხოლო მდინარეთაგან ნოკიერი
ლაფის მოტანა და წევმისაგან მცენარეთა განაყოფიერება, დავუ-
მატოთ, აგრეთვე, ცხოველების თესლისა და საკვების სისოვლე
და წყალ-მაგვარი თვისებანი, რომლის დაკვირვებაც, არის ტოტე-
ლის აზრით, «ალბათ» თალესს უნდა ჰქონებოდეს, დავუმატოთ
ძველი მითოლოგიური თქმულება ფერნესა და თეტილაზე (რო-
მელთაგანაც, ვითომ, განჩნდა ქვეყნიერობა), — და მაშინ ადვი-
ლათ მივხვდებით, რომ თალესის მიერ მოცემული პასუხი. ზე-
მორე დასმულ კითხვის შესახებ — საკისებით ბუნებრივი იყო და
თავის დროის შესაფერისი.

ამ სახით, კითხვა იმის შესახებ, თუ: რისგან წარმოდგა:
ქვეყნიერობის სხვა და სხვა ნივთებით, პირველმა მილეოთელმა
ფილოსოფოსმა იმ აზრით გადაწყვიტა, რომ ყოველივეს დასა-
ბამი წყალიაო. მართალია, ეს საჭირო სულ მთლათ ახალი
კითხვა არ იყო, რადგან მის შესახებ პასუხს ავათ. თუ კარგათ
ბერძნების მითოლოგია და თეოგონიური პოემებიც იძლევადნენ;
მარა მითისაგან ფილოსოფიური აზრის განსხვავებაც სწორეთ
რმაში გამოიხატა, რომ მაშინ, როცა მითოლოგიური პოემა
ამ საერთო დასაბამს მხოლოდ გაჯერათ იხსნიებდა და ბო-
ტურ სურათებში ახვევდა (ოკეანე და თეტილა), — ფილოსოფია
კი სულილობდა ეს საერთო პრინციპი თავის. ნაწარმოებთა
საფუძვლათ დაედო, მისი. შინაგანი ბუნება გამოერკვია, მისი
ნიშანდობლივი თვისებანი ეჩვენებია. და ამ თვისებათა მიხე-

**) Филипповъ, Философія Дѣйствительности, I, стр. 31.

დეით აესნა ყველა ის ცვლილებანი, რომელიც გარეშე მსოფლიოში ხდებიან. წყალი, მილეთელი ბერძნის წარმოდგნით, უფლის შემძლე, მეტათ ცვალებადი და ოვათ მომრავა დასაბამია: იგი არღვევს ხმელეთს, პეზნის ახალ კუნძულებს (მოსილვა და რიყის გამოჩენა), მას შეუძლია მაგარ სხეულათაც გადაიქცეს (ყინული) და პაერსაც დაემსგავსოს (ორთქლი), უმისოთ არც ერთი მცენარე, არც ერთი ცხოველი არ არსებობს..., — მაშასადამე, წყალია ყოველიფრის დასაბამი, ყველაფერი წყლისაგან წარმოდგათ. ის, როგორი სოფლმხედველობა შეიძუშავა პირველმა მილეთურმა ფილოსოფიამ. მან, თალესის პირით, პირველმა დასვა სპეციალური კითხვა ქვეყნის პირველ-დასაბამის და ამისი არსებთა თვისებების შესახებ და შემცადა, რამდენათაც შეეძლო, ამ დასაბამზე გარკვეული წარმოდგენა, განსაზღვრული „ცნება“ შეედგინა: ეს ცნება მდგრადრეობს იმაში, რომ ქვეყნიერობის დასაბამი, მისი პირველ-ყოფილი მასალა ყოვლისშემძლე, თვით-მომრავი და უფლის-შემცველი დასაბამია. — ამავე გზას გასდია, თალესის თანამედროვე, მილეთის მეორე ფილოსოფოსმა, ანაქსიმანდრემ, რომელმაც ეს ცნება კიდევ უფრო გააფართოვა, ერთი ახალი თვისება მიუმატა. მისი აზრით, ყოველიფრის დასაბამი არის ის, რასაც მან «უსაზღვრო და დაჭსულებელი» უწოდა.*). — ამნაირათ გადაკეთებულ ცნებას მილეთის მესამე ფილოსოფოსმა, ანაქსიმენდრე, ბუნებაშივე შოუნახა. შესაფერი სხეული — «პაერი», რომელიც ახლა აღიარებულ იქნა ყველა სხეულების დასაბამათ.

ამ რიგათ, ბუნება და ბუნების მოგლენაობა გარკვებება ბუნებაშივე გამონახულ დასაბამით, — ის რა გზას დაადგა პირველიდან მილეთელ მოაზრეთა ნატურ-ფილოსოფია; მათისა და ფილოსოფიის გათაშება, აზროვნებისაგან მითოლოგიური

*.) ანაქსიმანდრის ზოგი თარგმნის სიტყვით: „безпредъявное.“ (Филосовъ, вол. сіт стр. 34), — ზოგი კი: „безконечное“ (Виндельбанда, Исторія філософії, стр. 29—30), ჩვენ აქ თრივე თარგმანი დავიცევით.

საბურველის თანდონი ჩამოცლა, — აი რა შედეგს მიაწია მან. ამაშია დამარხული ამ. ფილოსოფიის ისტორიული ღირსება, ამაშია მისი პროგრესიული ნაბიჯი. აქ ფილოსოფიურმა აზრმა ჰირგელზო გაიმარჯვა ზღაპარ-თქმულებაზე, ინდივიდუალურმა გონებამ საერთო რუტინაზე, ცოდნამ უმეტესებაზე.

მარა, როგორც დავინახეთ, ეს ფილოსოფია მთლათ გარე-შე ქვეყნის ორგვლივ ტრიალებდა, მისი კვლევის საგანს გარეშე მსოფლიო შეადგენდა; თვითონ ადამიანისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ კი იგი არას ამბობდა. ამავე გზას ადგა ფილოსოფია შემდეგში სხვა ფილოსოფიურ შკოლებშიაც. ასეთი იყო შკოლა ელკატების, შკოლა პითაგორელების და ატომისტური შკოლა ლევკიპისა. მათი განსხვავება იმაში გამოიხატებოდა, რომ მაშინ, როცა ერთი მათგანნი სცლილობ-დნენ გარეშე ქვეყნიერობის მოვლენათა შორის არსებული დამოკიდებულებანი გაერკვიათ და ამ დამოკიდებულებათა შორის საერთო წეს-რიგი და საყოველთაგან კინონი აღმოე-ჩინათ («ყოველივე მიმღინარეობს» — ჭერა კლიტი; ყოველივე რიცხვიათ — შითაგარდები), — სხვების მიზანს კი ამავე ქვეყ-ნის შემაღენელ ელემენტების და მამოძრავებელი მიზეზების გამონახვა შეადგენდა («მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლია ემპედოკლისა, ხიცვარული და სიძულილი» მისივე, და მსოფ-ლიო „გონება“ — ანაქსიაგორისა). როგორც ამ ელემენტების შემაერთებელი და მომაძრავებელი ძალები, — და «ატომები» ლევკიპისა). ხოლო საერთოთ ყველა ამ ფილოსოფიურ მიმარ-თულებათა (შკოლათა) საგანი ერთი და იგივე იყო — გარეშე მსოფლიო და მისი კვალებაზი მოვლენები. ეს, ფილოსოფიის კოსმოლოგიური ხანაა, აქ ანტროპოლოგიურ კითხებს ადგი-ლი ან სულ არა აქვთ, ან-და ძალიან მცირე აღავი უჭირავსთ.*)

*) ერთად-ერთი ფსიხოლოგიურ — გნოსეოლოგიური საკითხი, რო-მელსაც გაკვრით შეეხენ ფილოსოფოსები ამ პერიოდში, იყო კითხვა იმის შესახებ, თუ საიდან ჩნდება ადამიანში ცოდნა, როგორ ჩნდება იგი და რა დამოკიდებულებაა აზროვნებასა და გრძნობა-შემეცნებათა შორის; რომელს უფრო დაეჯერება — აზროვნებას, თუ გრძნობებსაო. — ამ საგნის შესახებ იხ. ვინდელბანდ, ისტორია ფილოსოფია, § 6.

2.— ანტრაქშოლოგიური ხანა.— მარა, აგერ, ბერძნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ფრიდ შესანიშნავი მოვლენა ხდება. ბერძნები თავის საშიშარ მტრებზე, სპარსელებზე, იმარჯვებენ. ამ ბრძოლაშ და მერე სახელოვანმა გამარჯვებამ საბერძნეთის ერს ნაციონალური გრძნობა გაუძლიერა და განუმტკიცა.*) ამავე მოვლენამ საბერძნეთის ცხოვრების დედამარლვი პერიფერიებიდან (მილეთი, ელეა და აბდერი) ცენტრებისკენ გადი- ტანა (ათინა, სპარტა), ამას თან მოყვა მთელი ერის პოლი- ტიკურ-გონებრივი მომწიფებაც. გარეშე და შინაურ განსაც- დელთა შორის გამომწვარ-გამობრძმედებულმა ერმა ძევლი ტრადიციების რწმენა და კარგა და ცოდნისა და ხელოვ- ნების ფასი შეიგნო. ახლა იგი მეცნიერებისაგან მარტო ტეო- რეტიულ ცოდნას როდილა ჯერდება, არამედ საჭირ-ბოროტო კითხვების პასუხს მოითხოვს, იმ ეჭვების შემსუბუქებას გამოვ- ლის, რომლებშიაც შთააგდო იგი ამ ციებ-ცხელებისებურმა სრბოლამ კულტურულ განვითარებისამ.... ხალხის უმრავლე- სობაში სამეცნიერო გამონაკვლევთა შეთვისების სურვილი დატრიალდა...>; **) შეკითხვამ შეძლევა გამოიწვია და, აი, ჩვენ ეხედავთ, რომ მცოდნე კაცები (სოფისტები) შკოლებს თავს ანებებენ და საზოგადო ასპარეზზე გამოდიან. ახლა იგინი აერცელებენ ხალხში მას, რაც თვითონ მეცნიერებით შეიძინებ; დღეს იგინი ხალხის მოძღვარნი შეიქნენ. «ამის შე- დეგი ის იყო, რომ გვირე ხნის განმავლობაში არა თუ მარტო მეცნიერების სოციალური მდებარეობა მეიცვალა, არამედ მი- სი შინაგანი არსება, მისი ტენდენცია და საგანიცა.***) შმარ-

*) აი მოკლე ხრონოლოგია ბერძნ-სპარსელთა ომებისა: 490 წელს, 12 სექტემბერს, მარათონ ზი ბერძნები დარიოზის ჯარს ამარცხებენ; 480 წელს 20 სექტემბერს, სალამინის ახლო ბერძნების ფლოტი ქსერქსის ჯარზე იმარჯვებს; ხოლო მეორე წელს (479) ბრძოლანი 3 ლატეას თან და მიკალეს თან სამუდამოთ ათავისუფლებს ბერძნებს სპარსელებისაგან.

**) ВИНДЕЛЬБАНДЬ, Ист. Философия, стр. 58—59.

***) იქვე, გვ. 59.

თველობის დემოკრატიული ფორმა პოლიტიკურ მოღვაწე-
თაგან თავდაპირველათ მშეგრძელებას მოითხოვდა. სოფი-
სტებსაც საზოგადოებამ სწორეთ ამისი ცოდნა მოსთხოვა და
იგინიც ჰეტარავის მასწავლებელი შეიქნენ. ამან კი ფილო-
სოფია გარეშე ბუნებას მოგლიჯა და მისი გვდევის საგნათ
თვითონ ადამიანი გახადა. მჭევრ-მეტყველება ხომ ხელოვნებაა,
რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ორატორი სიტყვის
საშუალებით მსმენელთა გრძნობასა და გრძებას ამოძრავებს,
მათს ნებეფობას მარნავებს და იტაცებს. მაშასადამე, კარგი
ორატორისთვის საჭიროა იცოდეს, რა: როგორ ჩნდებან
და რა კანონებს ემთხვილებან ადამიანის აზრები და მის-
წრაფებან, როგორ ებრძეიან ერთმანეთს და ერთი-მეორეზე
იმარჯვებენ. და, აი, სოფისტებმაც იდამიანის ამ მხარეს შიაქ-
ციეს ყურადღება, მათი კვლევის საგანი აღამიანის შინაგანი
მხარე შეიქმნა. ამას ზედ დაერთო სოციალურ-პოლიტიკური
და ზნეობრივი საკითხები, რომელთ წამოუნება პირდაპირი
შედეგი იყო შეცვლილი პოლიტიკური პირობებისა. შინაგან
პოლიტიკურ ცვლილებათა მოწამე ბერძენი დღეს უკვე სხვა
სახელმწიფოებსაც ვაყცნო, ჰპოვა იქ სრული სხვა-და-სხვაობა
პოლიტიკურ და საზოგადოებრივი წყობილებისა,—და, აი, ახ-
ლა იგი, თავის საზოგადო დაწესებულებებში დებატების დროს,
თამამათ სეამს კითხვას: „უკვლეასათვის სავალდებულოა თუ არა
ამა და ამ კანონის გინდ ჩეკულების ასრულება და, თუ სავალ-
დებულოა, მაშ რა საბუთის ძალით და მნიშვნელობითო?“ ან
კიდევ: „საიდან წარმოდგნენ ეს კანონები, ვისი დაწესებული
არიან იგინი და აქვს თუ არა მათ სამუდამო მნიშვნელო-
ბათ?“ —ერთი სიტყვით, თანამდროვე ცხოვრებამ სოფისტებს
ორნაირი საკითხი წამოუყენა: კითხვა ფსიხოლოგიურ-გნოსე-
ოლოგიური და კითხვა სოციალურ-მორალური. არსებობს თუ
არა იმისთანა აზრები და შეხადულებან, რომელნიც ყველა-
სათვის სავალდებულონი იყონო, —ამბობს პირველი კითხვა. არ-
სებობს თუ არა იმისთანა დაწესებულება, კანონი გინდა ზნე-
ჩეკულება, რომელნიც ყოველი ადამიანისთვის სავალდებულონი

იყონო, — ამბობს მეორე. ერთი სიტყვით, არსებობს თუ არ უგელა ადამიანისათვის საგადღებულო რამე, არის თუ არა საეფელთაგა ჭეშმარიტებათ?

ორიე საკითხზე, როგორც სოციალურ-მორალურზე, ისე გნოსეოლოგიურზე სოფისტებმა მეტათ უკიდურესი აზრი წარმოსთვეს. პოლიტიკურ-მორალურ სფერაში, ჯერ, მათ აღიარეს, რომ ყოველი კანონმდებლობა იდამიანის გამოვლილია ძლიერთაგან უძლურთა დასამონავებლათ და მოსაწველათაო, — და თუ კი რამესა აქვს სამუდამო და საყოველთავო მნიშვნელობა — ეს ადამიანის „ბუნებრივი“ მთხოვნილებებს და არა ხელოვნურათ შექმნილ წეს-კანონებსაო (პროტაგორი); „ბუნება“ კი უგელასათვის თხნისწილ უფლებას მოითხოვს, მაშასადამე „ძირს“ წოდებრივი პრივილეგიები, ძირს მონობა და ქონებრივი უთანასწორობაო! (ლიკოფრონი, ალკიდამი და თალკი). მაგრამ სოფისტიკა ამ დასკვნებზე არ შეჩერდა. ის დებულება, რომ ყოველი კანონი ადამიანების გამოვლილია, მან ზეობრივ სფერაშიაც გადაიტანა და არხელაის პირით საყოველთაოთ-აილირა, რომ არამც თუ მხოლოდ პოლიტიკური კანონები, არამედ თვით იგეთი ცნებებიც კი, როგორიც არის, მაგალითად, «კარგი» და «ცუდი», «სანაქებო» და «სამარცხვინო», ეს დასართავი სახელებიც კი აღამიანთა დაწესებულების ნაყოფია და, მაშასადამე, ყოველი მორალური მსჯელობაც დროებითაა და შედარებითიო. — რაც შეეხება გნოსეოლოგიურ საკითხს, სოფისტებმა იგი რამოდენიმე კერძო კითხვებათ დაჟუცეს და ყველა კითხვებზე უკიდურესი შეხედულება გამოთქვეს. შეიძლება თუ არა ადამიანმა გარეშე ქვეყნის გინდ საზოგადოებრივი ცხოვრების მოელენები და საგნები სრული სინამდგილით შეისწავლას და შესწავლილი აგეთივე სინამდვილით სხვებს გადასცესჲ? — ჲკითხულობენ სოფისტები და აირე პასუხს იძლევიან. «ადამიანის გარეთ არაფერი არ არსებობს, — ამბობს გრადეუსი, — და თუნდ რომ კიდევაც არსებოდეს რამე, მისი შესწავლა ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა, რაღაც აზრით-წარმოდგენილი ყოველთვის სხვაა, ვინემ ჩვენ

გარეთ ორსებული სინამდვილეო,—და, უკანასკნელ, თუნდ
შესწავლა კიდევაც შესაძლო იყოს, შესწავლილის გადაცემა
მაინც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ყოველ კაცს თავთა-
თავისი წარმოდგენა აქვს და საეჭვოა, რომ ჩვენს გარდანაცემს
ჩვენსავით გაიგებენო —*) ხოლო მეორე სოფისტი (პროტაგორი)
სვამს კითხვას: როგორ ჩნდება ადამიანის გონებაში გარეშე
მოვლენათა ცოდნათ და არის თუ არა მაში ისეთი რამ, რაც
ყველა ადამიანებისთვის თანაბრათ სავალდებულო იყოს და
კეშმარიტია? პასუხი: ადამიანის ცოდნა ორმაგი მოძრაო-
ბის შედეგი — ადამიანის ორგანიზმის და გარეშე ნივთე-
ბის მოძრაობისით. გარეშე ნივთების მოძრაობას ეგებება და
ხედება ადამიანის შინაგანი მოძრაობა, და ამნაირათ ჩნდებიან
შთაბეჭდილებანით. აი ამ შთაბეჭდილებათაგან შედგება მთელი
ჩვენი ცოდნა. შეგრამ სწორეთ ამ ორმაგი მოძრაობის ბრალია,
რომ როგორც ჩვენი შთაბეჭდილებანი, ისე ჩვენი ცოდნაც
არ არიან მთლათ ისეთნი, როგორიც გარეშე ნივთებით.
ამისგამო, ცხადია, თვითეულმა ჩვენებანმა ეს ნივთები იდის
არა ისე, როგორც ისინი ნამდვილათ არსებობენ ჩვენს გარე-
შე, არამედ იმ სახით, რა სახითაც ისინი ჩვენ გვეჩვენებიან და,
კერძოთ, იმ წუთში, როცა ჩვენ მათგან შთაბეჭდილებებს
ელებულობთ; ყველა ნივთების საზომი აღამიანია *) და,
მაშასადამე, არ არის ისეთი ცოდნა, რომელიც ყველასათვის
თანაბრათ სავალდებულო იყოს და კეშმარიტით.

აი, რა უკიდურესობას დაადგა სოფისტიკა თავის არსე-
ბობის ბოლო ხანებში, როცა პირველათ გაისმა ღონიერი
ხმა „ათინელი ბრძენისა“, **) რომელმაც სოფისტების უპრინ-
ციპობას წინ-დაუყენა მტკიცებ დანდობა აღამიანის გონებისა-

*) ი. ВИНДЕЛЬБАНДЪ, Истор. Философії, стр. 81.

**) „Человѣкъ есть мѣра всѣхъ вещей: существующихъ, что они
существуютъ, не существующихъ, что они не существуютъ“. პროტა-
გორი. ი. ФИЛИППОВЪ. Философія Дѣйствительности, стр. 155.—შეადარე
ВИНДЕЛЬБ., стр. 83.

**) სოკრატი ცხოვრობდა 469—399 წ. ქ. შ. წინ.

დმი და ურყეველი რწმენა საყოველთავო კეშმარიტების არსებობისა; მან სახალხოთ გამოაცხადა, რომ ყველასთვის საფალ-დებულო კეშმარიტება ნამდვილათ არსებობს და კკუა-გონებაც კაცი იმიტომ აქვს მინიჭებული, რომ ეს კეშმარიტება გამონახოსო. ეს კეშმარიტება ნაწილ-ნაწილათ ყველა კერძო აღამიანების აზრებში და წარმოდგენებში არის გაბნეული, მაგრამ მთელი თავისი სისავსით იგი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა ამ კერძო პირთა აზრებს და წარმოდგენებს ერთი მეორეს შევუდარებთ, ერთმანეთს შევაჯახებთ და გამოვაკამაოებთო. ეს გამოკამათება ცხადათ დაგვანახებს, თუ: რა არის ამ სხვა-და-სხვა აზრებში ერთმანეთის მზგაցსი, რა არის მათ შორის საერთო და, აი, სწორეთ ეს საერთო იქნება ის ყველასათვის საფალდებულო ცოდნა, ის საყოველთა-გო ჭეშმარიტება, რომელსაც ასე თავსედურათ უარპყოფენ სოფისტები. ამ რიგათ, კერძო ბზრ-წარმოდგენათა შედარებით საზოგადო ცნებათა შემუშავება, აი, რა გზას დაადგა ფილოსოფია სოკრატის წყალობით. ეს გზა არის გზა ინდუქციისა, ე. ი. წმინდა სამეცნირო გზა კვლევისა. ის პირველათ სოკრატმა მიაგნო და, ამ მხრით, მისი ღვაწლი ფილოსოფიის წინაშე სამუდამოთ დაუვიწყარი იქნება. მართალია, ინდუქტიური მეტოდი იმ სახით, რა სახითაც მას სოკრატი ხმარობდა, მეტათ სუსტი იყო და მეცნიერებისათვის არ კმაროდა, — მართალია, სოკრატის შეხედულება თეით სწავლა-ცოდნის საგან-ზე მეტათ ცალმხრივი იყო და უკიდურესი, *), — მაგრამ ამ მეტოდის სალოლიკო და გნოსეოლოგიური მნიშვნელობა კი ყოველ ეჭვს გარეშეა. სოკრატმა „სამუდამოთ განმარტა, რომ მეცნიერების მიზანი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რათა ფაქტების შედარებით საზოგადო ცნებები დადგივინობათ“ **).

*) სოკრატის აზრით, ნამდვილი ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც გარეშე ქვეყნიერებას იკვლევს, არამედ ის, ვინც ესწრაფვის თავისი თავი შეიგნოს. და ადამიანის დანიშნულება გაარკვიოს და აღასრულოსთვის აქედან მისი დევიზი: თუ გსურს ბრძენი იქნე, «იცან თავი თვისით».

**) ვინდელბანდ, ისტ. ფილოსოფია, стр. 88.

8.-დიდი სისტემების ხანა. როგორც დავინახეთ, სოკატის დროს ელლინთა ფილოსოფია, თავის საგნის მხრივ, თითქმის სრული წინააღმდეგი აღმოჩნდა იმისი, საიდანაც მან თავისი გზა დაიწყო. ამ პროცესის ბოლომ (ან ტრაპოლოგიამ) უაჭრყო მისი დასაწყისი (კოსმოლოგია). და მოსალოდნელი იყო, რომ ამას იქით ფილოსოფიას წასასვლელი გზაც აღარ ექნებოდა... მაგრამ,—სჩანს, აგეთი ყოფილა მისი განვითარების კანონი,—ფილოსოფია აქ არ გაჩერდა, მან ერთი კიდევ გადახედა გავლის გზას და, დასასრულ, შექმნა სამი დიდებული სისტემა, რომელთაგან თვითეული თითქმის ყველა წინააღლუ ფილოსოფიურ პრობლემათა სინტეზს წარმოადგენდა. ამ სისტემებმა სამუდამოთ წამოაყენეს და შემოხაზეს ყველა ის საკითხები და პრინციპები, რომელიც შეადგენენ უმთავრესს საკითხებს და ქვაკუთხედს ყოველ-გვარი ტიპის ფილოსოფიური აზროვნებისას, მატერიალისტური იქნება ის, იდეალისტურ-მეტაფიზიკური, თუ ევოლუციონური, ეს სისტემებია: სისტემები დემოკრიტისა, პლატონისა და ორისტოტელის.*) პროველი წარმოადგენს მატერიალისტურ-მეხანიკურ ტიპს ფილოსოფიური სისტემებისას, მეორე—იდეალისტურ-ტელეოლოგიურს სოფლმხედველობას და მესამე კი—ამ ორივე სისტემათა პრობლემების ნამდვილს ბუმბერაზულ შეერთებას, ერთი საზოგადო აზრით გამსჭვალულს, განვითარებას, ევოლუციის (ენტელეზია) პრინციპით განათებულს მოძღვრებას. ამავე დროს ეს მოძღვრება იყო უუსრულესი განხორციელება ელლინურის აზროვნებისა და საბოლოვო დაგვირგვინება. „ელლინური კულტურის თეიო-ცნობიერების.“

4. ბერძნულ-რომაული ფილოსოფია. მართალია, ორისტოტელის ფილოსოფიაში ელლინური კულტურის არსებოთი მხარეები განხორციელდა, მაგრამ ეს განხორციელება სწორეთ

*) დემოკრიტი ცხოვრებდა 460—360 წ. ქ. შ. წინ; პლატონი—427—347 წწ. და მისი სახელოვანი მოწაფე არისტოტელი კი 884—322 წ.

ელლინთა კულტურის და პოლიტიკური თვით-არსებობის დარღვევის წინა-წლებში მოხდა. შინაურ სოციალურ და ქონებრივ უთანასწორობით და, თითქმის გამუდმებული, საურთიერთო ბრძოლით მოქანულ-მოღალულმა საბერძნეთის რესპუბლიკებმა ახლად აღორძინებულ „ჩრდილოელ თვით-მპურობელთა“ შემოტევას ვეღარ გაუძლეს და 338 წელს ქრ. შ. წინ ძველი სახელოვანი საბერძნეთი ფილიპე II მაკედონელის ქვეშერდომი შეიქნა. *) მაგრამ „სწორეთ თავისი პოლიტიკური დაცემით აღასრულა ელლინთა ნაციამ თავისი კულტურული მისია. გვირგვინოსანმა მოწაფემ ყველა ფილოსოფოსებზე უმეტესად მომწიფებულის ფილოსოფიოსისამ, **) თავისი უძლეველი მარჯვენით ელლინთა კულტურა აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში შეიტანა და გააბატონა, ხოლო ხალხთა იმ ბუმბერაზული შერევის წყალობით, რომლის დასაწყისი თვითონ აღექსანდრემ დასდო. და რომელიც მისმა მემკვიდრეებმა დააჩქრეს, — ბერძენთა განათლება მთელი ძეელი ქვეყნის საკუთრებათ გახდა“. ***) შემდეგში კი, როცა აღექსანდრეს სამეფოს ნანგრევებზე რომაელებმა ახალი მსოფლიო იმპერია ამართეს, ეს განათლება იმ იმპერიაში ერთ უმთავრეს ძალათ შეიქნა, ხოლო იქიდან მთელს კაცობრიობასაც გაღმოეცა. ასე მოხდა ამ ორი დიდი ქვეყნის, ორი სხვა-და-სხვა კულტურის შეჯახება: აღმოსავლეთისა და დისავლეთის. და სწორეთ ამ ორ კულტურათა არსებითის სხვა-და-სხვაობით უნდა აისხნებოდეს ის მოვლენა, რომ ელლინთა მეცნიერება ვრც იქმნა რომის ქვეშერდომთა მიერ სავსებით შეგნებული და შეთვისებული. აქ ორივე სოფლ-მხედველობა ერთმანეთში აირთა, ერთმანეთში გაიქნა და გაითქვეთა. ეს პროცესი დაიწყო რელიგიურ და

Филипповъ, Философія Дѣйствительности, стр. 432 - 442: Соціальныи и умственныи кризисъ въ греческомъ мірѣ.

**) აღექსანდრე III მაკედონელი იყო მოწაფე არისტოტელისა.

***) Винделъбандъ, Исторія Древн. Философіи. Спб. 1893 г., стр.

ფილოსოფიურ მოძღვრებათა შექმნა-შეერთებით *) და, უკანასკნელ, იმ უმთავრეს მოძრაობაში გაიღესა, რომელსაც ქრისტიანობა ეწოდება. ამ პროცესის უკანასკნელ ხანათ უნდა ჩაითვალოს მე-IV და მე-V საუკუნეების ქრ. შ. შემდეგ, როცა რომის იმპერიამ ეგრეთწოდებულ „ხალხთა დიდი გადმოსახლების“ გამო, ბარბაროსთა შემოსევის წყალობით, საბოლოოდ სული დაღაფა (476 წ.) და, ამავე დროს, ბოლო მოედო უკანასკნელ ათინელ ნეოპლატონიკთა ფილოსოფიასაც **).

ნ. საშუალო საუკუნეები და სხდომის ტიპები. დაეცა რომ მის იმპერია და მასთან ერთათ. სრული განადგურება მოელოდა ბერძენ-რომაელთა გონებრივს ნაწარმოებსაც, რაღაც ის ნახევრად უელურნი ხალხნი, რომელნიც დღეს რომის ნანგრევებზე გაბატონდნენ (ოსტგოთები, ვანდალები, ჰუნები, ფრანკები და სხვანი), სრულებითაც არ იყვნენ დაინტერესებულნი და მომზადებულნი ეს ძვირფასი გონებრივი საუნჯე შეეგნოთ და შეენახათ. თეოთონ ძველი ცივილიზაცია კი იძლენათ დასუსტებული იყო შინაური განხეთქილებით, რომ მას აღარ შეეძლო საკუთარი ძალლონით ეს „ველური ბატონები“ მოელოდ და დაემორჩილებინა. ერთი სიტყვით, სრული მოხალოდნელი იყო, რომ მთელი ეს ათასის წლის გონებრივი ნამოლვაწევი დღეს თუ ხეალ სამუდამოთ აღიავებოდა პირისაგან ქვეყნისა... მაგრამ, სწორეთ იმ დროს, როცა ძველი იმპერია ეცემოდა, ამ უკანასკნელში აღორძინდა ერთი ახალი ზნეობა.

*) ასეთი იყო, მაგალ., ფილონის ფილოსოფია, რომელიც წარმოადგენდა ებრაოლთა თეოლოგიის და პლატონის ფილოსოფიის ნარევს; აგეთივე იყო, შემდეგში, ალექსანდრიული, სირიული და ათინური ნეოპლატონი მიზანი. იყო რომის იმპერიის ყველა სარწმუნოებათაგან შექმნა ერთი განსაზღვრული და ფილოსოფიურ საფუძველზე დამყარებული რელიგიური სისტემა ყველა ხალხთა, დროებისა უასხელმწიფოებისათვის.

**) პირველი ალექსანდრიელი. ნეოპლატონიკი პლოტონი ცხოვდა 204—269 წ., ხოლო უკანასკნელი ათინელი ნეოპლატონიკი პროკლი † 485 წ.

რივ-სოციალური ძალა, რომლის წინაშე მუხლი მოიღრიკეს ჩრდილოელმა ბარბაროსებმა, და რომელმაც დაიხსნა და დაიფარა შორეული მომავლისათვის კულტურული საუნჯენი წარსულისა. ეს ძალა იყო ქრისტიანთა გვერდებისა.

საშუალო საუკუნეებს, ჩვეულებრივ, ევროპიულ ხალხთა აღზრდის ხანის ეძახიან და, რაგინდ სხვა მხრივ ძალიან ბევრს ნაკლულევანებებს უჩვენებდნენ ქრისტიანობრივს სარწმუნოებასა და ეკკლესიაში, ერთის მხრით კი მოუსყიდველის მკვლევარისათვის სამუდამოდ ეჭვ-დაუდებელი დარჩება ის საოცარი ფაქტი, რომ უბრალო გალილეველ მეთევზეთა მიერ „გავრცელებულმა ქრისტეს მოძღვრებამ შესანიშნავის ძლიერებით შესძლო, საშუალო საუკუნეთა დასაწყისში, ახლად გამომტკიცრალ ევროპიელ ხალხთა მორბილება და ხაერთო „აღზრდისათვის“ მომზადება. „რაც ვერ შესძლო სახელმწიფომ და მეცნიერებამ, შესძლო რელიგიამ. ფაქიზი ხელოვნების ნაწარმოებთა და სამეცნიერო კვლევათათვის მიუწდომელნი გერმანელი ხალხები სულის სიღრმედე შესძრა სახარების მარტივმა, მაგრამ დიდებულმა, მოძღვრებამ. ამის გამო, მხოლოდ სარწმუნოებრივის ზედგავლენის საშუალებით შეიქნა შესაძლო ევროპის ხალხთა მიერ ძველი სწავლა-მეცნიერების შეთვისება; მხოლოდ ეკკლესიის შემწეობით გაეცნო ახალი ქვეყანა ძველ ქვეყანას“.*).

ასე დიიწყო საშუალო საუკუნეები (V—XV), რომელთ უკანასკნელ პერიოდს ფილოსოფიის ისტორიაში სხოლასტიკის ხანას უწოდებენ. — მართალია, მთლად ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ფილოსოფიას ახალი აღარა გაუკეთებია რა, რადგან, როგორც ზემოთა ვთქვით, ევროპიელი ხალხები ამასთაბაში ეკკლესიის შემწეობით მომზადებასა და გონებრივ-ზნეობრივს აღზრდას უნდებოდნენ, — მართალია, ფილოსოფიური აზრი ამ ხანად მეტად შეხუთული იყო და თავისუფალ მსვლელობას მოკლებული, რადგან თეოლოგია, რომ-

*.) ი. Винделъбандъ, Истор. Философія. стр. 241—242.

ლის „მოახლედაც“ ახლა იგი აღიარეს, ევროპიელ ხალხთა მოუმზადებელ გონებას ძველი ფილოსოფიიდან მხოლოდ იმას აწვდოდა, რისიც მონელება ამ გონებას შეეძლო და რაც ოვითონ ეკულესიას ჰქონდა შეთვისებულ-მიღებული (ავგუსტინეს წყალობით*), — მართალია, ყველა ეს აუცილებელი გარემოებანი მეტათ უვარების პირობებს წარმოადგენდნენ ფილოსოფიური აზრის თავისუფალ განვითარებისთვის; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველსფერს თავისი დრო გააჩნია და საზომი და, ამ აზრით, ყოველივე შედარებითია, და დროებითი; სწორეთ ასეთივე დროებითი გამოდგა ფილოსოფიაზე თეოლოგიის ბატონობაც.

უკვე ჯვაროსანთა ომების წყალობით, რომლებიც შუა საუკუნეებშივე დაიწყო და გათავდა, დასავლეთი კვლავ აღმოსავლეთს უახლოვდება და რამდენათმე არაბებისაგან შემუშავებულს მეცნიერებასა (მედიცინას, ბუნების-მეტყველებას) და არისტოტელის სწავლა-მოძღვრებას ეცნობა, — ხოლო საშუალო საუკუნეთა უკანასკნელ ხანებში რომის იმპერიის ნანგრევებზე ამართული ფეოდალიზმი და რომის ეკალესის ბატონობა, ახალი წყობილების, ქალაქთა განვითარების წყალობით, თანდა-თან თავის მიუწვდომელ ძლიერებას ჰყარგვენ, რასაც ფილოსოფიაში თან მოსდევს საერთო ელემენტის გამდიერება და დაგთის-მეტყველების განსაკუთრებულ ბატონობის დასუსტება.

6. ახალი დროება და ფილოსოფია (XV—XIX ს.ს.). საშუალო საუკუნეების დამლევს ფილოსოფია თან-და-თან აღწევს თავს თეოლოგიის სასტრიკ ბატონობას, მე-XV-XVI საუკუნეებში იკრებს ძალას ანტიკური ხელოვნებისა და მეცნიერების აღთრმინებათ (რენესანსი) და უმზადებს ნიადაგს იმვრცელს ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებითაც ისე მდიდა-

*) ავრელი ავგუსტინე ცხოვრ. 354—430 წწ.

რია მე-XVII და მე-XIII საუკუნენი. *) — კერძოთ, ამ ორი საუკუნის განმავლობაში, უკვე საკმაოთ განთავისუფლებული გონება ევროპიელისა განსაკუთრებულ ყურადღებას ჯერ ახალი შეთოდების გამდნახდას აქცევს, **) რამოდენათმე სესხულობს მათ საბუნების მეტყველო მეცნიერებისაგან (კეპლერის, გალილეისა და ნიუტონის ზედ გავლენით), — და თუმცა დროებით წარმოშობს ბეკონისა და დეკარტის ნახევრად უსუსურ-დოლმატიურ ემპირიზმსა და მეტაფიზიკას, ***) მაგრამ მაღვე ისევ უბრუნდება თავის თავს, თავის სამეცნიერო ძალათა გადაჩერება - განსაზღვრას და — კანტის ხელით — მამაცურად ეძლევა-მსხვერპლად თავისი-თავის ანალიზს. ასე წარმოსდგა „კრიტიკა გონებისა“****) ამ კრიტიკიდან ფილოსოფიური აზრი გამოვიდა საკმაოდ გამომწავარი და გამობრძმედებული: აქ მან სცნო თავისი სისუსტე, მაგრამ აქვე შეიგნო თავისი ნამდვილი ძალ-ლონე და შეძლებაც.

ამას შემდეგ, პოზიტივისტებისა და ევოლუციონისტების მეოხებით (კონტისა, ლამარაკისა, ტენისა, დარეინისა, სპენსერისა და სხვათა), ფილოსოფიური აზრი თანდათან ჩამოეშვა. ძირს იმ იდეალისტურ - მეტაფიზიკური ნისლებიდან, რომელ-

*) თუ რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვიეს ამ საუკუნეებში ძველი სოფლმხედველობის გადატრიალება, ამაზე იხ. Филипповъ. Филос. Дѣйствительности, стр. 662—672 და Н. Любимовъ, смѣна міровоззрѣнїй, (иѣ. Русск. Обозрѣніе, 1892 г. № 7). — შეად. Н. Гrotъ, Основные моменты въ развитіи новой философіи (до канца включ.). Москв. 1894 г. стр. 9.

**) ამაზე იხ. ვრცლად Виндельб., Исторія Философіи, стр. 358—373: Проблема метода. შეადარე იქვე 83, 85.

***) „Сомнѣніе Декарта и Бекона,—аმბობს კუნი-ფიზერი,—сомнѣвалось во всемъ, но не сомнѣвалось въ самой познавательной способности человѣка“ (იხ. Исторія Философія, Кун-Фишера оп. 1, стр. 77). აქედან კი წარმოდგა ორივე მიმართულების დოღმატიზმი, ე. ი.- ჩუვი, ურიტიკოდ მიღებული დებულება, რომ ყაველგვარი ცოდნა (познаніе) შესაძლებელია.

****) კანტმა თავისი „კრიტიკა წმინდა გონებისა“ პირველად 1781 წ. გამოსცა.

ნიც ისე უხვათ დაახვიეს მოახრე კაცობრობას გერმანელმა იდეალისტებმა (ლეიბნიცით დაწყებული და შოპენჰაუერით გათავებული), ჩამოეშვა რეალურ და ხელ-მისაწვდომ მოქლენათა სამთავროში, დაუახლოედ პოზიტივურს მეცნიერებას,— მეტის სისწორით განსაზღვრა თავის პრობლემათა სფერანი, შეუკავშირა რა იგინი კმრძო მეცნიერებათ,— შესაფერი აღავი მოუნახა ამ უკანასკნელთა შორის თვითონ ფილოსოფიის, როგორც უმწვერვალესს შეერთებას ყველა სპეციალურ მეცნიერებათა პრინციპებისას, *) ანუ „ცოდნას გაერთიანებულს“, **)— განმარტა და გაარკვია სამეცნიერო ფილოსოფიის კვლევა-ძიებათა მეთოდები, მტკიცეთ შეუკავშირა იგინი ინდუქტიურ მეთოდებს სპეციალურ მეცნიერებისას, რომლისაგანაც ისესხსა, უკანასკნელ, ორი უმთავრესი პრინციპი: ევოლუციისა და მატერია-ენერგიის შენახვის.

V

დასკვნა

ამ რიგად: 1) მითისა და თეოლოგიისაგან ფილოსოფიური აზრის თანდათანი გათიშვა და განთავისუფლება, 2) საკვლევი მეთოდების გამორკვეა და გამონახვა, 3) ფილოსოფიურ პრობლემათა თანდათანი განსაზღვრა და გაფართოება, 4) საკუთარ სამცოდნელო ძალთა და კანონთა შეგნება, 5) სპეციალურ მეცნიერებათა შორის ფილოსოფიისათვის შესაფერი აღავის ჩეენება და, უკანასკნელ, 6) საკმაოდ ნაყოფიერი კანონები ევოლუციისა და მატერია-ენერგიის შენახვის, რომელიც მეცნიერებამ პუნქტაში შეამჩნია და რომელნიც მრავალ ნაყოფიერ დასკვნას უქადიან თვითონ ფილოსოფიისაც, რომოც ცოდნას გაერთიანებულს და საზოგადო პრინციპთ

*) ასე განმარტებულ ფილოსოფიას ტენი და ნავილი.

**) სპეციერის განმარტება. იხ Г. Геффдинგъ: Исторія позитивної філософії (უгорнац „Образованіє“ № 1898 წ.).

გამსჭვალულს, — აი, ასეთი არიან დადებითი შედევები ფილო-სოფიის ხანგრძლივი განვითარებისა, ასეთია ფილოსოფიის პროგრესი! ...

ყოველი ფილოსოფიური სისტემა, როგორც განსაზღვრულ წრესა და განსაზღვრულ მოთხოვნილებათა ნიადაგზე აღმო-ცენებული, იყო მოძლვრება ჭეშმარიტი, რამდენადაც ამ წრესა და ამ ნიადაგს აქმაყოფილებდა. მაგრამ, გამოიცვლებო-და თუ არა ნიადაგი, ოცვლებოდა ფილოსოფიური სოფლმხე-დველობაც, მის ალავს სხვა ახალი იქნებდა; ძველ მოძლვრე-ბათა სუსტი მხარეების ახალთაობის მხრივ მკაცრ და შეუბრა-ლებელ კრიტიკას იწვევდა, პირველთა შეცდომები ამ ახალ თაობას სხვა მსჯავსივე შეცდომებისაგან აფრთხილებდა, მის აზროვნებას აფხიზლებდა: და ახალი გზების საჭებრად, ახალი სისტემების შესამუშავებლად მიერკებოდა. და რამდენადაც რომელიმე ფილოსოფიური სისტემა თავისი ისტორიული მისამისი ამ ერთ ნაწილს შეინც ასრულებდა, იმდენად იგი პროგრესიულ ნაბიჯს წარმოადგენდა, იმდენათ მას ფილოსო-ფიური სისტემების, მსვლელობაში პროგრესიული მოძრაობა შექმნდა. ამ მოძრაობის ბოლოს ჩეენ მივიღეთ ის დადებითი შედეგები, რომელიც ეს-ეს იყო დავასახელეთ, და ჩამოვწერეთ.

ს. გრაგაშე

1900 წელი. 2—21 ნოემბერი.

. ქ. ყაზანი.

ზოგიერთი სიტყვების განმარტება

ასათლიაური — (მეტაფიზიკაში) დაუსაბამო და დაუსრულებელი, შეუდა-რებელი, — ის, რაც მთელ ქვეყნიერობას საფუძვლად უძევს, როგორც უკანასკნელი მიზეზი სხვა და სხვანაირ და ერთი-მე-ორის გამომწვევ მოვლენათა.

გრასერლოგია — სწავლა კაცის სამცოდნელო ძალთა და კანონების შესა-ხებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს კაცის ცნობიერებასა და გარეშე მოვლენათა შორის.

(მაშასადამე, გნოსეოლოგია თითქმის იმავე საგნებს ეხება, რა-
საც ლოლიკა, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო ზოგადია და
ფართო).

დატები ცნობიერებისა — ე. ი. ფაქტები ცნობიერებისა, და კირძოთ
ისეთი ფაქტები, რომელიც გონებაში აუცილებლათ და ჩვენი¹
აზროვნებისა და ნებელობის დაუკითხავად ჩნდებიან, გარეშე
წრისა და სხეულის ზედმოქმედებათა წყალობით. ამ აზრით
ვხმარობთ ჩვენ ამ სიტყვას.

თეოგონია — ძველი დრაის თქმულებანი ღმერთების გაჩენაზე და მათ
ჩამომავლობაზე.

კანონ-მიმეთლი — ამ სიტყვას ჩვენ ვხმარობთ იმ ცნების გამოსატავათ,
რომელსაც რუსულად ეძახია: Закономѣрныи, законосообрата-
ზემა. კანონ-მიმყოლი პროცესი, ე. ი. განსაზღვრულ წესებ-
სა და კანონებს დამორჩილებული პროცესი.

ტელეოლოგია — სწავლა ქვეყნიერობის მიზანსა და დანიშნულებაზე. —
ტელეოლოგიური სოფერება, რომლის აზრითაც ქვეყანაზე თითქმის
ყველაფერი წინდაწინვე განსაზღვრულის მიზნით ხდება, გან-
საზღვრულის მიზნისკენ მიიღართება. ასე, რომ ეს მიზანია მისი
მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი. — ამის მოწინააღმდეგ
სწავლა — მეხანიზმი, მეხანიკური სიფლომ მნედლებაზე
— რომლის აზრითაც ამ ქვეყნიერობაზე არაფერი არა
წინდაწინ „გამიზნული“, ასე რომ აქ ქვეყნიერობას საბოლოო
მიზნები კი არ ამოძრავებენ, არამედ აუცილებელი, მეხანიკუ-
რი კანონები მატერიისა და ენერგიის.

ხედვითი — მარტო გონებით მისაწვდომი (წინააღმდეგ ხუთი გრძნობის)
созерцательный, умозрительный, спекулятивный.

ბიზანტიის გავლენა საქართველოშედ

ბაზანტიური შეხედულება ჩვენს ქანონმდებლობაში

I

ძველი დროის საქართველოს განათლებას თვალ საჩინოდ
აჩნივია ორი დიდი სახელმწიფოს ზედგავლენა. ერთი ამ გავ-
ლენათა ტოტი მომდინარეობდა სპარსეთიდან და მეორეს სა-
თავე იყო ბიზანტია, ბერძენთა სამფლობლო. სპარსეთის გავ-
ლენა იმ დროს უღწევს, როდესაც საქართველო-საწარმართო
რჯულზედ მტკიცედ იყო და იკვებებოდა ცეცხლის თაყვანის.
ცემლობითი კულტით. არმაზის კერპი, წმ. ნინოს დროს დმერ-
თად აღვიარებული, დევგბი და ეჭმაკები, რომელთა სახელები
აქამდის ჩვენს არაკეტი გვხვდება, ბეწვის ხილი, ჯოჯოხეთი
და სამოთხეს შორის გადებული,—ეს სუსველაფერი შედეგია:
სპარსეთს რჯულისა, რომლის მიმცემი იყო ზარატუშტრა:
ბერძენთა გავლენა გაძლიერდა ჩვენში ქრისტიანობის გავრცე-
ლებრს შემდეგ, თუმცა დასაწყისა ამ გავლენისა ეკუთვნის
ქრისტეს დაბადების დროებას. წმ. სახარების ქადაქებამ ვერ
მოსპო, რასაკეიირველია, სპარსეთის გავლენა, რომელიც ხანდა-
ხან ისე მძლავრობდა საქართველოში, რომ სპარსული სახელ-
წოდებანი, სპარსული ენა და მწერლობა გამეფებულნი იყვ-
ნენ საპოლიტიკო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიუხედა-
ვად ამ ძლიერი ზედმოქმედებისა სპარსთა მხრივ, ბიზანტიამ
საქართველოს წესწყობილებასა და განათლებას დასვა ღრმა
ბეჭედი, გააულო ისეთი ღრმა ხაზი, რომელიც აქამდის ალაგ-
ალაგ მოჩანს.

ბიზანტიი, როგორც საქართველოს სახელმწიფო, მოქმედებდა ჩვენს ეკკლესიაზედ და ამასთან დაკავშირებულს კულტურულაზედ. ბიზანტიი, ბერძნული ენიდან ითარებია ქართულად სამღვთო წერილი, შემოიტანეს იქიდან ქართული საეკკლესიო გალობა, გავრცელეს საზნეო და სარჯულო თხზულებანი. ქართველი ერი ითვისებდა საუკუნოების განმავლობაში ბერძნთა შეხედულებას, იზრდებოდა ეკკლესიის გავლენის ქვეშ, იწვრონებოდა საბერძნების მწერლობის ზედგავლენით, ეს ხელგავლენა იმდენად შეიგნეს, გარდა მემნის თავისებურად, ძვალსა და რბილში შეიხორცეს, რომ მისი სათავე ჩვენმა წინაპარებმა აღარც კი იცოდენ, ანუ მის აღნიშვნას საჭიროდ აღარ ჰქოცხდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, ხედმოქმედება ჩვენს რჯულებაზედ. ბექა და აღმულას სამართალში (XIV-XV საუკ.) აღმოჩნდა ერთი მუხლი, რომელიც დაწერილია ითანა მმარხველის კანონთა ჩავონებით. ითანა მმარხველის კანონები სთარგმნა ქართულად წმ. ექვთიმე მთაწმინდელმა (†1028) და, როგორც სჩანს მრავალ ზელნაშერებიდან, საქართველო გავრცელებული იყვნენ საქართველოში*). იმ ითანა მმარხველის კანონების გავლენა უნდა იყოს დაწერილი მე-41 გვხლი ბექას სამართალში. იგი გვაუწყებს შემდეგს: **) „ოუ კაცმან ხუცისა ცოლსა უაშეოს და დასტურად თანა ყოფა გამოჩნდეს და ხუცესმან შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი ასა თვისმე არა დააგდოს, სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურეოს და ნახევარი სიხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურეოს და თუ კიდე წაეგვაროს, მაშინაც სრული სისხლი დაუურეოს, ამადრომე ძნელისა ყოფასა დაებმის, ანუ ჩოხასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა დაკრძალეთ“. დედა აზრი ამ მუხლისა ის არის, რომ თუ მემავი დედაკაცის მეუღლე სამღვდელო პა-

*) რუსულად ნახე ბაქრაძე—ფრენკელის მიერ ვახტანგ მეფის კანონების გამოცემაში.

**) ნახე ზემო: ნა ვопросу объ иноземномъ видянии на греческую культуру

რის, ამ უკანასკნელმა ან თავი უნდა დაანებოს მეძავს ცოლს და მღვდლობას მაშინ ვერ ვინ ახდის, ან და მღვდლობაზედ ხელი უნდა აღლოს, თუ მეძავე ცოლთან ცხოვრება ირჩია. აგრეთვე თუ სამღვდელო პირს ცოლი მოსტაცეს, იგი პირი ან ერის კაცად უნდა დარჩეს, ან ბერად შედგეს. რადგანაც მღვდელობაზედ ხელის ღება ზარალს აყენებს მეძავი ცოლის მეულეს, ამიტომ რჯულმდებელი ბექა სისხლის ფასს ადებს მოარშიყო პირს.

სად არის ამ განაჩენის სათავე? რით ხელმძღვანელობს ბექა? პასუხად მომყავს იონნე მშარხველის კანონებიდან *) შემდეგი ამონაწერი და თქვენ თითონ განსაჯეთ: „ხოცუსმან (=ხუცესმან) ანო დიაკონმა უკეთე შეაცნას ცოლსა თვისსა სიძეა და მეუსეულად განიშოროს, აქვნიონ მღვდელობად თავისი შეუცვლელად. უკე თუ კუალად ენებოს ცოლსა მასთანა ყოფად მღვდელობად აღარა ხუდებოს, (=ხვდების), არამედ იქმნას პატივსა მისგან მღვდელობისა და იყოსცალა მასთანა, ვითარცა მეძავსა თანა მყოფარს და მეორისა ცოლისა შერთვად არა ხელეწიფების.“

აი სწორედ ეს მუხლი ადგენ!, რომ მღვდელმა ან მეძავი ცოლი ჭნდა დაუტეოს და მღვდელობა შეინარჩუნოს, ან მეძავი ცოლი ირჩიოს და მღვდელობაზედ ხელი აიღოს. იონნე მშარხეელი უმატებს ამას კიდევ შემდეგ მუხლს: „წიგნის მკითხველის ცოლმან თო (=თუ) ისიძვოს, წიგნის მკითხველი იგი დიაკონმა და ანო (=ანუ) მღვდელობად ვერარა მოვალს, რაც კეცუ (=უკეთუ) ცოლსა მასთანა ინებოსლა ყოფად; ოკვეთუ კულა (=კვლა) მემროშე იგი ცოლი განიშოროს და სხვად არღარა. შეირთოს, არამედ სიწმიდით ცხოვრებდეს, ჰელეწიფების მღვდელობისა პატივსა მოსლვად.“ აზრი ამ მუხლისა

*) ეს კანონები ამ უამად უკვე დაბეჭდა რუსული. თაოგმანით და ამ მოყლე ხანში გამოვა.

ოთხა სახელმწიფოს და ეკლესიას შეტაკება მოსღიოდათ *) ყველასთვის თვალ საჩინოა.

ბექა მე-49 მუხლში უჩვენებს მოსეს ოჯულს, როდესაც აწესებს საუფროს ძმათა გაურის ღროს. „საუხუცესოცა ამად წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი დაბადებას შიგან დასწერს“. რაც შეეხება დადგინების წყაროს ხუცის ცოლის მრუშებას და სიძვას, ან უკეთუ ვთქვათ, მისი მეუღლის დასჯას, ჩვენი კანონმდებლი არ უჩვენებს, რადგან, ჩვენის აზრით, ბიზანტიური შეხედულება ამ საგანზედ იმდენად შეთვისებული იყო, რომ მისი შემოწმება ითანა მმარხველის კანონით საჭიროდ არ მიაჩნდათ.

საქრისტიანო მოძღვრებით აიხსნება ის ფართო მცველობა, რომელსაც უწევენ ბექა და ოღბულა სასულიერო წოდებას და ეკლესიას. ამათი სამართალით ეპისკოპოზი უდრის თვით მეფეს. „მძლავრობით ხელთა შეპყობა“ ეპისკოპოზისა, მონაზონისა და მღვდელისა სასტიკად აკრძალულია, სიტყვითა. შეურაცხუოფა ეპისკოპოზისა უფროს დიდებულის მოკვლას, ესე იგი ერთნაირად ისჯება დამინაშვე: 40000 თეთრი უნდა დაუურვოოს ორივე შემთხვევაში. საეკკლესიო ქონებას უფრო მეტით ყურადღებით იცვავს კანონი, ვიდრე საერთოდ კერძო ბირის შეძლებას. ასეთი მზრუნველობა სახელმწიფოს მხრივ ეკალესის და სამღვდელოების შესახებ განცრკიცდა საქართველოში ბიზანტიის გავლენით.

ეახტანგ ბატონიშვილის სამართალი 325 მუხლი გვაუწყებს: „მეფის და კათოლიკოზის საქმე უკადრისი თუ რაც რამ ფერი თარსავე სწორი არის; ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე ირის და მეორე სულისა.“ ოღბულა სწერს (§102): „თუ მეფე ეპისკოპოზს გაუწყრეს, გინდა უსამართლოდ, გინდ სამართლითა, ხელთა შეპყობა არც მაშინ მოხდების, ამისთვის

*) Кургановъ Отношения между церковью и гражданской властью въ Византійской Имперіи стр. 35. Gasquet. De l'autorité impériale en matière religieuse à Byzance p. 31). Paris 1879.

რომე მეორე მეფე ეპისკოპოზი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და არცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს აგრე შეიწყნარენ.⁴ ეს შეხედულება ჩვენი კანონმდებლობის შესახებ თანასწორებისა მეფე და ეპისკოპოზის შორის განმტკიცდა ბიზანტიიში IV—VII საუკ. განმავლობაში. ბიზანტიურმა კანონმდებლობამ სახელმწიფოს და ეკკლესიის დამოკიდებულება განსაზღვრა და სამს ტეზისად ანუ დებულებად გამოაქვეყნა: 1) თანასწორობა სასულიერო და საერო უფლებისა, 2) ამ ორივე უფლებათა თანხმობა ქვეშევრდომთა მოქმედების საქმეში და 3) აღვიარება საეკკლესიო კანონებისა და მეტადრე დოგმატებისა არამც თუ მხოლოდ თანასწორობად სახელმწიფო სამართალთან, არამედ გასტედ უმაღლესად იმ შემთხვევაში, იმ სწორედ ამ წყაროდან მომდინარეობს ჩვენი კანონმდებლობის დასკვნა, რომ კათოლიკოზი მეორე მეფეა და აღბუდას განმარტება, რომ „მეფესა სჯულისა საქმე არა აქვს“.

ერთი მაგალითი კიდევ საეკკლესიო უფლების გავლენისა საერო სამართალზედ. ხუცის, მონოზანის და დიაკონის მკველელი ანუ გამცარცუელი, გარდა ორ კეცი სისხლის გარდახდისა, წყვილა-კრულების გძლეოდა: „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ სული და ხორცი მისი“ (აღმულა, § 166). აგრეთვე „რომელმან კაცმან ვინგინდას მისი გვირგვინ-ნაკურთხი ცოლი წაულოს და მოსტაცის, სრული სისხლი დაუურეოს, რისაც გვარისა იყოს, კრულ და წყეულ და შეჩვენებულ პირითა ღუთისათა და კანონსაც ქვეშ იქნების წმინდათა მოქიცულთასა“. (იქვე § 165). ეს შეჩვენებაც დამნაშავისა გადმოტანილია ბიზანტიიდვან. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია მივმართოთ ჩვენამდე მოღწეულს ნაშთს „მცნებასასჯულო“, რომელიც მიცემულია ანტიოქ-იერუსალიმის პატრიარქ მიქაელისაგან ბიჭვინის (აბხაზეთის) კათოლიკოზისათვის *) „მცნება“ შედგენილია ბიზანტიური თვალთ ისარით. იგი ასურათებს აბხაზეთის

*) ყორდანია. ქრისტიანი... II, 294. სამწუხაროდ, ეს ნაშთი აქამდის არ არის მთლად აღბეჭდილი. ბ-ნი უორდანია არ უჩვენებს ხად არის იგი დაცული.

(დასავლეთს საქართველოში) საეკკლესიო კანონმდებლობას. როგორც ბეჭა აღმულა, ეს „მუნება სასჯულო“ აღკვენს: „ვინ-ცა ხუცის ცოლს სცოდოს, ანუ დაკუნის ცოლის-თანა, ანუ მთავარ დიაკუნისა ცოლის-თანა სცოდოს... ამათ ყოველთა უსჯულობათა მოქმედი კრულ, წყეულ და შეჩვენებულმცა არს სულითა და ხორცითა“.

წყეულა და შეჩვენება დამნაშავისა აღმულას კანონებში მომდინარეობს: იმავე ბიზანტიური წყაროზან, რომელმაც დაპირი შეხედულება კათოლიკოზ ეპისკოპოსზედ, როგორც მეფეთა თანასწორ პირზეც. ლროთა განმავლობაში ბიზანტიის გავლენა ფერს იცვლის საქართველოში, კათოლიკოზი ჰკარ-გას ზღვისავათ აღელვებულს ცხოვრებაში იმ დიაცს შენ შენ-ლობას, რომელიც მას მიანიჭა კანონმდებლობამ, კათოლიკოზები ხშირად ძალადობით თავს ანებებდნენ სამწყსოს და ემორჩილებოდნენ საერთ მთავრობას. თუმცა ვახტანგ მეფე ბძანებს, რომ კათოლიკოზის და მეფის წინაშე თანასწორად მიიღებისო, (§ 25), მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ჩვეულებამ ეს დადგინება ფუქ სიტყვად გადააქცია. არც ერთი კანონი სამართლისა არ უჩენებს, რა გადასხადი ედებოდა მეფის შეურაცხმუფელს. ასეთი საქუიელი ვერ წირმოუღენა ვერც ბეჭა აღმულას, ვერც ვიორები ბრწყინვალეს და ვერც ვახტანგს.. იგინივე გაჩომებულან იმ გვარ დამნაშავის. შესახებ, რომელიც კათოლიკოზის შეურაცხმუფას სახავს. ოფიციალური კანონმდებლობა ასე იქცევა. ჩვეულებამ, სჩანს, სხვა გზით იარა და საჭროება დაიპარა განისაზღვროს კათოლიკოზის შეურაცხმუფისათვის შესაფერი დასჯა. ამას მოწმობს ბიჭვინტის „გუჯარი“. აქვე-თხულობთ შემდეგ დალგინებას: „ვინცა გინად დიდებულმან ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან კათოლიკოზა აგინოს ანუ საცემ-რად წაიღოს (წაიწიოს). ორმოცდა ათი გლეხი საყდარსა და-უურეოს და კათოლიკოზსა ორი სისხლი დაუურეოს დიდითა შეხეეწითა.“*) აი, მაშასადამე, როგორ იცვალა ფერი ბიზანტიურმა შეხედულებამ კათოლიკოზს შესახებ: ამ მეორე მე-

*) ნაზე გუჯარები, გამოცემული ჩემ ძიებ, გვ. 131.

ფეხედ ამ პირის შეურაცხყოფა შესაძლებელიც გახდა და დამნაშავეს სასჯელიც განსაზღვრული იქნა.

რა თქმა უნდა, რომ ცხოვერებამ შესცვალა თან და თან თეორიული დადგინება ბიზანტიური შეხედულებისა, მაგრამ მთლიად კი ვერ ამოფხერა ეკკლესიის გავლენა და განსაკუთრებითი პრივილეგია შერჩა სასულიერო წოდებას. იმავე გუჯარში, — რომელიც ასე აქვეითებს კათოლიკოზს და წარმოუდგენელს ბიზანტიის სამართლით ეპისკოპოზის შეურაცხყოფას აკანონებს — მოიპოვება შემდეგი დადგინებაც ბიზანტიურ ზედგავლენას მოკლებული: „ვინცა, რომლისა გინდა ძმათაგანსა სცეს ანუ შინა ჩაუხტეს ანუ ხელითა შეიპყროს ანუ პირდაპირ აგინოს, ექვსი გლეხი საყდარსა დაუურვოს და ორისი ათასი თეთრი იმას დაუურვოს.“ მაშასადამე, გახდა შესაძლებისად შეპყრობაც, ცემაც და მოკვლაც მონოზანისა („ძმათაგი“), რა კი დაკანონდა კათოლიკოზის შეურაცხოფის სასჯელი: ეს ლოგიკური შედეგია ეპისკოპოზის ავტორიტეტის დაცემისა, მისი დაწინებისა, მაგრამ აი ცოტა ქვეით რას გეაუწყებს იგი: „თუ ვინმე ძმათაგანი ანუ საყდრისა შვილი მოკლას ოცი გლეხი საყდარსა დაუურვოს და ორი სისხლი იმას დაუურვოს.“*) აი ეს ორკეცი სისხლი ბიზანტიურ შეხედულების ნაშთთა და აღმეცილია სურაილით — სასულიერო წოდებას მიანიჭოს მეტი პრივილეგია და პატივი საზოვალებაში. ჯერ ისევ გირჩები ბრწყინვალეს „ძეგლის დებაზი“ ლომის საყდრის გლეხის სისხლი ლირდა 1500 თეთრი (§ 42) ესე იგი მეტი, ვიდრე „პატივანი“ კაცისა („լუცშიშ მუჯъ“ *Русской правды*) ბიჭვინობის გუჯრის საყდრის შვილი უდრის ლომისის ეკკლესიის ყმას.

უფრო მეტი გავლენა ბიზანტიამ დააშჩნია საქართველოში ქორწინებას, ცოლქმრობის კავშირს, ოჯახის საფუძვლის განმტკიცებას. ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ა. ხახანაშეიღდა

უცხოეთის მიმოხილვა

1. საფრანგეთის საქმეები.
2. ინგლისის პოლიტიკური პარტიები;
3. მაჰმადიანობა და მისი ძალა.

ვალდეკ-რუსსოს სამინისტრო შეიქმნა უხანგრძლივესი და უძლიერესი სამინისტრო საფრანგეთის ოესპუბლიკისა მის დაფუძნებიდან. არც ერთ სამინისტროს ოესპუბლიკისას არ გაძლიია ამდენი ხანი და არც ერთ სამინისტროს არ ჰქონია საქმე ისეთ ძლიერ მტერთან, როგორც ვალდეკ-რუსსოსა და მის კოლეგებს. მართალია, ამ ბოლოს დროს ზოგიერთი მოწინააღმდეგე ჯგუფი ხშირად აძლევს მხარს სამინისტროს ზოგიერთ კითხვების გადაწყვეტის დროს, მაგრამ ეს ხდება სუსტ უკანასკნელ დროს, და ისიც მხოლოდ სახოგადო არჩევნების შიშით — მელინისა და რიბოს მომხრეები სსენატულ შიშის ზედგავლენით ვერ ეწინააღმდეგებიან ვალდეკ-რუსსოს წინადაღებს, როცა ესენი სავსებით ეთანხმებიან მათ მიერ ხშირად გამოთქმულ აზრებს.

ვალდეკის სამინისტროს ხანგრძლივობის და სიმტკიცის ასახსნელად საკმარისი არ არის პრემიერის და ზოგიერთ მის კოლეგების ნამდვილი სახელმწიფო ნიჭი. აქ უფრო ღრმა მოზეზები მოქმედობენ და ამ მიზეზების გასაგებად საჭიროა ცოტა უკან მიეიხედოთ და ისტორიას დავეკითხოთ.

მაკ-მაჰონის გადადგომისა და გრევის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პარლამენტი და სენატი ოესპუბლიკის მომხრეების

ბის ხელში იყო. მაგრამ ამ საბოლოო გამარჯვებასთანავე რე-სცუბლიკელებ შორის განხეთქილება ჩამოვარდა. პარლამენტის უმრავლესობას შეადგენდნენ ეგრედ წოდებული მემარცხნენი და გამბეტას მომხრენი, რომელნიც ერთ დროს უკიდურესი მემარცხნენი იყვნენ, მაგრამ თან-თან ფერი იცვალეს და ოპორტუნისტები გამოდნენ. მაგრამ გაჩინდნენ ახალი უკიდურესი მემარცხნენი, რომელნიც ჰკიცხავლნენ გამბეტას ძველ პრინციპების ღალატისათვის და ამ პრინციპების დამცველად გამოდიოდნენ. რაც უნდა იყოს, რესპუბლიკელთა საერთო პრო-გრამილან ჯერ კიდევ ბევრი იყო განუხორციელებელი და ამიტომ არა თუ შესაძლებელი, აუცილებელიც იყო ყველა რესპუბლიკელების ერთად მოქმედება. ამ ერთად მოქმედების გამომხატველი იყო ეგრედ წოდებული კოალიციონური სამინისტროები, ე. ი. ისეთი სამინისტროები, რომელებშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვა-და-სხვა დასების წარმომადგენელები.

ამ საერთო მოქმედების უმთავრესი შედეგი იყო 1) სას-კოლო რეფორმა, რომელის ძალით საერთო განათლება განთავისუფლებულ იქნა სამლევლოების გავლენისაგან, პირველ-დაწყებითი სწავლა გახდა უფასო და ყველასათვის სავალდებულო; 2) საქალაქო რეფორმა—მერი (ქალაქის თავი) არჩეული და არა დანიშნული და საქალაქო საბჭოების საჯარო სხდო-მები; 3) პრესის სრული თავისუფლება, 4) თავისუფლება კრე-ბებისა (არა ასოციაციებისა) და 5) მუშათა სინდიკატების გა-კანონიერება.

ზემოდ ჩამოთვლილი რეფორმები მეტად საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვანი იყვნენ და არიან, მაგრამ მათზე შე-ჩერება და მათით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია ისეთ დაწინაურებულ სახელმწიფოსათვის, როგორიც საფრანგეთია. და სწორედ ეს შეუძლებელი საქმე მოინდომეს საფრანგეთის პარლამენტის ძელმა რესპუბლიკელებმა—მემარცხნეებმა და გამბეტას მიმდევრებმა, რომელნიც 1885—6 წლებში სრულე-

ბით შეერთდნენ და ოპორტიუნისტების სახელით მოინათლნენ. ეს ძევლი მემარცხნენი ისე გამოცვალა ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებამ, რომ ფერრის პირით გამოაცხადეს — „დაღუპვა მარცხნით არის“—თ (le péril est à gauche). ამათი მოწინააღმდეგების — უკიდურეს მემარცხნეთი პროგრამა რყო და არის ეხლაც: 1) კონსტიტუციის რევიზია სწავლის უფლებების შესაკვეცად, 2) ეკვლესიისა და სახელმწიფოს განშორება, 3) პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე, 4) რკინი გზების გამოსყიდვა კერძო კომპანიების ხელიდან და სხვა.

ამ გვარად გაყოფილ პარტიას რესპუბლიკელებისას იქნადა ერთ-გვარი უმრავლესობა. მთავრობისა და პარლამენტის მოქმედებისათვის საჭირო შეიქმნა ან ცველა რესპუბლიკელების შეერთება კონსერვატორთა წინააღმდეგ ან და ოპორტიუნისტებისა და კონსერვატორების შეერთება წინააღმდეგ რადიკალებისა. ამ უკანასკნელ პოლიტიკას — „დამშვიდების პოლიტიკას“ ეძახდნენ, რადგან იგი ნიშნავდა კონსერვატორებთან და კლერიკალებთან შერიგებას წინააღმდეგ უკიდურეს მემარცხნეთა, რომელნიც ოპორტიუნისტების აზრით ქვეყანას დაღუპვას უპირებდნენ „სოციალურ მშვიდობიანობის“ დარღვევით. ამისთანა პირობებში ცველა სამინისტროები (რომელნიც ერთობ ხშირად იცვლებოდნენ) მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, შეერჩინათ თავიანთი ადგილები და ამ გვარად სრულებით უარ-ჰყენს რეფორმების პოლიტიკას. ამის გამო ოთხმოციან წლებში საფრანგეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა ბევრში ჩამორჩა სხვა ქვეყნების კანონ-მდებლობას, განსაკუთრებით სოციალურ რეფორმების მხრივ.

რესპუბლიკელების უმოქმედო პოლიტიკა კონსერვატორების გაძლიერებას მოასწავებდა და მართლაც ამით თავი იჩინეს ოთხმოციან წლების ბოლოს. გამბეტას სრულ გამარჯვების შემდეგ კონსერვატორებსა და კლერიკალებს არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ჰქონდათ, სანამ რესპუბლიკი

ლები ორად არ გაიყვნენ; ამ განხეთქილების შემდეგ კი მათი გავლენა პარლამენტში შესამჩნევად გაიზარდა. და ბოლოს მოინდომეს კიდევ ნამდვილად ესარგებელნათ რესპუბლიკელების ხისუსტით. ეგრეთ წოდებული ბულანებისმი — კონსერვატორებისა და კლერიკალების მიერ შექმნილი მოძრაობა იყო, მოძრაობა; აშეარად მიმართულ რესპუბლიკის წინააღმდეგ, მის დასა-მხობალ. ბულანებისტების მოძრაობა სტულადაც ისე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი არ იქნებოდა, რომ საფრანგეთის ტახტის პრეტენზენტებს და მათ მომხრე კლერიკალებს არ გაეხ-სნათ თავიანთი ქისა და არ დახმარებოდნენ მათ მატერილუ-რად და ზნეობრივად.

რესპუბლიკის საფრთხე მოელოდა და რესპუბლიკელებიც იძულებული შეიქმნენ შეერთებულიყვნენ საერთო მტრის წი-ნააღმდეგ. ხპორტიუნისტებმა თავი დაანებეს „დამშვიდების პოლიტიკას“, ე. ი. კონსერვატორებთან ერთად მოქმედებას, და ხელი გაუწვდინეს რადიკალებს. მაგრამ შეერთებულ რეს-პუბლიკელთა მთელი პოლიტიკა გამოიხატა მარტო ბულანების მის წინააღმდეგ ბრძოლაში და არსებულ წესის დაცვაში. ბუ-ლანებ მალე მოკვდა. ბულანებისმიც აღარ აღელოებდა საფრა-ნგეთს, მაგრამ გამოვლილ შიშის ზედ-გავლენით რესპუბლიკე-ლების მოქმედებას გარეგნად თანხმობა ეტყობოდა, თუმცა ჩამდევილად კი ორი დასი ისევ იბრძოდა და არც შეეძლოთ. არ ებრძოლათ, რადგან ქვეყანას, ვიმეორებთ, არ შეუძლია მარ-ტო არსებულ წესის საშუალებით იცხოვროს; ერთს ცხოვრება შეუჩერებელია და ამის მიხედვით საკანონ-მდებლო მოქმედებაც შესაფერად შეუჩერებელი უნდა იყოს.

ამ დროს, ე. ი. 90-იან წლების პრეველ ნახევარში საფ-რანგეთის პარლამენტში შესამჩნევი ცვლილება ხდება: ერთის შეჩერვა ძლიერდება სოციალისტური პარტია, შეორეს შეჩერვა ტა-კტიკას იცვლის კონსერვატორებისა და კლერიკალების ერთი ნაწილი. 1893-მდე სოციალისტების პარტია პარლამენტში უმ-ნიშვნელო ჯგუფი იყო. ამ წლილან კი იგი დიდ გავლენას იძენს საქვეყნო საქმეებზე; სოციალისტები შეიქმნენ იმდენად მნიშვ-

ნელოვანნი, რომ პპორტიუნისტებიცა და რაღიცალებიც, რომელნიც აქამდე მარტო ფლობდნენ პარლამენტს, იძულებული შეიქმნენ ამათთან modus vivendi გამოენაბათ.

ბულანების დამარცხებით სახოწარკვეთილ კონსერვატორებმა გარეგნად თავი დაანებეს რესპუბლიკასთან ბრძოლას, თუმცა არც უცვნია იგი, როგორც კანონიერი სახელმწიფო წესი. მათი პოლიტიკა შეიქმნა მთავრობისა და მის პოლიტიკის წინააღმდევობა. არსებულ კონსტიტუციის მიხედვით ერთი ნაწილი კონსერვატორებისა ოფიციალურად სრულებით შეურიგდა რესპუბლიკანურ წესს და იცნო იგი კანონიერად. კონსერვატორების პოლიტიკის ასეთ ცვლილებას ხელი შეუწყო პაპ-ლეონ XIII-ის პოლიტიკამაც. პაპმა წინადადება მისცა კათოლიკებს საბოლოოდ მიიღონ რესპუბლიკური წესი. პაპის შიხანი იყო და არის — «accepter la constitution pour modifier la legisletion» — კონსტიტუციის მიღება კანონ-მდებლობის შესაცვლელად. პაპის მოწოდებას ბევრი კონსერვატორ-კლერიკალი შეუერთდა და პარლამენტში გაჩნდა ეგრეთ წოდებული „შემოერთებულთა“ დასი. ცხადია, რომ ეს „შემოერთებულნიც“ ნამდვილად ისეთივე წინააღმდეგნი არიან რესპუბლიკისა, როგორც დანარჩენი კონსერვატორები; მათი შემორიგება გარეგანი და ფორმალურია და გაერძელდება პირებულ მოხერხებულ შემთხვევამდე, რაცა დასი ნიღაბს არჩდიან და მხარს მისცემენ რესპუბლიკის მტერთ.

სოციალისტების დასის გაძლიერებამ და „შემორიგებულ კონსერვატორთა გაჩენამ საფრანგეთის პარლამენტში შესამჩნევი და დიდ-მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიეს დანარჩენ რესპუბლიკელ დასებ შორის. პპორტიუნისტების დიდი უმრავლესობა მეტად დაფრთხო სოციალისტების პარტიის გაძლიერებამ და მისმა მოქმედებამ და სასწორი მარჯვნისაკენ დაახრევინა, იმ მარჯვნისაკენ, სადაც მას ახალი „რესპუბლიკელები“ — „შემოერთებული“ კონსერვატორები ეგულებოდა. რადიკალები კი მარცხნისაკენ მიიწინენ. — პპორტიუნისტების და კონსერვატორების შეერთებამ სიფრთხეში ჩააგდო თვით რესპუბ-

ლიკა, რადგან, როგორც წინეთაც ვთქვით; კლერიკალ-კონსერვატორების შემორიგება პოლიტიკური ხრიკი და თვალთ-მაქ-ცობა იყო და ამის კარგად ჰქოდავდნენ რადიკალები.

ოპორტუნისტების ამავე ტაკტიკამ და პარლამენტალურ-პოლიტიკურ ნამდვილ ცხოვრების გაცნობამ ადგილიდან დასძრა თვით სოციალისტების პარტია—იგი მიიწია რადიკალურ პარტიისაკენ და ამ გვარად რევოლიუციონური პარტია რადი-კალურ რეფორმების პარტია გახდა.

ოპორტუნისტ-კონსერვატორების შეერთებულ მოქმედების ნამდვილი გამოჩეობებები მცლინი და მცირი სამინისტრო იყო. ქვეყნის დამრუბველნი მემარცხენი არიან და არა კლერიკა-ლები, ნამდვილ მთავრობის პოლიტიკა—მათ წინააღმდეგ ბრძო-ლა და არსებულ წესის დაცვაა და სხვა არათერი. ახალი რე-ფორმები—პოლიტიკურ და სოციალურ მშვიდობიანობის დამ-რდვეველიათ. აი ნამდვილი აზრი მელინის სამინისტროს პოლი-ტიკის, რომელიც გამომხატველია ოპორტუნისტებისა და კონსერვატორების შეერთებულ მოქმედებისა. საქმარისია გა-ვისენოთ. მცლინის და მის მომხრეების მოქმედება ღრეიფუ-სოს საქმისა და ეხლა-ხან ასოციაციების კანონის განხილვის დროს.

მემარცხენეთა დასის პოლიტიკის გამომხატველი პირველად ბურეუას რადიკალური სამინისტრო იყო. მაგრამ იგი სენატის ოპოზიციამ მალე გადააყენა სამსახურიდან. მეორედ მემარცხე-ნეთა წარმომადგენელი სამინისტრო ვალდეკ-რუსსოს ეხლან-დელი სამინისტრო, რომელმაც რესპუბლიკელთა მოღალატე მცლინი გამოსცვალა სწორედ იმ დროს, როცა ეგრევ წოდე-ბულმა დრეფუსის საქმემ რესპუბლიკისათვის საშიში მიმარ-თულება მრიდო და სამხედრო პრონუნციაზენტორები მხადვე-ბოდა. აღსანიშნავია, რომ თვით ვალდეკ-რუსსო ერთ დროს (და ეს დრო სულ ახლოს არის) იმ ჯგუფს რესპუბლიკელები-სას გუთვნება, რომელიც, ფერრის არ იყოს, ქვეყნის დამ-რუბეველებლად მემარცხენეთ სახავდა და დიდ ბრძოლასა და წი-ნააღმდეგობას უწევდა. ეხლა კი ვალდეკი ნამდვილი მემარც-

ხნეა და დილ და დაუფასებელ სამსახურს უწევს მათ საქმეს — რესპუბლიკის დაცვასა და დემოკრატიის განმტკიცებას. ამ შესანიშნავ სახელმწიფო მოღვაწის მიმართულების ეს ეკოლიურია აიხსნება მითი, რომ დრეიფუსის საქმემა და მელინის სამინისტროს მოქმედებამ მას ცხადათ დაანახვა, თუ საითკენ მიჰყავდა საფრანგეთი ოპორტუნისტების კონსერვატორებთან დაახლოვებას. ვალდეკ-რუსო თავის შორს გამჭვრეტ და გამჭრიას გონებით მიუხედა ალღოს საქმეთა მიმღინარეობას, და მთელის თავის ძალ-ლონით შეუდგა უკან-უკან მიმავალ საფრანგეთის წინ-წინ წამოწევას. პრემიერმა თანამშრომლებიც შესანიშნავები აირჩია. მან გაბედულიდ მიიწვია სამინისტროში სოციალისტი მილიერანი, თუმცა ფრანგი ბურჯუა შიშით ისმენს ხოლმე სოციალისტის სახელს; ეს არჩევანი ამტკიცებს, ჯერ იმას, რომ ვალდეკი მეტად დამოუკადებელ გონების პატრონია, და მეორე იმას, რომ მან თანამშრომლების არჩევა იყის. მილიერანი მეტად ნიჭიერი და მომზადებული მოღვაწეა. ისეთმა კონსერვატორულმა და რეაქციონურმა გაზეთმა, როგორც არის ეხლა „ფიგარო“, ვერ შესძლო აღტაცებით არ ელაპარაკნა მილიერანის ორატორულ ნიჭზე და საქმიანობაზე. როცა სავაჭრო ფლოტის გაძლიერების პროექტი ირჩეოდა პარლამენტში, ეს გაზეთი სწერდა, რომ საფრანგეთის პარლამენტში ერთი კაცია, რომელსაც ესმის ეს სპეციალური კითხვა და რომელმაც შესძლო შესანიშნავის ნიჭით და სიცხადით გაერკეთა იგი დეპუტატებისათვის, და ეს კაცი მილიერანი არისო. ამასთანავე მილიერანი ითვლება საერთა-შორისო დამოკიდებულებათა მცოდნეტ. ფინანსთა მინისტრმა კაიომ ისეთი ფინანსიური ნიჭი გამოიჩინა, რომ ჩატრდილა ისეთი სპეციალისტი, როგორც პელტანია. სამხედრო მინისტრი ანდრე შესანიშნავის ენერგიის პატრონი გენერალი და თან ნამდვილი დემოკრატია, სულ მოკლე ხანში გაბედულისა და ენერგიულ ზომებით დისკიპლინა აღადგინა რყევაში მყოფ საფრანგეთის ჯარში:

ასეთ ნიჭიერ თანამშრომლებთან ერთად ვალდეკ-რუსსომ
იხსნა საფრანგეთი იმ კატასტროფიდან, რომელსაც მას კლე-
რიკალები, „ნაციონალისტები“ და მელინისტები უმზადებდნენ;
და დააყენა იგი დემოკრატიულ განვითარების გზაზე. ვალდე-
კმა ბევრ პოლიტიკუნისტს აუქილა თვალი და თავისაკენ მიიმ-
მხრო, სამაგიეროდ მან მოიშორა და მოაშორა ნამდვილ დე-
მოკრატიულ პარტიას მატყუარა და ძალად დემოკრატები. ამით
გამოირკვა პოლიტიკურ ასპარეზის ნიადაგი — დასები ბუნე-
ბრივად დაუახლოედნენ ან დაშორდნენ ერთმანერთს: საფრან-
გეთში ეხლა ორი დიდი პარტია ებრძვის ერთმანერთს — ერთი
კლერიკალურ-კონსერვატორულია, მისი მიზანია პიროვნულ
მთავრობის აღდგენა, მეორე დემოკრატიული, რომლის მიზა-
ნია ხალხის უაღრესობისა და უაღრეს უფლებათა დაცვა და
განვითარება, ეხლა უფრო ძლიერია დემოკრატიული პარტია
და იგი დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება. საფრანგეთი,
რომელიც ერთ დროს სათავეში უდგა ევროპის დემოკრატიას
და ლამპარი იყო სხვა ქვეყნებისათვის, ისევ თავის ადგილს
იკერს.

ალსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ წინა ქრონი-
კებში აღნიშნული ცვლილება ფრანგ-რუსთა დამოკიდებულე-
ბისა ვალდეკ-რუსსოს და მის თანამშრომლების საქმეა და ეს
პატარა დამსახურება არ არის ქვეყნისა და დემოკრატიის წი-
ნაშე.

* * *

ინგლისის პოლიტიკურ პარტიათა შორისაც დიდი ცვლი-
ლება ხდება. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ინ-
გლისში ორი პოლიტიკური პარტია მოქმედებდა — ლიბერალუ-
რი და კონსერვატორული. საკვირველის დისკიპლინითა და
წესით იბრძოდა ეს ორი დასი ქვეყნის ამა თუ იმ შართვა-გა-
მეობის გამო. ხან ერთი იშარჯვებდა, ხან მეორე და ინ-
გლისიც სამეცნიერო მეთოდისებურ წესის შიხედვით ვითარდე-
ბოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ინგლისის პოლიტიკურ

პარტიათა სახე იცვლება. კეთილ-შობილ გლადსტონის შესანიშნავმა ბილლა ირლანდიის ჰომრულისამ განხეთქილება გამოიწვია ლიბერალებ შორის—ბეერი მოშორდა გლადსტონს და ცალკე ჯგუფი შეადგინეს და ლიბერალ-უნიონისტები ან იმპერიალისტები იწოდეს სახელად. გარდა ამისა ინგლისელ მუშებმაც, რომელნიც ამდენი ხანი არავითირ ყურადღებას არ აქცევდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას, მოისურვეს სხვებთან ერთად ინგლისის პარლამენტში თავიანთ ინტერესების წარმომადგენლების ყოლა, რადგან დარწმუნდენენ, რომ ვერც ლიბერალები და ვერც კონსერვატორები მიუდგომელად ვერ გაითვალისწინებენ მათ მღვმარეობასა და მოთხოვნათ.

ირლანდიის ჰომრულის არ სუს, სამხრეთ-აფრიკის ოშიანობამაც დიდი ზედ-გავლენა იქონია ინგლისელ პარტიებზე— მან ახალი განხეთქილება გამოიწვია ლიბერალურ დაშში და ბეერი შესანიშნავი ლიბერალი, მაგ. ასკიტი, რომბერი და სხვები, ჩამოშორდა თავის დასს და იმპერიალისტი გახდა. ირლანდიის ჰომრული საშიშია ინგლისის იმპერიის დიდებისათვისონ და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის უთუოდ უნდა დატიმორისათვით,— აი რას ამბობენ იმპერიალისტები. ირლანდიის ჰომრულის წინააღმდეგობა ნიშნავს ინგლისელ ლენდ-ლორდების ქომაგობას, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის დაპყრობა კი კაპიტალისტების ინტერესების დაცვას. აი ვინ არიან დდევანდვლი იმპერიალისტები, და თუ ჯერ კიდევ ვერ შეუერთდნენ სრულებით კონსერვატორებს, ეს იმიტომ, რომ ნახტომი დიდი არ გამოეიდეს—ლიბერალის პირდაპირ განკონსერვატორება, ერთბაშად დროშის გამოცვლა და მერე ისეთ ქვეყანაში, როგორც ინგლისი, სადაც საზოგადოებრივ აზრს უპირველესი მნიშვნელობა აქვს, მეტად ცუდ შთავეჭილებას მოახდენდა. არ გაივლის დიდი ხანი, რომ იმპერიალისტები სრულებით შეუერთდებიან კონსერვატორებს, რადგან მათ შორის არსებითი განსხვავება აღარ არის.

ნამდვილი ლიბერალი დასი კი, ბანერმანის ლირსეულ მეთაურობით და მუშებთან დაახლოებით, უფრო წა უფრო

გადემოკრატდება. ჰომილული ირლანდიას, საპატიო ზაფი სამხარეთ-აფრიკელ რესპუბლიკებთანო, გაიძახის ბანერშინი და ეს ჰინიშნავს უმიწა-წყლო ირლანდიელების ქომაგობას და გაუმაძლარ ლენდ-ლურდებისა და კაპიტალისტების სასტიკ წინააღმდეგობას.

ინგლისშიაც, როგორც ვხედავთ, იგივე დასებია, რაც საფრანგეთში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინგლისელი კონსერვატორები ვერ ულალატებენ. პრინციპს ხალხის წარმომადგენლობისას და ვერ შელახავენ ხალხის უფლებებს, მაშინ როდესაც ფრანგი კონსერვატორი არც ერთს დავიდევს და არც მეორეს.

* * *

როვორის აზრისაც უნდა იყვეთ ოსმალეთის ეხლანდელ სულთანზე და ოსმალეთის მდგომარეობაზე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია: აბდულ-ამილი შესანიშნავის მოხერხებთ უძლოდა და უძლების მაჰმადიანების გათვით-ცნობიერების საქმეს. მაჰმადიანობა თან-და-თან დიდი ძალა ჰქცება და თუ იგი შეიარაღდა ეხლანდელ ტეხნიკურ კულტურით, საქრისტიანო ევროპას დიდი საფრთხე მოელის. ეხლა 300.000,000 მაჰმადიანია და მათ შორის თან-და-თან ვრცელდება და ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ მაჰმადიანები ძმებია და მოეალენი არიან, ხალიფას მეთაურობით, წინა-ალუფეგენ მაჰმადიანობის მცენა — საქრისტიანოს. ამასთანავე მაჰმადიანებს საკვირველი ენერგიისა და ნიჭის მქადაგებლები ჰყავთ. მაჰმადიანობა იღვიძებს და ვრცელდება. აი რას ამბობს აღმოსავლეთის კარგი მცოდნე ფრანგი ოფიცერი: „ჩინეთის გამოლვიძებისათვის და იმისათვის, რომ მან შეიძინოს ზოგიერთი თვისებები და წინ დააყენოს ევროპას საშიში და უძლეველი ძალა, საქიროა ჩინეთის გამაჰმადიანება. საქმეთა მიმდინარეობიდან ცხადათ სჩანს, რომ აბდულ ჰამილის ტახტზე ასვლიდან დაწყებული დიდი საქმე აზიის წარმართ სახელმწიფოების გამაჰმადიანებისა

დღითი დღე იზრდება. იმის წარმოსადგენიდ, თუ რა საკვირველის სიადვილით ვრცელდება ისლამი წარმართ ხალხთა შორის, საკმარისია გაეიხესნოთ, რომ ცენტრალურ აფრიკის დიდალი შეხოვრებნი სულ 40-ის წლის განმავლობაში გამაჰმადიანიდნენ. ინდოეთში ამ ბოლოს დროს ისე ჩეარა და აღვილად ვრცელდება ქმარიდიანობა, რომ ინგლისელებმა შიშის ბუკი დაჭკრეს.

ისლამი უნერგავს გულში მის მიმდევარს მამაცობას, იარაღის და ომიანობის სიყვარულს, მიწიერ ცხოვრების არაფრად ჩაგდებას და მძულვარებას არა მაჰმადიანთადმი... ჩინეთის გამაჰმადიანებისათანავე ეს ქვეყანა სრულებით გამოიცვლება, ...და ეს ჩვენ გამოვცადეთ კიდეც, როცა გამაჰმადიანებულ ჩინელებთან გვქონდა საქმე. ლორდი სეიმური და სხვა უფროსები განცვიფრებული იყვნენ, როცა მებრძოლ ჩინელებს 10 წლის ბავშვები მეთაურობდნენ და უშიშრად და ამაყად გულს უშვერდნენ ევროპიელების ტყვიებს. ალმოჩნდა, რომ ეს გმორები მაჰმადიანები არიან. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა საშინელ ძალას შექმნის 400.000.000 ჩინელი, თუ იგი გამაჰმადიანლად და ევროპიულად შეაიარალა თავისი ჯარი,

მიუხედავათ იმისა, რომ ერთის საუკუნის განმავლობაში ოსმალეთმა დიდ-ძალი ტერიტორია დაპარგა, იყი სიცოცხლის საკვირველ ძალას იჩენს, ძალას იკრეფს და სურს ძალონით ევროპიელ სახელმწიფოებს გაუსწორდეს... ევროპიელ სახელმწიფოებიდან ვერ შესდგება კონცერტი ოსმალეთის დამოუკიდებლობის მოსასპობად. მარტო რუსეთს შეეძლო ერთბაშად მოესპონ ეს სახელმწიფო, მაგრამ მან ეს შეძლება საუკუნოდ დაპარგა. ამიტომ ოსმალეთი ჯერ კიდევ იარსებებს და მოვადრო, როცა მის წინამძლოლობით ჩინეთი დაიძრის ქრისტიანების წინააღმდეგ, თეისი და ერთ მორწმუნე ოსმალეთის ანგარიშების გასასწორებლად. “

შეიძლება, ზემოდ მოყვანილ აზრში ბევრი რამ გაზვიადებული იყოს, ბევრი დაუსაბუთებელი, ჭავრამ ის კი ცხადზე

უცხადესია, რომ მაჰმალიანობა იზრდება და ძლიერდება, იგი
იღვიძებს და თან-და-თან თვითუნობიერდება, ითვისებს ყველა
შაჰმალიანების სოლიდარობის აზრს.

ხალხთა ისტორია კაბინეტში გამოგონილ დოგმატებს არ
ემორჩილება.

შურელ „მოსმიზი“ 1901 წლის ჟინარსი:

აბაშიძე კიტა—ორი მეგობარი. თარგმნი. № VI—VII.

აზიანი—გაცრუებული იმედი, ორ მოქ. კომედია XII.

არაგვისმიული შ.—ჩემი სამშობლო ჩემი გულია. III.

— მაწა.—V.

— გრძელები ჩიხ—VIII.

— ღვინის ჭურდი IX.

— ჩემი თავგადასავალია XI.

ახობაძე ლადი.—ლექსი—III.

— * * N—ს ლექსი XII.

პაჩანთა—იმდერა, ლექსი. IX.

ბათუმი—სალი მოძღვრება—4 მოქ. და 7 სურ. ბაქსა თარგ.

ალ. გნედელავისა X. XI.

ბილნისონიანისტენისტენი — მარამ შოტლანდიული. ლრამა 5 მოქ.

თარგ. III, IV—VI.

ბიჭინოვა გ.—მეჩენა—მოთხოვბა. II.

— პრაფესორი V.

— ისნის ცისკარი IX.

გაბაშვილი ექ.—ლუანსაბას შატრონი გაუჩნდა. IV.

განდეგილი.—სიმღერა—ლექსი. VI.

— * * ლექსი—№ XII.

გლოგაძე ს.—ფილოსოფია და მდინ პროგრესი. XI. და XII

ერისთავი-ხაშტარია ანასტასია. — ექნა—მოთხოვბა. I. II.

ერებუ მეორის წერილები გაბრიელ ესზიბეგიშვილთან. IV.

გაუა-ფშაველა.—გაელის მწამელი. II. და III.

თავამშეიღო. ე. — არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.

II, III, IV, V, VII, IX, X, XI.

კარიჭაშეიღო. დ. — კინ იყო მობიდან ეპისკოპოზი? № III.

დამბერტი არქანებელი. სამეგრელოს აღწერა. (თარგ. იტალიურით). I, II, III. და IV.

ლერმონტოვი ი. მ. — პალესტინის შტო — ლექსი. თარგ. გ. ან — ანისა. X.

— ნატივა, ლექსი თარგ. დავითებულისა. XI.

მაღალიშეიღო აღ. — ცეცხლი და მისი მნიშვნელობა შირველ ჭავილ კაცის. ცხოვრებაში. IV.

მირიანაშეიღოს აღ. — ცოლის იდეალი, გამოხატული ქართულ ხალხურ პოეზიაში. X.

მოლიერი. — ტარტიუფი ანუ მუზმუზება. — კომ. ხუთ მოქ. თარგ. მანი ი. მ. — ანისა I. და II.

მობასანი — ტუბა, თარგ. ორიშინისა. XIII.

მცირიშეიღო სპ. — დავითი (სამოათ) XII.

ნადსონი. — ლექსი, თარგ. დავითებულისა IV.

ნ — ძესი ქანს. — მგრასანს. — ლექსი XI.

ორბელიანი ქნ. ნინო. — მგრასანს, — ლექსი. V.

ბერია კოლეფი. კომედ. 3. მოქ. თარგმ. ინ — ანისა. V, VII და VIII.

სა — ასა. პატა — ლექსი. I.

საწოლი. — თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა V.

ს. ფ — ასი. წერისოფელი — მოთხრობა. I.

ს — შეიღო აღ. — ვეფუქსის-ტეატრსისა ყალბი ადგილები. V და VI.

სახუკია თ. — გურიააჭარა. I, III, V, VII, VIII, IX და X.

შეხვევი — სახლშია — მოთხრობა, თარგმანი ივ. პოლუმორდვინოვისა. X.

შაგარელი აფქ. — თრია აბოლი. — ლექსი. III.

შაგახიშეიღო ივ. — ხალხის აღწერის და შემოსაკლის დავთრები საქართველოში. IV.

შანაშეიღო მ. — ღიდი სელნაწერი. VI.

შორქაძე არჩოლ. — ძეველ თხობა VI, VII, VIII, IX, X და XI.

ჰეინგ— * * ლექსი—თარ. — სა XI.

ჭიუგა გიქტორ.— სიბრალფინი— რომანი, თარგმ. ივ. მაჭავარიანი—
სა. VI. VII და VIII.

ხახანაშვილი ად.— ბიზანტიის გავლენა საქართველოზე XII.

შინაური მიმოხილვა.— აღნიშვნურება მის 1 ხალხა და ინტე-
ლიგენცია.— ხალხა და ინტელიგენციის ურთიერთობა,— „კვა-
ლის“ მიერ ინტელიგენციის დახასიათება.— ინტელიგენციის ზედ
გალაშერება.— საზოგადო საქმეების არევ-დარევა. სახალხო
თეატრი.— ბაქოს ბიბლიოთეკა.— ქუთაისის ოპერიკია.—
ოზურგეთის თეატრი მმართველობა.— საფრანგეთის ბურგუაზის
და ხალხის ერთობის მაგალითი.— ჩვენი ინტელიგენციის ეკო-
ნომიური საფუძველი, მისი ეროვნული მნიშვნელობა.— ინტე-
ლიგენციის მოქმედება. სახალხა საქმეების მოწესრიგებაში. V.
2 რაფ. ერისთავის გადაცვალება.— მისი მოკლე ბიოგრაფია.—
სალიტერატ. მოდვაწეობა.— ჩვენი ახალი ლიტერატურა.— ორი-
ოდე სიტყვა ჩვენს წარსულსა და აწმყობა. II.

უცხოეთის მიმოხილვა... I.

- 2. ინგლისი: „ომი გამოუქადოთ ინგლისს!“ სნიერი, მაგრამ
ძლიერი ლომი.— საქალაქო არხევნები ლონდონში.— მუშების
სახლები.— ირლანდია და მისი წარმომადგენელთა ეხლანდელი
მოქმედება; ირლანდიური ენა.— ბურების საქმე.— 2. ჩინეთის
საქმეება. II.
- 3. 1) ჩინეთის საქმეები: „მოკავშირეთა“ კავშირის სიმტკიცე.
რუსეთი მანჯურიაში; იაპონია და ინგლისი. 2).— საბრეზაფ-
რიკის საქმეები: იმედის გაცრუება. 3).— ამერიკის შეერთებული
შტატები: ყუბა და ფილიპინის კუნძულები.— ბ სამთა კავ-
შირი და იტალია.— 6. ავგანისტანის ემირი აბდურ რაჟმანი. III.
- 4. 1. მაკელინის საქმეები.— 2. ტრანსვალის ომი და ინგ-
ლისის ბიუჯეტი.— 3. ჩინეთის საქმეები.— 4. ერთი ავგანელის
წერილი. IV.
- 5. მუშათა დაზღვევის საქმე გერმანიაში და საფრანგეთში. V.
- 6. 1) საახალშენო პოლიტიკა და მათი მიზეზები.— 2) მდი-
დარი და ღარიბი სახელმწიფოები.— 3) რუსეთი და იაპონ-
ია. VI.
- 7. გერმანია და ახალი სადამოუნო ტარიფის პროექტი.— საფ-
რანგეთის ეხლანდელი მთავრობა. VII.
- 8. რუსეთი და საფრანგეთი VIII.

- 9. ოსმალეთის სომხეთის საქმე (მოკლე ისტორია). — მუშათა პარტია და ეროვნება IX.
- 10. ინგლისი და რუსეთი შუა აზიაში. — ავღანისტანი. X.
- 11. 1. კიდევ საფრანგეთი და რუსეთი. 2. ჩინეთი — ჩინური მოგზაურობა, ლიხუნჩანცი და მანჩჯურია. კულტუროსათა მოქმედების შედეგი. 3. ბურების საქმე. 4. პურის ბაჟი გერმანიის რეიხსტაგში. XI.
- 11. საფრანგეთის საქმეები. 2. ინგლისის პოლიტიკური პარტიები. — 3. მაპმადიანობა და მისი ძალა.

დამატება. — ფიჭვიადთება. — დ - რის ფლიტერისა (სურათებით), თარგმანი ი. ს. ფანწევასი. XI და XII.

მუსკული სრულიად უძრავი შეიქნება და ის თქვენს ნებაზე არას დროს არც დამოკლდება და არც მოკუმშება.

რას ამტკიცებს ეს მოვლენა? ამითი ისა მტკიცდება, რომ, როცა ხელის მოღუნვა გაუჩინა, ამ დროს ნერები რაღაცაც გაატარებს ორთავიან მუსკულამდე და ეს რაღაცა კი მუსკულს მოკუმშავს. ცხადია, რომ ნერები წარმოადგენს ხილს ნებასა და მუსკულს შორის, ამიტომ, როცა ეს ხილი დანგრეულია ანუ გადაჭრილია, ნებაც ვეღარ მოქმედობს მუსკულზედ.

ზევით ვნახეთ, რომ ზურგის ტვინი ნერვიული ნივთიერებაა, რომელიც თავის ტვინთან მჭიდროთ შეერთებულია. ზურგის ტვინისაგან გამოდიან სხეულის თითქმის ყველა ნერვები. ის ნერვები, რომლების ტოტები მკლავის ორთავიან მუსკულში შედიან, გამოდიან კისრის ხერხემლებასაგან.

საუბედუროთ რომ გაგეგლიჯათ ანუ რამენაირად დაგეზიანებინაზ ზურგის ტვინი კისერზედ, თქვენ ამით არ მოკვდებოდით, მაგრამ დამბლა დაცემულია კი იქნებოდით. მკლავის მოღუნვის სურეილი გექნებოდათ, მაგრამ ვერ მოღუნავდით კი. იგრძნობდით, რომ სურვილი გაქვთ; იგრძნობდით, რომ ძალ-ლონები იჩენთ, მაგრამ ეს თქვენი ძალ-ლონები არავითარ მოქმედებას არ გამოიწვევდა. ზურგის ტვინიც შეადგენს ნაწილს იმ ხილისას, რომელიც გადებულია ნებასა და მუსკულს შორის.

მაშასადამე, მკლავის მოღუნვა შემდეგ ნაირად ჰქონდება. ნებასთან ერთად თაგს იჩენს რაღაცა თქვენსაგე თაგის ტვინში. ეს რაღაცა—ახლა ნუ დავეძებთ, რას წარმოადგენს ეს რაღაცა—თაგის ტვინიდან ზურგის ტვინისაკენ მიღის, განიგლის ზურგის ტვინს, გადაფა ნერგებზე და ისეთს ნერგებს ძონახავს, რომელიც გაბმულია არაან. ზურგის ტვინის ზედა ნაწილიდან მეტავალე და რომელიც რართავიან მუსკულში შედიან. როცა ეს რაღაცა შეძლება ნერგების მუკულში, მუსკულიც მაშანვე მოიკვეთებს, გასხვილდება და ამთაბუმტება. ქვედა მუსკული მუსკულისა წერთის ძვალს დაჭ-

წევბს ზეგით წეგბს; წერთის წინა და უკანა ძგალი უგლიფის
ბოლოზედ შემოტრიბლდებან, და ხელიც მოიღუნება.

ახლა, ვსოდეთ; ხელის გაშლა გსურთ. ნება თქვენი მო-
ქმედებას შეაჩერებს. ის რაღაცა, რაც თქვენმა ნებაშ წარმო-
შობა, მოისპობა თავის ტვინში, გაჰქრება ზურგის ტვინშიაც
და ნერვებში, მოისპობა თვით უუწვრილეს ნერვების ბეწვებ-
შიაც. მუსკულიც, რა კი მას ეს რაღაცა მოეშვა, დაეთხოვება,
გამსხვილებას, წყრთის ძვალზედ მოქმედებასაც თავს დაანებებს;
წყრთა კი ამ დროს თვისი სიმძიმისა გამო ჩამოვარდება და
წინანდელ მდგომარეობას მიიღებს. ამ ნაირად ხელიც გაიმარ-
თება და მუსკული პირვანდელ სიგრძეს მიიღებს.

18. დარწმუნებული ვარ, რომ ყურადღებით მისმენდით
მაგრამ ჯერ მაინც არ აგვიხსნია. სრულიად საკითხავი. რად
იკუმშება მუსკული მაშინ, როცა მას ნერვი იმ რაღაცას მიუ-
ტანს? უნდა მივიღოთ, რომ მუსკულს ასეთი თვისება აქვს,
ყოველთვის აქვს კი მუსკულს ასეთი თვისება? არა.

აბა სცადეთ და მაგრად შემოახვიეთ ბაწარი მკლავს მხრის
ძირში. რა მოჰყვება ამას? ბაწარი თუ მართლა მაგრად შემო-
იხიეთ (გირჩევთ, რომ ასე არ მოიქცეთ, თორემ თავის თავს
მეტათ აზიანებთ), ხელი მაშინვე ფერს დაჲკარგავს და გაცივ-
დება, ხელი გაშეშდება, დამძიმდება და მისი მიხრა-მოხრა ძნე-
ლი შეიქნება. ჯერ შეგიმცირდებათ მგრძნობელობა ხელისა
და მერმე კი სრულებითაც ვერაფერს იგრძნობთ ხელით. ახლა
ხელის მოღუნვა თუ მოინდობეთ, დარწმუნდებით, რომ ეს
თქვენთვის მეტად საძნელო რამ არის. რაც უნდა მოინდო-
მოთ, ორთაერი მუსკულის მოკუმშვა პირველათ გაგიძნელდე-
ბათ, მერე კი შეუძლებელიც შეიქნება. დარწმუნდებით, რომ
თქვენთვის ხელის მოღუნვა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა.
ახლა შემოიხსენით ბაწარი და ნახავთ, რომ ხელის მოსაღუნა-
ვი ძალა კვლავ გიბრუნდებათ; ხელი კვლავ გათბება, სიმძამესა
და უძრაობას დაჲკარგავს; ხელში მგრძნობელობაც დაგიბრუნ-
დებათ; ახლა ხელის მოღუნვაც შეგიძლიათ და ყოველივე
უწინდებურადვე არის.

ხელზედ რომ ბაწარი მაგრად შემოიხეიეთ, რა ჰქენით ამითი? ამითი თქვენ სისხლის სადენი მიღები გასკვენით და ხელში სისხლის დენა მოჰკვეთეთ. ამის მაგირათ, შეგეძლოთ წვრილი ძაფით გაგესკვნათ თვითონ სისხლის სადენი მიღი და ასევე მოხდებოდა. წინა გაკვეთილიდან ვიცით, რომ ჩვენის სხეულის ყოველ ნაწილშიაც არის სისხლის სადენი მიღი, ვენები და არტერიები. ხელსაც აქვს თვისი ძლიერ მსხვილი არტერია; ამ არტერიის ტოტები მთელ ხელში არიან გაფანტულნი. ზოგი ტოტი ორთავიან მუსკულშიაც შედის. რა მოხდება, ეს უკანასკნელი ტოტი რომ გაესკვნათ ისე ძლიერად კი, რომ მასში სისხლის დენა სრულებით შესწყდეს; სხვა მიღებს სისხლის სადენისას კი ხელს ნუ შევაწყებთ? თუ ასე მოვიქცევით, ხელი არ გაცივდება, არც ფერს და არც მიხვრა-მოხვრას დაჰკარგავს, არ დამძიმდება და მგრძნობელობაც ექნება, მაგრამ ამისდა-მოუხედავად, ხელის მოღუნვას, რაც უნდა მოინდომოთ, მაინც ვერ შეიძლებთ. ორთავიან მუსკულს ვერა გზით ვერ მოკუმშავთ, თუმცა კი ხელი საღათ გაქვთ.

რას ნიშნავს ყოველი ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მუსკული თვის ნიშნობებივ თვისებას, მფავუმშოს ნებას ზე-გა-გრენით, ხან დაჭვარგაგს და ხან დაბირუნებს; ამ თვისებას მაშინ დაჭვარგაგს, როცა მასში სისხლის დენა შესწყდება. როცა მთელს ხელზედ არის ბაწარი შემოხვეული, მაშინ მთელი ხელივე ჰკარგავს მოკუმშვის უნარს. ამ უნარის დაკარგვა წინა-მორბედია სიკვდილისა; დიდხანს რომ დარჩეს შემოხვეული ბაწარი ხელზედ, ხელი გახმება. როცა ის სისხლის სადენი მიღებია გასკვნილნი, რომელნიც ორთავიან მუსკულში შედიან, მაშინ ეს მუსკული გაშეშდება და მთელი ხელი კი უვნებელი დარჩება; ორთავიანი მუსკულის გაშეშებისა ანუ სიკვდილის პირველი ნიშანი ის იქნება, რომ იგი ნების გავლენით აღარ მოიკუმშება.

აქედან ცხადია, რომ ხელის მოღუნვისათვის აუცილებლად საჭიროა არა მარტო ორთავიანი მუსკული, ნერვები, მყესი, ხელის ძვლები და სახსარი, არამედ აგრეთვე აუცილებ-

ლად საჭიროა, რომ ორთავიან მუსკულს სისხლი არ შემოაკლდეს.

19. ახლა კიდევ ჭვევით წავიდეთ და ეს ვიკითხოთ რა არას ისეთი სისხლში, რაიც შესაძლებლად ქსედის მუსკულის მოკუმშვას, ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, რა ბძეებს, რა ანიჭებს მუსკულს სიცოცხლეს? ამის პასუხის მიცემა ადვილია. რას ვუძახით ჩვეულებრივად მუსკულის მოკუმშვას? ამას ჩვენ ვუწოდებთ ძალას. დასდეთ გამართული ხელი-მაგიდაზე, აიღო მძიმე რამ და ეცადეთ ახლა ხელი მოლუნოთ. თუ ხელის მოლუნვა შეიძელით, ყველა ღონიერად ჩაგთვლით. თუ ხელის მოლუნვა ვერ შეიძელით, მაშინ ულონოს დაგიძახებენ. იმის მიხედვით, მძიმესა თუ მჩალტე-რასმე აიღებთ, გიწოდებენ. ან ღონიერს ან ულონოსა. პირველად, როცა მძიმე ნივთი აიღდეთ, თქვენმა ორთავიანმა მუსკულმა უფრო დიდი ძალა მოკუმშვისა გამოიჩინა, მეორეში კი უფრო მცირე. აბა, გაიგეთ, რა სიმძიმის საგნის აღება შეგიძლიათ ხელის მოლუნვის დროს საუზმის შემდეგ, როცა თქვენ ახალი ძალ-ღონე გაქვთ. და ჯანზედაც ხართ. ეცადეთ, იგივე საგანი აიღოთ შუადლისას ანუ საღამოზე, ხოლო იმდღეს კი უჭმელი და დამშეული იყოთ. ამავე საგნის აღებას ვერ შეიძლებთ. მოკუმშვის ნიჭი მოაკლდა ორთავიან მუსკულს და იგი უფრო სუსტი შეიქმნა, ვიდრე დილას იყო. რატომ დასუსტდა მუსკული? საზრდო შემოაკლდა და იმიტომ. რა გვარაღ-ღა მოქმედობს საზრდო მუსკულზე? თქვენ ხომ მუსკულით არ მიგილიათ საზრდო; საზრდო პირში ჩაიდევით, პირიდან საზრდო კუჭში და საზრდოს მოსანელებელის მილის სხვა ნაწილებში ჩავიდა, და იქ თითქოს გაჰქირა, დაიკარგა. როგორ-ღა მიაღწია მუსკულამდე საზრდომ? სისხლის საშუალებით. საზრდო სისხლად იქცა. ის ნივთიერებანი, რომელნიც საზრდოთ მიიღეთ, გარდიქმნენ სხვა ნივთიერებათ და ამ ნაირად შეადგინეს სისხლი. ამ უკანასკნელმა ნივთიერებამ მუსკულამდე მაღწია, მას მაღ-ღონე შემინა და მოკუმშვა შეაძლებინა. აი ამიტომ არის, რომ საზრდო ღონიერადა და ძლიერად გხდისთ.

20. ყოველ დღეს, რამდენჯერმე გვირით საჭმელი. რატომ არის ასე? იმიტომ რომ, როცა მუსკული ძალ-ლონებს იჩენს, გაშინ ის საზრდოს ძალად ჰქმნის, ამითი ხარჯავს საზრდოს და ამიტომ მუსკულს ახალ-ახალი საზრდო და ახალ-ახალი სისხლი უნდა. პირველ თავში ვნახეთ, რომ საზრდო დასაწვავ მასალას წარმოადგენს. ისიც გავიგეთ, რომ მუსკული (აგრეთვე ყოველი ნაწილი ჩეენის სხეულისა) განუწყვეტლივ იწვის, იწვის უალოდ, მაგრამ სითბო კი აქვს, იწვის ნელ-ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ კი და, რაც მეტი დაიწვის, მით მეტს მუშაობას შესძლებს. დასაწვავ მასალას ხმელი შეშა და ქვანახშირი კი არ წარმოადგენს, არა: დასაწვავი მასალა აქ წყლიანი სისხლია, რომელიც მზადდება საზრდოსაგან კუჭია ან სხვა აღვილას. ეს მასალა მუდამ იხარჯება; ამიტომ მას განუწყვეტლივ უნდა ემატებოდეს, თუ მოქმედება და მუშაობა გვინდა. ამიტომ სისხლიც განუწყვეტლივ მზადდება. ამიტომაც ღროვამოშვებით საზრდო უნდა მივიღოთ, საზრდო კი სისხლს ამზადებს.

ცხადია, რომ თუ გვსურს გავიგოთ, რა ქსედება ხელის შოლუნების დროს, არ გვეყოფა. ისა, რაც უკვე ვიცით ძვლებისა, სახსრისა, მუსკულებისა და ნერვების შესახებ; ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ გარდიქმნება საზრდო სისხლად, სისხლი როგორ-ლა მიაღწევს მუსკულამდე, რა ნივთიერებაა; რომ მუსკულს ასაზრდოებს, რანაირად იწვის მუსკული და რა გვარათ იქნება გამოტანილი მუსკულისაგან ის ნივთიერება, რომელიც მუსკულის წვის დროს გაინდება — ნაცარი, კომლი და ნახშირ-მეუვე.

ნება მომეცით, გამოგიტყდეთ, რომ აქამდის შხოლოდ გასაადვილებლად გელაბარაკებოდით ერთიძ-ერთს მუსკულზედ, ორთავიანს მუსკულზე. სხეულს ორთავიან მუსკულს გარდა კიდევ ბევრიც სხვა აქვს, ისე, როგორცა გვაქვს ხელის ძვლებს გარდა სხვა ძვლებიცა და იდაყვის სახსარს გარდა კიდევ სხვა სახსრები. ის კია, რომ რაც ერთს მუსკულზე ვსთქვი, ის უველა მუსკულებს შეეხება. მუსკულები სხვა-და-სხვა-სახის, ფორ-

მისა არიან, ამ მუსკულებს ძვლები სხვა-და-სხვა ნათრად მოჰყავთ მოძრაობაში და სხვა-და-სხვა აზარმცებზე აქვთ გავლენა. თვისი მოქმედებით სახსრებიც ძლიერ სტეალასხვაობენ. სხეულის ყოველნაირი მოძრაობა მხოლოდ მუსკულის ბრალია და ამ ღროს მუსკულები ან ერთმანეთს დაეხმარებიან ხოლმე ან-და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ერთმანეთს ექიშვებიან. სხეულის რომელი მოძრაობაც არ უნდა გაარჩიოთ, ყოველთვის ერთს და იმავეს ნახავთ და დარწმუნდებით, რომ ყოველ ნაირი მოძრაობა გამოწევეულია იმიტომ, რამ ამა თუ მუსკულებს ბეწვები, რა კი მათ ნებები რაღაც მოუტანენ, მოიკუმშებან, დამოკლდებან, გამსხვილდებან და ამაგრომ თავის ერთს ბოლოს მეორეს დაუახლოვებენ. ეს რომ შეიძლონ მუსკულის ბეწვებმა, მათ სუფთა სისხლი არ უნდა შემოაგდოს.

როგორც მუსკულია დამოკიდებული სისხლზედ, ისეა სხვა ნაწილებიც სხეულისა. როგორც მუსკულს არ შეუძლია იმოქმედოს, თუ სისხლი არა აქვს, ისედაც სისხლი უსაჭიროეს რასმე წარმოადგენს თავისა და ზურგის ტვინისთვის და ნერვებისათვისაც. საჭმელი თუ გვაკლია, სისუსტესა და მოქანცულობასა ვვრძნობთ და ეს კი იმის ბრალია, რომ თავის ტვინი და ნერვები, აგრეოვე მუსკულები დასუსტდნენ. სხეულის სხვა ნაწილებსაც, რომლებზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი, სჭირიათ სისხლი.

მოკლეთ ასე გამოითქმება, რაც აქამდის ვსთქვით: საჭმელი სისხლად იქცევა; სისხლი მთეჯს სხეულში მიმოიქცევის, მთელს. სხეულს დაივლის; ამას სისხლის ძიმოქცევა ჰქვია; გაუკლის თუ არა სისხლი მუსკულსა, ტვინს, ნერვესა და კანსა, მაშინვე ეს ნაწილები სისხლისაგან თავის საჭირო საზრდოს ამოიღებენ, სისხლს კი გადასცემენ ისეთს ნივთერებას, რომელიც მოსახმარებელი აღარ არის და მათთვის უსარგებლოა. რაღაც სხვა-და-სხვა ნაწილი სხვა-და-სხვა ჯაფას ეწევა, ამიტომ ერთის ნაწილისათვის ის ნივთიერებად მოსახმარისი, რაიც მეორემ გამოაგდო, გამოაძევა. ისეთი ნაწილებიცა აქვს სხეულს,

რომელნიც ყოვლად უსარგებლო ნივთიერებას ერთად კრეფენ და მერმე გარეთ გამოიტანენ. ამიტომ სისხლი ყოველთვის სუფთათ არის დაცული. რა-კი განუწყვეტელია სისხლის მი-მოქცევა, ამიტომაც სრეულს ყოველი ნაწილი თავის თავად ჯაფობს და მუშაობს: მუსკული იკუმშება, თავის ტენი მგრძნო-ბელობს და ნდომობს, ეს გრძნობანი და ნდომანი კი ნერვებს მიაქვე-მოაქვთ; სრეულის სხვა ასონიც თავისავე საჭმეს ბეჭობენ და ამ ნაირად მთელი სხეული ცოცხალი და ჯან-მრთელი რჩება.

§ IV. სისხლის თვისებანდ.

21. თვითონ სისხლი, რომელიც ასე ბევრს ჰასტე აქეთებს, ნერა რადას წარმარადგენს? დაგინახავთ თუ არა მიკროსკოპში ბაყაყის თხელი და გამჭვირვალე ფეხების თითებს შუა გარსი, და, თუ დაგინახავთ, განა არ შეგიმჩნევიათ, რომ წვრილ მილებში მიმღინარეობს წითელი სისხლი?. თუ ეს ჯერ არ გინახავთ, ეცა-დეთ უსათუოდ ნახ-ით, უამისოდ თქვენთვის ფიზიოლოგია გა-უგებარი იქნება. მიკროსკოპში დაინახავთ, რომ ნაზი მილები, ათას ნაირად დახლართულნი, თმის ბეწვზედაც უწვრილესნი არიან. შეამჩნევთ, რომ ამ მილებში ბევრი პატარ-პატარა, მოგრძო და მოყვითანო ფერისა, ბუშტები ერთმანეთს ეჯახე-ბიან და ერთმანერთს მიერეკებიან. ზოგი მილი ფართოა, ზოგი არა; კარგათ შეამჩნევთ, რომ ეს ბუშტები ფართო მილებიდან პატარა მილებში. შემოდიან და ისე ვრცელდებიან. ეს ბუშტები სითხეში დატიერივობენ, თვითონ სითხესკი რო-დი დაინახავთ, რადგან ის ნათელი და გამჭვირვალეა. ზოგი მილი ისე ვიწროა, რომ მასში ერთი ბუშტი თუ გაე-ტევა. მართლაც, თქვენ კარგათ დაინახავთ, რომ ბუშტები ერთი მეორეს თითო - თითოთ მისდევენ. შეამჩნევთ, რომ ბუშ-ტები, ვიწრო მილებს. რომ გაცილდებიან, ფართო მილებში შევლენ და იქ თვალთა ხედვიდან გაპერებიან. წვრილ მილებს

ბეწვის ებური ანუ კაშილიარუსი მთლები ჰქეით. ამ მიღებს ფრიად თხელი კედელი აქვთ, ასე რომ ამ კედლებს ძნელად თუ შეამჩნევთ. ამიტომ მიღები უკედლო გასავლელები გვთ-ნიათ.

ის დიდრონი მიღები, რომლებსაც სისხლი კაპილიარულ მიღებში შემოაქვთ, გასთავარია იმ მიღებისა, რომელთა მსგავსი შინაური კურდლის ფეხში ვნახეთ და რომელსაც არტერიები დავარქვით; ის დიდრონი მიღები კი, რომლებშიაც შედის სისხლი კაპილიარულ მიღებიდან, ვენების დასაწყისს წარმოადგენენ.

ერთს ჩანს კიდევ დაკვირდით ბაყაყის თითს, მერმე თავი დაანებეთ და წარმოიდგინეთ, რომ რაც კი ბაყაყის თითში ნახეთ, ამ გვარი რამე შევიძლიათ ნახოთ თქვენისავე სხეულის თითქმის ყოველ ადგილს, ყოველ ოთხ-კუთხედ დიუიზზე, ყოველ ოთხ-კუთხედ ხაზზედ, თუ კი, რასაკვირველია, შეგეძლებათ თქვენის სხეულის ეს ნაწილები მიკროსკოპის ქვეშ მოაქციოთ და ისე გაისინჯოთ. აქ მხოლოდ იმ განსხვავებას შეამჩნევდით, რომ სისხლის ბუშტები უფრო პატარანი და რკვალნი გვაქვს, ბეწვისებური მიღები უფრო წერილნი, მაგრამ ეს უკანასკნელნი უფრო ხშირათ. არიან მოთავსებულნი სხეულში. ბუშტებიც უფრო ჩქარა მირბი-მორბიან. წინათ რომ მუსკულზე ელაპარაკობდით, აი, იმ მუსკულის ყოველი რბილი და გრძელი ბეწვი გამოხვეულია წერილ კაპილიარულის მიღების ქსოვილში; ამ მიღებში, ვიდრე ცოტხალი ვართ, განუწყვეტლივ გამალებულად მიმომდინარეობს. სისხლი, რომლის წითელი ფერი წითელი ბუშტების ბრალია.


ჩვენის ხორცის ყოველ ნაწილს, თავისა და ზურგის ტვანს, ჩვენს კანსა, ძვალსა, ფილტვებსა, ყოველ ასოს, თითქმის ყოველს ნაწილს. ჩვენის სხეულისას იმ წერილ მიღებით წითლის ფრის სითხე ჩაუდის და ამ სითხეში კი ცურავს სისხლის წითელი ბუშტები.

თითხედ რომ იჩვლიტოთ, ნაჩვლეტისაგან სისხლი გამოდინდება. ამ ნაირადვე გამოდინდება. სისხლი თქვენის სხეუ-

ლის ყოველ ადგილისაგან, თუ კი იჩხვლეტო. ისე ხშირად არის მოთავსებული ეს ვიწრო მილები სხეულში, რომ, სადაც არ უნდა იჩხვლიტოთ და რა წვრილიც უნდა იყოს ნევსი, უსათუოდ გაჩხვლეტო ან რამდენისამე წვრილ მილს, ან არტე-რიას, ან ვენას და ამ ნაჩხვლეტისაგან კი სისხლი დაიწყებს დენას.

22. რას წარმჟადებებს სისხლი სისხლი სითხეა და იგი წყალსავით მიმომდინარეობს. ხოლო სისხლი წყალზედ უფრო სქელია, სქელია კი ორის მიზეზის გამო. ერთი რომ წყალი, ე. ი. ნამდვილად სუფთა წყალი მხოლოდ ერთს ნივთიერებას შეიცავს. რაც უნდა გაძალიდებელი მიკროსკოპით დაინახოთ წყალი, მასში სხვას რასმე ვერაფერს შეამჩნევთ. წყალი მეტად გამჭვირვალეა და, რა სისქისაც უნდა იყოს წყალი, იგი მაინც გამჭვირვალეა. რა თხლად არ უნდა მოაქციოთ ორ მინას შეუ- სისხლი და გახედვა მოინდომოთ, დარწმუნდებით, რომ ეს თქვენთვის შეუძლებელია. სისხლი ღრძნა-და გაზიჯირებულე. მიკროსკოპით რას ხელავთ სისხლში? რამდენსამე ჰატან-შ:ტა- რის და რგვალს სხეულს, ანუ სისხლის ბუშტებს: (ნახატი 4, A.) კარგათ თუ დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ უმეტესი ნაწილი ამ ბუშტებისა რგვალია, როგორც B. ზოგან კი ამ ბუშტებს, როგორც C-ს, ისეთი სახე, ფორმა აქვთ. აქ დახატულია სის- ხლის ორი ბუშტი, როცა მათ სიპრუებზე კი არა, სიგანით ვუკერით. ამისთანა ფორმა აქვთ აქ ამ ბუშტებს იშიტომ, რომ იმათ მართლა აქვთ გვერდები ჩაჭყლეტალი. ერთს ბუშტს თუ უკერით, ის მოყვითანო ფერის გეჩვენებათ; თუ ბევრს ბუშტებს უკერით ერთათ, მაშინ ისინი წითელის ფერისა არიან. ამა წარმოადგინეთ, რა მცირე ტანისა უნდა იყოს ეს ბუ- შტები, თუ კი ქრთის დიუსმის სიგრძეზე სამი ათასი იმათთანა ბუშტი მოთავსდება, ჩაეწყობა. სისხლის სიწითლე ამ ბუშტე- ბის ბრალია. ერთს ბუშტს რომ დააკვირდეთ, ის ღრძნავ თუა წითელი, უფრო კი მოყვითანოა. ერთს კიქა წყალში რომ ერთი წვეთი სისხლი ჩასხათ, წყალი წითელ ფერს კი არ მი- იღებს, მას მოყვითანო ფერი გადაჭრავს. ასე მცირეთ გააწით-

ლებს ხოლმე ერთი წვეთი სისხლი ერთს კიქა წყალს. აგრეთვეა მოყვითანო და არა მოწითლო ფერისა მაყვლის წვენი, თუ მისი სისქე მეტად თხელია.



ნახ. 4. სისხლის წითელი და თეთრი ბუშტები, გადიდებულათ ნაჩვენებნი. **A**. ოდნავ გადიდებულნი. წითელი ბუშტები რიგ-რიგათ არიან ჩაწყობილნი, ისე, ვით მოკრილი ფული. **B**. ორი თეთრი ბუშტი. **C**. იგივე ბუშტები, როცა გვერდით ჭუცქერით. **D**. იგივე ბუშტები ძალზე გადიდებულნი. **E**. წითელი ბუშტი გაბერილი და მომრგვალებული, რაღაც წყლით გაიულენთა. **F**. თეთრი გადიდებული ბუშტი. **G**. ამგვარივე თეთრი ბუშტი, ხოლო კანზე ხორკლები აქვს. **K**. ამნაირივე თეთრი ბუშტი, რომელსაც ძმარის სიმებვეში ჩადებულს გული ემჩნევა, **H**. სისხლის წითელი ბუშტი დანაპებულია და ყოველი მხრით ხორკლი ამჩნევია. **I**. ამნაირივე ბუშტი, რომელსაც ხორკლები მხოლოთ გვერდებზე აქვს.

წითელი ბუტები მაგარი კი არა, ნაზი და რბილნი არიან და ადვილად იმჩნევებიან. ბუშტები წითელის ბადაგის პატარა-პატარა წინწკლებს უფრო ჰგვანან. თუმცა ასე სუსტნი არიან ბუშტები, მაგრამ სხეულში კი დიდს სიმძიმეს უძლებენ ხოლმე.

წითელ ბუშტებს გარდა შეგიძლიათ დაინახოთ კიდევ
სხვა შატარ-შატარა ბუშტები; ეს უკანასკნელი წითელ ბუშ-
ტებზედ უდიდესი არიან; ისინი ფერ-მკრთალნი, უფერულნი
არიან, თუმცა შტეული ბგერჩენება, მაგრამ ისინი ბურთისავით
არიან დგრადნი (ნახატი 4. a, E, G.). ხშირად ეს ბუშტები
ბურთის სახისანი არიან, მაგრამ საგულისხმიეროა ის, რომ
მათ თვისი სახისა, ფორმის შეცვლა შეუძლიათ. ვსტკვათ, და-
აცქერდით რგვალს რასმე, რომელიც ისე პატარაა, რომ იმის-
თანა ერთის დიუმის სიგრძეზე ორიათას ხუთასი მოთავსდება;
უცქერით და ამჩნევთ, რომ ეს რგვალი რამ თან-და-თან სამ-
კუთხედათ, მერმე ოთხ-კუთხედათ იქცევა, შემდეგ მსხლის სახეს
იღებს და ბოლოს ისევ ბურთისავით რგვალი შეიქნება. ყო-
ველი ეს თქვენის თვალის წინ თავისთავად ჰქდება, და ნუთუ-
ამის ფრიად საგულისხმოთ არ მიიჩნევთ? სწორედ ამ გვარადვე
იცვლის ფორმას ის რგვალიც რამ, სისხლში რომ არის
მოთავსებული, თუ კი მას ერთს წვეთს სისხლში მიკროსკოპით
დააცქერდებით. აი, ამ რგვალ ბუშტებს სისხლისას ჰქვიათ
სისხლის თეთრი ბუშტები. ამ უკანასკნელებზედ და მათ საკუ-
რველ მოძრაობაზედ კიდევ ბევრს რასმე გაუიგებთ ქვევით.

23. წითელ და თეთრის ბუშტებს გარდა სისხლში არა
მოიპოვება ისეთი რამ, რის დანახვაც მიკროსკოპში შეგეძლოთ.
ხოლო სისხლში არის კი ისეთი რამ, ურომლისოდაც სისხლი
წყალზედ სქელი როდი იქნებოდა.

ნეტავ თუ დასწრებისართ ლორისა ანუ ცხვრის დაკვლას?
თუ ამისათვის გიყურებიათ, უეჭველია, შეამჩნევდით, რომ სისხ-
ლი წყალსავით გადმოდის სისხლის სადენ მილებისაგან. და
მიწაზედ იღვრება; ცოტა ხნის შემდეგ კი სისხლი ცოტათი
გამაგრდება, ასე რომ მისი დაწყვეტა და დამჩხერევა შეგიძ-
ლიათ. საზოგადოთ ასეა, გამოადინეს თუ არა სისხლი ცოტ-
ხალი სხეულისაგან, ცოტა ხნის შემდეგ უსათუოდ გამაგრდება.
სისხლის ასეთს გამაგრებას ჰქვია სისხლის შედებება, და-
კვეთა.

რა შეადედებს ხოლმე სისხლსა? ვსთქვათ, რომ ღორის სისხლი პირდაპირვე რაიმე ჭურჭელში ჩაუშეით და სისხლს, ჰიდრე ის სითხეს წარმოადგენს, ჩხირებით ფრთხილად ბერტყა დაუწყეთ. უეჭველია, იფიქრებთ, რომ სისხლი ა, ახლავე დაიწყებს შედედებას, შესქელებას და იმისი ბერტყა გაგრძნელდებათ. მაგრამ მოლოდინი არ გიმართლდებათ. სისხლი სულაც არ შედედლება, სანამ კი პბერტყა. განუწყვეტედა ბერტყა სისხლის შედედებას უშდის ხედს. ახლა, აბა, ამოიღეთ ჩხირები? კარგათ ამჩნევთ, რომ ჩხირებს დახვევია მოწითანო ფერის რბილი და მწებავი ნივთიერება. თუ წყალში გაავლეთ, ეს ნივთიერება წითელ ფერს დაჲკარგავს, იგი თეთრი, რბილი, მწებავი და ბეწვისებურია და ჩხირებზედ ათასნაირად შემოხვეული არის. ამ ნივთიერებას შეადგენს ბევრისაგან ბევრი წვრილი, ნაზა და რბილი ბეწვი ანუ ფიბრა და მას ფაბრინი ეწოდება.

ამითი დარწმუნდით, რომ სისხლისაგან ამოიღეთ ფიბრინი ბერტყის დროს და სისხლიც ამიტომ აღმრ შედედდა.

მიწაზედ დაღვრილისა ან ჭურჭელში დაუბერტყავად ჩასხმული სისხლის სულ მცირე ნაწილი რომ კარგა ხანს ჰრეპხოთ, დარწმუნდებით, რომ ამ ნაწილს სისხლისას წითელი ფერი გასცილდება და თეთრი ბეწვისებური ნივთიერება-ლა დაგრჩებათ. ეს თეთრი ბეწვისებური ნივთიერება წარმოადგენს ფიბრინს და სრულებით ჰგავს იმ ფაბრინს, რაიცა ჩხირებით იმოიღეთ სისხლის გაბერტყვით.

თუ სიფრთხილით ჩასხამთ სისხლს ჭურჭელში და არც ააჭყან კუარებთ, სისხლი შედედლება, სისხლი ნამდვილ ბადაგს დაემსგავსება. ჭურჭელი რომ წამოაპირქვაოთ, დაკვეთილი სისხლი იქიდგან გაღმოვარდება, თეის სახეს არ დაკარგავს და მთრთოლეარე ბადაგის მსგავსი რამ იქნება, გარეგანი ფორმა კი ამ ბადაგს ისეთი ექნება, რანაირიც იყო შიგნითა სახე ჭურჭლია.

რამდენიმე საათის, ან ერთის დღის განმავლობაში რომ ჭურჭელში დასტოვროთ სისხლი, ჭურჭელში ვერ ნახავთ ვეებე-

რთელა ბადაგს. ამის მაგიერად, დავინახავთ მცირე ბადაგს, ხოლო უფრო გამაგრებულს კი; ბადაგს ან თავზე ექნება მო- ყენებული ოდნავ მოყვითანო ფერის სითხე, ან ამ სითხეში იქნებ ბადაგი ატივტივებული. ამ მცირე, ხოლო მაგარს ბა- დაგს, რომელიც ერთის ღლის შემდეგ კიდევ უფრო გამაგრდე- ბოდა, შევიძლია ვუწოდოთ ნაკვეთი, ღლიაფერის სითხეს კი, რომელშიაც ეს ნაკვეთი დატივტივობდა, შრატი, სისხლის ნაწრეტი დავარქვათ.

აი, რა ჰედება აქა. გამოუშვებენ თუ არა სისხლს ცხო- ველისაგან, სისხლში მაშინვე თავს იჩენს ერთი რამ, რაიც წი- ნათ არ იყო. ეს ერთი რამ არის ფიბრინი; მთელს სისხლში თავს იჩენს ფიბრინის პატარ-პატარი და ნაზი ბეწვები და ბა- დესავით მოედება სისხლსა. ამიტომ მთელი სისხლი პატარ-პა- ტარა უჯრებად დაიყოფება. ეს უჯრები მოთავს ბულია ბაღის კილოებში, მაყურებებში, ამის გამო სისხლი ბადაგის მსგავსი შეიქნება. ამავე დროს ფიბრინის თეითეული ბეწვი თავის ჩე- ნისათანივე მოკუმას იწყებს, ამიტომ კილოებში მოქცეულ სისხლს დაეჭირება გარშემო, სისხლი კი ცდილობს ამ კილო- ებს თავი დაბლწიოს. კილოებში მხოლოდ ბუშტები დარჩებიან, დანარჩენი სისხლი კი ზევით და გვერდებზე მოქცევა ნაკვე- თს. ეს იმ ხანამდე გაგრძელდება, ვიდრე ნაკვეთში, გარდა ბუ- შტებისა, არაფერი აღარ დარჩება, სისხლი კი გამოიწურება ნა- კვეთისაგან და მაშინ არის, რომ სისხლს ნაწრეტი ანუ შრა- ტი ჰქვია. მაშასადამე, შრატი წარმოადგენს სახლს, რომელსაც შედედების გამო ბუშტები აქვს მოცალებული.

მე მონია, რომ თქვენ ახლა კითხვა დაგებადათ: თუ ასე კი სისხლი გამოშვების უმილვე შედედებას იწყებს, რალა მიზეზია, რომ იგი სხეულშიაც აღარ შედედება ხოლმე? რატომ არის, რომ სისხლი სხეულში მუდამ სითხეს წარმოადგენს? ძნელია ამ კითხვის პასუხის მიცემა. გამოუშვებენ თუ არა სისხლს, ის მაშინვე გაცივდება. მაგრამ სისხლი იმიტომ კი არ შედედება და გასქელდება, რომ ის გაცივდა—ასე ბპდაგს მოუდის ხოლმე, გამოშვების შემდეგ რომ თბილათ შეინახოთ სისხლი და არც

გააცივოთ, ის მაინც შედელდება უფრო მაღლ კიდეც, და თუ ციც ადგილას შეინახეთ სისხლი, ის აღარ შედელდება. ვერც იმას ჩავთვლით სისხლის შედელდების მიზეზად, რომ გამოშვებული სისხლი უმოძრაოდ არის და სისხლის სადენ მილებში იღარ მჩქეფარებს. არც იმიტომ შედელდება სისხლი ხოლმე, რომ მას ჰაერი მოხვდა. ნამდვილათ არ ვიცით მიზეზი სისხლის შედელდებისა; შემდეგ კიდევ ბევრი რამ უნდა გაიგოთ შესახებ სისხლის შედელდებისა. ახლა ის-ლა შემიძლია გითხრათ, რომ ვიდრე სხეულშია სისხლი, მანამდის მასზედ რაღაც მოქმედობს და ეს რაღაც უშლის, რომ სისხლი შედელდეს. ხანდისხან თვით სხეულშიაც კი შედელდება სისხლი და ნაკვეთებით გამოავსებს სისხლის სადენ მილებს — ეს კი ფრიად საზიანო ავაღმყოფობას. წარმოადგენს.

24. ჩვენ გავიგეთ, რომ სისხლი წყალზედ უფრო სქელია, იმიტომ რომ პეიცავს სისხლის მაგარ ბუშტებს და ფიბრინს. თვით შრატიც კი, ესე იჯი სისხლი, რომელსაც გამოშორებული აქვს ფიბრინი და ბუშტები, უსქესია წყალზედ.

ერთი კოკა წყალი რომ ააღულოთ, ის სრულებით ორ-თქლად წავა და მაც არაფერი არ დაგრჩებათ. მაგრამ ერთი კოკა სისხლის შრატი რომ აგედულებინათ, ბევრს რასმე საგულისხმიეროს ნახავდით.

ერთი ის არის საკვირველი, რომ მთელი სისხლის ორთქლად გარდაქმნა შეუძლებელია. ვიდრე მდუღარე წყლის ტემპერატურამდე გაათბობდით, შრატი სრულებით ვასქლდებოდა, ის შრატი, რომელიც წინათ წყალისებურ, მაგრამ მწებავ სითხეს კი წარმოადგენდა. ხომ იცით, რითი განსხვავდება უმი და მოხარული კვერცხი. უმის კვერცხის ცილა თუმცა მწებავია, მაგრამ მაინც სითხეს წარმოადგენს, დანით ამ ცილის გაჭრა შეუძლებელია. პირიქით, მოხარულის კვერცხის ცილა მაგარია და ამისი ნაკუწ-ნაკუწათ დაჭრა ადვილი საქმეა. ხარშვის დროს ცილა გამაგრდა. აი, ამ მხრით სისხლის შრატი სრულებით წაგავს კვერცხის ცილის. მართლადაც, კვერცხის ცილაცა და სისხლის შრატიც შეიცავენ ერთსა და იმავე ნივთიერებას,

რასაც ცილა ანუ აღბუმინი ეწოდება. ამ ნივთიერებას ის თვის-
ება ძევს, რომ იგი შედედება ანუ გამაგრდება, თუ კი მდუ-
ლარე წყლის ტემპერატურამდე გაათბობდენ. სისხლის შრატიც
და კვერცხის ცილაც ცოტათი მაინც ნამიანი არიან მაშინაც
კი, როდესაც შედედებული ანუ შესქელებული არიან — ნამია-
ნი არიან კი იმიტომ, რომ ბევრ წყალს შეიცავენ. დიდის
სიფრთხილით შესაძლოა ამ ორი ნივთიერების გაშრობა და გა-
ხმობა, ამ დროს ორივე ნივთიერება გარდიქმნება გამჭვირ-
ვალე რქასაცით მაგარ ნივთიერებათ. ორივე ნივთიერება,
გამომშრალი თუა, კარგათ იწვის. მაშასადამე, შრატი და ცილა
ისეთი ნივთიერება ყოფილიან, რომელთ შესძლებიათ მოჟან-
გება. წვის დროს ეს ორი ნივთიერება გარდიქმნება ნახ-
შირ-მეავეთ, წყლათა და ამმიაკად. ამმიაკს სუნით იცნობთ,
გამშრალი სისხლის დაწვისას. როცა ვამბობ, რომ ცილა წვის
დროს ნახშირ-მეავედ, წყლათა და ამმიაკად გარდიქმნებათქმ,
ამითი თქვენ მიმხვდარი ხართ (რადგან ქიმიიდან იცით), რომ
ცყლა ნახშირ-მბადს შეიცავს, ისე ნახშირ მეავედ ვერ გარდ-
იქცეოდა, წყალ-მბადსაც, რათა წყლად გარდიქმნეს, და აზოტ-
საც, რათა ამმიაკად გარდიქმნეს. შეიძლება ცილას უანგ-მბადი
არა ჰქონდეს, რადგან, როგორც იცით, საჭირო უანგ-მბადი
ჰერისაგან შეუძლია მიიღოს, მაგრამ ცოტა უანგ-მბადს მაინც
შეიცავს ცილა. ამნარად, ცილა ანუ აღბუმინი შეიძლება მო-
უანგდეს, ანუ დაიწვეს და შემდგარა აზოტისა, ნახშირ-მბა-
დისა, წყალ-მბადისა და უანგ-მბადისაგან. ძლიერ საჭიროა ეს
დაიმახსოვროთ. ახლა აღარ ვიტყვი, თუ რამდენი ნაწილია
ამ ნივთიერებათა ცილში. ცილი ფრიად რთულ ნივთიერებას
წარმოადგენს და საკვირველადაც არის შეღენილ-შეზავებული.
ცილი უფრო რთულია, ვიდრე ერთი რომელიმე იმ ნივთიერე-
ბათაგანი, რომლებიც შეისწავლეთ ქიმიის დაწყებითი სახელ-
მძღვანელოში. აი ამისთანა ცილა, გახსნილი მომეტებულის
წყალში, შეაღენს სისხლის შრატს.

თქვენთვის არა მითქვამს რა იმის შესახებ, თუ რისაგან
არის შემდგარი ფიბრინი. ფიბრინიც, ცილასავით, შესდგება

აზოტისა, ნახშირ-მბადისა, წყალ-მბადისა და ეანგ-მბადისაგან. ფიბრინი იგივე ცილა როდია, თუმცა კი ამ უკანასკნელს ძლიერ წააგავს. არის კიდევ ამ ორი ნივთიერების ახლო ნა-თესავი ნივთიერება; ეს უკანასკნელიც შეიცავს აზოტისა, ნახ-შირ-მბადისა, წყალ-მბადისა და ეანგ-მბადისა და მომეტებულის. წყლით შეზაეებული მუსკულებს შეაღგენს. ამ ნივთიერებათ მსგავს ნივთიერებისაგან შემდგარია სისხლის წითელი ბუშტები; ეს ნივთიერება მთელ სხეულში ყოველგან მოიპოვება.—ყვე-ლა ეს ნივთიერებანი ცილასთან დაკავშირებულნი ჯრიან და ყოველივე მათგანი შესდგება აზოტისა, ნახშირ-მბადისა, წყალ-მბადისა და ეანგ-მბადისაგან; ყველა ეს ნივთიერებანი იწვიან და წყის დროს გარდიქმნებიან ნახშირ-მეტად, წყლადა და ამმიაკად. ყველა ამ ნივთიერებათ ერთი სახელი ეწოდებათ—პროტეინი ანუ ცილა.

25. ცხალია, სისხლი წყალზედ უფრო სქელი იმია. რომ არის, რომ ბუშტები, ფიბრინი და შრატი შემდგარი აქვს პროტეინებისაგან. პროტეინებს გარდა კიდევ ბევრს რასმე შეი-ცავს სისხლი. მაგრამ მე აღარ მსურს შეგაწუხოთ იმ ნივთიე-რებათა ჩამოთვლით, რომელთ რაოდენობა მესამედ კოკა სი-სხლში რამდენიმე მისხალი-ლა თუ იქნება. ის კია, რომ შემდე-გისათვის გაიგებთ, რომ ეს ნივთიერებანი, თუმცა მათი რაო-დენობა მცირეა, მაინც დიდის მნიშვნელობისი არიან—ბევრს მცირეს დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე ბუნებაში.

ხოლო გთხოვთ შემდეგი უეჭველათ დაიმახსოვროთ. გამ-ხმარი სისხლი რომ დასწვათ, დარწმუნდებით, რომ პროტეინები დაიწვიან სრულებით (აგრეთვე ის ნივთიერებანიც, რომელთ რაოდენობა მეტად მცირეა სისხლში და რომლებზედაც ეს-ეს იყო, ვბასობდით), თვითონ სისხლი კი სრულებით არას გზით არ დაიწვის. რაც უნდა ეცალოთ, მაინც დაგრჩებათ ცოტა რამ, რასაც ქიშიაში ნიცარს უწოდებდით; ეს დარჩენილი ნაცარი რომ ამინკვლიოთ, ნახავთ, რომ მას ბევრი ელემენტი. შეადა-ბდნეს: გოგირდი, ფლავორი, ქლორი, კალი-ქნა, ნატრიუმირი-

ქვა (კალცი) და რენა. ამათ შორის რენას უფრო მეტი მნიშვნელობაა ქვს და მისი რეალურობაც უმეტესია.

ახლა ხომ ხედავთ, რომ სისხლი ფრიად საკვირველ სითხეს წარმოადგენს: საკვირველია იგი იმიტომ, რომ შემდგარია. წითელ ბუშტებისაგან და უფერო სისხლისაგან; საკვირველია ფიბრინით და იმითი, რომ შედედება ხოლმე; საკვირველია ბევრნაირ ნივთიერებით, პროტეინი იქნება იგი თუ ლითონი; საკვირველი სითხეა აგრეთვე სისხლი ბუშტებისა და შრატის სხვა თვისებათა მეოხებითაც.

არც გასაკეირველია, რომ სისხლი ასე რთულია, რაღან სისხლი სხეულისათვის წარმოადგენს ვეგბერთელა სავიჭრო მოედანს, სადაც შეიძლება სყიდვა-გასყიდვა სხეულის ყველა საჭირო ნივთიერებათა — მუსკულებისა, ტვინისა, კანისა, ფილტვებისა, ღვიძლისა და თირქელების საჭირო ნივთიერებანი სულ სისხლში მოიპოვება. რაც სჭირია მუსკულს, სისხლისა-გან ყიდულობს; ნასყიდს გადააკეთებს და მერმე ისევ სისხლ-სავე მიჰყიდის. ამ გვარადვე იქცევა ყოველი ასო, სხეულის ყოველი ნაწევარი. სანამ სიცოცხლე ღვიჯის და ცხოველს სუ-ლი უდგას, მანამდის მარადის და განუწყვეტლივ ეს სყიდვა: გასყიდვა გაჩაღებულია, ამიტომაც სისხლიც მუდამ მოძრაობა-ში არის; თვისს მიმოქცევის დროს სისხლი თვითეულ ნაწე-ვარს საჭირო ნივთიერებას მიუტანს და უვარების, რაც საჭირო არ არის, თან წამოიღებს. სისხლმა რომ მოძრაობა შეაჩეროს, ბაზარიც დაიხურება, სყიდვა-გასყიდვა მოისპობა და ასოებიც მოკვდებიან; მოკვდებიან იმიტომ, რომ საჭირო ნივთიერებათ მოკლებული იქმნებიან; და, რაც მათთვის საჭირო სრულე-ბით არ არის, ის კი გადამეტი ექნებათ:

ახლა საჭიროა გავიგოთ, რა ამოძრავებს სისხლს განუ-წყვეტელად, შეუჩერებლად.

§ V. რა ნაირათ მიმოიქცევის ხოლმე სისხლი.

26. შინაური კურდლის ფეხს რომ ვშინჯაედით, მაშინ გავიგეთ, რომ სხეულში ორ გვარი სისხლის სადენი მილებია: ერთია არტერიები, რომლებშიაც, თუ ცხოველი მკედარია, სისხლი ან ცოტაა ან სრულებითაც არ მოიპოვება; არტერიებს მაგარი და სქელი კედლები აქვთ; მეორეა ვენები, რომელნიც სისხლით აღვისილნი არიან და კედლებიც თხელი და სუბუქი აქვთ. არტერია რომ გადასჭრათ, პირი ლია. დარჩება და არ დაიფუკება; ვენა კი დაიფუკება და გაპრტყელდება. თუ დიდია არტერია, მისი კედლები უფრო მაგარია, და ამ შემთხვევაში თვალ საჩინოა განსხვავება არტერიასა და ვენას შორის.

ბაყაყის ფეხზე კაპილიარული მილები შეისწავლეთ, გაეგეთ, რომ ეს მილები მეტად თხელ და რბილ კედლიანები არიან; ხშირად ეს მილები ქსოვილს წარმოადგენენ, სადაც დაბოლოვდებიან ხოლმე პატარა არტერიები და საიდანაც იღებენ დასაწყისს პატარა ვენები.

უკვე გითხარით, რომ მთელს თქვენს სხეულში, ყოველ ნაწილში არის კაპილიარულ მილებისაგან შემდგარი ქსოვილი, ბაყაყის ფეხში რომ ვნახეთ, სწორეთ იმის მსგავსი; ეს ქსოვილი თეალით უხილავია, მიკროსკოპში-კი ამოჩნდება. სხეულის ყოველი არტერია უსათუოდ კაპილიარით დაბოლოვდება, ხოლო ვენები ამ კაპილიარებიდან მიიღებს დასაწყისს! ნება მომეცით განმეორებით გითხრათ, რომ, გარდა ერთის, თუ ორის ნაწილსა, სხეულს არც ერთი ისეთი ნაწილი არ მოჰკოვება, სადაც მიკროსკოპის ქვეშ არ გამოჩნდეს პატარა არტერია ბევრ-ტოტებიანი, კაპილიარული. მილების ქსოვილში ჩანთქმული, და ამ ქსოვილიდგან ყოველთვის დასაწყისს მიიღებს ხოლმე ესა თუ ის პატარა ვენა.

ზოგგან ქსოვილი ფრიად სქლათ დახვეულია, ამიტომ კაპილიარული მილები მჭიდროთ არიან. მოთავსებული. იმაზე

უფრო მციდროთ, ვიდრე ეს ბაყაყის ფეხში არის.. ზოგგან კი ქსოვილი თხლათ არის; აშიტომაც აქ კაპილიარული მიღები ერთმანეთს დაშორებულნი არიან. ამ განსხვავების მიუხედავათ, სხეულის ყოველ ნაწილში უსათუოდ მოიპოვება კაპილიარული მილი, არტერია და ვენა.

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ სისხლის წითელი პატარა, შეუმჩნეველი ბუშტი ხართ და მოთავსებული ხართ დაკლული ცხოველის სისხლის საღენ ცილიერ მიღებში; ესთქვათ, რომ თქვენ კაპილიარულ მიღების ვიწრო გასავლელში მოხვდით, მაგალ., მკლავის ორთავიან მუსკულის კაპილიარებში; ესთქვათ, რომ თქვენ იქ სიარული შეგიძლიათ, შეგიძლიათ აგრეთვე თქვენს გარეშემო ყველაფერს დააკვირდეთ და გამოიკვლიოთ. სადაც თქვენა ხართ, იქიდან ორის გზით შეგიძლება მოგზაურობა. მივიღოთ, რომ იმ გზით გაემგზავრეთ, ომშელსაც უკუკცევითი დავარქეათ. ადგილის სივიწროვისი გამო თქვენ დიდის გაჭირვებით გაივლიდით კაპილიარული მილის ვიწრო გასავლელს, გზა-და-გზა მარჯვნივ და მარცნივ შეხვდებოდით ხვრელს სხვა, უფრო ვიწრო კაპილიარებისას. კაპილიარებს რომ გაივლით, შემდეგ გასაელელი გაფართოვდება, უფრო თავისუფლებას იგრძნობთ და, რაც ბევრს ხვრელს გაივლით, მით უფრო განიერი და მაღალი შეიქნება გასავლელი გვირაბი. გვირაბის კედლები უფრო და უფრო სქელდება, სისქე და სიმაგრე ამ კედლებისა უტყუარათ გიჩვენებთ, რომ თქვენ უკვე არტერიაში ამოჰყავით თავი; —შიგნითა პირი არტერიისა მეტად სწორი და წყლტუა. გზა-და-გზა კიდევ სხვა გვირაბებს შეხვდებით. რამდენს წაიწევთ წინ, იმდენად გვირაბი უფრო და უფრო მცირდება, ეიწროვდება; გვირაბი ხან მცირეა; ხან უდიდესი, და ხანაც იმდენაა, რა სიდიდეც თითონ გვირაბს აქვს. ხანაც იმ სიდიდე გვირაბი შეგხვდებათ, რომ ძნელი დასაჯერებელია, ის თქვენს გვირაბს უერთდებოდეს. ამ დროს თქვენ ასე გეგონებათ, თითქოს ვიწრო გეერდითი გასავალისაგან ფართო აივანში შედით. უსათუოდ შეამჩნევდით, რომ შეუერთდება თუ არა ერთი გასავლვლი მეორეს, მაშინვე გზა გაფართოვდება;

ეს სიფართოვე გზისა ერთ დონეზეა მანამდის, ვიდრე სხვა ახალ გასასვლელში არ ამოყოფთ თაეს. ცოტას ივლიდი თუ ბევრსა, რამდენიმე ხნის შემდეგ უეჭველად მოხვიდოდით იმ სიდიდე და იმ სიფართოვე გვირაბში, რომ თქვენ, პატარა ბუშტა, სრულებით აზრი დაგებნევოდათ. ამ გვირაბის შესახებ რომ გეკი-თხათ ვინმე მცოდნესთვის, გეტყოდათ, რომ ეს მკლავის უმთავ-რესი არტერიაა, ქვევით კიდევ გაივლიდით რამდენსამე დიდს ხვრელს და მერმე მოხვდებოდით ვრცელ აღგილში. ვერც კი მიხვდებოდით, რომ ეს ვრცელი აღგილი არტერიისავე ხვრელს. წარმოადგენს. ამის შესახებაც გაიგებდით, რომ იგი აღრცაა, უუდიდესი არტერიაა. ამის შემდეგ, ცოტა ქვევით, გულში ამოყოფდით თაეს.

ახლა წამოვიდგინოთ, რომ თქვენ უკან დაბრუნდით, აორ-ტიდან მკლავის უმთავრეს არტერიაში შეხვიდოდით, გაიელი-დით ვიწრო გეირაბებს და კვლავ იქვე მიხეიდოდით, საიდანაც წამოხველით. ახლა ვსთქვათ, კაპილარული მილის მეორე ბო-ლოსაკენ მოისურვეთ წასვლა. უწინდებურადვე, ამ გზაზე შეხვ-დებოდით ფართო,-ფართო გასავლელებს. იმას კი უსათურდ შეამჩნევთ, რომ გასავლელებს, თუმცა შიგნითა პირი ისევ სწო-რი და წყლიტუ აქვთ, მაგრამ კედლები კი ისე მაგარი და სქე-ლი არა აქვთ. ამით მიხვდებოდით, რომ არტერიაში კი აღარა ხართ, უკვე ვენაში ხართ. ამ გზაზე ისეთს რასმე შეხვდებით, რაიც არტერიებში არ გინახავთ (გარდა იმ აღვილისა, რომე-ლიც გულის ახლოა). ალაგ-ალაგ შეხვდებოდით ისეთს რასმე, რაც უფრო ჯიბეს, ანუ სასაათე ბუდეს მიემსგავსება. ამ ბუდისა, თუ ჯიბის პირი იმ მხრით არის გაღებული, საითკენაც თქვენ მიე-მგზავრებით. ამ ჯიბებს უბე (ანუ აზლუდა) დავარქვათ; უბე თხელის გარსისა. ანუ კანისაა, ვიწრო ვენებში ხან ერთს უბეს შეხვდებოდით, მეტს არა, ხანაც ორსა და სამსაც. შეუმჩნევე-ლიდ არ დაგრჩებოდათ ის გარემოებაც, რომ იმ აღვილის, სა-დაც უბეა, ერთი ვენა მეორეს უერთდება.

გარდა ამისა სხვა არაფრით განირჩევა ვენებში მოგზაუ-რობა არტერიებში მოგზაურობისაგან; ბოლოს მიაღწევდით იმ


ექნამდე, რომელსაც ღრუ გენა ეწოდება (რადგან აორტა მხოლოდ ერთად-ერთია, ვენა კი ორი, ამიტომ ამ ვენას ეწოდება ზედა ღრუ გენა) და შემდეგ გულში შეხვიდოდით. ამ ნაირად, კაპილიარულ მილიდან რომ გაემგზავრებით (თქვენ მკლავის კაპილიარულ მილიდან დაიწყეთ მოგზაურობა, შეგვეძლოთ გამგზავრებულიყვით სხვა კაპილიარულ მილიდანაც), ბოლოს უსათუოდ გულში ამოჰყოფთ თავსა, სულ ერთია, არტერიებს გაივლით პირველათ, თუ ვენებს.

ვინემ ქვევით წაეიდოდეთ, საჭიროა გულის შესახებ ზოგი რამ გავიგოთ.

27. საყასბოში მოირბინეთ და მოითხოვეთ ცხვრის შიგნეულობა. საყასბოში ერთი ცხვრის შიგნეულობა მაინც იქნება დამზადებული და იქვე ჩამოკიდებული. ვიდრე ყასაბი ჩამოილებდეს, კარგათ დაკვირდით ამ გულს. კავი, რომელზედაც არის ჩამოკიდებული ეს გული, სასუნთქველ ყელში არი გაყრილი. კარგათ ხედათ, რომ ცხვრის ყელი, შინაური კურდლის ყელსავით, შემდგარია ხრატილიან ჩგოლებისაგან; ეს რგოლები მხოლოდ უფრო დიდრონი არიან. ყელის ქვემოდან არის ლრუბლის მსგავსი ფილტვები; ფილტვების შუა არის გული, რომელსაც გარე შეიძლება თხელი გარსი ჰქონდეს გადაფარებული და ამიტომ კარგათ არა სჩანდეს. გულთანა და ფილტვებთან ერთათ არის ვეებერთელა ღვიძლი. სახლში რომ მოიტანოთ ეს შიგნეულობა, ღვიძლი ამოსჭერით, ამოსჭერით აგრეთვე გარსი (ამ გარსს გულის ჰერანგი ანუ ჰერიკარდი ჰქია), რაც გულზედ არის გადაფარებული, და ფილტვები გულიანათ. დასდევთ მაგიდაზე. აქ დაინახავთ სწორეთ ამის მსგავს, რაიც მე-5 ნახატზეა დახატული. თავისავე მქურდში რომ ჩაგრძელათ და შეგეხდათ გულისა და ფილტვებისათვის, შეამჩნევდით, რომ მათი აგებულება დიდით არაფრით განსხვავდება. აქ დახატულისაგან.

ახლა გულს რომ შინჯვა დაუწყოთ—უნდა გაშინჯოთ კი, თუ გსურთ ფიზიოლოგია ისწავლოთ,—აღვილათ შეამჩნევთ, რომ გულს აქვს ორი მოყვითან ფერის მილი, რომელნც

ნახატზე A. და A'0' არის აღნიშნული. შეიძლება ყასაბმა ეს
მიღები იმ ადგილის აზ გადასჭრა, სადაც ნახატზეა გადა-




ნახ. ნ. ცხვრის გული, ცალკე ფილტვებიანათ ამოღებული. გულის
პერინგია მხოლოდ გაჭრილი. RA. მარჯვენა წინა-გულის ყურწი; LA.
მარცხენა წინა-გულის ყურწი; RV. მარჯვენა უკანა გული; LV. მარცხენა
უკანა-გული. SVC. ზევითი ღრუ ვენა. IVC. ქვედა ღრუ ვენა PA. ფილ-
ტვების არტერია; Ao. აორტა; A'0'. უსახელო ტოტი აორტისა, რომე-
ლიც განიყოფება ხოლმე ორ არტერიათ: კინკიბისა და კისრის არტერიათ,
L. ფილტვები; Tr. სასუნთქავი ყია; 1. მთლიანი ნასკვი, რომელიც იმის
ნაშთია, რომ იქ ღდესლაც ფილტვების არტერია აორტას უერთდებოდა. 2.
ცხიმი (სიმსუქნე), უკანა-გულების ძირში მოთავსებული ისე სქლათ, რომ
უმეტესი ნაწილი წინა. გულებისა ამ ცხიმით დამალულია. 3. ზოლი ცხი-
მისა, რომელიც საზღვრავს უკანა-გულებს. 4. ცხიმი. სასუნთქავ ყიაზე.

ჭრილი, მაგრამ ამ მიღებს შაინც ადვილათ იპოვით. კარგად ხედავთ, რომ ამ მიღებს პირი გადებული აქვთ იქ, სადაც ვადაჭრილნი არიან. A.O არის ათარტი, A' კი აორტის დიდი ოოტი, რომელიც მიღვართება თავისა და კისრისაკენ; შეიძლება ეს ის ტოტი იყოს, რომელშიაც მოგზაურობდით თქვენ, სისხლის პატარა წითელ ბუშტად რომ წარმოიდგინეთ თვისი თავი A' ს რომ მავთული გაუყაროთ, შეგიძლიათ ეს მავთული გამოიღოთ, რაღაც წარმოადგენს P.A, რაც ასე ჰგავს აორტის, მაგრამ აორტასთან კი არავითარი კავშირი არა აქვს. აორტიდან მასში მავთულს ვერ გაატარებთ, ესეც არტერიაა და მას ფაჯტებებს ათარტია ეწოდება. შემდეგ უფრო მეტს ვიტყვით ამ უკანასკნელზე.

ახლა მოსძებნება ის მიღები, რომელნიც ნახატზე აღნიშნულია ამ ასოებით: U. C. S. და U. C. I. ამ მიღებსაც მალე იპოვით და გაიგებთ, თუ რატომ არიან ისინი დიდის მნიშვნელობისა: ესენი სხეულის უუდიდესი ვენებია. U. C. S. არის ზედა დრუ ვენა, ესენი რომ შეადგინოთ, ამისთვის შეერთებულია ყველა ვენები თავისა, კისრისა და ხელებისა; ეს ის ვენაა, რომელზედაც მოგზაურობდით ამ ცოტა ხნის წინად. U. C. I. არის ქვედა დრუ ვენა, რომლის შესადგენად ტანისა და ფეხების ყველა ვენებია შეერთებული. რადგან ეს ორი მილი ვენას წარმოადგენს, ამიტომ მათი კედელი სუსტი და თხელია და დაფუკულია. ამიტომ ამ მიღების პირი და გასავლელი საპოვნელად ძნელია.

თუ პირი უპოვეთ, შემდეგ შეგიძლიათ გაბეროთ ეს გულები და შეატყობით, რომ მათი კედელი შესამჩნევად მაგარია, თუმცა კი აორტის კედლებზე უფრო თხელია, იშლენად თხელი, რომ გამჭვირებულეც კია. ერთ-ერთს ამ მიღებთაგანს კალმის ტარი ან წვრილი ჯოხი რომ გაუყაროთ, დარწმუნდებით, რომ ამ მიღებს შეა გულში შეყავხართ. ცოტა სიფრთხილით თუ მოიქცევით, შეგიძლიათ ჯოხი შეუყრათ U. C. I.-ს და ამ ჯოხის ბოლო კი U. C. S-ში გამოატანს. როგორც ხედავთ, ორი-ვე მილი ძირთან ახლო არიან გადაჭრილი.

28. აქ შევწყვიტოთ ცხერის გულის შესწავლა. ცოტა
ასევე გეტყვით გულის შესახებ მე-6 ნახატის საშუალებით.



ნახ. 6. დაახლოვებითი ნახატი გულისა და სისხლის სადენ მიღებისა. ნაჩენებია სისხლის მიმოქმედა იმ გვარათ, როცა უკანიდან ვუცქერით. მაყურებელის მარცხნა მხარე უდრის მარცხნასავე მხარეს გულისას-ნახატზე. LA. მარცხნა; წინა გული; LV. მარცხნა უკანა-გული; Ao. აორტა; A'. არტერიები, რომელნიც სხეულის ზედა ნაწილში იფანტებიან; A2. არტერიები, რომელნიც სხეულის ქვედა ნაწილში მიღი-მოჰიან. H.A. ღვიძლის არტერია, რომელიც უზიდავს ხოლმე ღვიძლს სისხლს. V1. სხეულის ზედა ნაწილის ვენები; V2. სხეულის ქვედა ნაწილის ვენები; VP. გარის ვენა; H.V. ღვიძლის ვენა; V.C.I. ქვედა ღრუ ვენა; V.C.S. ზედა ღრუ ვენა; RA. მარჯვენა წინა-გული. AV. მარჯვენა უკანა-გული; P.A. ფილტვების არტერია; Lg ფილტვები; P.V. ფილტვების ვენა; Lct. რძის სადენი მიღები; Ly. ლიმფის სადენი მიღები; Th.D. მკერდში სადენი. Al. საზრდოს მოსანელებელი მილი; წრ. ღვიძლი; ისარი მაჩვენებელია იმ მიმართულებისა, თუ სითკვნ მიმდინარეობს ხისხლი, ლიმფა და მონელებული საზრდო. მიღები, რომელთ მიმაქვთ არტერიის სისხლი, მსხვილათ არიან დახატულნი; ხოლო წვრილ ხაზებით გამოსახულნი მიღები კი ვენებია.

ეს ნახატი დაახლოვებით გვიჩვენებს სრულს სისხლის შიმოქ-
ცევას. უნდა გახსოვდეთ კი, რომ ეს ნახატი მხოლოდ დაახ-
ლოვებითია და არა სრული სინამდვილე და სრული მსგავსება.
ეს ნახატი არ გვიჩვენებს ნამდვილს აგებულებას და მოთავსე-
ბულებას სისხლის საღენ მიღებისას; ეს ნახატი მხოლოდ ზო-
გადათ გვიჩვენებს მათს მოთავსებულებას. ჩვენ რომ არც ხე-
ლი და არც ფეხი არა გვქონოდა, თავში და სხეულის ქვემო
ბოლოზედ მხოლოდ რამდენიმე კაპილიარული მიღი გვქონოდა,
ამ შემთხვევაში აქ წარმოდგენილს ნახატს სისხლის საღენ
სისტემასთან მეტი მსგავსება ექნებოდა.

ნახატის შუა ადგილი გულს უჭირავს. როგორც ხელავთ,
გული გაყოფილია სწორისა და პირდაპირის კეფლით ორად—
მარჯვენა და მარცხენა ნახევრად. თვითეული ნახევარი შეს-
დგება ორის სენაკისაგან: ერთია ზედა, მეორე ქვედა. ეს ორი
სენაკი სავსებით არ არის ერთმანეთზე დაშორებული. გულს,
მაშასადამე, ოთხი სენაკი, ოთხი განყოფილება აქვს—ორია ზედა
სენაკი, რომლებიც აქ აღნიშნულია R. A. და L. A. ამათ
მარჯვენა და მარცხენა წინა-გული ეწოდებათ: ორიც ქვედაა
R. V. და H. V. ამათ ეწოდებათ მარჯვენა და მარცხენა უკა-
ნა-გული. მარჯვენა წინა-გულს, R. A. შეყავხართ მარჯვენა
უკანა გულში, როგორც მას ისარი გვაჩვენები. ამ შესავალთან:
მარჯვენა უკანა-გულს უბე აქვს. მარცხენა წინა-გული, L. A.
აგრეთვე უერთდება მარცხენა უკანა-გულს L. V. აქაც შესა-
ვალი დაცულია უბითა. დიდი გზა უნდა განვლოთ და დიდზე-
დაც უნდა მოუაროთ, რომ მარჯვენა წინა-გულიდან ან
უკანა- გულიდან მარცხენაში მოხვდეთ. როგორ-ლა შემოვი-
ლით მთელს ნახატს? ესთქვათ, ჩვენ დავიწყეთ მოგზავრობა
იმ ორის მიღისაგან, რომლებიც აღნიშნული არიან V. C. S
და V. C. I. და რომლების კედლები ხაზებით არის წამოდგენი-
ლი. ეს ორივე მიღი შეერთებულია მარჯვენა წინა-გულთან:
ეს მიღებია ერთი ზედა ღრუ ვენა. და მეორე ქვედა ღრუ ვე-
ნა. ეს მიღები იყო, რომ ამ ცოტა წნის წინადაც ცხვრის გულ-
ზედ შეისწავლეთ. მარჯვენა წინა-გულიდან ადვილად შეხვალი

მარჯვენა უკანა-გულში, აქედან კი, ისარს თუ მიყვებით, პირდაპირ შეხვალთ მიღები, რომელიც P. A. არის აღნიშნული. ეს უკანასკენელი ფილტვების არტერია და მისი გარეთა ნაწილი უკვე ნახული გაქვთ ცხვრის გულზე. (ნახატი 5, P. A.). ფილტვების არტერია მიგიყვანთ ფილტვებამდე, მერმე განივლით ტოტებს, რომელებიც აქ ნაჩვენები არ არის, არტერიებს, რომელნიც უფრო წვრილმანდებიან, და მოლოს მიაღწევთ ფილტვების კაპილარულ მილებამდე. ამ უკანასკენელებს რომ გაივლით, დიდის გაჭირვებითა და ვაგლახით, მერმე ვენებში შეხვალთ და ივლით ვენებში, რომელნიც გზაში დიდდებიან, და ბოლოს (ისრებს კი უნდა მისდიოთ) შეხვალთ ერთ-ერთ იმ ოთხ დიდრონ ვენებთაგანში (დაახლოვებითი ნახატზე მხოლოდ ერთი მათგანია წარმოდგენილი), რომელიც შეგიყვანთ მარცხენა წინა-გულში. მარცხენა წინა-გულიდან ერთი ნაბიჯი-ლაა მარცხენა უკანა-გულამდე. მარცხენა უკანა-გულიდან გზა მაღის, როგორც გვიჩვენებს ისარი, იმ მილამდე, რომელიც AO-თია აღნიშნული. ეს მილი წარმოადგენს აორტას და იყი უკვე ნახული გაქვთ ცხვრის გულზე. (ნახატი 5, AO.). ეს მილი აქ ორ ტოტად არის გაყოფილი, რასაკვირევლია გასაადვილებლად, თორემ ზევითაც მოვიხსენიეთ — და ეს არ უნდა დაივიწყოთ, — რომ ეს ასე ორად როდი იყოფა: მას ბევრისაგან ბევრი ტოტი, სწვა და სწვა სიღიღისა აქვს. ნახატი ისევ ისე დავსტოვოთ, და ვთქვათ რომ A' მიღები მივდივართ. ისრებს რომ მიყვეთ, გავივლით არტერიებს, რომელნიც წვრილმანდებიან, და მივაღწევთ ან კანის ან მუსკულისა, ან ძვლისა და ან ტვინის კაპილარულ მილებამდე, სხვილის. ზედა ნაწილის რომელსამე ადგილამდე. კაპილარულ მილებიდან შევალი ვენებში, რომელნიც ერთმანეთს უერთდებიან და უფრო მსხვილდებიან, და რომელნიც მიგვიყვანენ იმ ადგილს, საიდანაც გამოვედით, შეგვიყვანენ ზედა ღრუ ვენაში, V. C. S. მეორე გზით რომ წავიდეთ და A²-მილს გავყვეთ, მაშინ გავივლით სხეულის ქვედა ნაწილის კაპილარულ მილებს და დავბრუნდებით ქვედა ღრუ ვენაში V. C. I., ზედა ღრუ ვენის.

მაგიერად. მარჯვენა წინა-გულიდან რომ გაემგზავრთ, რა გზი-
თაც არ უნდა წახვიდეთ, უფერებელ შემთხვევაში ისევ მარჯვენა
წინა-გულში დაბრუნდებით; ამ მოგზაურობის დროს უსაფულდ
გაიღლით შეძლებს ადგილებს ამ რიგზე: მარჯვენა წინა-გულს,
მარჯვენა უკანა-გულს, ფილტვების არტერიას, ფილტვების
კაბილიარულ მიღებს და გენებს, ფილტვების გენას, მარცხენა
წინა-გულს, მარცხენა უკანა-გულს, არტერიას, არტერიებს,
კაბილიარულ მიღებს და გენებს სხეულის რამელისაბეჭი ნაწი-
ლისას და ბოლოს ღრუ გენას, ხოლო ან ზედას, ან ქვედას.

აი ეს არის შარა სისხლის მიმოქცევისა. მას კიდევ უნ-
და დავძინოთ ზოგი რამ. ბევრს დანარჩენ ტოტებს შორის, რო-
მელნიც აქ დაახლოვებით ნახატზე არ არის ნაჩვენები და რო-
მელთაც აორტა სხეულის ქვედა ნაწილისაკენ აგზავნის, ორი
ტოტია განსაკუთრებული ყურადღების ღირსი და ეს ორივე
ტოტი ნახატზედაც არის ნაჩვენები.

ერთი ამ ტოტთაგანი დიდია, მას მიაქვს სისხლი მილოთან,
A. ჩ., რომელიც დაახლოვებით ნახატზე კუჭისა, ნაწლევებისა
და შიგნეულების მაგიერია. ეს ტოტი, აორტის სხვა ტოტებისა-
ვით, განიყოფება პატარა არტერიებათ, არტერიები კაპილიარე-
ბათ გარდიქმნებიან, კაპილიარები თავს მოიყრიან, შეერთდე.
ბიან, ვენებათ იქცევიან და ბოლოს ერთს დიდს ვენას შეად-
გენენ. ეს ვენა დაახლოვებითს ნახატზე აღნიშნულია ასოებით:
V. P. ამ ვენას ეწოდება კარის ვენა. აქ შესანიშნავი ის არის,
რომ ეს ვენა სხვა ვენებსავით პირდაპირ არ შედის ღრუ ვენა-
ში, იგი ჯერ ღვიძლში შედის, დაიყოფება პატარა ვენებათ
და მერმე მთელს ღვიძლს მოედება კაპილიარულ მილებათ. ეს
კაპილიარული მილები კვლავ შეერთდებია, ვენებს შეადგენენ,
ერთ ღიდ ვენათ მოიყრიან თავს, ამ უკანასკნელ ღვიძლის
ვენა ეწოდება, **H. V.** ეს უკანასკნელი ვენა იმასვე ასრულებს,
რაიცა უნდა შეესრულებინა კარის ვენას, პირველი ღრუ ვე-
ნას პირდაპირ შეუერთდება ხოლმე.

აორტის მუზორე ტოტი, ზევით რომ მოვიხსენეთ, პირდაპირ
შედის ღვიძლში. ამ ტოტს ღვიძლის არტერია ჰქვია, **H. A.**

ლეიძლში ეს არტერია ჯერ პატარა არტერიებათ, მერმე კაპი-
ლიარულ მილებათ გარდიქმნება; ეს კაპილიარული მილები
შეუერთდებიან კაპილიარულ მილებს კარის ვენისას და ერთად
შეადგენენ ერთს სისტემას, რომელიც წარმოშობს ხოლმე ლეიძ-
ლის ვენებს. ამ ნაირად, დიდი განსხვავებაა სისხლის წითელ
ბუშტისათვის, რომელიც ორტას A² ქვედა ნაწილისაკენ გაემ-
გზავრა, თუ რომელ მილში მოხდება იგრ: იმ მილში, რომე-
ლიც საზღვის მოსანელებელ მილისკენ მიიმართება, თუ იმ მილ-
ში, რომელიც მიდის ფეხისაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში, ის
ბუშტი გაივლის რამდენსამე კაპილიარულს მილს, მაშინვე
ლრუ ვენაში დაუბრუნდება და ლრუ ვენიდან კი გულში
შევა. თუ საზრდოს მოსანელებელ მილში მოხდა ის ბუშტი,
იმ შემთხვევაში ის გაივლის კაპილიარულ მილებს და მერმე
კარის ვენაში შევა. ამით საჭმე არა თავდება. იმ ბუშტმა კვლავ
უნდა გაიაროს მეორე ჩრგი კაპილიარულ მილებისა ლვიძლში
და ხოლო მერმე ლვიძლის ვენის საშუალებით ლრუ ვენამდე
მიაღწევს.

მაშასადამე, სრული მიმოქცევა სისხლისა ამ ნაირად ჰქონდება: გულის მარჯვენა მხარე, ფილტვების ორტერია, ფილტვების
კაპილიარული მილები, ფილტვების ვენა, მარცხენა მხარე გუ-
ლისა, ორტა, რომელისამე ოდგილის კაპილიარული მილები,
ხან თრი რიგი კაპილიარულ მილებისა, ხანაც ერთი, ლრუ ვენა
და კვლავ მარჯვენა მხარე გულისა. სისხლის პატარა ბუშტს
არ შეუძლია გულის მარჯვენა მხრიდან მარცხენაში გადვიდეს.
ისე, თუ წინ-და-წინვე ფილტვების კაპილიარული მილები არ
განვლო. გულის მარცხენა მხარედან მარჯვენაში ვერ გადმოვა,
თუ არ განვლო კაპილიარული მილები სხეულის რომელისამე.
ნაწილისა, და თუ იმ გზით წავიდა ბუშტი, რომელსაც კუჭი-
საკენ მიყიფხართ, იმ შემთხვევაში ერთის მაგიერად, თრი რიგი
კაპილიარული მილებისა უნდა გაიაროს.

კარგათ ამჩნევთ, რომ სისხლის ორგვარი მიმოქცევა გვაქვს,
გვაქვს იგრეთვე ორი გული, ერთად შეერთებული. გამოცდი-
ლება და ხელის სიმარჯვე რომ გქონდათ, შეგეძლებოდათ


გული ორად გაგეცოთ და ერთმანერთისთვის დაგეშორებინათ. ამ შემთხვევაში გექნებოლათ ორი გული. ერთი გული მიიღებდა სხეულის ყველა ვენებს, თვითონ კი ფილტვებს გაუგზავნიდა არტერიებს (ფილტვების ჯრტერიის ტოტებს), მეორე გული კი მიიღებდა ფილტვების ყველა ვენებს, თვითონ კი მთელს სხეულს გაუგზავნიდა არტერიებს (აორტის ტოტებს). მაშინ სისხლის ორ გვარ მიმოქცევასაც მიიღებდით, ერთი მიმოქცევა ფილტვებით იქნებოდა, მეორე კი მთელის სხეულით, და ეს ორგვარი მიმოქცევა ერთად შეერთებულია. მართლაც და ხშირად აჭბობენ ორ გვარს სისხლის მიმოქცევაზე; რადგან ფილტვები მთელ სხეულთან შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ სისხლის ფილტვებით მიმოქცევას ჰქვია მცირე მიმოქცევა სისხლისა, ხოლო მთელის სხეულით კი — სისხლის დიადი მიმოქცევა.

29. სისხლის მიმოქცევა ისე გაიწერეთ, რომ სისხლი ყოველთვის ერთის მიმართულებისაკენ მიდის, მარჯვენა გულიდან მარტხენასაკენ და არტერიებიდან ვენებში შედის იმ მხრით, რა მხრითაც ამას ისრები ვითქვენებენ დაახლოებითს ნახატზე. სისხლის მიმოქცევა მართლაც მხოლოდ ამ რიგათ ჰქონდა, სხვა რიგი მიმოქცევა სისხლისა შეუძლებელია. რასა ბრალია, რომ სისხლი მხოლოდ ემ გზით მიმოიჭრების ხალ-მეტი რისი ბრალია, რომ სისხლის სხვა გზით მიმოქცება არ შეუძლია?

ამის მიზეზი გულსა და ვენებშია საძებარი.

ვენებში სასახლს კაშთარულ მიღებიდან გულისგან შეუძლია მხოლოდ იმდინარებს. რატომ არის, რომ სისხლი ვენებში თუ არ ამ გზით სხვა გზით გულიდან კაბილიარებისაკენ ვერ იმდინარებს? ხომ გახსოვთ, რომ ვენებს პატარა, ჯიბის მსგავსი უბეები აქვთ, ხან სათვითოოდ, ხანაც კი ორორი, სამსამი. ისიც გეხსილებთ, რომ ამ უბეებს პარა ერგებოს გულისაგან აქვს მიმართული. ახლა წარმოიდგინეთ, რომ აუარება რიცხვი ბუშტებისა ვენებში გულისაკენ მირბიან. ერთ-ერთ უბემდე რომ მიაღწევენ, ეს ბუშტები უბეს მიაწვე-

ბიან და მოფუკავენ (მე-7 სურათის ზედა ნახატი). ამიტომ ეს ბუშტები ამ ადგილას ისე გაივლიან, თითქოს უბე არც კი ყოფილიყოს, და თვის გზას განაგრძნობენ, თითქოს არაფერი შეხვედროდესთ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ბუშტები მეორე მხრიდან მორბიან, გულიდან კაპილიარებისაკენ. უბის ღია პირამდე რომ მიაღწევენ, ზოგი ბუშტი უეჭველად უბეში მოექცევა, უბე ამით უფრო გაიღება და გამოიბერება. რაც უფრო გამოიბერება უბე, მით უფრო ბევრი ბუშტი მოექცევა მასში; ბოლოს საქმე იქამდისინ მივა, რომ უბე მეორე, მოპირისპირე კედელზე გაეკერება (ამასვე გვიჩვენებს მე-7 სურათის



ნახ.). 7. დაახლოებით ნაჭერი ვენებისა და იმათ უბეებისა. ზედა ნახატში სისხლი მიმდინარეობს გულისაკენ იმ მიმართულებით, როგორც ეს ნაჩვენებია ისრებით; ქვედა ნახატში კი — უკუჭცევითა. C. კაპილიარებისაკენ მიქცეული ბოლო; H გულისაკენ მიქცეული ბოლო.

ქვედა ნახატი). ამ ადგილას თუ ორი ან სამი უბეა, მაშინ ისინი შეერთდებიან და ვენას სრულებით გამოავსებენ. იქნება ეს არა გჯეროდესთ, ვირჩევთ გამოჭერით ფარჩისა ან ჩიბე, მიაკერეთ ის სქელ ქაღალდს და ეს ქაღალდი მიღსავით მრგვალად დაკეცეთ ასე, რომ ჯიბე თავისუფლად იყოს მოთავსებული ამ მილში. ახლა მუხუდო ჩაყარეთ ამ მილში, მილი კი ისე დაიჭირეთ, რომ უბის პირი ქვემოთ იყოს მოქცეული, ამ შემთხვევაში მუხუდო თავისუფლათა და მაღლეც გაიკლის მილს. ახლა მილი გადმოაბრუნეთ, პირი ზევით მოაქციეთ და კელავ მუხუდო ჩაყარეთ მილში, მუხუდო აღარ გავა და უბეს ამოავსებს, თუ, რასაკვირცხელია, მილი მაგრათ გაქვთ მიკერებული.


ცადია, რომ გენის უბე სისხლს ნებას აძლევს თავისუფ-
ღად იმოქმდინარებს კაბილიარებიდან გულისაკენ, ამის წინა-
აღმდეგა გზით კი არა. ხელზედ გვაქს რამდენიმე ვენა, რომ-
ლებშიაც სისხლი თითებიდან მკლავისაკენ მიმღინარეობს. ერთ-
ერთს ამ ვენათაგანს თითი რომ დააჭიროთ და თითებისაკენ
გაყვეთ, ვენა ამოიბერება; კარგათ თუ დააკირდებით, ნახავთ,
რომ ვენას აქა-იქ პატარ-პატარი ნასკვნები აქვს, და ეს ნას-
კვნები იმისი შედეგია, რომ უბეები ამოიზურვენ, ამოიბერენ.
მეორე მიმართულებისაკენ, ესე იგი იდაყვისაკენ თუ მიუვებით
და ვენას თითს დააჭერთ, ვენას ადვილათ დაწრეტი სისხლისა-
გან, ამავე დროს კი მეორე თითი უნდა უსათუოდ დააჭიროთ
ვენას. თითების ძირის ახლო, და ამით თითებისაგან ვენაში
სისხლი არ შემოუშვათ. ასე თუ მოიქცევით, ვენა დიდხანს
დაცალიერებული დარჩება.

გაშასადამე, ერთი მიზეზი იმისა, რომ სისხლი მხოლოდ
ერთის მიმართულებით მიმოიქცევის ხოლმე, არის ვენის უბეე-
ბი; სხვა ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზები კი გულში უნდა
ვეძიოთ.

დავუბრუნდეთ ისევ ცხერის გულს.

30. ნახატიდან გაივეთ, რომ ორი უდიდესი ვენა, ზედა
და ქვედა ლრუ ვენა, მარჯვენა წინა გულს. უერთდებიან.
ცხვრის გულს რომ ეს ორი ვენა გაუჭრათ, ნახავთ, რომ ამ
ვენების პირი ცალ-ცალკე შედის პატარი სენაკში, რომლის
კედლები შიგნიდან საკმაოდ წყლტუ არიან, თუმცა ეს კედ-
ლები ხორციანი და სქელი არ არის. ეს პატარი სენაკი წარ-
მოადგენს მარჯვენა წინა გულს და დახატულია მე-8 სურათზე
R A.; ამ სურათზე დიდორონი ვენები არ არიან გაჭრილნი,
მხოლოდ წინა გულის წინა ნაწილია ამოჭრილი. წინა გულს,
გარდა იმ ნახვრეტებისა, რომლებსაც ორ დიდს ვენაში შეყავ-
ხართ, და იმ ერთის ნახვრეტისა, რომელიც დასაწყისია გული-
დან გამომავალის ვენისა, აქვს კიდევ ერთი დიდი ნახვრეტი
(ნახატი 8. b), რომელსაც ქვევით აქვს მიქცეული. პირი. ეს
ნახვრეტი იმ სიდიდეა, რომ სამი თითი შეეტევა. ამ ნახვრეტს

მარჯვენა უკანა გულში შეყავხართ. აღვილი საქმეა, თითები გაატაროთ წინა გულიდან უკანა გულამდე და ისევ ამორ-ლოთ.




ნაჩ. 8. ცხვრის გულის მარჯვენა მხარე. RA. მარჯვენა წინა-გულის შიგ-ნითი სივრცე; SVC, ზედა ღრუ ვენა; IVC. ქვედა ღრუ ვენა (ორივე აშ-ვეებში გატარებულია ვეშაპის ულვაში). a. ვეშაპის ულვაში, რომელიც გატარებულია წინა-გულიდან უკანა-გულში, ამ უკანასკნელთა შორის მოქცეულ ხვრელით. b. ვეშაპის ულვაში გატარებული ვენაში. RV. მარ-ჯვენა უკანა-გულის შიგნითი სივრცე; tv, tv ორი ნაფლეთი სამენა უბი-სა; მესამე ნაფლეთი კი ძლივს-და სჩანს იმათ უკან. გ. ვეშაპის ულვაში მათ შორის, გატარებული. ორ ნაფლეთთა შორის სჩანს მათზე მყესით მიბმული დფრილარებული მუსკული p, p, რომელიც მოჭრილია უკან გულიდან, რომელიც ნახატზე არ არის ნაჩვენები. ზევით უკანა-გული ძაბრისებურათ ბოლოვდება და გადადის ფილტვების არტერიათ P.A.-ერთი ნაფლეთი მოვარის მაგვარი უბისა 87 კარგათ და მთლათ სჩანს, ხოლო მეორე კი ოდნავ. 1. უკანა გულის გაფატრული კედელი. 2. ჩგო-ლის მოთავსებულება წინა და უკანა გულებს შორის. 3. წინა გულის კედელი. 4. ცნობი, რომელიც მოთავსებულია წინა-გულსა და ფილტვების არტერიის შორის.

გული ისე დაიჭირეთ, რომ წინა შევით იყოს; უკანა გულში წყალი ჩაასხით. რამდენიმე კოუ—უქალი ადვილად მო-თავსდება უკანა გულში, მაგრამ შემდეგ შეამჩნევთ, რომ ნახერე-ტის პირთან ამოტივტივ უება თეთრის კანის ანუ გარსის ნაჭ-რები, ეს ნაჭრები სრულებით დახურვენ წინა-გულის შესავალს. უკანა გულში, წინა-გულიც მალე აივსება წყლით და წყალი გადმოიღვრება. ყურადღებით თუ დააკეირდებით იმ გარსს, რო-მელიც ამოტივტივ დება, შეამჩნევთ, რომ იგი შემდგარია სამის ერთად შეერთებულის ნაჭერისაგან, როგორც ეს ნაჩვენებია მე-9 ნახატზე (LV. 1, IV. 2, IV. 3). ეს სამი ნაჭერი გარსისა შეადგენს უბეს, რომელიც მოთავსებულია მარჯვენა წინა გუ-ლის და უკანა გულს შეუ, ამ უბეს სხმ-ენა უბე ეწოდება. აღვილი გასავებია, თუ რატომ ეწოდება ამ უბეს ასე. მარჯვე-ნა წინა-გული რომ გაფატროთ, ისე კი, რომ მაკრატლით გას-ჭრიათ გულის კანი წინა-გულიდან დაწყებული უკანა-გულამდე, ან სრულებითაც ამოჭრათ უკანა გულის წინა ნაწილი, რო-გორც ეს მე-8 ნახატზე, დაინახავთ, რომ უბე შემდგარია სამის სამ-კუთხიანის ნაჭრებისაგან; ეს ნაჭრები ნახერეტის პირთან არიან მოთავსებულნი, მათი მარტივი ბოლო უკანა გულში. არის ჩაკიდებული, (ნახატი მე 10. t. V.). ის კია, რომ ეს ბოლოები თავისუფლები არ არიან. კარგათ შეამჩნევთ, რომ ნაჭრებს გვერდებზე წვრილი ძაფები აქვთ მიბმული; ამ ძაფე-ბის ბოლო მიკრულია უკანა-გულზე ამ უკანასკნელის პატარა ხორციან ხორცლებზე; ამ უკანასკნელებს პაპილები ანუ დერილის მაგვარი მუსკული ჰქვიათ. (ნახატი მე-8 P. P.).

რანაირათ მოქმედებენ ეს უბენი? აი, როგორ. როცა უკანა გული ცალერია და მასში წინა გულიდან სისხლი ანუ წყალი ანუ სხვა რომელიმე სითხე შემოდის, მაშინ უბეები უკა-ნა-გულის კედლებს გაეკვრიან, ამის შედეგი კი ის იქნება, რომ წინა-გულს და უკანა გულის მუაზე დიდი კარი დარ-ჩება ღია. უკანა გული რომ აივსება, მაშინ სისხლი ანუ წყა-ლი უბის ენას ქვევიდან მოექცევა და ენებიც ამოტივტივ დებიან ჰქვით წინა-გულისაკენ. რამდენადაც მეტია სითხე. უკანა


გულში, მით უფრო ზევით ამოცურდებან, ასე რომ, როცა
კანა გული სრულებით სავსე იქნება, მაშინ ენებიც ერთმანეთს.



ნახ. 9 გულის შესავალ-გასავალი, როგორც ზევიდან სჩანს, როცა
ამოჭრილია წინა-გულები და დიდრონი სისხლის სადენი მილები. P. A.
ფილტვების არტერია მთვარისებური უბებით; R. A. V. შესავალი მარ-
ჯვენა წინა-გულს და უკანა-გულს. შორის სამი ნაფლეთით (IV. 1. 2. 3)
სამ-ენა უბის. L. A. V. შესავალი მარტხენა წინა-გულს და უკანა-გულს
შორის ორი ნაფლეთით თვ 1 და 2 ორ-ენა უბისა. b. ვეშაპის ულვაში,
გაყრილი ვენაში. L A V მარტხნივ გული გაჭრილია წინა გულის ყურ-
წის სისწორეზე. ამიტომ დაკბილულია ეს აღვილი.

მიუახლოვდებიან, ერთმანეთს მიეკვრიან და გასავლელს სრუ-
ლებით დახურვენ. მაგრამ რატომ არის, რომ ეს ენები უფრო
ზევით არ ამოიწევენ, წინა-გულში არ შემოვლენ და გასავალს
კელავ არ დასტოებენ? თ რატომ. პატარა ძაფები, უკანა
გულზე მიკრულნი, მათ ამის ნებას არ აძლევენ. უბის ენები
მანემდის ამოიწევენ, სანამ ძაფებს კარგათ არ დაჭიმენ, ძაფე-
ბი კი იმ სიგრძისასი არიან, რომ ენებს შეუძლიათ მხოლოდ
ნახვრეტის შუამდე მოატანონ, ზევით კი ვერ აიწევენ. რაც
უფრო დაჭიმულია ძაფები, მით უფრო მაგრათ მიეკვრებიან

ერთმანეთს უბის ენები და უფრო მარჯვეთაც დახურავენ გასავლელს უკანა გულიდგან წინა-გულისკენ.



ნაჩ. 10. გულის შესავალ-გასავალის შეხედულება ქვევიდან, როგა უკანა-გულები ამოკრილია. RAV. მარჯვენა შესავალი წინა-გულიდან უკანა-გულში; ამ შესავალში საში ნაფლეთია, t.v 1, t.v 2, t.v 3, სამ-ენა უბესი. ეს სამივე ნაფლეთი გაჭიმულია მით, რომ მყესის ბეწვებზე ჩამოკიდებულია სიმძიმე. LAV. მარცხენა შესავალი წინა-გულიდან უკანა-გულში. აქ კი ორი ნაფლეთია t.v 1. ას 2 ორ-ენა უბესი. PA. შემოსავალია ფილტვების არეტრიისა; აქ ამ შემოსავალთან მთვარისებური უბენი შეერთებული ერთმანეთს ეხებიან. A0 აორტა-მოვარისებური უბე-ებით. ამ ნახატის დაჩრდილური ნაწილი. RAV-დან დაწყებული, ვიღრე PA-მდე წარმოადგენს ძაბრს, რომელიც კარგათ სხანს მე-8 ნახატზე.

ამ ნაირად საბ-ენა უბე თავისუფლად ამდინარებს სისხლს მარჯვენა წინა-გულიდან მარჯვენა უკანა გულში, შირიქითი მდინარეთას ნებას კი არ აძლევს; უკანა გულიდან წინა-გულში არ შემოვშევს სისხლს.

31. ახლა უკანა გულს ჩაეხედოთ შიგნით. უკანა გულს ხორციანი, ე. ი. მუსკულებიანი კედლები აქვს; კარგათ შეატყობთ, რომ ეს კედლები წინა-გულის კედლებზე უფრო სქელი

და მაგარია. იმ ნახვრეტის გარდა, რომელიც უკანა გულში წინა გულიდან შემოდის, უკანა გულს კიდევ მეორე ნახვაზე რეტი აქვს. ეს უკანასკნელი ნახვრეტი პირველ ნახვრეტთანეე არის მოთავსებული. ამ მეორე ნახვრეტს რომ კალმის ტარი ან თითი ჩაუყოთ, ნახავთ, რომ ამ ნახვრეტს შეყავხართ დიდს მიღები, რომელიც თქვენ კარგათ იცით და რომელსაც ფილტვების არტერია ჰქვია (ნახატი მე-5, P.A.).

უკანა გულიდან დაიწყეთ და გასჭირით მაკრატლით ფილტვების არტერია ისე, როგორც ეს ნაჩვენებია მე-8 ნახატზე, P.A. ადვილად გაარჩევთ იმ ხაზს, სადაც თავდება უკანა გულის წითელი რბილი და ხორციანი ნიერიერება და საღაცი იწყება მოყვითანო, მაგარი ნივთიერება, არტერიის შემდგენელი. აი, სწორედ ამ ხაზან ნახავთ სამს (თუ კი მაკრატლით არ მოგიჭრიათ რომელიმე მათვანი) უბეს; ეს სამივე უბე ჯიბეს მიემსგავსება და იმნაირადვე არიან მოწყობილი, როგორც ვენების უბეები; ის კია, რომ აქ ეს უბეები უფრო დიდრონი და ლაზათიანათ მოწყობილნი არიან. ამ უბეებს ახალ-მთვარის მსგავსი უბეებია ეწოდებათ, რადგან მათ ახალ-მთვარის სახე აქვთ. ფრთხილად ასწიეთ და ნახავთ, რომ ეს უბეები ნაზი რამ არიან, მაგრამ ამავ დროს მაგარიც. საჭირო აღარ არის გითხრათ ამ უბეების მნიშვნელობა. ამას უჩემოდაც მიხედვებით. ეს უბეები სისხლს უქანა-გულიდან მხოლოდ ფილტვების არტერიაში შეუშებენ, არტერიადან უქანა-გულში კი არა-სოდეს.


მაშასადამე, გულის მარჯვენა მხარეზე ჩვენ თრი დიდი უბე გვაქვს: სამ-ენა უბე წინა გულსა და უკანა გულის შუა და ახალ-მთვარის მაგვარი უბეც უკანა-გულსა და ფილტვების არტერიის შუა. ეს-უბეები სისხლს ნებას აძლევენ იმდინარეობის მხოლოდ ერთის მიმართულებით. თუ ეს საეჭვოდ მიგაჩნიათ, შეკიძლიათ ეს მართლაც შეამოწმოთ. ჩადევით მიღი ზედა ან ქვედა ღრუ ვენაში, მეორე მიღიც ფილტვების არტერიას გაუკეთეთ. ძაბრით რომ ჩაასხათ წყალი ვენაში, იმ შემთხვევაში წყალი ადვილად გაივლის წინა-გულსა, უკანა-გულსა და შე-

მოეა იმ მილში, ფილტვების არტერიას რომა აქვს გაკეთებული. ახლა მეორე მხრით, ფილტვების არტერიის მილიდან რომ მოინდომოთ წყლის ჩასხმა, დარწმუნდებით, რომ წყალი აღარ გამოდის; არტერია იმ წამსვე დაიხურება უბეებითა და რამდენიმე წევეთი თუ გამოვა გულიდან ვენაში.

ახლა ისევ გასჭერით ფილტვების არტერია შენიშნავთ, რომ კედლები არტერიისა სქელი და მაგარია. იმასაც შეამჩნევთ, რომ არტერია ორ—ტოტად არას გაყოფილი. ერთი ტოტი მარჯვენა ფილტვში შედის და მეორე—მარცხენაში. თვითეული ამ ტოტაგანი უფრო პატარა ტოტებათ დაიცოდება ხოლმე; უკანასკნელი კიდევ უფრო პატარაებად. წინათ უკვე გაიგეთ, რომ ეს ტოტები კაპლიარებათ გარდიქ-მნებიან ხოლმე და მთელს ფილტვებში გავრცელდებიან.

32. ფილტვების არტერიის ორი ტოტის ახლო იპოვით რამოდენსამე მილს. ეს უკანასკნელი შეიძლება სიმსუქნითა და სხვა რომელიმე ნივთიერებითაც იქნეს დაფარული. მაგრამ ამ მილებში მაშინვე ვენებს იცნობთ; ერთ-ერთი ამ მილებთა-განი რომ გასჭრათ, დარწმუნდებით, რომ ამ მილებში შეგი-ლიათ გაატაროთ წვრილი ჯოხი. ამით დარწმუნდებით, რომ ეს მილი ერთის შერით ფილტვებისაკენ მიეშურება, მეორეთი კი გულის მარცხენა მხარისაკენ. ეს ფილტვების გენგაბა! ესენი (ოთხის ხერელით) შედიან გულის შიგნით მარცხნივ. მარცხენა გულის შიგნითა პირი სრულებით მიემსგავსება მარჯვენისას. (ნახატი მე-11). მარცხენა გულის სენაკი მარცხენა წინა-გულს წარმოადგენს. აქედან ნახერეტია მარცხენა უკანა-გულში. შე-მავალი და ეს ნახერეტი სრულებით მიემსგავსება იმ ნახერეტს, მარჯვენა წინა-გულს და მარჯვენა ასოს უკანაგულის შეუ რომ არ-ის. აქაც სამ-ენა უბის მსგავსი უბე მოიპოვება, მხოლოდ იმ გან-სხვავებით, რომ აქ უბეს ორი ენა აქვს (ნახატი 9. მ. V. 1, მ. V. 2). ამიტომაც ამ უბეს თან-ენა ეწოდება. ენებზე მიმბულია ძაფები, რომელიც უკანა გულზედაც არიან მიკრულნი. საზოგადოთ ორ-ენა უბეს სრული მსგავსება აქვს სამ-ენა უბესთან და მისე-ბურათვე მოქმედობს, თუ რომ იმ განსხვავებას არ მიეიღობთ,

რომ ორ-ენას მხოლოდ ორი ენა აქვს და სამ-ენა უბეს კი. — სამი.



ნახ. 11. ცხვრის გულის მარცხნა მთარე. PV. ფილტვების ვენები, რომელიც ოთხი წემოსავალით შემოდიან მარცხნა წინა გულში, როგორც ამას გვიჩვენებენ ვეშაპის ულვაშები, მათში გაყრილები ა. ჩხირია, რომელიც გაყრილია წინა-გულიდან უკანა-გულში მათ შორის მოქსეულის ხვრელით. b. ჩხირი გაყრილი ვენაში; თუმცა ამ ვენას არაფიტარი დამოკიდებულება არა აქვს მარცხნა წინა-გულთან, მაგრამ ეს ვენაც უნდა გაიგრეს, თუ გვსურს წინა-გული გავფარროთ, რადგან იგი ისეთ ადგილზეა მოთავსებული. mV. ორი ნაფლეთი ორ-ენა უბესი (ხისრულით არ არის, დახატული, მხოლოდ დაახლოვებით). p, p. დვრილისებური მუსკულები, უკანა-გულზე ჩამოჭრილი. C. ჩხირი გარარებული უკანა-გულიდან აო-რეაში. Ao.1 აორტის ტოტი (იხ ნახ. 5. A 0) PA. ფილტვების არტერია. SVC. ზედა ღრუ ვენა-1. უკანა-გულის გაჭრილი კედელი; 2. წინა-გულის კედელი, რომელიც იმ ადგილას არის გაჭრილი, სადაც ჟესაგალია წინა-გულიდან უკანა-გულში. 3. სხვა ნაწილები წინა გულის გაჭრილის კედლისა. 4. ცნიმი უკანა-გულის ძირში შემოხვეული (იხ. ნახ. 5. 2).

თუ წინა-გულს და უკანა-გულსაც გასჭრით მაკრატლით, დარწმუნდებით, რომ მარცხნა უკანა-გული (ნახატი 11) ძლი-

ერ მიემსგავსება მარჯვენას, მხოლოდ მარცხენა-უკანა-გულს კედლები უფრო სქელი აქვს, და გულის უფრო ღიღის ნაწილს წარმოადგენს. ამას ვულის გარეგანს სახეზედაც შეატყობთ.

ორივე წინა-გული პატარანი არიან და სიმსუქნით არიან შეფარული; მათ გარედგან ვერც კი შეამჩნევთ. უფრო კარგათ ორს პატარასა და ხორციანს ჩას დაინახავთ, (თვითოს თვითეულს წინ-გულზე) (ნახატი 5, P. A. L. A). ეს რქები „უურებია გულისა“. უკანა-გულებს უფრო ღიღი ნაწილი უჭირავთ. კარგათ შეამჩნევთ, რომ გულს სალტივითა აქვს სიმსუქნე გადაკრული (ნახატი 5, 3.). ეს სიმსუქნე მისდევს იმ ადგილს, სადაც ხორციანი კედელია, ორივე უკანა-გულის გამყოფი. იმასაც შეამჩნევთ, რომ წვერი ანუ გაწვრილებული ბოლო გულისა მხოლოდ მარცხენა უკანა გულს უჭირია.

ახლა მარცხენა უკანა-გულის შიგნითა სიფრიფანა განვიხილოთ. უკანა-გულს ერთად-ერთი კარი აქვს იმ კართან ახლოს, რომელიც წინა-გულიდან შემოდის. ამ კარში რომ თითო შეუყოთ, დარჩეუნდებით, რომ იგი მიღის იმ მილში, რომელიც ჯერ ფილტვების არტერიის ქვეშ არის, ე. ი. უკან, მერმე ფილტვების არტერიის ზევით ამოვა, ე. ი. წინა. ამ მიღს თქვენ უკვე იცნობთ. იგი ათრება. აორტა რომ გაჭრათ უკანა-გულიდან (ამის მისალწევად ფილტვების არტერიის გადაჭრაც დაგჭირდებათ), ნახაეთ, რომ მარცხნივ და მარჯვენივ წითელი კედელი უკანა გულისა შეიქმნება არტერიის ყვითელ და მაგარ კედლათ; ამავე ადგილის არის სამი უბე ახალ-მთვარის მსგავსი, იმნაირივე, როგორიც ფილტვების არტერიაში ვნახეთ.

მაშასაღამე გულს მარცხენა მხარეზედაც რაი უბე აქვს, რა-ენა უბე წინა გულსა და უკანა-გულის შეს და ახალ-მთვარის მსგავსი უგანა-გულსა და ათრებას შეა. ეს უბეები სისხლს მხოლოდ ერთის მიმართულებით ამდინარებენ. ადგილათ შეგიძლიათ წევადი ჩაასხათ ათრებაში ფილტვების ვენიდან წინა-გულისა და უკანა-გულის საშუალებით; თუ არ ათრებადინ, ამ წევის გადმოღვრა სხვა გზით შეუძლებელია.

ეს არის მიზეზი, რომ სისხლი მხოლოდ ერთის მიმართულებისაკენ მიმდინარეობს, იმ გზით, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. მთელი რიგი უბეებისა მოიპოვება და ეს უბეები ერთს გზას ხსნიან და მეორეს, მოპირისპირეს — ხურავენ. აი ეს უბეებიც: სამ-ენა უბე, მარჯვენა წინა-გულსა და უკანა გულის შუა; ფილტვების ახალ-მთვარის მსგავსი უბე, მარჯვენა უკანა-გულსა და ფილტვების არტერიას შუა; ორ-ენა უბე, მარცხენა წ.-ნა-გულსა და უკანა-გულის შუა; აორტის ახალ-მთვარის მსგავსი უბეები, აორტასა და მარცხენა უკანა-გულის შუა და ბოლოს მთელი კრებული უბეებისა, რომელიც ვენებშია. უმეტესი რიცხვი ამ უბეებისა თვით გულშივეა მოთავსებული; უმთავრეს მოვალეობას გულის უბეები ასრულებენ, ვენების უბეები კი მათ დაბმარებას უწევენ მხოლოდ.

33. ახლა ხომ გავიგეთ, თუ რატომ მიმოიქცევის ხოლმე სისხლი მხოლოდ ერთის მიმართულებით. საზოგადოდ კა სისხლი არ მოძრაობს? აი საკითხავი, რომელიც უნდა გადავ-წყვიტოთ.

უკვე იცით, რომ სისხლი, ვიდრე ცხოველი ცოცხალია, განუწყვეტლივ მოძრაობაშია. ისიც ნახეთ, რომ სისხლი ბაყაყის თათის მიღებში მოძრაობს. სხეულის ჩა ნაწილიც არ უნდა აიღოთ, ამგვარსავე მოძრაობას სისხლის წითელ ბუშტებისას ნახავთ მიღებში. სისხლი რომ მოძრაობაშია, ამაში იმითაც დარწმუნდებით, თუ კი გასჭრით რომელსამე სისხლის სადენ მიღს: სისხლი იმწამსვე ამოასხამს. როცა არტერიას გადასჭრით, სისხლი იქიდან ამოღის, რომელიც გულისაკენ მდებარეობს. როცა ვენას გასჭრით, სისხლი იქიდან გამოღის, რომელიც კაპილარებისაკენ არის. თუ გსურთ სისხლის დენა შესწყვიტოთ არტერიაში, არტერია უნდა გასკვნათ იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს განაკერსა და გულს შუა. თუ ვენების სისხლის დენა გსურთ შესწყვიტოთ, მაშინ ვენა უნდა გასკვნათ კაპილარებსა და განაკერ ადგილებს შორის. კარგათ იცით, თუ საიდან წარმოსდგება, რომ ასე სხვა-და-სხვაა სისხლის დენა არტერიას. და ვენაში, გადაჭრის დროს. ეს განსხვავება სისხ-

ლის დენისა ამტკიცებს, რომ სისხლი არტერიებში გულიდან კაპილარებისაკენ მომდინარეობს, ხოლო ვენებში კაპილარებიდან გულისაკენ.

სისხლი განუწყვითლივ მოძრაობს, ძლიერ ჩქარათაც მოძრაობს. დიდს არტერიებში სისხლი ისეთის სისწრაფით გარბის, რომ ერთს წუთში ათის დღუმის მანძილს გაივლის. კაპილარების სივიწროებში კი ნელად მიდის, რაც უნდა იყოს, სისხლი მთელს წრეს თვისის მიმოქცევისას ნახევარ წამში გარბის ხოლმე.

სისხლი მუდამ ასეთის სიჩქარით გარბის. თუ სისხლში მდინარება შეაჩერა, ცხოველი იმ წუთსვე უსათუოდ მოკვდება.

რადა ამჟამრაგებს სისხლსა?

წარმოვიდგინოთ, რომ გრძელი წვრილი მუსკული ერთის ბოლოთი რაზედე დაამაგრეთ, ხოლო მეორე ბოლოზე მას კი რაიმე სიმძიმე ჩამოჰკიდეთ. უკვე გაგებული გაქვთ, რომ ეს მუსკული, როცა მოიკუმება, სიმძიმეზე გავლენას იქონიებს და მას ზევით ასწევს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მუსკულზე კი არ გაქვთ სიმძიმე ჩამოკიდებული; არა. მუსკული წყლით ხავსე ბუშტს შემოახვიეთ. ენახოთ, რა მოხდება, როცა მუსკული მოიკუმება? ცხადია, მუსკულის მოკუმივთ ბუშტი გაიკულიტება; თუ ბუშტს ნახვრეტი რამ აქვს საღმე, იქიდან წყალი გადმოდინდება. ამ გვარადვე ჰედება გულშიაც. უკვე იცით, რომ გული მუსკულს წარმოადგენს. თვითეული სენაკი გულისა, ორივე წინა გული და ორივე უკანა-გული წარმოადგენს თხელ კანიან ბუშტს, რომელსაც გარედან შემოხვეული აქვს მუსკულები. ის ბეწვები, რომელთაგან შემდგარია მუსკული, ერთმანეთთან ახლოს არის მოთავსებული დიდის სიფრთხილითა და დიდის მომარჯვებითა. ეს რომ ასეა, შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ კარგათ დააკვირდებით დიდს მოხარშულ ნაკერს ძროხის ხორცისას. ამ ნაკერზე მუსკულები სხვა-და-სხვა მიმართულე-

ბით არის ჩაწყობილი. მალე შეატყობთ, თუ რა მიმართულებით არის ჩაწყობილი აქ ბეწვები, რადგან ბეწვების სიგრძეზე ძროხის ხორცის გაჭრა, გაჩლეთაც კი ადვილი, საჭმეა, ბეწვების გარდი-გარდმო კი—ძნელია. ნაჭერის სხვა-და-სხვა ადგილის ბეწვები სხვა-და-სხვა მიმართულებისაკენ მიღიან, მაგრამ თვითეულს განცალკევებულს ადგილის ეს ბეწვები კი ერთს რიგზე, ერთს წესზე არიან ჩაწყობილნი. გულზედ კი ბეწვები საკვირველათ ახლართულ-დახლართულნი არიან, ასე, რომ ძნელია გაიგოთ, საით არის მიმართული სიგრძე ბეწვებისა. ეს ბეწვები აქ ასე იმიტომ არიან მოთავსებულნი, რომ ამ მუსკულებმა ერთსა და იმავე დროს კიდეც უნდა მოკუმონ და კიდეც უნდა მოკულიტონ გულის ყველა განყოფილება.

ცხადია, რომ გულის სენაკი, წინა გულია ის თუ უკანა-გული, წარმოადგენს ბუშტს, რომელსაც ვარს შემორტყმული აქვს მუსკულები; როცა მუსკულები მოიკუმებიან, ბუშტს ძალზე მოუჭერენ, გაჭყლეტენ და გარეთ გამოუშვებენ ყველაფერს, რაც კი გულში იქნება. უკანა-გულებს უფრო მეტი მუსკულები აქვთ, ვიდრე წინა-გულებს, მარცხნა უკანა-გულს მარჯვენაზე უშერტესი. ეს კი იმიტომ, რომ, როგორც ზევით ვნახეთ, უკანა-გულების კედლები უფრო სქელია, ვიდრე წინ-გულების, და კედლიც მარცხნა-უკანა-გულის მარჯვენა უკანა-გულის კედლები უფრო სქელია. ეს კედლები კი მუსკულებისაგან არის შემდგარი.

ი, ასე საკვირველი ამბავი ჰედება გულში. მუსკული-ყოველთვის განუწყვეტელ შრომაშია, მოიკუმება და გაფართოვდება, მოიმოკლებს და გავრძელდება, და ასე იქცევა თავისთავად, ვიდრე კი გული ცოცხალია. მკლავის ორ-თავიანი მუსკული მხოლოდ მაშინ მოიკუმება, როცა გსურთ. თუ ხელით არ გინდათ იმოქმედოთ, ხელიც ნებივრობას და მოსვენებაშია, თქვენი ორთავიანი მუსკულიც ნებივრობს. გულმა კი მოსვენება, რა ხილია, არ იცის. გლვიძავთ, თუ გძინავთ, დადიხართ, თუ წევხართ, აკეთებთ რასმე თუ არა—მუდამ, ვიდრე ცოცხალი ხართ, თქვენი გული ერთგულათა და განუწ-

ყვეტლად მოქმედობს, მუშაობს. ყოველ წუთში, წუთზედაც უფრო მაღლეც, გადამეტის სისწრაფით მოიკუმება ხოლმე წინა-გული, ორვე ერთსა და ამავე დროს; იმ დროს კი, როცა წინა-გულების მოკუმეა გათავდება, ჩაშინვე ძალზე მოიკუმება. ორივე უკანა გული, აგრეთვე ერთსა და იმავე დროს, უკანა-გული კი უფრო ძლიერად მოიკუმება, ვიდრე მარჯვენა. იმას შეძლება დადგება უამა მოკლე მოსვენებისა. ერთი წუთიც კი არ გაივლის, რომ ორივე წინა-გული ისევ მუშაობას შეუდგება. ამნაირი მოკუმეა და გაფართოვება, გულის ასეთი ფანც-ქალი, (ასე უწოდებენ მას) უცები მოკუმეა წინა-გულებისა და უფრო ხანგრძლივი უკანა-გულებისა. მაშინ დაიწყო, როცა თქვენ დაბადებულიც კი არ იყავთ, თქვენი გულის ასეთი ფანც-ქალი მანემდის გაგრძელდება, ვიდრე თქვენი შეგრძნებითაც არ მოიყრიან თქვენის ცხედრის გარშემო და არ იტყვიან, რომ თქვენ უკვე გადაცვლილი ხართ.

34. რა გვთათ ამჰამაგვებს სისხლს გულის ფანცქალი?
ესეც განვიხილოთ.

საჭიროა გითხათ, რომ თქვენ, ახლა თუ არა, რომ გაიზრდებით, მაშინ ვექნებათ 12 გირვანქა სისხლი და გექნებათ ეს: სისხლი მოთავსებულია სისხლის სადენ მილებში. ახლა ხომ იცით, რომ გული და სისხლის სადენი მილები წარმოადგენენ მილების ერთიანს სისტემას. მილების კედლები ზოგან, მაგ., კაპილიარებში ფრიად თხელია, მაგრამ მთლიანია და მაგარი; სისხლის სადენი გზა კაპილიარებსა, ვენებსა, გულსა და არტერიებში მიმავალი გახსნილია; ამ მილებიდან გამოსავლელი გზა არსად არ არის; მილებიდგან მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოხვიდეთ, თუ მილი სადმე გაწყვეტო ან, გაგლეჯავთ.

თ ეს დახურული სისტემა, მილებისა და გულისაგან შემდგარი, აღვსილია სისხლით, რომლის წონა 12 გირვანქაა.

რა მოხდება ხოლმ გულის მოკუმების დროს?

მარჯვენა უკანა-გულიდან დავიწყოთ. ვსთქვათ, იგი სისხლითა აღვსილი და სწორეთ აშ დროს მოიკუმა. სისხლი გაიკულიტება ყოველი მხრით და ეცდება მარჯვენა წინა-გულში.

შევიდეს, მაგრამ სამ-ენა უბე გასავლელს დახურავს. რაც უფრო ძალზედ მიაწვება ენებს უბისას სისხლი, მით უფრო ძლიერად დახურავენ გასაელელს ეს ენები, და სისხლს წინა-გულში აღარ შეაბრუნებენ.

ფილტვების არტერიაში შესავალი კი ამ დროს ლია. სისხლს მხოლოთ იქ შევლა შეუძლია, მაგრამ აქვთ არის დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ არტერია უკვე საესეა სისხლით; სისხლითვე აღვისილია კაპილიარები და ფილტვის ვენები. არტერიის კედლებს შეუძლიათ ძალზე გაიჭიმონ. ფილტვების არტერიის ნაჟერი აიღეთ, ერთი ბოლო გაუსკვენით და მეორე ბოლოდგან კი წყალი ძალათ ჩაასხით. ნახავთ, რომ არტერია გაიჭიმება. აი სწორედ ამიტომაც სასხლი ფილტვების არტერიაში შევა და იქ მოსათავსებელათ არტერიას გაჭიმავს. უკანა-გული იმდენათ მოიკვერიან; რაც უკანა-გულში სისხლი იყო, არტერიაში შევა. ამ დროს უკანა-გული მოკუმვას შესწყვეტს. სისხლი, არტერიაში შესული, უკან დაბრუნებას მოინდომებს. მაგრამ შეიძლება მხოლოთ რამადენიმე წვეთი სისხლისა, უკან-დაბრუნებული, შევიდეს ჯიბეში, იმ ჯიბეში, რომელიც ახალი-მთვარის მსგავს უბეს წარმოადგენს, და სისხლი იქვე შეჩერდება. უბეები სისხლის უკან დაბრუნებისას ხმას გამოსცემენ ხოლმე (ყოველი ესე, რაზედაც კლაპარაკობთ, ერთს წუთზე უფრო მალე ჰედება); უკან დაბრუნება სისხლისა შეუძლებელია. ამ ნირად უკანა-გულიდან გამოიწრიტა სისხლი და ფილტვების არტერიაში შემოვიდა.

ფილტვების არტერია ამ დროს გაჭიმულია. ეს არტერია წინათაც სავსე იყო სისხლით; ახლა კი მასში, ან და იმ ნაწილში მაინც, რომელიც გულთან ახლოა, გარდამეტი სისხლია მოთავსებული. რა იქნება ამის შედეგი? აქაც სსე მოხდება, რაც მოხდება ხოლმე, გაჭიმულ რეზინას ხელი რომ გაუშათ: წინანდელ სიგრძე-სიგანეს მიიღებს. უკანა-გულშა მახლობელი ნაწილი ფილტვების არტერიისა ჯერ გაჭიმა და მერმე კი თავი მიანება (თვითონ რომ მოკუმვას დაეთხოვა). ამიტომ ერთი

ნაწილი ფილტვების არტერიისა ცდილობს მიიღოს წინანდეკლი სიგრძე-სიგანე; რადგან სისხლის უკანა-გულში დაბრუნება შეუძლებელია, ამიტომ არტერია, მოკუმება თუ არა, სისხლის კაპილიარებისაკენ გადევნის და ამით ეს უკანასკნელებიც დაიჭიმებიან.

აქედანაც სისხლი კიდევ ზევით გაიდევნება და ამნაირად, ვიღრე სისხლი კაპილიარებში არ შევა. სისხლით აღვსილი არტერია გაიჭირა იმიტომ, რომ გარდამეტი ნაწილი სისხლისა მიიღო, ახლა ცდილობს ეს გარდამეტი კაპილიარებს და ვენებს გარდასცეს და თვითონ კი იმდენი-და სისხლი დაიტოვოს, რის მოთავსებაც მას ყოველთვინ გაუჭირვებლად შეუძლიან, ვენებიც ხომ სისხლითა სავსე. მაშა, რაღა ჰქნან ამათ? მათ მის მეტი არა დამჩენია რა, თუ არა ის, რომ ეს გადამეტი სისხლი მარცხენა წინა-გულში ჩაასხან. მოკლეხანში ყოველივე ესე წუთზე უფრო მაღლე ჰქდება ხოლმე.

როცა მარჯვენა უკანა-გულიდან შევა სისხლი ფილტვების არტერიაში, სწორედ ამ დროს მარცხენა უკანა-გული დან ამ დენივე სისხლი შევა აორტაში; სისხლი იქ დარჩება, უკანა-გული კი დაცალიერდება. ამ დროს მოკუმება მარცხენა წინა-გული და, რამდენი სისხლიც კი არის მასში, ყველას უკანა-გულში შეასხამს.

სად მიდის ეს უკანასკნელი სისხლი? ამ სისხლს არ შეუძლია უკან დაბრუნდეს, ფილტვების ვენებში არ შეუძლია შევიდეს, რადგან ვენები უკვე სისხლითა აღვსილი. უკანიდან ამ სისხლს ძალზე აღვსილი არტერია აწვება. სისხლის ეს ნაწილი შეიძლება აღვილად შევიდეს მხოლოდ დაცალიერებულ უკანა-გულში. მართლადაც, სისხლი ასეც იქცევა. ორ-ენა უბე უკან მიეკვრება და გასავლელს გააღებს. ამ დროს კი წინა-გულიც დაცალიერდება, სისხლს რომ უკანა-გულში შედევნის. ამ დროს წინა-გული მოკუმებას დაეთხოვება, მისი კედლები მოიშვებენ, ახლა ვენებსაც შეუძლიათ წინა-გულში შემოდენონ ის გარდამეტი სისხლი, რომელიც მათ გადმოსურა ძალზე აღვსილმა ფილტვების არტერიამ.

ემ ნაირად მარჯვენა უკანა-გული მიერეკება სისხლს. ფილტვების არტერიაში, ფილტვების არტერია აღავსებს ფილტვების ვენებს, ფილტვების ვენებს გარდამეტი სისხლი შეაქვთ დაცალიერებულ მარცხენა წინა-გულში, მარცხენა წინა-გული კი სისხლს ცალიერსავე ზარცხენა უკანა-გულს გადასცემს, მარცხენა უკანა-გული სისხლს აორტაში შეიტანს (აორტისა და მისი ტოტების დაჭიმვა წარმოადგენს პულს, ძარღვის ფეთქას), აღვსილი აორტა ფილტვების არტერიის მსგავსადვე აღავსებს სისხლით სხეულის კაპილარებს, კაპილარები სისხლს გარდაცემენ დიდრონ ღრუ ვენებს, ამ უკანასკნელთაგან სისხლი ცალიერს მარჯვენა წინა-გულში შემოვა, მარჯვენა წინა-გული კი სისხლს ზარჯვენა უკანა-გულში შედევნის.—სისხლის მიმოქცევას ხომ მარჯვენა უკანა-გულიდან მოვსდევთ კვალ და კვალ.

მაშასადამე თრი წინა-გული და თრიც უკანა-გული რიგოდათ მოიკუმება ხოლმე და ეს მოკუმება, კენების უბების დახმარებით, სისხლს მიღების კრცელ სისტემაში ზედიაზედ ძიერებება. ამის გამო, სხეულის უგელა კაბილიარებში, სისხლი ისეთ ნაირად არის მოთავსებული, რომ სისხლს უკანიდან აღვსილნი არტერიები აწებიან, წინიდან კა გზა გახსნილი აქვს წინა-გულების მეოსებით—ეს უკანასკნელი კა წერტილი ან-და უფრო ხშირადაც დაცალიერდებიან. ამიტომ შეუძლია ახალ-ახალი სისხლი მიიღონ. ამ ნაირად ყოველი ნაწილი სხეულისა, ოვით უმცირესიც კი, ირწყვის იმ სისხლით, რომელიც რამდენიმე წუთის წინათ გულში იყო, ამის წინადაც კი—სხეულის სხვა-ნაწილში. ცხადია, რომ არც ერთს ნაწილს ჩენის სხეულისას არ შეუძლია თავის-თავად, დამოუკიდებლად იცხოვროს, სისხლი სხეულს ყოველივეს და ყველაფერს საზოგადოთ უქცევს ხოლმე. სისხლის წითელი ბუშტი, ამ. რამდენისიმე წუთის წინათ ტვინში ნამყოფი, ახლა შეიძლება ლუიდლშია, რამდენისამე ხნის შემდეგ კი მკლავის მუსკულში ან და ფეხის ძვალში. ამოცოტს თავს: სადაც არ უნდა მივიდეს ბუშტი, ის იქ უსათუოდ რმიტომ მივა, რომ რაიმე ან წამოიღოს და

ან. მიურანოს. შეუწყვეტლად, შეუსვენებლათ მომქმედი გული მულამ ერეკება მომქმედ სისხლს, რომელიც, სადაც არ უნდა მიეთდეს, ყველგან ან სყიდის რასმე, ან ყიდულობს; დიდ არტერიებსა და ვენებში შემთხვევით თუ ივაჭრებს ხოლმე, უმთავრეს ვაჭრობას კი მხოლოდ კაპილიარების ვიწრო გასავლელებში ასრულებს ხოლმე.

35. დიდ ქალაქს რომ მაღალი ადგილიდან გადმოხედოთ, კოშკიდან, ან სამრეკლოდან, ქვეშ დაინახავთ ქუჩებს, ამ ქუჩების აქეთ-იქით სახლებია ამართული. კარგათ შეხედავთ, რომ ქუჩებზე ხალხი არეულია, ეტლები კი მირბი-მორბიან. რაც სახლებში ხდება, ამას ვერ ხდეავთ. თუმცა ქუჩებზე დიდი მოძრაობა და მოქმედებაა, მაგრამ მაინც ბეჯითათ იცით და დარწმუნებულიც ხართ, რომ ეს მხოლოდ გამომეტყველია და მაჩვენებელია იმ ნამდვილის მოქმედებისა, რომელიც თვით სახლებშივე ჰქდება.

ესევე შეგვიძლია უთქვათ სხეულის ყოველივე ნაწილის შესახებაც, რომელსაც მიკროსკოპით შინჯავთ. მიკროსკოპში დაინახავთ წითელს სისხლს კაპილიარებში მჩქეფარებს. მაგრამ ის ხომ ნამდვილია, რომ კაპილიარების ქსოვილის ყოველ მაყურები მოთავსებულია ნედლი ხორცი; ეს უკანასკნელი შეედრება პატარა სახლების კრებას და იგი აღშენებულია ან მუსკულით, ან კანით ან და ტვინით. ბევრ რასმე, რაც ამ სახლებში ხდება, ვერ დაინახავთ, თუმცა უმთავრესი მოქმედება, აი, სწორედ იქა ხდება. ქალაქში ქუჩებზე მიეზიდებიან დაუმუშავებელ მასალას ფაბრიკებსა და ქარხნებში, ქუჩაზედევე გაამოაქვთ დამზადებული ხელ-საქნარი, მაგრამ ამის მიუხედავთ, ნამდვილია მაინც, რომ უმთავრესი, მუშაობა ფაბრიკებსა და ქარხნებში შესრულდა. სისხლი, კაპილიარებში მოქცეული, ჩვენი სხეულისათვის წარმოადგენს დაუმზადებელ მასალას. ამ მასალით უნდა მომზადდეს მუსკული, ძვალი და ტვინი; შემდეგ კი ეს მასალა გამოსადეგი იღარ არის, ამიტომაც იგი სხვა ადგილის გაღიტანება ხოლმე. ძვალი გინდა ტვინი მზადდება სისხლის გარეშე, ქსოვილის პატარა უჯრედებში; ამ უჯრედებ-

ში კი სისხლის ვერც ერთი წითელი ბუშტი ვერ მოხვდება, ვერ შევა.

კაპილიარებს არსად გარედ გამოსასვლელი არ მოეპოვებათ. ამიტომ წითელ ბუშტებსაც არ შეუძლიათ გარედ გამოვიდნენ. კაპილიარების კედლები კი ისე თხელი და ნაზია, რომ მხოლოდ სისხლის პლაზმს შეუძლია ამ კედლებში გამოევანოს, პლაზმა ხომ უფერული სითხეა, რომელშიაც სისხლის ბუშტები დატივტივობენ. უეჭველია, გეცოდინებათ, რომ ბევრგარი ნივთიერება მოიპოვება, რომელიც გამოევანავს ხოლმე თხელს ტყავში, გარსში, თუნდაც რომ ამ უკანასკნელს არსად არც ერთი ნახვრეტი არ მოეპოვებოდეს. ბუშტში რომ მუხულო ჩაყაროთ, ბუშტს კი თავი მაგრათ მოუკრათ, დარწმუნებული ხართ, რომ ეს მუხულო მხოლოდ მაშინ გაღმოიბნევა, როცა ბუშტი გაიხსნება ან და გასქდება. მაგრამ, ბუშტში რომ შაქრისა გინდა მარილის ხსნილი ჩასხათ, ბუშტს კი თავი მაგრა მოუკრათ და ჩადოთ სუფა. წყლიანს ჭურჭელში, რამდენსამე ხანს შემდეგ დარწმუნდებით, რომ წყალი გატყბილდება, ან დამლაშდება. და ეს მოხდება მაშინაც კი, ბუშტს რომ არსად არ მოეპოვებოდეს ნახვრეტის ნარამალაც კი. თუ ბუშტში რომ სხვა და-სხვა ნივთიერებანი ჩადევით, დარწმუნდებით, რომ ამ ნივთიერებათა მაგარი ნაწილები, წყალში გაუხსნელი ბუშტშივე დარჩებიან, მარილი და სხვა გვარი ნივთიერებანი, რომელთა გახსნა წყალში შესაძლებელია, ბუშტის კედლებში ჯამოვლენ და ბუშტის გარშემო წყალში შემოვლენ. ეს კი მანემდის გაგრძელდება, ვიდრე შაქრისა გინდა მარილის ხსნილი იმ სისქემავე არ მიაღწევს წყალში, რა სისქისაც თვით ბუშტშივე არს. ბუშტის, საზოგადოდ კა გარსიან რისიმე ასეთს თვისებას, რომლის გამო ზოგი ნივთიერება გამოვა მის კედლებში, ეწოდება ჟსპოსა. ახლავე გარებთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვისებას სხეულისათვის. ამ ისმოსის მეოხებითაა, რომ მსაზრდოებელი მასალა, სისხლში მოქცეული, შემოვა ხორცში, რაც მოთავსებულია კაპილიარების მაყურებში. ამავე ოსმოსის საშუალებით შესაძლებელია, რომ უსარ-